


Իջրտան անս լծիւոտո!



Յգահո ջահոնս. 4.1991



საქდარი ◦ ღმრთისა მადლი, მიმ-
სგავსებული ზეცათა, რომელსა უპყრის
სუბტი საშოსა შინა, ვითარცა დედასა,
შვილთა თვისთა, კრთომით განაცხრობს და
მადლთა უფსკრულსა, მიჰრუნსა მას წმი-
დასა და ოქრო-ნექტარსა, სულისა ცუარსა,
უწყაროებს მათ, რომელნი იტყვიან:
აღილუია.



ჩვენთან არს ღმერთი!

ჯვარი ვაჭისა

4
1991

დაიბეჭდა
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის,
უწმინდესისა და უნეტარების,
ილია მეორის
ღვარდნითა და ღმერთთა-კურთხევით.

თბილისი
1991





4 (25) დეკემბერი – უწმიდესისა და
უნეტარესის, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის
აღსაყდრების დღეა (1977)



ლვთისმემტყველვა

წვილა იოანე ოქროპირი

სიტყვა მარხვის შესახებ

ისევ გვიხმობს წმიდა მარხვა და კვლავ გვთავაზობს მადლს.

კვლავ მოგვიწოდებს, რომ შევეუერთდეთ მოსაგრეებს. ისევ სურს, რომ გავხდეთ მამაცნი, ვნებათა დამორგუნველნი, უმეტესი სულიერებით განვბრწყინდეთ და ჩვენი შრომის საზღაურად გვირგვინით შევიმოკოთ თავი.

მართლაც და, რა არის მარხვა, თუ არა გვირგვინი გმირობისა, საფუძველი ჯილდოსი და გზა ცხოვნებისა? მარხვით ვიხსნებით მონობისაგან და თავისუფლებას ვიხვევთ, მამულს ვუბრუნდებით უცხო ქვეყანაში დატყვევებულნი, მარხვა კურნავს სულიერ კრილობებს და აახლებს ცოდვით გახრწნილ სულს. იგი განამტკიცებს გონებას, შთაგვაგონებს ღვთის შიშს, ანადგურებს ვნებებს, ათვინიერებს ზრახვებს.

მარხვის ჟამს ცხრებიან ვნებანი, აღსდგებიან სათნოებანი, უმეტესი სიწმიდით ელვარებს უბიწოება, ხორცი მორჩილი ხდება სულისა და მას ემსახურება.

სიხარულით შეუდგე მარხვას და ნუ ემსგავსები იმ თვალთმაქცთ, რომელნიც კაცთა სახილველად დაღვრემილი სახით დადიან. ამ მწუხარების გამო ისინი ვერ იღებენ იმ ჯილდოს, მარხვის გამო რომ ეძლევა ადამიანს. მაცხოვარი ბრძანებს: „ხოლო შენ რაჟამს იმარხვიდე, იცხე თავსა შენსა და დაიბანე პირი შენი, რაჟამთა არ ეჩუენო კაცთა მმარხველად, არამედ მამასა შენსა დაფარულად“ (მათე 6, 17-18).

ნუ განუდგები, საყვარელო, მარხვას, რამეთუ იგი დედა სათნოებათა, საფუძველია სიკეთისა, წყაროა უბიწოებისა და მცველია ღვთისმოსაობისა. იგია გამომზრდელი წმიდათა, თანამყოფია ანგელოზთა, წინამებრძოლი ბოროტი ძალოსა, მეგობარი წმიდა სულისა; მის გამო გვმორდებიან ვნებანი და გვეცილდებიან ეშმაკეულნი, მისი მიზეზით ცხრება მრისხანება, ითრგუნება ავბორცი გულისთქმა, ცოცხლდებიან და ბრწყინდებიან ჩვენში სათნოებანი; მისი წყალობით მშვიდდებიან ვნებანი და ყურდება გულისთქმათა ამბოხი; გონება თითქოსდა წყნარ ზღვაში ექცევა, იგი წარმატებით ებრძვის უკეთურ საქმეთა ქარიშხლის მღელვარებას და ხომალდი სათნოებათა ნავთსაყუდელში მიჰყავს. მარხვა მოგაგებს უხრწნელ გასამრჯელოს, მის საზღაურს ვერაფერი გაანადგურებს, თუკი სულიწმიდის ცნებებს აღასრულებ, თუკი ღვთის შიშში განმტკიცებული უარაყოფ წუთიერს და მიჰყვები წმიდა წერილის სიტყვებს: „ნუ გიყუარნ სოფელი ესე, ნუცა-დაჟრა არს სოფლისა ამისი“ (I იოან. 2,15). ნუ გექნება სიყვარული ამა სოფლის სიამეთა, მძიმე ტვირთივით რომ აწევს სულს და ჩაძირული ხომალდივით ფსკერისაკენ მიაქანებს. განა არ იცი, რომ საჭმელის გემოს მხოლოდ ყელი გრძნობს, ხოლო სასჯელი, რომელიც მოჰყვება მას სასტიკ ტანჯვას განგვაცდევინებს? თავშეუკავებლობა ბილწავს მათ, ვინც არ ინახავს მარხვას; იგი ამახინჯებს სულის მშვენებას, გვამად აქცევს სიცოცხლით აღვსებულს. იგი უკეთურებისაკენ მოუწოდებს ადამიანს, ალაგზნებს სიამოვნებებს, ამრავლებს ომებს, აღვივებს მტრობას და ბოლოსდაბოლოს, სათნოების უნარს უკარგავს კაცს, რადგან, როცა სხეული უძღურდება და ღვინის ჭარბი სმით განსჯა იკარგება, ადამიანი ვეღარ პოულობს წინააღმდეგობის ძალას და მტერთათვის იოლი დასაძლვეი ხდება. ამ დროს იგი ემსგავსება ქარით გატაცებულ ხომალდს, რომელსაც არა ჰყავს მესაჭე, რომ შეებრძოლოს აზვირთებულ ტალღებს და ზღვის სივრცეში უგზოუკვლოდ დაკარგული დასაღუპადაა განწირული.

ამიტომ გვედრები, მარხვის შემდგომ ნუ შეუდგები განცხრომით ცხოვრებას, უზრუნველობის გამო ნუ გადაჰყრი წყალში შრომას, არამედ საქმეს საქმე დაუმატე და იმედი გქონდეს, რომ მოგეგება. ნუ დავლუპავთ მარხვის ძალას და ნუ მივცემთ ნებას ჩვენს გონებას, განსჯა დაჰკარგოს სოფლიური სიამოვნებებით, რათა სულს გამოუსწორებელი ბოროტება არ ვაგვმოთ. თუ გსურს მარხვის შემდგომ განიკურნო სხეული, დაუძღურებისას

თავისშეკავებით უნდა უწამლო მას, რათა მსუბუქად დატვირთული ხომალდის მსგავსად, სული ბიწიერი ტალღების ზემოთ მოექცეს, რათა მან განაგოს ზრახვანი და მზად იყო წინ აღუდგე მათ შემოტევას, რომ განსაცდელისაგან იხსნა ხომალდი.

მარხვასთან ერთად ამ ბრძოლაში ადამიანს ერთი მოკავშირეც ჰყავს — ესაა ლოცვა, სიკვდილის ჟამი იქნება თუ რაიმე სხვა განსაცდელისა. მარხვითა და ლოცვით ყველაფერი ნადგურდება; მარხვით ძრწიან და ილტვიან ბოროტი სულნი, იმუხრება დემონური ძალის მეუფება; მარხვის ძალა განსაკუთრებულია მაშინ, როცა მას ჰყავს მოკავშირე ლოცვის სახით. მარხვამ და ლოცვამ აღამალა ზეცად ილია წინასწარმეტყველი, დალუბვას გადაარჩინა ნინეველნი, მარხვამ დაიცვა დანიელი უვნებოდ ლომებით საესე ორმოში, მარხვამ გადაარჩინა შეუწველად ცეცხლოვან ლუმელში სამი ყრმა; მარხვამ შემოსა უსაზღვრო დიდებით მოსე; მარხვამ აქცია წინასწარმეტყველად ელისე. რა შეიძლება ითქვას კიდევ მარხვის შესახებ? რომ არ ყოფილიყო მარხვა-ხსნისა და მარადიული ცხოვრების მიღწევის გზა, ღმერთი არ დაადგენდა მას დასაბამიდან. თუკი ადამი დაიცავდა მარხვას, სიკვდილი ვერ მიეკარებოდა მას, არ დაჰკარგავდა იგი ღირსებას, ღვთისაგან რომ ებოძა, არ განიდევნებოდა იგი სამოთხიდან და არ დაისჯებოდა ტანჯული ცხოვრებით. მაგრამ რადგან დაემორჩილა სტომამქის ხმას, სიკვდილის მონა შეიქმნა.

მარხვა სახეა ანგელოზებრივი ცხოვრებისა. და, რაც უმთავრესია, მარხვა დაიცვა მაცხოვარმა; მან იმარხულა არა იმიტომ, რომ იგი საჭიროებდა მას საკურნებლად, არამედ იმის გამო, რომ ხსნის გზაზე მარხვის მაგალითი მოეცა კაცთათვის.

ცხოვრების თანამგზავრად გაიხადე მარხვა, რათა დაგიცვას და სიკვდილს გადაგარჩინოს, განსაცდელი აგაცილოს და სასუფეველის ბჭესთან მოგიყვანოს.

მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი ჩვენ თანა, რომელსაც შევენის დიდება, თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ა მ ი ნ.

ფილია მამა იონაე კასიანე რომაელი

პატივმოყვარეობის სულთან ბრძოლა

ნეტარი მამა კასიანე რომაელი წარჩინებული და დიდებული ოჯახის შვილი იყო. სიბეჯითითა და ნათელი გონებით გამორჩეულმა სიყმაწვილეშივე შეიყვარა მეცნიერება და საღვთო მწერლობა. ჯერ ასტრონომია და ფილოსოფია მოიწურა, შემდეგ კი მოკრძალებითა და მოწიწებით შეუდგა საღვთო მწერლობის შესწავლას. ისე ბრწყინვალედ შეიმეცნა ყოველივე, რომ თანამედროვეთა შორის ერთ-ერთ გამორჩეულ პიროვნებად ითვლებოდა. გარდა ამისა, ნეტარი მამა კასიანე უმწიკვლო, ზნეკეთილი, სპეტაკი სულის ადამიანი იყო. მან დატოვა თავისი მამული და ცარგარად წმიდა იოანე ოქროპირს ეახლა.

იოანე ოქროპირთან ყოფნისას ნეტარმა კასიანემ უფრო გაიღრმავა ცოდნა, ეზიარა საქველმოქმედო საქმეებს, შემდგომ ერთ-ერთ მონასტერში ბერად აღიკვეცა. ერთხანს იგი უდაბნოში დასახლდა და ცხოვრობდა მღუმარებაში ცდუნებას განრიდებული.

მეტი ცოდნის შეძენის წყურვილით ნეტარმა კასიანემ დატოვა სამყოფელი თავისი და მოიხილა მონასტრები ეგვიპტეში, თებეში, აზიაში, პონტოსა და კაპადოკიაში. დააარსა დედათა და მამათა მონასტრები მასილიაში. გარდა ამისა, დაწერა რამდენიმე სამოძღვრებო ბრძნული და სასარგებლო რჩევებით აღსავსე წიგნი. თუ მკითხველი ყურადღებითა და გულმოდგინებით წაიკითხავს ამ წიგნებს, სულსთვის ბევრს სარგოს შეიძენს და გაიგებს, თუ როგორ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ამ სულის მასაზრდოებელ წიგნთა შემდგენელი.

წმიდა კასიანე გარდაიცვალა 435 წ. 23 ივლისს. ხსენება წმიდა კასიანესი დაწესებულია 29 თებერვალს - მხოლოდ ნაკიან წელიწადს. მის სახსენებლად გალობენ საღამოს ლოცვებში.

პატივმოყვარეობის სულთან ბრძოლა

ადამიანმა უნდა სძლიოს პატივმოყვარეობის უკეთეს სულს. იგი იმდენად მრავალსახიანი, მრავალგვარი და დახვეწილი, რომ თვით ყველაზე მახვილ თვალსაც კი უჭირს მისი დანახვა, აღარაფერს ვამბობ მისგან თავის დღწევაზე, მის გათვალისწინებასა და შეცნობაზე.

პატივმოყვარეობა გვაცდუნებს არა მხოლოდ ხორციელი, არამედ სულიერი ცთომით.

პატივმოყვარეობა ადამიანს აგდებს არა მარტო ხორციელ, არამედ სულიერ ცოდვებშიც. იგი მის გონებას ყველაზე უფრო დიდი სივერაგით ესხმის თავს და თუკი ხორციელი ვნებით აცდუნებს მას, უფრო დიდ ზიანს აყენებს სულიერ მიღწევათა გამო, რადგან დაფარულია მისი აცილების მსურველთა თვალიდან. სხვა ვნებათა თავდასხმა უფრო ხილულია და განცხადებული, მკაცრი წინააღმდეგობა აუძლურებს მათ და ძალაგამოცლილი უღონოდ ებრძვიან მძლეველს. ხოლო პატივმოყვარეობა, როდესაც ქვეყნიური საცდურით აბრკოლებს სულს (ვთქვათ, ლამაზი ტანისამოსით, ან სხვა რაიმე გარეგნული საგნით, ნივთითა და უპირატესობით), ძლიერ წინააღმდეგობას აწყდება და იძულებულია უკან მიიქცეს, ვითარცა მრავალი სახის მქონე ბოროტება; სათნოების ნიღბით ცდილობს გამარჯვებულის დაძლევას.

პატივმოყვარეობას მრავალი სახე აქვს

ყველა სხვა ვნება საკმაოდ ერთგვაროვანია და მარტივი, პატივმოყვარეობა კი რთული, მრავალსახიანი ვნებაა; იგი მრავალი სახითაა აღჭურვილი და ყველგან და ყოველი მხრიდან ხვდება გამარჯვებულ ქრისტეს მხედარს. იგი ცდილობს სამოსელით, გარეგნობით, სიარულით, ხმით, საქმით, სიფხიზლით, მარხვით, ლოცვით, განდევნობით, წიგნიერებით, ცოდნით, დუმილით, მორჩილებით, მოთმინებით აღუძრას სიამაყე ადამიანს და გააამპარტავენოს. პატივმოყვარეობა ჰგავს წყალქვეშა კლდეს, რომელიც დაღუპვას უჭადის გამძვინვარებულ ზღვაში მავალ ხომალდს; თუმცა იგი წყნარ ამინდშიაც სახიფათოა და ეკიპაჟის დიდ სიფრთხილეს მოითხოვს.

როგორ მსხმის თავს პატივმოყვარეობა მოღვაწეს

ვისაც სამეუფეო გზითა სურს სიარული, უნდა მისდოს მოციქულის სწავლას: „ყოველსა შინა წარუდგინებით თავნი თქვენნი... საჭურველითა მით სიმართლისაჲთ მარჯვენისაჲთა და მარცხენისაჲთა, დიდებითა და გინებითა, გმობითა და ქებითა (2 კორ. 6,7-8). ცდუნებათა ბოზობარ ტალღებს შორის გონიერებით მოარულმა და ზეგარდმო გარდამოსული ღვთაებრივი სულით განათლებულმა, ამგვარი სიფრთხილით უნდა იაროს სათნოების გზაზე და უნდა იცოდეს, რომ თუკი გეზს შეეცვლის და გზას გადაუხვევს, მეყვსეულად დაიძსხვრევა წყალქვეშა, დამლუბველ კლდეზე. სწორედ ამიტომ ბრძანებს სოლომონ ბრძენი: „ნუ მიაქცევ მარჯვენით გინა თუ მარცხენით (იგავ. 4,27). ნუ ამაყობ სათნოებებით, ნუ აიმაღლებ თავს სულიერ საქმეებში მიღწეული სიხარულის მომნიჭებელი წარმატებებით, ნუ მიიდრიკები ცოდვის მარცხენა მხარეს. მოციქულის სიტყვების კვალად: რომელთა დიდებაჲ სირცხვილსა შინა მათსა (ფილიპ. 3,19), რადგან ეშმაკი ვისშიაც ვერ აღძრავს პატივმოყვარეობას მოხდენილი ტანისამოსით, ცდილობს მოუვლელო, შეუხედავი, უბრალო სამოსით აცდუნოს იგი; ვინც ვერ დასცა პატივით, დაბრკოლებად უხდის მორჩილებას; ვინც ვერ აიძულა თავი აემაღლებინა ცოდნითა და მჭერმეტყველებით, დუმილით ჩააგდო იგი ცოდვაში. ვინც აშკარად მარხულობს, ბოროტი მას ამქვეყნიური დიდებით აცდუნებს, ხოლო ვინც გაურბის სახელს და ფარულად ცდილობს მარხვის შენახვას, სწორედ ამ კრძალვას უდებს მას ხაფანგად. ის, ვინც შეურაცხყოფს წუთისათვის დიდებას და ძმათა თვალწინ ხანგრძლივ ლოცვას ვერიდება, განმარტოებული სიმდაბლით ეძლევა პატივმოყვარეობას“.

რას შეიძლება შევადაროთ პატივმოყვარეობა?

ამ ცოდვას ბერები ადარებენ ხახვს, რადგან ხახვის ერთი ფენის ქვემოთ მეორე ფენაა, მეორის ქვემოთ მესამე და ა.შ. იმისათვის, რომ განვიკურნოთ თავი, ყველა ამგვარი „ფენა“ უნდა ჩამოვიშოროთ.

**პატივმოყვარეობის მთლიანად ამოქირკვა
შუაბნოშიაც შეუძლებელია**

პატივმოყვარეობა მარტობაშიც სდევს მას, ვინც დიდებისაგან განსარიდებლად ადამიანებთან ურთიერთობას გაურბის. რაც უფრო ეკრძალება ადამიანი სოფელს, მით უფრო ძალუმაღ უტევს მას პატივმოყვარეობა. ზოგიერთ ადამიანს პატივმოყვარეობა იმით იპყრობს, რომ გამარჯვა შრომასა და საქმეში, ზოგს იმით, რომ სწრაფად აღწევს მორჩილებას, სხვებს იგი გამორჩეული მოთმინების გამო ეუფლება ან დიდი ცოდნისა და წიგნიერების, თუ მღვიძარების გამო. იგი ცდილობს ადამიანს ვენება თავისსავე სათნოებით მიაყენოს; პატივმოყვარეობა იარაღად იყენებს იმას, რითაც, ჩვეულებისამებრ, ცხოვრებას ეძიებს ადამიანი; სრულყოფისათვის მოღვაწეს მტერი ცდუნების ბაღეს სხვაგან კი არ უგებს სადმე, არამედ იმ გზაზე, რომელსაც შესდგომა იგი. როგორც დავით წინასწარმეტყველი ბრძანებს: „გზასა ამას, რომელსა ვიდოდე, დამირწყეს მე მახე“ (ფსალმ. 141,3). ამიტომაც რომ საკუთარი წარმატებით ამაღლებულნი, პატივმოყვარეობის ბაღეში გახვეულნი, სათნოებათა სწორედ იმ გზაზე ვეცემით, რომელზეც ვესწრაფვით „გვირგვინსა მას ზეცისა ჩინებისა“. ხშირად ადამიანი, რომელიც სძლევს წინააღმდეგობს და იმარჯვებს, ადვილად ეცემა საკუთარი ტრიუმფის სიმაღლის განცდის მიზეზით. ხშირად მარცხდება იგი მაშინაც, როდესაც აჭარბებს თავშეკავებაში, ანდა ზედმეტად ხარჯავს საკუთარ ძალებს და, სხეულის სისუსტის გამო, ბუნებრივი მდგომარეობიდან ვარდება.

ღამარცხეული პატივმოყვარეობა უმეტესი ძალით იბრძვის

ყველა დამარცხებული ცოდვა თანდათანობით უძლურდება და ცხრება, ხოლო პატივმოყვარეობა პირიქით, უმეტესი ძალით აღსდგება ხოლმე საბრძოლველად. ჩვეულებისამებრ, როცა ჰგონიათ, რომ მოკვდა იგი, თავისი სიკვდილით კიდევ უფრო ღონიერდება. სხვა ვნებები იმას ესხმიან უბრაატესად, ვინც დასცეს და სძლიებს, პატივმოყვარეობა კი თავის დამმარცხებელს უტევს განსაკუთრებული სისასტიკით: და რაც უფრო მეტადაა იგი ძლეული, უმეტესი სიძლიერით აღსდგება ადამიანის წინააღმდეგ. პატივმოყვარეობა მტრის ყველაზე უფრო დახვეწილი ცბიერებაა, რომელიც ქრისტეს მგომარს აიძულებს საკუთარი ისრების გამო დაეცეს ძირს.

პატივმოყვარეობის სენი არ ცხრება ასაკის მატებით

ზოგიერთი ვნება უძლურდება და მცირდება ადგილის ცვლილებითა თუ შესაბამისი ობიექტიდან მოცილებით. პატივმოყვარეობა არ სცილდება უდაბნოში გასულსაც კი, ადგილის შეცვლა არ მოქმედებს მასზე, რამეთუ ის სათნოების გზაზე ადამიანის წარმატებებით სულდგმულობს. როგორც უკვე ვთქვით, სხვა ვნებები დროთა განმავლობაში უძლურდება და ქრება, ხოლო პატივმოყვარეობა, თუკი ადამიანი არ გამოიჩენს დიდ მონდომებასა და გონიერებას, არა თუ დასუსტდება, არამედ უმეტესი სიძლიერით აღსდგება.

**პატივმოყვარეობა მაშინ უფრო სახიფათოა,
როცა იგი სათნოებებს ერწყმის**

ვნებები, რომლებიც აშკარად, თითქოს დღის სინათლეზე აღსდგებიან ადამიანის წინააღმდეგ, მათი საპირისპირო სათნოებების შეგრძობებისას, ადვილად მარცხდებიან, მათგან თავის დაღწევა არ არის ძნელი. პატივმოყვარეობა კი სათნოებასაა მიტმასნილი და ღამის წყვიდადში შეფარებულ ვნებათა ლაშქარში იბრძვის; იგი მუხანათურად აცდუნებს მას, ვინც არ ელის და არ უფრთხის.

რას ამოხსნს ფიქვად ფირილი პატივმოყვარეობის შესახებ

მოციქული გვასწავლის: „ნუმცა ვართ მზეაობარ“ (გალ. 5,26). როდესაც მაცხოვარმა ამხილა ფარისეველი, ბრძანა: „ვითარ უკუე ელ-გეწიფების თქვენ რწმუნებად, რამეთუ დიდებასა ურთიერთას მიიღებთ და დიდებასა მხოლო სა ღმრთისასა არა ეძიებთ?“ (იოან. 5,44). პატივმოყვარეობის შესახებ გვაფრთხილებს დავით წინასწარმეტყველიც: „ღმერთმან განაბნინა ძუალნი კაცთ-მოთენანი“ (ფსალმ. 52,5). ანუ მათი, ვინც ადამიანთა სურვილებს ებრძვირება, რათა მათი კეთილგანწყობა მოიხვეჭოს თავისდავე ანგარებისათვის, ამის გამო ღვთის მცნებას არღვევს, უფლის ნების წინააღმდეგ მოქმედებს.

**ადამიანმა შეიძლება უმკურნალოს სულიერ ვნებებს,
თუკი მათ საფუძველსა და მიზეზს მიაკვლევს**

ეგვიპტელი მამები საკუთარ ცოდვებს იმიტომ ხდიდნენ საცნაურს, რომ ყოველ დამწყებსა და სულით მხურვალეს ცოდნოდა ძმათა საიდუმლოებები; როგორც სარკეში, ისე ეხილა ისინი, გულისხმავო მიზეზი ამ ცოდვებისა და მათი დათრგუნვის საშუალებები ესწავლა. მსგავსად გამოცდილი ექიმისა, რომელიც კურნავს დაავადებას და თავიდან აცილებს ავადმყოფს სნეულებას, სულიერი მკურნალნი, რომელნიც, ვითარცა ზეციურ წამლით, სულიერი დარიგებით ებრძვიან უკეთურ გულისთქმათ; ცოდვათა მიზეზის ახსნით, ეწინააღმდეგებიან ახალბედათა გულში ვნებათა გაძლიერებას.

პატივმოყვარეობის საწინააღმდეგო საშუალება

ქრისტეს მოღვაწე, ქეშმარიტი სულიერი თავგანწირვის მოსურნე, ყოველი საშუალებით უნდა ეცადოს ამ მრავალსახიანი, მრავალგვაროვანი მხეცის ძლევას. იგი განერიდება ამ ბოროტებას, თუკი ეხსომება დავით წინასწარმეტყველის სიტყვები: „ღმერთმან განაბნინა ძუალნი კაცთ-მოთენანი“ (ფსალმ. 52,5).

(იბეჭდება შემოკლებით შემდეგი გამოცემის მიხედვით:
Писания прпотоаѣного отца Иоанна
Кассиана Римлянина
Пер. с лат. еписк. Петра
(Екатеринобского)
1981. - М. - 15-17 - 100

150-ე ფსალმუნის შესახებ

სრულყოფის კიბა

დავითნი დაყოფილია ხუთ ნაწილად: როგორც შევნიშნეთ, ეს ნაწილები კიბის საფეხურებისაებრ ერთიმეორის მიყოლებით მალდდება. დავინახეთ, რომ ყოველი ნაწილის დამაბოლოებელი სიტყვები აღნიშნავს საუბრის თითქოს შეწყვეტას, აზრის შეყოვნებას; ისინი ყოველივე წინ გამოთქმულს შემოსაზღვრავენ ქების შესხმითა და მადლის შეწირვით: „კურთხეულ არს უფალი უკუნისამდე. იყავნ, იყავნ“. ეს სიტყვები გამოხატავს სამარადისოდ ჩაუქრობელ მადლიერებას, რაკი მოქმელი არ სჭერდება, რომ ერთხელ თქვას „იყავნ“, არამედ იმეორებს მას, ნიშნად მუდამ დაუხტრომელი მადლობისა. ამგვარად, თითოეული დაყოფილი ნაწილი გამოირჩევა ერთი კერძო სიკეთით, რომლის მიერ ღვთიური ზემოქმედებით ნეტარება მოგვევლინება. ჩვენი სული თანმიმდევრულად და რიგის დაცვით მოიხილავს რა თითოეულ შესწავლილ სიკეთეს, გააგრძელებს სვლას აღმატებულ სიკეთეთა მიმართულებით, რათა ერთ მშვენიერ დღეს შეერთოს უზენაეს ბედნიერებას.

ქმის საკრავები

ეს ბედნიერება, ბოლო ფსალმუნის სიტყვების მიხედვით, ყველა წმინდანში სრულად განხორციელებული ღვთის ქება-დიდებაა: „აქებდით ღმერთსა წმიდათა შორის მისთა“. სწორედ მათ შორის არის „ძალის სამყარო“, ე. ი. კეთილისმინიერ ურღვევობა; მათ შორის არის „ღვთის მეუფება“, რადგანაც მათი ბუნება ცოდვას აღარ ემორჩილება. როცა ადამიანური შეძლება ადგილს თმობს, მაშინ ხომ ქება „მისი სიდიადის უსაზღვროებისამებრ“ იშლება. იგი აღარ არის სუსტი ღვთიერადობის, არამედ მჭეკარებით უკვე საყვირებს უტოლდება: „აქებდით მას ხმითა ნესტვისა თა“, ამბობს ფსალმუნი. ხოლო, როდესაც ქება სათნოებათა სიმრავლითა და ნაირსახეობით ბაძავს სამყაროს ხმაშეწყობილობას, მაშინ იგი ღვთის წინაშე იქცევა ორდანიოდ, რომელსაც ძალუქს საგალობელთა შეხმატკბილება. დავითნი ამ ღვთიერადობის ხატოვანი ფორმით გადმოსაცემად იყენებს სიტყვებს: „ქნარს“ და

„ებანს“. იგი გვერდზე გადადებს ყველაფერ მიწიერს, ყრუს, ასე ვთქვათ, უხმოს, და, ვიდრე გაისმის დაფაფთა ცემა, ზეციურ გუნდებს შეუწყობს სიმებიან საკრავთა ხმოვანებას. საკრავზე მძლავრად გადაჭიმული სიმები მოგვაგონებს იმ შინაგან სიმტკიცეს, რომლითაც თითოეული სათნოება მოუდრეკლად უდგას ბოროტებას.

წინწილათა ხმოვანება

ამ დროს კეთილმოენად გაისმის სიმებთან შერწყმულ წინწილათა ხმები. წინწილათა ყოველი აქდერება აღვივებს ღვთიური როკვის მგზნებარებას. ჩვენი ბუნების ერთიანობა ანგელოზურ ბუნებასთან - აი, ჩემის აზრით, რას უნდა გულისხმობდეს შემდეგი მუხლი: „აქებდით მას წინწილითა კეთილ-ხმითა“. ანგელოზთა და ადამიანთა შერთება, რაჟამს კაცობრიობა მოუბრუნდება მისთვის იმთავითვე მიჩენილ გეზს, გაასრულებს მადლის შეწირვის დროს მათი ურთიერთშეხვედრისას აღვლენილ საამო გალობას. ისინი ერთმანეთთან თუ ერთიმეორის საშუალებით კაცთათვის კეთილისმყოფელ ღმერთს უგალობებენ დაუსრულებელ საგალობელს. სწორედ ამას ნიშნავს ორი წინწილის თანახმიერება. წინწილათაგან ერთი - ანგელოზთა ზეციურ ბუნებას გამოხატავს, მეორე - გონიერ ადამიანურ არსებას. ისინი ცოდვის მიერ იყვენენ ერთიმეორეს დაშორებულნი. როცა ღვთის სიკეთე მათ კვლავ გააერთიანებს, მაშინ გაისმება მათი შერწყმით შობილი ქება-დიდება, რომლის შესახებ ლაპარაკობს დიდი მოციქული პავლე: „ყოველმან ენამან აღუაროს, ზეცისამან, და ქუეყანისამან, და ქუესკენისამან, - რამეთუ უფალი იესო ქრისტე სადღებელად ღმრთისა მამისა“ ჰმდრვილ. 2,10-11ჰ. შემდეგ კი წინწილები სადღესასწაულოდ აქდერდებიან: განა მოწინააღმდეგის აღგვით არ იშვა მათი თანახმიერება? იგი ხომ სრულად განადგურდა, არარაობად იქცა! ამიტომაც „ყოველი სულის“ მიერ თანაბარი მგზნებარებით და სამარადჟამოდ აღესრულება ღვთის შეუწყვეტელი ქება. „უამურია ქება ცოდვილის პირით“ - ამბობს წერილი ჰზირ. 15,9ჰ. ხოლო, რაკი მას ჟამს აღარც ცოდვა იქნება და აღარც ცოდვილი, ყოველი სული შესძლებს ღვთის შესხმას უკუნითი უკუნისამდე.

**წარინოცება ქველახე მშვენიერი
ადამიანური უნარი**

ასეთია ნეტარების გზა. იგი იმგვარია, როგორსაც გვასწავლის ფსალმუნების ძალმოსილი ფილოსოფია, რომელსაც სათნო ცხოვრების სულ უფრო გაბედულ და ამადლებულ საფეხურზე აპყავს მწვერვალისკენ მავალნი. მისი მიზანია მაძიებელი მიიყვანოს უპირველესად ნეტარების იმ ხარისხამდე, რომლის იქით აღარ არის სივრცე მოაზროვნე გონებისთვის, არც მის თვალსაზრისებისა თუ ვარაუდებისათვის, და, აღარც მტკიცებათა მიმდევარი კეჟა-გონებისათვის. რაც შეეხება იმედს, სულ რომ სურვილის წინ მიეჭანება და მის სვლას წინ უძღვის, იგი ამ შეუდარებელ ფასეულობებთან მიახლოებისას უძალო ხდება. შეიძლება დავადასტუროთ, რომ ფსალმუნთა ფილოსოფია იმ საუბრის დასაწყისით, რომელიც ნეტარ ცხოვრებას ეხება, კარიბჭის ფუნქციას ასრულებს მჭვრეტელობითი ცხოვრების გზაზე. მას, თუნდ შეუმჩნევლად შედებულს, ძალუძს ბოროტებას ჩამოგვაშოროს. დავითნი პირველივე სიტყვებით გვასწავლის, რომ ნეტარების დასაბამი ბოროტებისგან გამიჯვნაა. ამის შემდეგ გზააბნეულთ ხელს უწვდის, რათა მათ დაანახოს სჯულის გზა. ხოლო სჯულიერი ცხოვრების მიმდევართ კპირდება მარადმწვანე ხესთან მსგავსებას. მტრის მიერ მოვლინებულ მწუხარებათა ტყერში იგი გვიჩვენებს იმ გზას, რომელსაც თანამიმდევრული აღსავალით ნეტარების ყველაზე მაღალ მწვერვალზე აპყავს იგი, ვინც თავს მიანდობს, რათა ხელი ჩაჰკიდონ და ამ გეზით ისე ატარონ.

მარადიული ნეტარება

ეს სწორედ ის არის, რასაც გულისხმობს ბოლო ფსალმუნის სწავლება. ბოროტების სრული აღმოფხვრის შემდეგ

სრულად განიწმინდება ყველა არსება, და ერთსულოვანი იქნება მათ მიერ აღვლენილი ღვთის ქებაც. იგი მიადრწევს „მისი ძალის სამყაროს“ და ყველასთან თანაბარი ძალით აზმიანდება, რაკი ყველა იქნება ბოროტებისგან მთლიანად თავისუფალი. მის სიდიადეს შეუერთდება მძლავრხმიანი საყვირის რელიგიური ხმოვანებაც. როცა მთელი ქმნილება, ყველა ზეციური არსებაა და დაბალი ქმნილება ერთ გუნდად შეხმატებლდება, ინტელექტუალური არსებებიდან და მათგან, ვისაც ცოდვა განცალკევებით იჭერს, როგორც წინწილებიდან, ისე იდინებს ჩვენი სიმფონიის დამატკობელი მუსიკა. როცა ჩვენი ბუნება შეუერთდება ანგელოზურს და ამ შერწყმით იშვება საღვთო ბრძოლათა მხედრობაც, მაშინ რაწამს მოისპობა საერთო მტერი, ძლევა მოსილი ღვთის სადიდებლად აგუგუნდება სადღესასწაულო მრავალქმიერი. სწორედ მაშინ, ყოველი სულის მიერ აღველინება ქება, რომელიც სამარადისოდ განადიდებს მაღლის ნამოქმედარს. ზეციური გუნდის ეს შენამატი დაუღვევლად მოაქარბებს ნეტარებას. მხედველობაში მიქვს ის ნეტარება, რომელიც ნამდვილად ნეტარებაა. მასთან უძლურია თავის მოსაზრებებით ყველაზე გამჭირაბი გონება, უძლურია აგრეთვე ჩვენი იმედიც. ეს ნიშნავს მემკვიდრეობით მიღებას იმისა, რაც არც გამოითქმის, არც წარმოისახვის. ეს არის ყოველგვარ ფიქრზე უკეთესი მდგომარეობა: ეს ის არის, რაც „თულმან არა იხილა, და ყურსა არა ესმა, და გულსა კაცისასა არა მოუხდა“ /1 კორ. 2,9/ ამგვარად განსაზღვრა ღვთიურმა მოციქულმა წმიდა ადგილას დაუნჯებული სიკეთეები.

ფრანკულიდან თარგმნა
თამარ ჯაყელი

ნერილუბი სხვალანსხვა პირთი *

წერილი პირველი

იწროქაზი მყოფს

ფრიად უღირსად ვთვლი თავს იმ ნდობის გამო, რომელსაც ჩემს მიმართ იჩინო. როდესაც შეპირებული ადამიანი მოყვასს მიაპყრობს მზერას, რწმენით აღვსილი მისკენ გაიწვდის ხელებს და ითხოვს შეწყენას, ეს ნიშნავს, რომ გულისხმა-პყოფს მასში სულიერ ძალებს. სულიერი ძალები არ გამაჩნია, ვნებათა ჯაჭვებით ვარ შებოქილი და მათ მიერ დამონებული საკუთარ თავში მხოლოდ უძლურებას ვხედავ, მაგრამ გავატარე რა მთელი ცხოვრება ტანჯვა-წამებაში, ჩემს წმიდათაწმიდა მოვალეობად ვთვლი შეპირებულთა თანადგომას. მხოლოდ ამ განზრახვით გწერთ, მხოლოდ ამ აზრით ჩათვალეთ წერილი ესე თქვენი ყურადღების ღირსად; მიიღეთ როგორც ჩემი სულის გამოძახილი, თანამგრობით თქვენი. მარტობასა და მწუხარებაში უმნიშვნელო მოზიარებობაც კი ნუგეშინისმცემელია.

თქვენს შესაწვენელად ამჟამინდელ ყოფაში ადამიანური გზები გადაჭრილია, ასეთია არა მხოლოდ ჩემი აზრი, არამედ მათიც, ვინც გიცნობთ და ვისაც ახსოვხართ, რომელთაგანაც რჩევა-დარიგების მიღება სისარგებლოდ, გამოსადეგად ჩათვალეთ. არ შეიძლება მარჯვნივ ან მარცხნივ გადახრა. აუცილებლობისდაგვარად ჭერ-არს სვლა იწრო და საჭირველი გზით, რომელიც ანაზღველად გაიხსნა თქვენს წინაშე ღმრთის მიუწვდომელი განგებით.

ამგვარი მდგომარეობა ჩემთვის უცხო არაა. არაერთხელ მიხილავს ადამიანური შემწვობის სრული უუნარობა; არაერთხელ დავუტანჯივარ მძიმე მდგომარეობის აუტანელ სისასტიკეს; არაერთხელ ვყოფილვარ მტრების ხელში. და არ იფიქროთ, რომ ეს, რაღაც მცირე დროის განმავლობაში გრძელდებოდა. არა! ამგვარად მიედინებოდა წლები, იკარგებოდა ჯანმრთელობა, მწუხარების უღელ-ქვეშ უძლურდებოდა სულიერი ძალები, ხოლო ტვირთი სევდისა და ნალევლისა არ მსუბუქდებოდა. ის-ის იყო განქარდებოდა ერთი მწუხარება და ვიწყებდი ჩემი მდგომარეობის გარკვევას, რომ მეორე მხრიდან მოულოდნელი ახალი ღრუბელი დამატყდებოდა თავს და ახალი კაემანი ედებოდა მძიმედ სულს, წინამავალი მწუხარებებით უკვე დაძაბუნებულსა და გაწვრილებულს ქსელის მსგავსად.

და აი, ჩემი ცხოვრების მიმწუხრიც დადგა. უკვე ჩანს მოპირდაპირე ნაპირი! დაუძლურებულს გახშირებული სნეულებანი მაუწყებენ გარდაცვალების სიახლოვეს! არ ვიცი ჭერ კიდევ როგორი ქარიშხლიანი დღეები მიმელის, მაგრამ როდესაც განვილი გზას გავყურებ, გულს უნებლიე სიხარული ეუფლებს. როდესაც ვხედავ იმ აბოზოქრებულ ტალღებს, რომელიც ჩემმა სულმა გადასცურა და იმ სახიფათო ადგილებს, რომელიც ჩემმა ნაგმა განვლო, უნებლიეთ მიხარია. ძლიერი ქარები და მრავალი წყალქვეშა ლოდი ეღობებოდა წინ და დაღუბვით ემუქრებოდა, მაგრამ მე ჭერ კიდევ ცხოველ-ვარ. ადამიანური გაგებით კი უფრო ადრე უნდა მომახლებოდა სიკვდილი. მწამს, ღმრთის მიუწვდომელ განგებას დაეყავდი უცნაური და ძნელი გზებით; მწამს, ის ზრუნავს ჩემზე და თავისი ყოვლადძლიერი მარჯვნივ უპყრია ჩემი ხელი. მას მივენდობი! დაე, წამიყვანოს სადაც სურს და როგორც სურს, ოღონდ მიმიყვანოს მყუდრო ნათესაყუდელთან, „სადა იგი არა არს ჭირი, მწუხარება, არა ურვა, არცა სულთქმა“. ვხედავ ძალიან ბევრს, ბედნიერებად სახელდებულთ, ჩემთვის კი მათი ხვედრი უფასურია. მარმარალოსა და ხის საფლავეებში ერთიანი უგრძობელობით განსვენებულან მიცვალებულნი; ერთნაირად უგრძობელნი როგორც ქრისტეანის უგუნურებითა და პატივმოყვარეობით აგებული დიდებული ძეგლისადმი, ასევე უბრალო ხის ჯვარისადმი, რომელიც რწმენამ და სიღარიბემ აღმართა. ერთნიც და მეორენიც ხრწნილებში დაეთესებიან. ძლიერ ჰგვანან მიცვალებულებს ამქვეყნიური ბედნიერებით გალალბულნი, ხოლო მარადიულობისა და ყოველივე სულიერისათვის მომაკვდავნი. სახარებამ ისინი მკვდრებად შერაცხა. აღვაკლინოთ დიდება უფლისა ცოცხალთა სამეფოში!

ღმერთის ქეშმარიტი შემეცნებისაკენ სვლა უსათუოდ მოითხოვს შეპირებისაგან დახმარებას. უთუოდ საჭიროა მწუხარებებით გულის ამ ქვეყნისათვის მოკვდინება, რომ იგი მთლიანად ღმერთის ძიებისაკენ წარემართოს. ღმერთი,

* იბეჭდება იმ ასლების მიხედვით, რომელიც, როგორც ჩანს, თვით ავტორის მიერ არის მომზადებული დასაბეჭდად; ნაპოვნია მის არქივში, რომელიც წმ.სერგის ლავრას ზედა წილად.

ვისაც გამოარჩევს თავის უახლოეს მსახურებად, სულიერ წყალობათა კურკლად, მასვე უგზავნის მწუხარებას, შეჭირვებაში აგდებს. ის, როგორც კი გაემხილა პავლეს, მაშინათვე განუსაზღვრა ტანჯული ხევდრი და ამის შესახებ აუწყა კიდევ: „და უჩუ ნო, რაედენი ღირდეს მისა ვნებად სახელისა ჩემისათ ს“ - ამბობს უფალი ახლად გამოარჩეული მოციქულის შესახებ. ადამიანები, რომლებიც სევდას დაატარებენ გულით, მათი იწროებასა შინა ყოფნა, მხოლოდ იარაღია ღმერთის ყოვლისშემძლე მარჯვენაში, „თქუ ნნი თავისა თმანიცა ყოველნი განრაცხილ არიან“³. ერთი ბედურაც არ დავარდება მიწაზე, თუ ღმერთის ნება არ იქნება; ნუუკვე ამ ნების გარეშე მოგეახლათ განსაცდელი? არა, ის ღმერთის დაშვებით მოგიდგათ. განმგებლის ფხიზელი თვლი მუდამ ზრუნავს თქვენზე, მისი ყოვლადღიერი მარჯვენა გიცავთ, წარმართავს თქვენს ბედს. ღმერთის დაშვებით ანუ ხელის ერთი ნიშნებით მოგიდგათ შეჭირვებანი, როგორც მარტვილს მტანჯველები. თქვენი ოქრო ჩაადგეს განსაცდელთა ქურაში, რათა იქიდან უფრო სპეტაკი და ძვირფასი ამოვიდეს. ადამიანები ბოროტებას თავიანთი სიბრმავის გამო სჩადიან, ხოლო თქვენ იქმნით ძე ღმერთისას მოზიარე მიწაზე და ზეცაში. უფალი ჩვენი იესუ ქრისტე თავისიანებს ეუბნება: „ძალ-გიძთა შესუმად სასუმელი, რომელი მე მგულულის შესუმად“⁴. ნუ მიეცემით სევდასა და კეშანს, ნუ იქნებით სულმოკლე და უსასოო; უწმიდესო მამაო, უთხარით თქვენს დარდიან გულის-თქმებს, უთხარით ნაღველით განმსკვალულ თქვენს გულს: „სასუმელი, რომელი მომცა მე მამამან, არა შეესგა იგი?“⁵ ამ სასუმელს კაიფა კი არ გვიბოძებს, იუდა და ფარისეველი კი არ ამზადებენ მას, არამედ ყოველივეს აღასრულებს მამა! ადამიანები, რომლებიც ნებისმიერად მისდევენ გულის-თქმებს, მოქმედებენ თვითნებურად, ყოველივე ამასთან ერთად არიან იარაღნი, ბრმა იარაღნი ღვთიური განგებისა; ამ განგების უსაზღვრო სიბრძნისა და ყოვლადღიერების გამო. დაუტყუოთ ადამიანები! სწორედ რომ გარეშენი არიან! თვალი მივაპყროთ უფალს, მის ფეხებთან დავამხოთ აბოზოქრებული და მდელეგარე გულისთქმები და მოკრძალებული მორჩილებით მივმართოთ: „იყან ნება შენი“ და ესე არა კმა-არს! ვეამბოროთ ჯვარს, როგორც ქრისტესმიერ ნიშანს, ღმერთის მოწაფეთა წარმმართველს ცათა სასუფეველში. ავაზაკი, სახარებაში მოხსენიებული ჯვარს-აცევს, ხოლო ჯვარიდან ზეცას გარდახდა, როგორც აღმსარებელი. „ქუსა დაპკრბდეს სტეფანეს“, როგორც ღმერთის მგმობს, მაგრამ უფლის განგებით სული წმიდის ცოცხალ ტაძარს განეხება ცა და ხილა დიდება. ღმერთისა. წმ. ტიხონ ვორონეველი ხასიათის სიფიცხეში ბრალდებული, იძულებული იყო ებისკოპოსობიდან გადამდგარიყო და მყუდრო მონასტრის კედლებში დედო ბინა. და ამ წყნარმა საიანემ, სადაც წმიდა მწყემსის ყოფნა გარეგნულად გაძევებას ჰგავდა, აღუძრა სურვილი თავი მიეძღვნა ლოცვითი და სხვა მონაზვნური მოღვაწეობისათვის. წმინდა მოღვაწეობა მიანიჭებდა მას უხარწნად და მარადიულ საუნჯეს - ქრისტეში სიმატლეს; დიდებას უფლისგან ზეცაში და მიწაზე. მუდამ მაციფრებდა წმიდა ტიხონის ხევდრი. მისი მაგალითი ნუგეშინისცემსა და რჩევა-დარიგებას ასხივებდა ჩემს გულში, როდესაც მას წყვილი შემოეკვროდა, მწუხარების ღრუბელთაგან დაუნჯებული. დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ მონაზვნურ ღვაწლს შეუძლია ადამიანის ჰეშმარტი ნუგეშინისცემა, როდესაც იგი განსაცდელთა თორენშია შთაგდებული. გირჩევთ წმიდა მარკოზ მოღვაწის თხზულებებს, რომელიც „...“ - ს პირველ ნაწილშია, ის გაგიწევთ სულიერ თანადგომას მწუხარებისას; ხოლო ლოცვისათვის - ისინიას... ფილოფვის... და თეოლოგტეს... რომელიც იმავე წიგნის მეორე ნაწილშია. მომიტყუეთ იმისა გამო, რომ თავს უფლებას ვაძლევ გირჩიოთ. მიიღეთ როგორც ნიშანი თანაზიარებისა, როგორც ნიშანი გულწრფელობისა, რომელიც თანამომობი გულიდან მოედინება. სხვაგვარად მე არ გაგანდობდით საიდუმლოებებს, რომელთაც ვფარავ და გულის ღრმა უფსკრულებში უჩინო-ვეოფ, რომ სულიერი მარგალიტები ფეხქვეშ არ გათელონ მათ, რომელთათვისაც მხოლოდ ერთი - საკუთარი ჰაობია საყვარელი და ძვირად ფასებული. ამ წერილში გადმოცემული აზრები და სხვა მისი მსგავსი, საღმრთო წერილსა თუ წმ.მამების თხზულებებში ხაზგასმული, მკვებავდა და მხარს მიჭერდა. ამგვარი ძლიერი ნუგეშის გარეშე შეუძლებელია მწუხარების წინ-აღდგომა, რომელსაც ყოვლადსახიერი განგება უშვებდა ჩემზე, რითაც სოფლის სიყვარულისაგან განმამოარებდა და თავისი სიყვარულისაკენ მიწვევდა. შეჭირვებანი ჩემს სუსტ ძალებთან შედარებით საკმაოდ მძიმე იყო, ჩვენს დროში ასე ზედიზედ ვერც რომ შეხვდებოდა კაცი. ის, რომ უცებ არ შეეძლო ჩემი მოტეხა, მხოლოდ აძლიერებდა და ახანგრძლივებდა ტანჯვას. იმის მაგივრად, რომ რამდენიმე დღეში ან რამდენიმე საათში მოელო ბოლო, წლების განმავლობაში მტანჯავდა. ამ შეჭირვებებში ვხედავ ღმერთის წყალობას. აღვიარებ უზუნავს წყალობას, რისთვისაც უფრო მეტად ვემადლიერებ ღმერთს, ვიდრე ყოველგვარი ამქვეყნიური, მოჩვენებითი ბედნიერებისათვის, რომელსაც მე სხვებში ვხედავდი; და ეს მოჩვენებითი ბედნიერება, რაც არ უნდა მდაბალი იყოს (ის ხორციელია), - შეიძლება მაშინ უფრო შესამური ყოფილიყო თუკი იგი ურყევი და მარადიული იქნებოდა. მერედა როგორ იტანჯებთან მისი ცვალებადობის ან დაკარგვის შემთხვევაში მისით განებვიერებულნი. ის აუცილებლად უნდა დანიგრეს; წაერთვათ

1. წმ.ისაკ ასური.
2. საქმე მოციქულთა. 9.16
3. მათე, 10, 30
4. მათე, 20, 22
5. იოანე, 18, 11

ულმობელი და გარდაუვალი სიკვდილით: ვერაფერს შეადარებ იმ უბედურებას, რომელსაც უეცრად შეეყრებიან მარადიულობის კარიბჭესთან მოჩვენებითი, ამქვეყნიური ბედნიერებით აღზრდილები! სამართლიანად ამბობს წმიდა ისააკ ასურის: „სოფელი - მეძავია; ის თავისი მშვენიერებით იზიდავს მისდამი სიყვარულით განწყობილთ. სოფლის სიყვარულის ბადით გამოქერილნი და მასში გახლართულნი, სოფლის მშვენიერებით მოჰადობულნი, ვერ შესძლებენ მისი ხელიდან თავის დაღწევას, სანამდე არ დაკარგავენ სიცოცხლეს. სოფელი, როდესაც სრულიად გააშიშვლებს ადამიანს, - სულს ამოხდის მისი სახლიდან (ე.ი.სხეულიდან) სიკვდილის დღეს, მაშინ გულისხმაყოფს ადამიანი, რომ იგი (ეს ქვეყანა) ცრუ და ამაოა“.

მომეტყობს ხელი, შევუდგეთ ქრისტეს, აღვიღოთ ჭვარი მხარტა თვისთა ზედა და მით მოვიმუშაოთ ჩვენი გადარჩენა.

წმ.სერგის ლავრა
1847 წ.

**გაქვებთ უნე საყვარელო, ფიდილო
მღვდელმთავარო ნიკოლოზ, ზესთამ-
ბრელოლო საკვირველოქამედო და უსათ-
ნოესო ქრისტეო, მრავალსახიდილისა ფა-
ლობის მირონსა და საკვირველგებათა
ზღვისა სოფლისათვის მიმადლებელო;
ხოლო უნე, ვითარცა გაქვს კადნიერება
ფინაჟე ღმრთისა, ყოველთა ჭირთაგან
განგებათვისუფლე ჩვენ, რათა დაუცხრო-
ველად გადიდებდეთ: ბისაროდენ, ფიდილო
მღვდელმთავარო ნიკოლოზ, საკვირველთ-
მოქამედო ყოვლადღიდიებულო.**

იპოსი





ნათელ ხარ უენ, ქრისტე, და ნათელი უენ
მიერ არს, ოხითა ნათლის-მცემლისაჲთა
გუაცხოვნენ ჩუენ.

ულმერთობა ბუნების უარისყოფა



დიდსქემონაზონი ალექსი ოუზანია

რა არის ხილული ესე ბუნება, თუ არა შედეგია მის შორის უხილავი არსებისა, რომელსა შინა არს ძალა შემოქმედისა; სული ცხოველთ წარმოშობისა; სიბრძნე განწყისრიგებისა და გონიერება ხუროთმოძღვრისა საიდუმლოებს. რომლის არსებით მყოფობას საერთოდ აზროვნება ხედავს, რაოდენადაც ჩვენი გონება დაიტევს. „ვითარმედ უხილავი იგი მისი, დასაბამიდან სოფლისათა ქმნულთა მათ შორის გონიერად იხილვების“, ხოლო კერძოდ უკეშმარიტესად, განწმედილი გული და განბრწყინებული გონება თვის შორის განიცდის მის ღვთაებურ სუფევითი საიდუმლოებას, რომლის მსგავსი ცოდვით ბნელგულს არ შეუძლია მიღება.

სათანადო არს მეცნიერებისა, რომ ვითარცა გარდაუხდომელი კეშმარიტებაა წიგნის მკითხველისათვის, რომ მის წინ მდებარე წიგნის მოხზველის უარისყოფა არ შეუძლია; ეგრეთ წმიდა სპეტაკ

აზროვნებას არ შეუძლია გარდახდომა ამ კეშმარიტებისა, რომ ჩვენ წინ მდებარე ბუნებისმეტყველების დიდი წიგნიდან,* არ აღიაროს შემოქმედი, რომელსაც ქართულად, მისი უფსკრული სიბრძნის გამო, ეწოდა ღმერთი (ღრმა ერთი). მაგრამ საცოდავი ადამიანის სმენა და აზრი მსუბუქად ურიგდება ყველაფერს, თორემ განა გასაოცარი არ არის, რომ პირუტყვი სცნობდეს თავის პატრონს და ადამიანი კი უარყოფდეს თავის გამჩენს?! ეს მაშინ უნდა ხდებოდეს, როცა ბრძენ-მეცნიერი აჩენდენ ახალ მზეებს ვარსკვლავებს, პლანეტ-ქვეყნებს, უჩვეულო ცხოველებს და გარდაქმნიდენ ადამიანს უკვდავ უტკივარ გეამოსილ არსებად, თორემ როცა უწვლილესი ცხოველი მუშლის გაჩენა არ შეუძლიათ, რაგორ არა რცხვენიათ ღმერთის უარისყოფა! მაგრამ მიზეზი ის არის, რომ როცა მათი გონების ზე-მყოფია და აზროვნებას უწდომადღურება, ნაცვლად გაკვირვებითი ხედვა და ღიღების მიცემისა, რომ ის ჩვენგან უწდომი უზენაესი ცხოველმყოფი უმაღლესი ბუნება განცვიფრებით ადიღონ, უდებებით სიბნელეს ეძლევიან ზოგიერთნი და ეცემიან პირუტყვთა უქვეგონებით, რომელთათვის ფრიალ შესანიშნავად ზედგამოჭრილი სიტყვაა მეფსალმ-უნისა: „დასდევს ცათა შინა ენა მათნი, ხოლო გული მათი ეთრია ქვეყანასა ზედა“. ესე იგი არს: ასეთებმა შებღალეს მეცნიერთა სახელი, რამეთუ დასდევს ენა მათნი ცათა შინა ღიდ მეცნიერებთან, გარნა ყალბი გონების ხედვამ ჩამოაგდო აზრი მათი კეშმარიტების სამეცნიერო ტაძრიდან და ბუნების აღნაგავი ჰაერში მცურავი „ატომი“ აღიარეს ცა და ქვეყნის წარმოჩენელ, ამგებელ მიზეზად და დავიწყდათ თვით ატომისა, ჰაერისა და მთელ სამყაროისა თავ-კიდენ!..

საუბედუროდ ქვეყნისა, განმრავლდა უღმერთო პირნი და ვითომ ისწრაფიან აღგავონ ქვეყნის პირიდან სარწმუნოება და ესეც არის აღიმაღლეს ხმა და ღმერთის არსებობის აღსარება ხომ ადამიანის დამღუპველად და განათლებათა წინმსვლელობის მტერად გამოაცხადეს. ხოლო უღმერთობა კი ერთად ერთ წყაროდ ქვეყნის ნეტარებისა, რაც უკვე გამოაქვეყნეს შემდეგი რეზოლიუციით: „ხალხმა პირი ჰქნას საამქვეყნო ბედნიერებისკენ და საიმქვეყნო ბედნიერებაზე ხელი აიღონ“. აი აზრი უღმერთობისა, ან უკეთ ვსთქვათ, ცდომი უაზრობისა, რამეთუ რა აზრი სჭირია უღმერთობას,

* ცა და ქვეყნები




მენჯის მთავარანგელოსა
ტაძრის კურთხევის დღეს

როცა კეთილი და ბოროტი მან არ იცის, დეე იბირუტყვე, იმხვეცე, სასწავლებლები დაღეწეთ, ნუ სტანჯათ ახალგაზრდა ყმაწვილებს, მით რომ რა სწავლა განათლება სჭირია უღმერთობას, როცა იგი ნათელშია ბნელია? შეცნიერება და ფილოსოფია მისთვის რა მაქნისია, იგი ერთი ლექსით: „არამწამს“-ის ძლიერებით ანგრევეს ცა და ქვეყნის საკვირველ სიბრძნით გებულებას?!

სამწუხარო ის არის, რომ ყოველივე ესე ხდება შეუგნებლად და ბრმად, ისტორიული გაკვეთილებისა და გონების მრთელ აზროვნებისა ფანტიკურ გადაღახვით. უმრავლესობა არც კი ეკითხება თავის თავს, თუ რა მოაქვს

უღმერთობას, გარდა ველურობისა. არც კი ხედვენ იმ ბნელ უფსკრულს, რომელსაც უმზადებს კაცობრიობის კეთილდღეობას შედეგი უღმერთობისა და მისი ნაყოფი უსჯულოება!.. მოვედით, უთომილნო ჭმანო ატომისტებო, და ძმურად ღრმა გულისხმის ყოფით გაეასამართლოთ ურწმუნობა და მორწმუნეობა:

თუ არაფერი არსებობს გარეშე ნიეთიერებისა და მისი მოძრაობისა, თუ სულიერი ქვეყანა-ცხოვრება მხოლოდ ოცნებაა, მაშ რა არსებობს ადამიანთა კეთილდღეობისა ცხოვრების მსაზღვრავი და რა ძლიერების ნიადაგზე დაშვარებული სამშვიდობო ბედნიერება, როცა





მარცხნიდან მარჯვნივ: დისკუმონაზონი ალექსი შუშანია; სქემონაზონი აკუფსიმე შუშანია; ბერმონაზონი ონოფრე შუშანია, მოსკოვის სასულიერო აკადემიის სტუდენტი; სქემონაზონი ფავსტო შუშანია.

ატომისთვის არ არსებობს კეთილი და ბოროტი? თუ არ არსებობს ღმერთი და ადამიანის სული მხოლოდ პირუტყვეულია, მაშინ რა აზრი აქვს სათნოებას და ან სად არის მიზეზი კეთილ-მოკმედების? ამ შემთხვევაში ხომ ყველაფერი სიცრუეა, გარდა სააქაო შვება-ლხენისა და სურვილთა დაკმაყოფილებისა?! მაშ რად იძახით: ძმობა, ერთობა და სიყვარულის მოვალეობას, როცა მოვალეობა კეთილისა ატომიზმისთვის არ არსებობს? რად შეგვიყვარო, რად შეგვიერთო, ან რად უნდა გეძმო, როცა მიზნის ვალდებულება არ მაძევს და თან ჩემი სარგებლობა

არ ეკერძოება და არც ეთვისება დათმობას, რასაც მოხოცს ერთობა, ძმობა და სიყვარულის კავშირი? რისთვის უნდა შევიწუხო ჩემი თავი, რომ შენ სათნო გეყო, როცა ატომის სჯული გარეშე ჩემი „მე“-ს დაკმაყოფილებისა არ მითითებს: არც მადლიანობაზე, არც უკვდავ მომავალ ცხოვრებაზე და არც ზესთა ბუნებრივ უანგაროდ ღვთიური ძეგობითი სიყვარულის ღირსებაზე? შეიძლება აქ მიგვითითონ პატიოსნებაზე, ან როგორც ამბობენ, საზოგადო სოლიდარობაზე, მაგრამ თუ გარეშე ატომთა მოძრაობისა არაფერი არსებობს, რაღას ქვიან

პატიოსნება და ზოგადი სოლიდარობა?! ამ შემთხვევაში ხომ ყველაფერი პატიოსანია! პატიოსნების დაცვას ხომ შრომა და იძულება თავისა სჭირია, რაც ნების მოთხოვნილებათა წინააღმდეგ ითხოვს ძალას და რამ უნდა მაიძულოს მე, რომ წინააღმდეგ ჩემს სასურველს ნებას და ვიბრძოლო ჩემი სატრფოს წინააღმდეგ, როცა უღმერთოების სამეფოში ყველაფერი ერთია - კეთილიცა და ბოროტიცა, ვინაიდან ყველაფერს საფუძვლად უძევს ბრმად მოძრავი უჭკუო ნივთიერება? მაშ პატიოსნება რად მინდა, როცა მისი დაცვა თავის თავთან ცხარე ბრძოლაში მაგდებს და ან უპატიოსნება რამ განარჩია, თუ კეთილი და ბოროტი განურჩეველია? განურჩეველია მით, რომ ატომიზმის საშუალო ვის სად ესმა! იგი როგორც მკვდარი ფერფლი თვით უსულოა და უაზრო; ვერ იცნობს სულს. ხოლო ჩვენ საღვთო ბაგედან ვიცით: „სულმან იცის სულისა“. ე-ი. სული ღვთისა იცნობს ჩვენი სულის არსებობას და განისჯების სინდისის და პატიოსნების საქმენი. - იქების სათნოებანი სულისანი და იგმობის ბოროტებანი. მაგრამ ესე ყოველი ერთ ხაზგასმით უარყოფილია ატომის მეფუფებაში, რამეთუ არა იცის ზნეობრივი სიკეთე და უზნეობრივო სიბოროტე. და რაღას იძახით: პატიოსნებას ითხოვს საზოგადო საჭიროებაო. რად მინდა მე ეს საჭიროება ვიწრო ფარგალში ჩამწყვდეული, როცა მე ატომის სჯულით შემოუსაზღვრელათ ნების და სურვილის მეფე ვარ? რად უნდა შევიყვარო მოყვასი და გაუწოდო ჩემი სურვილის პური, როცა მიზანი დათმობისა არაარაობაა და ჩემი სურვილთა გემოვნების სიგიჟე კი მძლავრად მცემს დაკმაყოფილებად ნებისა?

როცა დააკვირდებით უღმერთოთა გუნდს, დაინახავთ რომ მასში ერთი მხოლოდ დაგრჩებათ საპატიო და შესაბარალი, მით რომ ჭეშმარიტების ძიების ინტერესით, როგორც ადამიანი შეცდომილ ხედვაში შთაეფლა. ხოლო დანარჩენი კი ხმათა ამყალი მუამენა.

შემოდის ერთი კიდევ სარჩევი სიტყვა, რომელსაც გვიკარნახებენ სვინდისის ძლიერებაზე და ამბობენ, რომ სვინდისი კმარა ადამიანის ცხოვრების გამგე გამრჩევლად. მაგრამ ჩვენ ზემო დავინახეთ, რომ თუ არ არსებობს ღმერთი - მიზეზი სვინდისის ცნებისა, ისაობა

კეთილი და ბოროტის განრჩევაც და მაშინ რაღას კვია სვინდისის მხილება და ჩვენება? ამისთვის ყოველადვე დაუმტკიცებელია სვინდისზე მიყრდნობა თვინიერ ღვთის და ჩვენი სულის პიროვნების რწმენისა, რადგანაც ურომლისოდ სვინდისის ჩვენება კეთილ-ბოროტისა უმიზნოა და უმიზნოდ კი ადამიანის ცხოვრება მარადის ცვალებადობის სცენას უგალობს თავის სურვილთა საგემოვნო გულის ტრაპეზზე. სვინდისი თვითმპყრობელი როდია, რომ მაზედ დაკიდებულება დაეამყაროთ უცვლელ იმედებით და ან არ შეგეძლოს გარდახდომა მის ბრძანებისა. პირიქით მას აქვს დამოკიდებულება ჩვენს თვითმფლობელ თავისუფლებასთან. ასე რომ ხან წინ უძღვის მოძვრად ზნეობა-სათნოებას და ხან სდუმს უზნო ბოროტ ცხოვრებით გადალახული და მირულებული. აი ჩვენი სვინდისის და თავისუფლების ზნეობრივი გზა, თუ ვითარ ცვალებადია. ამისათვის სტყუევდება ვინც გიკარნახებენ მხოლოდ სვინდისის სამყაროზე გადასახლებას, თვინიერ ღვთის გადმოცემულ მცნებათა მდლის განმტკიცებისა, ვინაიდან სჯული და მცნებებიც როგორც აუცილებელი საესება და სრული წყობილება იცავს ადამიანთა კეთილ ცხოვრებას და მიზნობს ოხქანსა...

გეკითხებით ძმანო: კარგი, ცხოვრება წაწყმედ. არა გწამთ, მაგრამ ცხოვრება პატიოსანი და სამშვიდობო ხომ გწადიან. დიად, ეს სჭირია საზოგადოებას, ცხოვრება კაცური და არა პირუტყული და ამას არღვევს, აქარწყლებს უღმერთობა. მართალია არა გჯერათ, რომ საუკუნოდ იქნებით და არა იცით ნამდვილად არის თუ არა მომავალი ცხოვრება, მაგრამ თქვენ არც ეს იცით ამ სოფელში იქნებოდით თუ არა. - არაფელი იცოდით ამ ქვეყნისა და ან რით შეგეძლოთ, ვიდრე აქ დაბადებამდე გეცნათ მსოფლიო ესე ცხოვრება და გერწმუნათ თქვენი აქ დაბადება და მოქალაქება? მაგრამ თქვენ რომ არ იცოდით ისე შემზადებულა ეს ქვეყანა, სადაც სიცოცხლე და მოქალაქება გონიერი მოგნიჭებიათ შემოქმედის განგებულებით და ამა ესერა ყოველი ესე არა იცოდით და იქმნა, უხილავ იყო პირველ შობამდე და ხედავთ. ესრეთ არს სამარადისო იგი განგება უზუნაესისა...



ალექსი ბერი და მენჯის მთავარანგელოზთა მონასტერი

მენჯის მთავარანგელოზთა ტაძარი აშენებულია ბატარა მთაზე, რომელსაც ძველად მთავარანგელოზთა კუნძულს უწოდებდნენ, რადგანაც ამ ადგილზე წინათაც მთავარანგელოზისვე ტაძარი მდგარა, ხოლო მთა კი კუნძულებითაა წამომართული კოლხეთის დაბლობზე. ძველი ყოფილა ქვითკირით ნაგები, ახლანდელზე უფრო მომცრო, ერთნავიანი და უგუმბათო. მისი საძირკვლის ნაშთები ახლაცაა შემორჩენილი. როგორც ღრმად მოხუცებისაგან მსმენია, აღნიშნულ ტაძარს განსაკუთრებით სცემდა თავყანს ძველი ხალხი, რადგანაც მას სასწაულთმოქმედად თვლიდა. ამ ტაძრის შესახებ მრავალი თქმულებაა გავრცელებული, რომელთა თანახმად წინათ ზღვა ამ მთამდე ყოფილა მოსული და გემებს აქ აბამდნენო ჯაჭვით. ამბობენ, რომ ძველ ხალხს იმ ჯაჭვის ნაშთი უნახავთო ამ მთის ძირთან.

ზოგი თქმულების თანახმად, ვინმე ზღვით მოგზაური შევედრებია ამ ტაძარს, რათა მშვიდობით დაბრუნებულიყო და შემდგომად თხოვნის შესრულებისა, პირობისამებრ, ტყვიის ფურცლებით გადაუხურავს ტაძარი.

თავდაპირველად, ძველ ეკლესიასთან შეიღამდე მოღვაწე ქალი დამკვიდრებულა ყოვლად-პატიოსან სალომე თავდგირიძის წინამძღოლობით (დაახლოებით 1860 წლიდან). თანახმად ერთი ძველი წიგნაკისა, მოღვაწე დებს აქ მრავალი სასწაული უხილავთ („წინამძღვარი დედა ათანასია და თეკლათის დედათა მონასტერი“, ტფილისი, 1905 წ. გამოცემა იოსებ ლეჟავასი № 29). მათ ამ სავეანეში დაახლოებით 1870 წლამდე უმოღვაწიათ ნიეთიერი დიდი უპოვარებით, ხოლო შემდგომად ამისა კი, უმეტესი მოღვაწეობის მიზნით, მიუხედავად იმისა, რომ ეს ადგილიც ფაქტიურად უკაცრიელი იყო, აქედან რამოდენიმე კილომეტრის მოშორებით, მიმდგომ მალალ მთაზე გადასახლებულან, სადაც მანამდე მდგარა თლილი ქვით ნაგები ბატარა, ძლიერ დაზიანებული ბაზილიკა წმიდა გიორგის სახელობისა. ამ მოღვაწე დების წასვლის შემდეგ, 1892 წლამდე, ვიდრე ალექსი ბერი არ დაემკვიდრა იქ სამოღვაწეოდ, მუდმივად აღარავის უმოღვაწია.

1982 წელს შესრულდა ალექსი ბერის დაბადებიდან 130 წლისთავი, რომლის აღსანიშნავად საქართველოს საპატრიარქომ მთლიანად მიუძღვნა „საღვთისმეტყველო კრებულის“ ერთი ნომერი („საღვთ. კრებ.“ № 9, თბილისი, 1982 წ.), მაგრამ ვინაიდან იგი უაღრესად მცირე

რაოდენობით გამოიცა, ამ დიდი საეკლესიო მოღვაწის სულით პატივისმცემლებს გვსურს დაინტერესებულ მკითხველთ მივაწოდოთ ძირითადი ცნობები მის შესახებ:

იგი დაბადებულია 1852 წლის 23.IX-ს, ძვ. სტ. სენაკის მაზრის სოფელ ნოქალაქევეში. მის მშობლებს პრჭმევით ლევანი და ელენე. ჰყავდა სამი და და ერთი ძმა. თავად ყველაზე უფროსი იყო დედამამიშვილებში. მთელი ოჯახი ღრმადმორწმუნე ქრისტიანები ყოფილან.

7 წლის ასაკში ალექსი შეუყვანიათ სკოლაში, სადაც მას დიდი ნიჭიერება გამოუჩენია, მაგრამ მეორე კლასში გადასვლისთანავე მძიმედ ავად გამხდარა, სწავლა ვეღარ გაუგრძელებია და მამამისს თავისთან წაუყვანია ოზურგეთში, საფართლოში, სადაც თავად ვაჭრობდა და ჰსურდა რომ შვილისათვისაც ესწავლებინა ვაჭრობა.

1868 წელს გარდაეცვალა მამა. სიკვდილის წინ მამამისს დაუბარებია თავისთან ალექსი, დაულოცია და ანდერძად დაუტოვებია, რათა მას, როგორც უფროს ძმას, ეზრუნა დედისა, დებისა და ძმისათვის. ამ დროს ალექსი ყოფილა 16 წლისა.

იმავე წელს ალექსი გაემგზავრა იერუსალიმში, მოილოცა იქაური სიწმიდეები და მალევე იქიდან გამგზავრებულა კონსტანტინოპოლში თავის ბიძასთან (მამის ძმასთან) - ისლამ შუშანიასთან, რომელიც ყოფილა დიდი ვაჭარი, ამასთან, ფრიად განსწავლული კაცი, მცოდნე მრავალი აღმოსავლური ენისა, დიდად ღვთისმოსავი.

ბიძამისთან ყოფნის უამს შესჩვევია ვაჭრებს და იმდენად მოსწონებია ეს ხელობა, რომ თავადაც ვაჭრად გახდომა მოსურვებია, მაგრამ ღვთის განგებას სხვა გზა უჩვენებია მისთვის, რასაც ასე აღწერს ალექსი ბერი:

„ღღესა ერთსა ჩვეულგებრივად, ძილისაგან აღდგომილი, შევედ ბიძის ოთახში. შევეჩერდი ლოგინის წინ ცოტა ხანს, რათა ჩაი დაგველია. ამ დროს უცბად რალაც ძალამ ელვასავით იელვა ჩემს თავზე და მთელი ჩემი არსება არაჩვეულებრივამ მოვლენამ შეიპყრო. მყის შევსლბი და გარდავიხარე ლოგინზე. მყის აღვემართე და ვგრძობდბი ჩემთვის მოულოდნელს გაუგებარს და გამოუთქმელს ძალას, რომელიც აღისებრივ ანთებული მოძრაობდა სიტკბოებით ჩემს შინაგანში! ბიძა და ბიცოლაც შემოვიდნენ მეორე ოთახიდან ჩაის მისართმევად. მე უკვე აღტაცებაში ვარ, მესმის სიტყვა,

მეორე პირისა, უხილავად ჩემს წინ მდგომარისა, რომელიც მეუბნება: „აჲ შენ ქრისტეს მოწაფე უნდა გახდეთ, ბერად უნდა შეუდგეთ“.

ამის შემდეგ ალექსის გამოურთმეგია წმიდა იოანე ნათლისმცემლის პატარა ხატი ბიძისათვის, ასულა თავის ოთახში და დაწყება დიდი შინაგანი ბრძოლა; ცალკე საერო ცხოვრება იზიდავდა თავისი ახალგაზრდული სიამოვნებით, დედის, დების, ძმისა და ტოლ-სწორებისადმი სიყვარულით, ცალკე კი უხილავი ძალა მიუწოდებდა წმიდა და მაღალი ცხოვრებისაკენ. ასეთნაირ ბრძოლაში რამდენიმე საათი გასულა. ბოლოს, ალექსის უკითხია: „რა ვუყო მამის ანდერძს, რომ ჩამაბარა ოჯახი, რა ვუყო მათ ვალდებულვას?“ ამ დროს უხილავ მოძღვარს კითხვითვე უთქვამს: „ეხლა რომ აქ მოკვდე, ვინ გაარიგებს შენს საქმესო?“ ალექსის მიუვია: „ღმერთი!“ უხილავ მოძღვარს უთქვამს: „მაშ შენც მოკვდი ღვთისათვის საწუთისაგან და ღმერთს მიანდევდი ყოველივე შენი საქმე და იგი გაარიგებსო“.

ამის გაგონებისთანავე ალექსის მიუცია აღთქმა ღვთისათვის, რომ შესწირავდა მას თავის სიყმაწვილეს.

შემდგომად ამისა, ალექსი საოცრად გამოცვლილა, თითქმის გამუდმებით მჯდარა თავის ოთახში თევობით, კითხულობდა საღმრთო წიგნებს და ისე მკაცრად მარხულობდა, რომ ორ თვეში ხუთთოდე გირვანქა პური უკმარნია საზრდელად. ამ მდგომარეობაში მყოფს მას ძილში ჰქონებია ხილვა, ბრწყინვალე ცაზე სამი მზე გამოჩენილა, თვითონ ალექსი დედაშიწიდან თითქმის ერთი ვერსის სიმაღლე მთის წვერზე მდგარა და ამ დროს მოესმა სამი შვიდან გამოსული ხმა: „იოანე არს სახელი შენი!“

ალექსის ასეთ მდგომარეობაში ყოფნამ ბიძამისსაც აუყარა გული კონსტანტინეპოლში ყოფნაზე და მალე ყველანი დაბრუნებულან საქართველოში.

შინ დაბრუნებულმა ალექსიმ განუცხადა ოჯახს, რომ ბერად აღკვეცის აღთქმა მისცა ღმერთს. დები და ძმა დიდად შესწუხდნენ ამის გამო, დედამ მადლობა შესწირა ღმერთს, დალოცა შვილი, მაგრამ სთხოვა აღთქმის შესრულება - მოეთმინა მისი მიყოლი დის - ფატოს გათხოვებამდე.

შემდგომად ამისა, მალე გაათხოვა უფროსი და ფატო და ღვთის წყალობით ახლა საშუალო დამ - სოფიომ იხილა უფლისმიერი ჩვენება, მიიღო ლოცვა-კურთხევა დედისაგან და აღიკვეცა მონაზვნად ახლად დაარსებულ თეკლათის დედათა მონასტერში. ალექსიმაც დაიწყო მომზადება თავისი აღთქმის შესასრულებლად, რისთვისაც მკაცრად იმარხა დიდი მარხვა, - დღეგამოშვებით იღებდა საზრდელს და მასაც ფრად მცირედ, დიდ ხუთშაბათს ეზიარა და ნაიდგომევეს აბირბდა საფლისაგან განშორებას. დიდ პარასკევს დამე უხილავს ჩვენება - შესულა ერთ საკვირველ ტაძარში, მიუხედავად აღსავლისაკენ და უხილავს ამბიონზე მდგომარე ქრისტე, მარცხენა ხელით ბარძიმტვირთული და მარჯვენათი კი საზიარებელი კოვჩისა. ქრისტეს თავსთან

მიუწოდებია ალექსი, უზიარებია და მსწრაფლ გაკლვიძებია. ალექსიმ ჩვენება მიიღო უფლის ნებად, რათა მეორე დღეს ზიარებულყო, გულწრფელად აღიარა თავისი ცოდვები მღვდლის წინაშე დიდ შაბათს და ეზიარა.

ერთი კვირის შემდეგ ალექსიმ დასძლია დიდი შინაგანი ბრძოლა, ავიდა თეკლათის დედათა მონასტერში, განიძარცვა საერო სამოსელი და მორჩილ პავლე აბშილავეს ხელით გაუგზავნა თავის დედას, თავად კი შეიმოსა თავისი დის - სოფიოს მიერ შეკერილი ჭვალის კაბით და შეუდგა ბერული მოღვაწეობის გზას. ეს მოხდა 1873 წელს; იგი იმჟამად 20 წლისა იყო. იმ დღიდან მან დაიწყო მკაცრი, ასკეტური ცხოვრება, ულოგინოდ, სამი წლის განმავლობაში მხოლოდ ჭდომითა და მიყრდნობით ემინა, ღვინოს არ სვამდა, უღორესად ცოტასა ჭამდა და სხვა. მან, აზნაურიშვილმა, რომელსაც ფუფუნება და პატივი არ აკლდა და თავმოწონებით ცხოვრობდა, სრულიად განიშორა ამპარტავენება და შეიმოსა უბრალოებით; ეხმარებოდა თეკლათის დედათა მონასტრის მოღვაწეებს, ზურგით უზიდავდა სენაკების ასაგებად საჭირო აგურსა და ფიცრებს, თოვლსა და უამინდობაში შორიდან აჰქონდა ფეკელი და სხვა. განსაკუთრებით მკაცრად იცავდა მარხვას. მაგალითად, 1875 წელს დიდი მარხვის პატივად პავლე აბშილავესთან ერთად ორმოცი დღე იმარხა მთის დაღოში, ეძინათ მხოლოდ ჰილოფზე, სასათუმლად ქვა ედოთ და საზრდელად იხმევდნენ ძველ, გაქვავებულ მჭადს და მასაც მცირე რაოდენობით, ხშირად მძინარეთ დაათოვდათ ხოლმე.

იმავე წლის ნაიდგომევეს ალექსი ბერი ეახლა ეპისკოპოს გაბრიელს (ქიქოძე), რომელიც იმ ხანად მარტვილის მონასტერში მოღვაწეობდა, და მიართვა სრული წერილობითი აღსარება. ყოვლად-სამღვდლომ როდესაც გაიგო, რომ ალექსი ჯერ მონასტერში არ შესულა, არამედ სოფლებში მიმოდის და უვლის ქლეკით, ქოლერიითა და სხვა მძიმე ავადმყოფობით დასნეულებულებს, ხოლო უკეთუ მოკვდებიან, - ასაფლავებს, - დალოცა ბერი და შრომა უკურთხა.

ასე განვლო რამოდენიმე წელმა. ერთხანს იგი სალოსულ მოღვაწეობასაც ეწეოდა. ალექსი ბერი არა მარტო შრომით ეხმარებოდა გაჭირვებულებს, არამედ არანაკლებად ძლიერი მჭადაგებელი იყო ღვთის სიტყვისა. მისი ცხოვრება და წმიდა მოღვაწეობა კეთილი მაგალითი იყო მრავალთათვის. მისი ჭადაგებების გაკვლით მალე მონაზვნებად აღიკვეცნენ დედამისი ელენე, უმცროსი და სალომე და ძმა ბესარიონიც (სხვადასხვა ეამს). ბესარიონს ისე მოელო ბერული სიწმიდით მოღვაწეობის სურვილი, რომ მოილოცა იერუსალიმის სიწმიდენი, იქიდან ძველ ათონს გაემგზავრა, იმოდგაწევა იქ რამდენსამე წლის განმავლობაში, შემდეგ კი ალექსის წერილით დაბრუნდა საქართველოში, მარტვილის მონასტერში ეკურთხა მღვდლად და მიიღო სტეპაც და იქავე აღესრულა.

თავად ალექსიმაც იმოდგაწევა ძველ ათონში საეანის

წინამძღვარ ბენედიქტეს (ბარკალიაი) თხოვნით და გადაუწერა მრავალი წიგნი კალიგრაფიული ხელით.

ათონიდან მობრუნებულმა დიდის სასოებით მოილოცა კიევის მღვიმეთა მონასტერი, დაბრუნდა საქართველოში და კვლავ განაგრძო თავისი ჩვეული მოღვაწეობა ლოცვით, მარხვით და კეთილი საქმეებით.

დაახლოებით 1885 წელს, ძველ ათონში მოღვაწე თავისი მოძღვრის თეოდოსის (ერისთავი) ლოცვა-კურთხევით და გელათის მონასტრის არქიმანდრიტ სერაპიონის (ახვლედიანი) ნებართვით, დაემკვიდრა გელათის მონასტერში, სადაც მრავალი საღვთო წიგნი შეისწავლა და გადასწერა.

1886 წელს ალექსი ბერი გადაყვანილ იქნა ხობის მონასტერში ამ მონასტრის წინამძღვარ ბენიამენის (ჰყონია) თხოვნით და ხელდასხმულ იქნა ეპისკოპოს გრიგოლის (დადიანი) მიერ იეროდიაკონად, ხოლო 1888 წელს კი - მღვდელ-მონაზვნად.

1890 წელს ალექსი ბერმა ავადმყოფობის გამო ითხოვა შტატის მღვდლობიდან გათავისუფლება, თავისი პირადი ნივთები დაურთავა გაქირებულებს მისი მორჩილი თეოდორეს ხელით და თავად კი გულის სისუსტით დაავადებული დაემკვიდრა თავის მონაზონ დედასა და დებთან ერთად თეკლათის მონასტერში.

ლეთის განგებით, უფლისმიერი ჩვენების ძალით, 1891 წელს ალექსი ბერმა დაიწყო ბერული სენაკის მშენებლობა მთავარანგელოზთა კუნძულზე და დაემკვიდრა იქ სამოღვაწეოდ 1892 წელს, არამჭონებელი ფულისა და სხვა რამ საარსებო საშუალებების; მაგრამ უფალი შეეწია მას ღვთისნიერ აღამიანთა დახმარებით და ჯერ ნელა-ნელა გამოაკეთა სამწირველოდ ძველი, სანახევროდ დანგრეული მთავარანგელოზთა ტაძარი, შემოიკრიბა მოწაფეები, ჯანმრთელობის მდგომარეობაც იმდენად გამოუკეთდა, რომ შესძლო წირვა-ლოცვის შესრულება და შეუდგა ამ საეანეში დაყოფილ, საეანედან გაუსვლელად მოღვაწეობას. იგი აქაც თავისი მოძღვრისმიერი განკანონებით იქცეოდა - შემოწირულ თანხას სამ წილადა ჰყოფდა, რომელთაგან ერთ წილს გადასდებდა ხოლმე პირადი საჭიროებისათვის, მეორეს - ეკლესიისა და სტუმართათვის, ხოლო მესამეს კი დავერდომილთა და გაქირებულ-გლახაკათათვის. თავდაპირველად, მოღვაწეობაში ეხმარებოდნენ თავისი მონაზონი დედა და და სალომე, ხოლო მათი გარდაცვალების შემდეგ კი ჯერ მისი მოწაფეები, ხოლო როდესაც მკაცრმა, ასკეტურმა მოღვაწეობამ ფიზიკურად გასტეხა, მაშინ მოწაფეები დაითხოვა და ბოლო, დაახლოებით 1915 წლის შემდგომ წლებში კი, ვიდრე ამიერ ქვეყნიდან განსვლამდე, ეხმარებოდნენ მისივე სქემონაზონი ბიძაშვილები, დები - აკეფსიმა და ფასტო.

ალექსი ბერს არც მთავარანგელოზთა საეანეში ჰქონია სიმშვიდე, იქ დამკვიდრებიდან დაახლოებით 8 წლის განმავლობაში. როგორც მის მიერვე მონათხრობშია აღწერილი, თურმე, ყოველთვის, როცა კი წინა საღამოს წირვისთვის გაემზადებოდა და ლოცვას იწყებდა,

ბოროტი სული ცდილობდა ხოლმე მის დაბრკოლებას, ეუბნებოდა რა: „ხვალ არ იქნები და რად ემზადებიო წირვისათვის?“ ხოლო იგი ძალას მოიკრებდა ხოლმე და მიუტებდა: „განვემზადები და კეთილ არს ჩემდა განმზადებით სიკვდილი, რათა მესმას - რომლითა საქმითა გიხილო, მითვე განგიკითხო“. ასეთი ბრძოლა გრძელდებოდა ხოლმე ვიდრე ზიარებამდე და მერმე ხელახლა იწყებოდა მომდევნო წირვის წინა ლოცვებიდან.

1898 წლიდან ალექსი ბერს დაუწყია კარდახშულად, ზამთარ-ზაფხულ სენაკში ყოფნით მოღვაწეობა. მისი სენაკი ჯერ ეკლესიიდან მცირედ მოშორებითა მდგარა, ხოლო 1908 წლიდან კი, როდესაც ყოვლად-სამღვდლო ეპისკოპოს ალექსანდრეს (ოქროპირიძე) ლოცვა-კურთხევით ძველი ტაძრის მაგივრად ახალი ააშენა, იმავე ტაძარს მიაშენა მცირე ზომის სენაკი და იქ იყო დაყოფილი ვიდრე მიწიერი სიცოცხლის დასასრულამდე. მისი ერთი მტკაველა სენაკის მოწყობილობა შედგებოდა ერთი ხის ტახტისაგან, რომელზედაც დაგებული იყო მხოლოდ და მხოლოდ ჭილი და მასზედ იძინებდა ხოლმე, ლოგინისა და სხვა რამ საგებულ-სახურავის გარეშე. ჰქონდა კიდევ ერთი პაწია მაგიდა და ასეთივე კარადა. სენაკში ჰქონდა ერთადერთი ხატი სალოცავად, ძველი ათონიდან ჩამოტანილი, ივერიის ყოვლად-წმიდა ღვთისმშობელისა, რომელსაც აქეთიქიდან უდგენენ წმიდა იოანე ნათლისმცემელი და ალექსი ღვთის კაცი (ეს ხატი ახლაცაა დაცული იმავე საეანეში). ჰქონდა ასევე აღამიანის სიმაღლე ხის ჯვარი, რომელსაც ლოცვის დროს ზურგით იპყრობდა ხოლმე, რადგანაც ამბობდა, რომ ჯვარის ასე პყრობა გოლგოთაზე ამაველ ქრისტეს მართებსო. ამ სენაკში ასრულებდა თავის საბერო ლოცვებს და კანონად ჰქონდა, რათა გარეთ, მსახველთა მისაღებად მხოლოდ შაბათ-კვირას გამოსულიყო, ისიც განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა ვინმე საჭიროებდა მის სულიერ შემწეობას და სხვა. სწირავდა თავისსავე აშენებულ ეკლესიაში შაბათ-კვირაობითა და დაწესებულ დღეებში. მოხუცებული ხალხი იხსენებდა, რომ ალექსი საშუალო ტანის, გამხდარი და ფერმკრთალი კაცი იყო, მაგრამ საოცრად ძლიერი და ლამაზი ხმა ჰქონდა და დიდი სასოებითა სწირავდა და ლოცულობდა ხოლმე, წირვას ჯადაგებას არ დააკლებდა და ყოველი მისი სიტყვა დამაჯერებლად ეღერდაო. ალექსი ბერი ჯადაგებდა ზეპირადაც და წინდაწინაც სწერდა ჯადაგებებსა და დარიგებებს, ჰქონდა მიმოწერა სხვა და სხვა ფენის ხალხთან, მრავალი მოწაფე ჰყავდა, რომლებსაც ხან უშუალოდ მოძღვრავდა, ხოლო სხვათ კი წერილობით არიგებდა. იგი იყო ამავე დროს პოეტი და სწერდა ღვთიური გრძნობით გაუღენთილ ლექსებსა და პოემებს, სწერდა საღვთო წიგნებს. მისი შრომები მრავალადაა დაბეჭდილნი და მათი დიდი უმეტესობა უსასყიდლოდაა დარიგებული მოყვასთადმი. ალექსი ბერის მრავალი დაუბეჭდავი ხელნაწერიც ყოფილა დარჩენილი, მაგრამ დროთა უკუღმართობის გამო მათი მხოლოდ მცირე ნაწილიაა გადარჩენილი ამჟამად.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ მიუხედავად ალექსი ბერის მკაცრი, ასკეტური ცხოვრება-მოღვაწეობისა, მიუხედავად მისი თითქმის გამუდმებით კარდახშული ცხოვრებისა შემდგომად მთავარ-ანგელოზთა კუნძულზე, ანუ სავანეში დამკვიდრებისა, იგი მაინც საოცრად ახლოს იყო ხალხთან, იგი ახერხებდა მკაცრ-ბერულ მოღვაწეობასაც და იმავე დროს ხალხთან სულიერ სიახლოვეს, მას მიმართავდნენ წერილობით, მასთან მიდიოდნენ პირადად მოსახსენებლად თავიანთი გაჭირვებისა, სთხოვდნენ მოძღვრულ დარიგებასა და სხვა, ა და იგი ყოველივე ამას ახერხებდა, მიუხედავად თავისი ავადმყოფობისა.

ძნელია ასე ერთი ხელის მოსმით აღწერო ამ წმიდა მამის ცხოვრება და მოღვაწეობა, რათა დაინტერესებულ მკითხველებს სრულად დაინახო მისი სულიერი სიდიადე, მაგრამ კეთილგონიერთათვის ესეც საკმარისი უნდა იყოს, რათა სულიერ თესლად მიიღონ იგი, მიჰბაძონ მას და აღმოიცნონ კეთილი მოქალაქეობა. ალექსი ბერი თავისი ცხოვრებით და მოღვაწეობით, თავისი წიგნებით ახლაც არის კეთილი მოძღვარი ქრისტეს ეკლესიისა.

კარგი იქნება, უკეთუ ორიოდ სიტყვით მოვუთხოროთ წმიდა მამათა ცხოვრების მოყვარეთ ალექსი ბერის მოღვაწეობიდან ზოგიერთ მაგალითს, რათა უფრო მეტად შევიცნოთ მისი სიწმიდე:

1. როდესაც ალექსი ბერი ჯერ კიდევ არ მოღვაწეობდა მონასტერში და ეწეოდა მწირ ბერობას; ერთხელ, სოფელ გეგეთში მიმავალმა, იხილა პატარა ქოხი (ფაცხა), შევიდა შიგ, რათა ენახა თუ ვინ ცხოვრობს მასში ასე გაჭირვებულად და იხილა იქ მარტოოდენ კილობზე გდებული ახალგაზრდა კაცი. დაუჯდა ალექსი იმ კაცს და ჰკითხა ვინაობა. მას მიუგია: „მე ვარ გვარად ოჩიგავა, უტუია მქვიან სახელი. ცოლი შევირთე და მცირე ჟამშივე გაგზდი მძიმე ავად, რომლითა მიმელო წელქვევით მოძრაობა, რომლისა გამო ყოველივე ჩემი ღონე დაეკარგე ქონებისა. ოდეს იხილა ცოლმან ჩემმან უიმედობა მორჩენისა, დამაგდო ასე განწირულად და ქვეშსაგების ღირსიც არა მყო, სულ ყოვლისფერი წაიღო და წავიდა თვის სამშობლოდ. მას აქეთ ასე დატანჯული ვგმობ ხშირად უფალსა და ბევრ-გზის მოვიწოდებ ამ ცეცხლში გადავგორდე დასაწველად, გარნა ჯერ-ჯერობით ვერ შევქელ. ხანდისხან ღეთის მოყვარე მუზობლები საჭმელს და წყალს მომიტანენ და ცეცხლსაც დამინთებენ“.

ალექსის შეეწყალა გაჭირვებული, ანუგეშა საღეთო სიტყვებით, სთხოვა, რათა არც ღმერთი ჰგმოს და არც თავი დაიწვას, თავისი სახლიდან მიუტანა ლოგინი, უვლიდა (ზამთარი ყოფილა მაშინ) კარგად, გაზაფხულზე ნოქალაქევი წაიყვანა, თავის ზურგზე მოკიდებულს ჩა-ჰყავდა წყალში, აბაზანას აღებინებდა და ასე კარგი მოვლით და პატრონობით განჰკურნა იგი და მას მერე იმ კაცმა დიხანს იცოცხლა.

2. ერთხელ ალექსის გაუგია, რომ სოფელ ნოსირში ქლეკით ავადმყოფი, გვარად ფაჩულია გადადების შიშით უპატრონოდ მიუტოვებით მისიანებს. ალექსიმ დაიხმარა

იმავე სოფელი მონაზონი ბარბარე და თებრონე მილო-რაგა, მოუარეს გარდაცვალებამდე და დამარხეს. მალე მიცვალებულის ძმაც დაავადმყოფდა ქლეკით, იმასაც ემსახურნენ გარდაცვალებამდე და მათვე დამარხეს.

3. სოფელ ონტოფოში ქლეკით მომკვდარა ერთი ქალიშვილი, გვარად გიგინეიშვილი, მაგრამ ჰირისუფლებს ჩალა დაუყრიათ მიცვალებულზე, რათა ძალსა თუ კატას არ შეეჭამა იგი, თავად კი ახლოს არ ეკარებოდნენ სენის გადადების შიშით. ამის შესახებ უთქვამს ალექსისათვის ერთ იქაურ მონაზონს. ალექსიმ უპატრონა იმ მიცვალებულს, დაიხმარა მონაზონი, ჩალა გადაჰყარეს, ჩაასვენეს კუბოში, მერე ჰირისუფლებიც დაეხმარნენ და გაასვენეს ეკლესიაში.

4. ალექსი ბერს მოუვლია ქლეკიანი ავადმყოფი ქალისათვის ქალაქ ლანჩხუთში. საცოდავი, ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა, მაგრამ ახლოს ვერაინ ეკარებოდა, თავისსავე სიბინძურეში იწვა და აუარებელი რაოდენობის ბუზები ისე დასეოდნენ, რომ სახე არც კი უჩანდა. ალექსის უმხელია იქაური მონაზვნები და უთქვამს, რომ ასეთი გაჭირვებულის უგულვებელსყოფა საბას-უხოაოა ქრისტეს წინაშე, მონაზვნებსაც შემინებიათ, მოუარეს ავადმყოფს, განბანეს, დაასუფთავეს იქაურობა, სუფთად ჩააწვინეს ლოგინში, მერე მღვდელიც მიიყვანეს და აზიარეს, ალექსიმ საღეთო სიტყვებით ანუგეშა ავადმყოფი და გამოემშვიდობა.

5. სოფელ საჭყოინდლოში მუცელა გაჩენილა და მცხოვრებლებს მძინვარედა ხოცავდა. ალექსიც იმ სოფელში წასულა და უხილავს ერთი უჭირისუფლო ავადმყოფი, რომელსაც იმდენი ბუზი დაჰხვეოდა, რომ თვალ-პირს ვერ აღებდა. მასაც მოუარა ალექსიმ მონაზონ გლისაბედ ჰანტურაიას დახმარებით და როცა გარდაიცვალა, მიცვალებულის ძმამ მიუტანა კუბო, ჩაასვენეს და დამარხეს. ამასობაში მიცვალებულის ძმაც გახდა ისევე ავად, მასაც მოუარეს და მოარჩინეს.

ალექსი ბერს საოცრად დიდი მოთმინების უნარი გაჩნდა. შეატყობდა თუ არა საკუთარ თავს, რომ ამა თუ იმ ჩვეულებითა თუ გემოთმოყვარებით იძლეოდა იგი, იმავე ჟამს აღუკვეთავდა საკუთარ თავს მისი ძლევის მიზეზს. ამათგან საკმარისი იქნება ზოგი რამ ასეთი ჩვეულება-კანონის მოყვანა:

ალექსის სავანე კოშკივით დაჰყურებს კოლხეთის დაბლობს, სადაც რკინიგზაზე მიმოჰქროდნენ ორთქლმავლები და პირველ ხანებში ალექსი თურმე ხშირად ერთობოდა ამის ყურებით, ამის გამო თავის თავს კანონად მისცა, რათა აღარ მიჰხედოს და 20 წელზე მეტ ხანს აღარ მიუხედა, ვიდრე მიცვალებამდე.

ხალხს უყვარდა იგი და ვინაიდან მათგან სასყიდელსა თუ სხვა რამ ფულად საჩუქარს არ იღებდა, ამიტომაც მასთან მიჰქონდათ პატოვისცემის ნიშნად ხაჭაპურები, ნაზუქები და სხვა, რის გამოც ალექსიმ აუკრძალა თავის თავს ამითი ჰამა და არ უტამია 25 წელი და ვიდრე აღსასრულამდე.

აუკრძალა საკუთარ თავს, გარდა ყურძნისა,

ყოველგვარი ხილისა, კიტრისა თუ სხვა რამ ბოსტნეულის ჭამა და არ უჭამია ასევე 25 წლისა და მეტი ხნის განმავლობაში, ვიდრე აღსასრულამდე.

ჰყვარებია ფეხი-ფეხზე გადადებით ჯდომა და სრულიად თავის სიცოცხლეში მოუსპია ეს ჩვეულება, რაც სიბერეში გასჭირვებია, მაგრამ კანონი მაინც არ შეუცვლია.

თაუდაპირველად სძლედა ხოლმე ჩვეულება სარკეში ხშირად ჩახედვისა, მაგრამ ამ ჩვეულებასაც მალე მოპირეგია და აღარ ჩაუხედავს სარკეში მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში.

არავითარ საქმეს არ იწყებდა და არ ამთავრებდა ლოცვისა და ღვთისაღმი მადლობის გარეშე.

მთავარანგელოზთა საეანეში დამკვიდრების დღიდან ჰქონდა ხის დიდი, კაცის სიმაღლე ჯვარი, რომელსაც მხარით იპყრობდა ხოლმე ყოველი პირადი ლოცვის ჟამს.

რაც არ უნდა სუსტიად ყოფილიყო, დღიდან მთავარანგელოზთა საეანეში დამკვიდრებისა, აუკრძალა დღისით ძილი საკუთარ თავს და აღარც დაურღვევია ეს კანონი, მიუხედავად იმისა, რომ მოხუცებულობის ჟამს დიდად უჭირდა ამის დაცვა.

არასოდეს არ ჩაუტევამს საშუალო ან ძვირფასი ქსოვილისაგან შეკერილი კაბა-ანაფორა, არამედ მუდამ ეცვა მხოლოდ და მხოლოდ ძაძის, გაცრეცილი კაბა-ანაფორა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს საეანე შემკობილია ბუნებით, დღიდან იქ დამკვიდრებისა არავის უნახია ალექსი ბერი ეზოში გართობით მყოფი ან მოშრილვე რომელიმე მშვენიერი ხის ძირში მჯდომი, მორწმუნე ხალხს, თუ დაეღაპარაკებოდა ხოლმე, ისიც მხოლოდ შაბათ-კვირაობით და მაშინაც უმეტესად თავის სენაკში იყო დაყუდებულად მოღვაწე.

ალექსი ბერი, ეწოდა რა მკაცრ ბერულ მოღვაწეობას, იღწვოდა რა საკუთარი და სხვათა სულიერი სიწმიდისა და სისრულისათვის, ეკლესიური, წმიდა მამათა მიერ მოცემული მოძღვრებით, მხოლოდ და მხოლოდ ეკლესიური გზებით ემსახურებოდა ჩვენი ერის საერო ინტერესებსაც. ადვილი გასაგებია, რომ როდესაც ესა თუ ის დიდებული, ვაჭარი თუ გლეხი ან მუშა მიმართავდა ალექსი ბერს აღსარებით და ევედრებოდა რჩევის მიცემას, ამ დროს იგი აშხილებდა მათ ყოველგვარ ცოდვაში, - ვის ძალაუფლების გადამეტების გამო ამხელდა, ვის სიძუნწეში, ვის უსამართლობაში, ვის უზნეობაში და ა.შ. განაკანონებდა მათს მოქმედებას, ასწავლიდა სამართლიანობას, ზომიერებას და სხვა. ამის მაგალითად საკმარისი იქნება წაკითხვა მის მიერ გამოქვეყნებული წიგნებისა და შემორჩენილი წერილებისა. იგი არ ერიდებოდა არც საეკლესიო და არც საერო პირთ, არა ჰრიდებდა არც იმათ მაღალ ხარისხს და არც თანამდებობას, უკეთუ შეამჩნევდა უსამართლობაში, მაშინვე მოურიდებლად ამხელდა, დამოძღვრავდა ან მოასხენებდა თავის სამართლიან აზრს და მოუწოდებდა მართლმწვეთელობისაკენ. მრავალთაგან შეიძლება აქ

მოვიყვანოთ ორი წერილი, ერთი - რომლითაც მან, მღვდელმონაზონმა მიმართა საქართველოს ეგზარქოს ალექსის, რომელიც ცნობილ ვოსტორგოვთან ერთად ცდილობდა საქართველოს ეკლესიის გარუსებას, ხოლო სამეგრელოს სკოლებიდან კი ქართული ენის ამოღებას, ხოლო მეორე კი - რომლითაც მიმართა 1906 წელს ერთი მაღალი თანამდებობის საერო პირს.

1. 1903 წელს მეფის რუსეთის რუსიფიკატორული პოლიტიკის გამტარებელი საქართველოს ეგზარქოსი სენაკიდან თეკლათის მონასტერში მიდიოდა, მას მრავალ მორწმუნე ერისკაცთან ერთად გზაზე დახვდა ალექსი ბერი თავისი ხის დიდი ჯვარით და პირადად გადასცა მის მიერ ქართულად ნაწერიდან სენაკის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორ დავით კაჭახიძის მიერ (შემდგომში ეპისკოპოსი) რუსულად ნათარგმნი მიმართვა:

„თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობაჲ! ჩემი ძმებისადმი სიყვარული მაიძულებს მე მოგმართოთ შემდეგი თხოვნით. ღმრთის განგებით თქვენ მონდობილი გაქვთ ქართული ეკლესიის მართვა, ზრუნვა მის შეილთა ხსნაზე, რომელიც შეილება მიღწეულ იქნას თქვენი ჩვენდამი სიყვარულით, სიყვარულით, რომელიც მაცხოვრის მცნების თანახმად, თავგანწირვამდე უნდა მიდიოდეს. ჩვენ არ ვეპყობთ, რომ თქვენ მზურვალედ გიყვართ საკუთარი სამწყსო და ამიტომ გთხოვთ ყურად ილოთ ვედრება იმათი, ვისაც თქვენ მწყსით, როგორც თქვენ გიყვართ რუსი ხალხი და რუსული ენა, და გსურთ რომ იგი ჰყვოდეს მრავალი წლის მანძილზე, ზუსტად ასევე მოეპყვით ჩვენს ხალხს, ჩვენს ქართულ ენას, რათა მზაყვარამა ვერ ჩამოაცილოს თქვენი შეილები მართლმადიდებლურ ეკლესიას. უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს სახელით, რომელმაც ჩვენ ურთიერთსიყვარული გვიანდერძა, მე გთხოვთ თქვენ არ დაუშვათ, რომ ბოროტმა სულმა თქვენს ყანაში დათესოს ღვარძლი - მტრობის თესლი, და ყოველნაირად შეუწყვათ ხელი იმას, რომ ჩვენ, მკვიდროდ დაკავშირებულნი დიდ რუს ხალხთან, ერთიანი გულით ვადიდებდეთ ღმერთს“ (ეს წერილი ხელახლადაა თარგმნილი რუსულიდან ქართულად).

ალექსი ბერი იყო მსახური იმ კემშიარტი ეკლესიისა, რომელიც არა ჰრიდებს აზნაურთა და უაზნოთა, მდიდართა და გლახაკთა, ერსაც და ბერსაც და უშიშრად ამხელს პირში, უშიშრად იმალღებს ხმას სამართლიანობისათვის. ალექსი ბერი დიდი გავლენით სარგებლობდა ხალხში, მაგრამ მან ასევე იცოდა, რომ ზემოთმოყვანილ წერილში აღნიშნულ უსამართლობათა მოქმედთ არც მისი ფიზიკური მოსპობა გაუჭირდებოდათ, მაგრამ იგი მზად იყო ყოველგვარი განსაცდელისათვის, რადგან სწამდა, რომ სიმართლის სასარგებლოდ იმალღებდა ხმას და მოქმედებდა მაცხოვრის მცნების კარნახით: სიყვარულითა და სიბრალულით, იგი თავად ამდენი უსამართლობის მოქმედ თუ ხელისშემწყობ საერო თანამდებობის პირსაც კი, მართალია ამხელს, მაგრამ იქვე სიყვარულით მოძღვრავს და სთხოვს, რომ სამართალი ჰყოს.

ალექსი ბერი ახალგაზრდობიდანვე სუსტი ჯანმრთელობის მქონე ყოფილა, მაგრამ ასეც რომ არა ყოფილიყო, მკაცრი, ასკეტური მოღვაწეობის მოქმედი, ესოდენ ყველა გაჭირვებულის სიტყვით და საქმით შემბრალებელი, დღენიდაღა მზრუნველი ჩვენი ერისა და ეკლესიის კეთილდღეობისათვის და სხვა მრავალი კეთილი, მაგრამ მძიმე შრომისა და უამრავი განსაცდელის დამთმენის ჯანმრთელობა მაინც გატყდებოდა. როდესაც ალექსი ბერის ცხოვრების ამბავს ვისმენთ ან ვკითხულობთ, გაოცება გვიპრობს, თუ როგორ შესძლო ამ სუსტი ჯანმრთელობის კაცმა ესოდენი ბრძოლის გამარჯვებით გადატანა, იგი ებრძოდა საკუთარ „მე“-ში დავანებულ სისუსტეებს, სრულპყოფდა საკუთარ თავს სათნოებაში, აღასრულებდა ბერულ უმკაცრეს კანონს, თავად ხორციელად უძლური უვლიდა საშინელი ავადმყოფობანი და ავადმყოფებს და თავად არა ევენებოდა რა, მოძღვრებდა მრავალთ, აშენებდა, სწერდა, იბრძოდა... და ბუნებრივად ვმადლობთ უფალსა, რომელმან მისცა წმიდა მამა ალექსის ესოდენი ძლევა— მტერთა ზედა და შეეწია კეთილის ქმნაში; ვმადლობთ უფალს, რომელმან გამოგვიბრწყინვა ესოდენ ბრწყინვალედ მანათობელი სანთელი ალექსი ბერის სახით, რომელიც ცხოვრებისეული ზღვის მღვდლვარე ტალღებისაგან დანთქმისაგან გადასარჩენად სხვა წმიდა მამათა მსგავსად შუქურასავით გვინთვია ცხოვნების ნავთსადგურში.

სხეულით დაიღალა მამა ალექსი და მართალთა ძილით მიიძინა მისგან წმიდა გულით შეყვარებული უფალი იესო ქრისტესადმი 1923 წლის 18 იანვარს (ძვ.სტ.).


ძველი ხალხისგან გამოგონია, რომ ერთხელ, ალექსი ბერის მოხუცებულობის ეამს, ვილაცამ სენაკის ბაზრობაზე ხმა დააგდო, რომ ალექსი ბერი გარდაიცვალაო. ხალხი, დიდი და პატარა, განურჩევლად წოდებისა, დიდად შეწუხებულა ამის გამო, მიუტოვებიათ ბაზრობა და ათასობით ადამიანი წვილ-კივილით წამოსულა ალექსის საფარსაკენ. მიუხედავად იმისა, რომ 1923 წელს, როდესაც ალექსი ბერი ნამდვილად აღესრულა, დაძაბული დრო იდგა საქართველოში, ახალი რეჟიმის დამკვიდრებას თან ახლდა სხვადასხვა შეზღუდვები, ხალხმა ძველებურად ახლოს მიიტანა თავიანთ გულთან საყვარელი მოძღვრის საზუღამოდ განშორება და დიდად ივლოვა. იმ ხანად დიდი თოვლი ყოფილა სენაკის მარჯაში, მაგრამ ხალხი ამას მაინც ვერ დაუბრკოლებია და ათასობით მორწმუნე შეკრებილა მისი დაკრძალვის დღეს.

ალექსი ბერის მემკვიდრეებს მის საფარში, სქემონოზონ დებს - ფასტოსა და აკეფსიმას იმეამად არ ჰქონდათ იმედი მათი საფარის ხელშეუხებლობისა და ამიტომაც გადასწყვიტეს, რომ იგი თეკლათის დედათა მონასტერში დაეკრძალათ. დიდთოვლობის მიუხედავად, ხელით აუსვენებია უამრავ მორწმუნეს კუბოში ჩასვენებული ალექსი ბერი, პირდაპირი გზით, ღრმა თოვლში ტყე-ტყე უვლიათ და მიუბარებიათ თეკლათის დედათა მონასტრის მიწისათვის ტაძრის აღმოსავლეთ მხარეზე, საკუროთხევლის წინ. უფლის ნებით, სქემონოზონი დედი ფასტო და აკეფსიმა დარჩნენ ალექსი ბერის საფარში, საფარე არ ჩამკვდარა და ბოლოს, 1968 წელს ალექსი ბერის ნეშტი კვლავ ჩამოსვენეს მისსავე საფარეში და მიწას მიაბარეს.

ჩვენ, მამა ალექსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მცოდნეთ, როგორც სასულიერო, ასევე მორწმუნე ერისკაცთ გვწამს, რომ იგი კეშმარიტად იყო დიდი მოღვაწე ბერი, წმიდა მამა, განწმენილი სულიერი ხორციელად, მოყვარული მწყემსი თავისი სულიერი შვილებისა და მზრუნველი ჩვენი ერისა და ეკლესიისათვის. მისი წმიდა ლოცვა შეიწირებოდა უფლის მიერ მისსავე ხორციელად სიცოცხლეში და შემდგომად ამიერ ქვეყნიდან მიცვალებისა კი განსტრების წმიდათა და მართალთა თანა უფლის წინაშე და მეოხი არის სხვა წმიდა მამებთან ერთად ჩვენი ეკლესიის შვილებისათვის. რაც უფრო დროულად შევისწავლით ჩვენი ეკლესიის წიაღისეულს, მით უფრო მალე აღმოვაჩინებთ მასში ახალ სიმდიდრეს, დაუფასებელ სიმდიდრეს, ჩვენთვის ზეციურ მეოხ წმიდა და ღირს მამა ალექსის, იგმავე მღვდელსქემონოზონ ალექსი-იოანეს (შუშანია), როგორც ეწოდებოდა მას სრულად.

მამა ალექსის ცხოვრება და მოღვაწეობა, ბუნებრივია, რომ მართლ აქ მოთხრობილით არ ამოიწურება და უკეთუ ჩვენი ეკლესია ინებებს მისი სულიერი მემკვიდრეობის უფრო სრულად შესწავლას, ამით მხოლოდ და მხოლოდ კეთილი საქმე გაკეთდება ჩვენი ერისათვის.

ჩვენ, მართლმადიდებელ ქრისტიანებს გვწამს, რომ შეგვეწევა როგორც ჩვენივე მიწიერი თანამცხოვრების ლოცვა უფლის წინაშე, ასევე მართალთა და ცხოვნებულთა სულებისაც და, ვინაიდან ეს ასეა, მაშინ უმეტესად შეგვეწევა იმათი ლოცვა, ვინც უფრო მეტად არიან განწმენილინი კეთილი მოღვაწეობითა და განბრწყინებულნი უფლის წინაშე, რომელთა შორის ნამდვილად არის ღირსი მამა ჩვენი ალექსი.



სექტანტების საწინააღმდეგო კატეხიზმი

(გაგრძელება)

თავი მეოთხე

1. ზეციურ და მკვენიურ ეკლესიასა კავშირის შესახებ

კითხვა: უფლის მიერ დაფუძნებული ეკლესია მართლად მართლ არსებობს ადამიანთა შორის?

პასუხი: არა. ის უზომოდ იკვებება სული წმიდით (იოანე 14, 16; 28, 26). და მკვიდრო ურთიერთობაშია ზეციურ ეკლესიასთან.

კითხვა: რა შეადგენს ზეციურ ეკლესიას?

პასუხი: მას უფლის მეთაურობით შეადგენენ ანგელოსთა დასანი და მართალთა სულები, რომლებმაც მიაღწიეს სრულყოფილებას. ასე სწვრია მოციქულთა ეპისტოლეებში ქრისტეანებისადმი: „...მოსრულ ხართ თქვენ შთასა სიონსა, და ქალაქსა ღმრთისა ცხოველისასა, იერუსალიმსა ზეცისასა და ბევრეულსა ანგელოსთა კრებულსა. და ეკლესიასა პირმოთასა, აღწერილსა ცათა შინა, და ღმრთისა მსაჯულისა ყოველთასა და სულებისა მართალთა მათ აღსრულებულთასა“ (ებრ. 12, 22-23).

კითხვა: რა კავშირითაა შეერთებული მკვენიური ეკლესია ზეციურთან?

პასუხი: კავშირი, რომელიც მათ აერთებს, არის სარწმუნოებრივი ლოცვა, გამომდინარე ურთიერთსიყვარულის გრძნობიდან. მოციქულის მოძღვრების მიხედვით, ეს „სიყვარული არა სადა დაეარდების“ (1 კორ. 13,8).

კითხვა: კონკრეტულად როგორ გამოვლინდება მკვენიური ეკლესიის სიყვარული ზეციურისადმი და პირიქით?

პასუხი: ჩვენი მხრიდან სიყვარული გამოჩნდება ქება-დიდებათ და ლოცვით, რომელსაც წმინდანებისადმი აღვავლებთ. ზეციური ეკლესიის მხრიდან სიყვარული ჩვენდამი გამოიხატება დახმარებასა და ღმრთის წინაშე ჩვენთვის შუამდგომლობაში.

კითხვა: საიდან ვხედავთ ამას?

პასუხი: ეს გამომდინარეობს საღმრთო წერილიდან. წიგნში სობრანისა ისო ძისა ზირაქისა ნათქვამია, რომ

მკვენიური ეკლესია აღავლენს ზეციურ მართალთა მიმართ ქებას (ზირ. 44, 1, 14). ასეთი ქება აღავლინა ისუ ნავეს ძემ ანგელოსებისადმი იერიქოს კედლებთან, ხოლო წინასწარმეტყველთა ძენი განადიდებდნენ წმ. წინასწარმეტყველ ელისეს თავიანთი თავყვანისცემით (4 მეფ. 2,15), ჭერ კიდევ მისი მკვენიური ცხოვრების დროს.

ახალ აღთქმაში უფალმა მოციქულთა შესახებ თქვა „...და მე დიდება, რომელი მომეც მე, მივეც მათ“ (იოანე 17, 22), ამიტომაც პავლემ და შილამ არ განიკითხეს საპყრობილის-მცუელი, როდესაც იგი ძრწოლით შეუვრდა მათ (საქმე 16, 29).

კითხვა: რატომ აუკრძალეს მოციქულმა პეტრემ ერთ შემთხვევაში, და ანგელოსმა, მეორე შემთხვევაში, რომ თავყვანი ეცათ მათთვის. რაზეა ლაპარაკი „საქმე მოციქულთასა“ და „გამოცხადებაში“ (საქმე 10,25-26; გამოცხ. 22,8-9)?

პასუხი: იმიტომ რომ, კორნელიუსის თავყვანისცემა პეტრესადმი და იოანე ღმრთისმეტყველისა ანგელოსის წინაშე, ახლოს იყო მათ გაღმერთებასთან, რაც აკრძალულია პირველი მცნების მიხედვით. როდესაც წმ. მამები მიაგებდნენ მოკრძალებულ თავყვანისცემას ანგელოსებსა და ღმრთის წმინდანებს როგორც მათ შეეფერებოდათ, ამის გამო მათ არ ამხილებდა საღმრთო წერილი. ასე მაგალითად, ისუ ნავეს ძემ თავყვანისცემა ანგელოსს იერიქოს ვედლებთან (ისუ ნავეს. 5, 14-15) და წინასწარმეტყველთა ძენი დაეცნენ ელისეს წინაშე (4 მეფ. 2,15), მაგრამ არ განიკითხნენ.

2. რატომ მოვუხმობთ ლოცვებში წმინდანებს

კითხვა: რატომ მოვუხმობთ ლოცვებში წმინდანებს?

პასუხი: იმიტომ, რომ „ფრიად შემძლებელ არს ლოცუა მართლისა შეწევნად“ (იაკ. 5, 16) და თვით ღმერთმა ბრძანა, რათა ვევედროთ წმინდანებს. ის ეუბნება იობის მეგობრებს: „... წარვედით მონისა მიმართ ჩემისა იობისა... ხოლო იობ მონა ჩემი ვევედროს თქუზნტს, ვინათგან გარნა

ბირი მისი მივილო“ (იობ. 42, 8).

კითხვა: ღმრთის მცნება, რომელიც ცოცხალ ადამიანებს მისცა, მისაღებია თუ არა ქრისტიანებისათვის, როდესაც ისინი გარდაცვალებულ (გარდაცვალების შემდეგ) მართლებს ვედრებიან?

პასუხი: სრულიად მისაღებია. ქრისტეს სიტყვებით: „რამეთუ არა არს ღმერთი მკუდართა, არამედ ცხოველთა, რამეთუ ყოველნი ცხოველ არიან მის წინაშე“ (ლუკა 20, 38). ეს ნიშნავს რომ სიკვდილის შემდეგ მართლები არ ქრებიან უფლის წინაშე. ისინი ცხოვრობენ მარადიულად და აღადგებიან ღმერთს თავიანთი საგალობლებით (გამოცხ. 5,9). ამიტომ, მართლებს სიკვდილის შემდეგაც შეუძლიათ ილოცონ თავისი თავისთვის და ჩვენთვის ამქვეყნიური ადამიანებისთვის. ასე ლოცულობდნენ: „სულნი იგი მოკლულნი სიტყუისათვის ღმრთისა. ... და მსთქუეს: ვიდრემდის მეუფეო წმიდაო და ჭეშმარიტო არა მსჯი სისხლთა ჩუნთა მკუდრთაგან ქუეყანისათა?“ (გამოცხ. 6,9-10).

კითხვა: მოუხმობდნენ თუ არა ღმრთის კაცები თავიანთ ლოცვებში წმინდანებს მათი სიკვდილის შემდეგ?

პასუხი: მოუხმობდნენ. მოსე წინასწარმეტყველი ლოცულობდა: „მოიხსენე (უფალო) აბრამისი, ისაკისი და იაკობისი...“ (გამოსვლ. 32, 13).

და თვით ბიბლია გვიმომწმებს, რომ წმინდანები სიკვდილის შემდეგ ნამდვილად ლოცულობენ ჩვენთვის. ასე ლოცულობდა იუდეველთათვის გარდაცვალების შემდეგ იერემია (2 მაკ. 15, 14).

ახალ აღთქმაში ქრისტიანებისათვის ლოცულობენ მართალთა სულები (გამოცხ. 6, 10).

კითხვა: როგორ შეიძლება წმინდანები ლოცვით შუამდგომლობდნენ ღმრთის წინაშე, როდესაც ქრისტიანებს ერთი შუამდგომელი გვყავს - ქრისტე (1 ტიმ. 2,5)?

პასუხი: სისხლით მხოლოდ ერთი - უფალი შუამდგომლობს ცოდილ სამყაროს. მაგრამ მლოცველი შუამდგომლები ბევრი გვყავს, როგორც თქვა მოციქულმა: „თანა შეწვენითა ლოცუთა თქუნთაცა ჩუნთთვის, რათა მრავლითა პირითა ჩუნდა მომართ იგი მადლი, მრავალთა მიერ სამადლობელ-იქმნას თქუნთთვის“ (2 კორ. 1,11).

კითხვა: როგორ ესმით წმინდანებს ჩვენი ვედრება?

პასუხი: მათ ჩვენი თავიანთი ძალით კი არ ესმით, არამედ ღმრთის ნებით. ღმერთს ყოველივე შეუძლია მორწმუნეთათვის (მათე 19, 26). ამ ჭეშმარიტებას ამტკიცებენ მაგალითები უსინათლო წინასწარმეტყველ აქიას და წინასწარმეტყველ ელისეს ცხოვრებიდან.

წინასწარმეტყველი აქია თუმცა უსინათლო იყო, მაგრამ ღმრთის სულით განათლებულმა, იცნო მასთან მოსული ცოლი იერობოამისა (3 მეფ. 14, 4-6). წინასწარმეტყველმა ელისემ იცოდა, თუ რას აკეთებდნენ მისგან შორს მყოფი მსახური გეზი და ასურელები (4 მეფ. 5,25-27; 6,8-12).

3. ღმრთის ნაწილთა თავიანთისთვის შესახებ

კითხვა: მართლმადიდებელ ეკლესიაში რა იწოდება წმინდანთა ნაწილებად?

პასუხი: წმ. ნაწილებად იწოდება წმინდანთა ყოველგვარი გაუხრწნელი ნაწილები - ძვლები, თავი, ფეხები, ხელები და თითქმის მთელი სხეული, რისი საშუალებითაც სასწაულებით იდიდება უფალი თავის ეკლესიაში.

კითხვა: როგორ შეიძლება აეხსნათ არსებობა თითქმის უხრწნადი სხეულებისა, როდესაც ღმერთმა უთხრა პირველ ადამიანს: „მიწა ხარ და მიწადცა მიიქცე“ (დაბ. 3,19)?

პასუხი: ღმერთმა ადამს ასეთი ნება გამოუცხადა მისი ცოდვით დაცემის შემდეგ. სამყაროს შექმნისას ღმერთს სიკვდილი და ხრწნა არ შეუქმნია (სიბრძ. სოლ. 2, 23, 24). ამიტომ ღმერთის განსაკუთრებული ნებით, ზოგიერთ მართალთა სხეული თუმცა ბუნების კანონით ნაწილ-ნაწილ იყოფა, მაგრამ ბოლომდე არ იხრწნება. მათ შეიძლება ფერფლად ექცეთ ტერფის ნაწილები, ხელები, მაგრამ თითქმის მთელი სხეული უხრწნელი ინახება.

კითხვა: მოიხსენიება თუ არა ბიბლიაში წმინდანთა უხრწნელი წმ.ნაწილები?

პასუხი: მოიხსენიება. ასეთი იყო „ძვლები“ (4 მეფ. 12, 21) ანუ ზირაქის თქმით, - „სხეული“ ელისესი (ზირაქ. 48, 14)

ახალ აღთქმაში ნათქვამია, ქრისტეს სიკვდილის ყაშს „...საფლავნი აღეხუნენ და მრავალნი გუამნი შესუნებულთა წმიდანთანი აღჰსდგეს“ (მათე 27, 52).

კითხვა: რა მხრივ არის ყურადსაღები სახარებისეული მოწმობა წმინდანთა აღმდგარ „სხეულებზე“?

პასუხი: მოციქულის სიტყვებით, ყველა ადამიანი „ადეთეს ს ხრწნილებით“ (1 კორ. 15, 42), ყველა ჩვეულებრივად მტვრად (მიწად) იქცევა (დაბ. 3, 19). ეს მტვერი მხოლოდ ღმრთის უკანასკნელ სამსჯავროზე შეიმოსება უხრწნელებით (1 კორ. 15, 53). მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ მათე მახარებელი საყოველთაო აღდგომამდე აღმდგარ სხეულებზე ლაპარაკობს. ის გვამცნებს არა მტვერიდან აღმდგარ, არამედ სწორედ წმინდანთა სხეულების შესახებ. მაშასადამე, დამაჯერებლად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს სხეულები რჩებოდნენ მიწაში უხრწნელად, მსგავსად მართლმადიდებელი წმ.ნაწილებისა. ისინი თავიანთი ახალი გამოჩენით მიწაზე ჩვენი უფლის ღვთიურობას ამტკიცებენ (ამოწმებენ).

კითხვა: რა ძალა აქვთ წმიდათა ნაწილებს?

პასუხი: თავით თვისით მათ არავითარი ძალა არა აქვთ (ეს. 6,6; 29, 10). ღმერთის ყოველდღეობით წმინდანთა ნაწილებით შეიძლება აღესრულებოდეს სასწაულებანი და კურნებანი, როგორც ელისეს „სხეულიდან“ (4 მეფ. 13, 20, 21).

ახალ აღთქმაში ეს ჭეშმარიტება უმკველად არის მიჩნეული. „საქმე მოციქულთაგან“ ვიცით, რომ პავლე

მოციქულის ხელსახოცებსა და ოლარებსაც კი ჰქონდათ სასწაულებრივი ძალა. როდესაც ავადმყოფს გადააფარებდნენ „განეყენებოდა მათ სენი იგი“ (საქმე 19, 12); მით უფრო, ღმერთის ნება-სურვილით მორწმუნეთა სულიერი სარგებლობისათვის სასწაულები შეიძლება მომდინარეობდეს წმინდანთა წმ. ნაწილებიდან, როგორც სული წმიდის ტაძრებიდან (1 კორ. 6,19).

კითხვა: საჭიროა თუ არა წმიდანთა წმ.ნაწილების თაყვანისცემა?

პასუხი: ძველ აღთქმაში მასზე აშენებდნენ აკლამებს ან ძეგლებს მათ სადიდებლად (4 მეფ. 23. 17-18). უფალმა იესუ ქრისტემ, როდესაც ამის შესახებ ლაპარაკობდა, არ განსაჯა მშენებლები (მათე, 23, 29-31). ამგვარად, მართლმადიდებელი ეკლესია თაყვანისცემს წმინდანთა წმიდა ნაწილებს და ამით აღიღებს ღმერთის მეგობრობის ხსოვნას (იოანე 15, 14; 14, 22).

4. ბარდაცვალებულ ქრისტეანთათვის ეკლესიის ლოცვების შესახებ

კითხვა: უნდა შეეწოდეს თუ არა წმ. ეკლესია უფალში გარდაცვლილ თავიანთი ძმების სულებს?

პასუხი: აუცილებლად.

კითხვა: რა გვაძულებს მხარი დავუჭიროთ ამ კავშირს?

პასუხი: რწმენა იმაში, რომ ჩვენი ძმები სულებით „ცხოველ არიან მის (უფლის) წინაშე“ (ლუკა 20, 38) და სიყვარული მიცვალებულთადმი, რომელსაც ჩვენში უნდა აღვაგზნებდეთ. ამ სიყვარულს, რომელიც მოციქულის სწავლებით „არა სადა დაეარდების“ (1 კორ. 13, 8), არა აქვს დასასრული.

კითხვა: რა სახით უნდა გამოვხატოთ ჩვენი სიყვარული მიცვალებული ქრისტეანებისადმი?

პასუხი: ჩვენ ის უნდა გამოვხატოთ ლოცვებით მიცვალებულ ძმათა წმინდანებთან განსვენებისათვის. ასე გვასწავლის მოციქული: „ულოცვედით ერთი ერთსა“ (იაკობ 5, 16) და ჩვენ ვლოცულობთ სიყვარულის გამო, ხოლო სიყვარული, როგორც ნათქვამია, უსაზღვროა (1 კორ. 13, 8).

კითხვა: საიდან ჩანს, რომ უფლის ეკლესია ლოცუობდა მიცვალებულთათვის?

პასუხი: ეს ჩანს ბიბლიის მრავალი ადგილიდან. ბარუქ წინასწარმეტყველი ლოცუობდა - „უფალო ყოვლისა მპყრობელო ღმერთო ისრაელისაო,.. ნუ მოიხსენებ უსამართლოებათა მამათა ჩუენთასა“ (ბარუქ. 3,1-6).

უფრო ნათლად მიცვალებულთათვის ლოცვის ღვთისმოსაური ჩვეულება გადმოცემულია მაკაბელთა წიგნში (2 მაკ. 12, 42-45). ეს ჩვეულება აღწერილი აქვს

წინასწარმეტყველ იერემიას, საიდანაც ნათელია, რომ ებრაელებს ჰქონდათ წესი, რომ „... განტყდეს პური გლოვასა შინა მათთასა ნუგეშინის საცემელად მკუდარსა ზედა“ (იერემ. 16, 7) სიტყვებით - „განტყდეს პური გლოვასა შინა მათთასა“ - წინასწარმეტყველი ამოწმებს, რომ მიცვალებულის მოხსენიება პურის ჭამით, და მით უფრო, ლოცვებით სასარგებლოა მიცვალებულთათვის.

კითხვა: ახალ აღთქმაში რას ემყარება მიცვალებულთათვის ლოცვის წესი?

პასუხი: მოციქულთა მცნებებს: „ულოცვედით ერთი ერთსა“ (იაკობ. 5,16) მიცვალებული ძმები, სხეულებრივი სიკვდილის მიუხედავად, „ცხოველ არიან“ (ლუკა 20, 38) უფლის წინაშე; ისინი ლოცულობენ ჩვენთვის (გამოცხ. 6,9-10) და ჩვენ ვაღვებულნი ვართ ვილოცოთ მათი სულების განსვენებისათვის, მით უფრო, რომ ჩვენ ყველანი ცოდვებით სავსე ვკვდებით (იაკობ. 3,2). ღმერთი კი, აღამიანის სხეულებრივი სიკვდილის შემდეგ, მიუტევებს ცოდვებს (მათე 12, 32).

კითხვა: როგორ შევეუთანხოთ ამ რწმენას სიტყვები მაცხოვრის იგავიდან: „შორის ჩუენსა (სამოთხესა) და შენსა (ჯოჯობხეს) დანახეთქი დიდი დამტკიცებულ არს, რათა რომელთა უნდეს წიალსლუად ამიერ თქუენცა, ვერ ხელწიფოს, არცა მაგიერ ჩუენდა წიალ-მოსლუად“ (ლუკა 16, 19-31)?

პასუხი: მოყვანილი სიტყვები მაცხოვრის იგავიდან ეხება ძველ აღთქმას, როდესაც მიწაზე „მოსე და წინასწარმეტყველნი“ (ლუკა 16, 29) სუფევდა, მაშინ ჯოჯობეთი ჯერ არ დამარცხებულიყო ქრისტეს ენებებით. ახლა კი, ქრისტეს ჯვარზე სიკვდილით, გახსნილია თავისუფალი გადასასვლელი ჯოჯობიდან სამოთხეში (1 პეტრე 3, 18, 19). ამ გადასასვლელით თვით „მოსურნე“ - მიცვალებულები ვერ ისარგებლებენ. მათ უკვე აღარ შეუძლიათ სიყვარულისა და მოწყალების კეთილი საქმეების ქმნა ახლობელთათვის (მათე 7, 21; 6). ამიტომაც ჩვენ ხელი უნდა შევეუწყოთ მათ ხსნას ჩვენი ლოცვებით (იოანე 15, 7).

კითხვა: რა აძლიერებს განსაკუთრებით ჩვენი ლოცვების მნიშვნელობას მიცვალებულთათვის?

პასუხი: რწმენა იმისა, რომ ჯერ არ ყოფილა უკანასკნელი სამსჯავრო უფლისა მიცვალებულთათვის. ქრისტეს საშინელ მოსვლამდე მართალიც ნაწილობრივ ნეტარებაში არიან (გამოცხ. 6, 1011). სრული სამსჯავრო გარდაცვალებულთათვის გაიხსნება ქრისტეს მეორედ მოსვლის უამს, როდესაც მზე დაბნელდება და მთვარე აღარ გამოსცემს სინათლეს და ზეციური ძალები შეიძრებიან. ეს საშინელი მოსვლა ქრისტესი ჯერ არ ყოფილა, ამიტომაც ცოდვილი ჯერ კიდევ ელიან თავიანთი ბედის საბოლოო გადაწყვეტას. ამიტომ ეხლა მათთვის სასარგებლო და აუცილებელია ლოცვა, როგორც ძველთაგან ლოცუობდნენ მართლმადიდებელი ეკლესიის მოღვაწე და წმ. მამები.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

სამკლავი საიდუმლოებების შესახებ

კითხვა: შეიძლება თუ არა ქრისტიანებმა ილაპარაკონ თავისი სარწმუნოების საიდუმლოებებზე, როდესაც უფალმა თქვა: „არა არს დაფარული, რომელი არა გამო-ჰსჩნდეს და არცა საიდუმლო, რომელი არა გამოჰსცხადნეს“ (მათე 10, 26)?

პასუხი: ნამდვილად. ძე ღმრთისას (განხორციელება) გამოცხადება სამყაროში ჩვენ სახარებიდან შევითქვეთ. მაგრამ როგორ ხორციელდება ქრისტიანებში ჩვენი ხსნა? როგორ მოქმედებს ჩვენში სული წმიდა? ამის გაგება შეუძლებელია (იოანე 3,8). ეს საიდუმლოებაა. ამიტომ წერდა მოციქული: დიაკვნებს „აქუსმა საიდუმლო იგი სარწმუნოებისა წმიდითა გონებითა“ (1 ტიმ. 3,9).

კითხვა: რამდენ საიდუმლოებას აღიარებს მართლმადიდებელი ეკლესია?

პასუხი: ახალი აღთქმის მოძღვრებათა და მსოფლიო ეკლესიის ძველი გადმოცემების მიხედვით, ქრისტიანები აღიარებენ შვიდ საიდუმლოებას: ნათლის-ღება, მირონ-ცხება, ზიარება, სანანული, მღვდლობა, ქორწინება და ზეცის კურთხევა.

1. ნათლის-ღება

კითხვა: რა მადლიანი ძალები ეწყალობებათ ქრისტიანებს ნათლის-ღებით?

პასუხი: ნათლის-ღებისას მოსანათლის წყალში სამჯერადი შთაფლით სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა ქრისტიანი სულიერად კვდება ამქვეყნიური სხეულბერივი ცოდვიანი ცხოვრებისათვის და ხელახლა იბადება და შეიშობება ღმრთის მადლით წმიდა სახარებისეული ცხოვრებისათვის. ასე ამბობს მოციქული: „ესე უწყით, რამეთუ ძუელი იგი კაცი ჩუენი მისთანა ჯუარს-ეცუა, რათა განჰქარდეს ხორცი იგი ცოდვისა, რათა არღარა ვჰმონებდეთ ჩუენ ცოდუასა“ (რომ. 6,6).

კითხვა: შეიძლება თუ არა ქრისტიანი გადარჩეს ნათლის-ღების გარეშე?

პასუხი: არა. უფალმა თქვა: „უკეთუ ვინმე არა იშუეს წყლისაგან და სულისა, ვერ ხელეწიფების შესლულდ სასუფეველსა ღმრთისასა“ (იოანე 3,5). „წყლისაგან და სულისა“ შობით იგულისხმება სწორედ ნათლის-ღება. ქრისტეს ეკლესიაში ნათლის-ღების გარეშე შებიჯება არ შეიძლება, ნათლის-ღების გარეშე არ შეიძლება უფლის წიაოდ იქცე, ნეტარი ცხოვრების მონაწილე გახდე (საქმე 2,38). ეს იქიდან ჩანს, რომ საპყრობილის-მცუელის ქრისტესკენ მომაქცეველნი მოციქულები პავლე და სილა, უბირველეს ყოვლისა, ყველას ნათლავდნენ (საქმე 16,30-33) და მოციქულთა დროს არ ყოფილა შემთხვევა აღორძინებულ ადამიანთა შორის ვინმე ნათლის-ღების

გარეშე მიეღოთ.

კითხვა: როგორ სრულდება ქეშმარიტი ქრისტიანული ნათლის-ღება?

პასუხი: ეს საიდუმლოება სრულდება მოსანათლის სამგზის შთაფლით წყალში. ამაზე მიგვითითებს თვით სიტყვა ნათლისღება (ბერძნულად ბაპტიზმა - ვნათლავ წყლით). მოციქული პავლე ნათლის-ღებას აღიარებს ქრისტეს დაფვლას. ამ გაიგებებით ის ამოწმებს იმას, რომ მოსანათლავი უნდა დაიფლოს წყალში ისევე, როგორც მკვდარი-მიწაში. სწორედ ასე, წყალში სამგზის შთაფლით სრულდებოდა ნათლის-ღება მოციქულთა ეკლესიაში (საქმე 8,38), მხოლოდ გამოწმადისის სახით დაიშვებოდა მორწმუნეთა ნათლის-ღება წყლის გადავლებით. ასე, წყლის გადავლებით, მონათლენ წმიდანები მინა, ჰერმოგენე და ევგრაფი - რასაც საეკლესიო ისტორია ამოწმებს.

კითხვა: რატომ ფლავენ მოსანათლს სამგზის წყალში?

პასუხი: წმ. სამების სამი პირის - მამა ღმერთის, და ძის და სული წმიდის სახელზე (მათე 28,19).

კითხვა: ნათლისღებისას მიმრქმელები რისთვის უბერავენ და ანერწყვებენ გვერდზე?

პასუხი: იმისათვის, რომ მოსანათლის მაგიერ გამოხატონ ზიზღი სატანისა და მისი „მკვდარი“ საქმების გამო (ებრ. 6,1). ქრისტეს სახელით მონათლული მოვალეა იცხოვროს უფალში, სახარებისეული მცნებებით. ის მკვდარი უნდა იყოს ცოდვისთვის (რომ. 6,2,3) და სატანის დაუშვებელი ჩაგონებებისათვის. და რათა თვალსაჩინოდ აღიარონ ყოველივე ეს, ამიტომ უბერავენ და ანერწყვებენ გვერდზე, თითქოს თვით სატანას.

კითხვა: რა გვიანდერძა უფალმა: ვინ შეიძლება მიიღოს ნათლის-ღება?

პასუხი: ყველამ, ვინც კი მივა უფალთან (იოანე 6,37).

კითხვა: და ვინ მიდის უფალთან?

პასუხი: პირველ რიგში ისინი, ვისაც სწამს სახარება (მარკ. 16, 16), ხოლო შემდეგ მათი შვილები (მარკ. 10, 14).

კითხვა: საიდან გამომდინარეობს ის, რომ შეიძლება მცირეწლოვანი ბავშვების მონათლვა?

პასუხი: მათი მონათვლა იმიტომ არის აუცილებელი, რომ უფალი თავისთან მოუწოდებს ყრმებს (ლუკა 18, 15) „სულიერად ხელახლა შობის“ ანუ ნათლის - ღების გარეშე მათ არ შეუძლიათ ღმრთის სასუფეველში შესვლა (იოანე 3,5). მეორეს მხრივ, ნათლის-ღებამ შეცვალა წინადაცვეთა, როგორც გვასწავლის წმ. მოციქული (კოლას. 2,11, 12). ძველ აღთქმაში წინადაცვეთდნენ ჩვილებს. მესამედ, მოციქული პავლე ქრისტიანთა შვილებს უწოდებს „წმიდანებს“ (1 კორ. 7,14). ხოლო ნათლის-ღების გარეშე, ახალ აღთქმაში არავინ იწოდება „წმიდად“.

ამგვარად, აუცილებელია ქრისტიანთა შვილების მონათვლა, როგორც მათ ნათლავდნენ მოციქულთა დროიდან, რასაც ამოწმებენ მეხუთე საუკუნეში ქრისტეს შობიდან კართაგენის კრების მამები.

კითხვა: მაგრამ მაინც ხომ არ შეიძლება ქრისტიანთა

შვილები ჩავთვალოთ „წმიდად“ ნათლობის გარეშე, რადგან მათი მშობლები ქრისტეს სისხლით განიწმინდნენ პირველქმნილი ცოდვისაგან (1 იოანე 1,7; ებრ. 9,14 და სხვ.)?

პასუხი: არ შეიძლება. ქრისტეს სისხლით ადამიანები შერიგებულ იქნენ ღმერთთან (2 კორ. 5,19), უფლის წინაშე აღარ იყვნენ „შ ღნი რისხ სანი“ (ეფეს. 2,3) და უცხო-ქმნილი ღმრთაებრივი ცხოვრებისაგან (კოლ 1,21); მაგრამ ცოდვის ჩადენის შესაძლებლობა, უძლურებისა და სატანური განსაცდელების შედეგად (1 პეტრე 5,8,9) არ დაკარგეს ქრისტეანებმა თვით ჩვენი უფლის იესუ ქრისტეს ჭვარზე ვნების შემდეგაც. ამ მიზეზით ბავშვები დაბადებულნი „ნებითა ხორცთათა“ (იოანე 1,13) თავიანთი ბუნებით ატარებენ უწმინდურობის ბეჭედს. (იობ. 14, 14).

მათი აღორძინებისა და კეთილ ზეთისხილთან-ქრისტესთან დანერგვისათვის აუცილებელია ნათლის-ლება (ჩვილებისა) ბავშვებისა (იოანე 3,5; რომ. 11, 16-18). სხვაგვარად, ნათლის-ლების გარეშე ისინი დარჩებიან ცხოვართა ეზოს გარეთ, მხსნელი ეკლესიის გარეშე და სულიერად დაიღუპებიან... (იოანე 10,9-12; საქმე 16,30-35).

კითხვა: როგორ შეიძლება ჩვილების მონათვლა თუ მათ პირადი რწმენა არა აქვთ?

პასუხი: ისევე, როგორც ძველად შესაძლო იყო მათი წინადაცვეთა მცნებებით ღმერთთან მისვლისას (დაბ. 17, 10-14). ჩვილებს აქვთ ცხოველი სული, შემძლე სული წმიდის მიღებისა (ლუკა 1,44). სარწმუნოების სიმბოლოს (მრწამს) მათ მაგიერ „მომრქმელები“ წარმოსთქვამენ. (მარკ. 10,14; მარკ. 2,4,5).

2. მირონცხების ზმსახმ

კითხვა: სული წმიდის რომელი ნიჭები ებოძებათ ქრისტეანებს მირონცხებისას?

პასუხი: მირონცხებისას მორწმუნეები იღებენ სული წმიდის ძალას, რომელიც მათ ეხმარება სახარებისეული მცნებების შესრულებასა და სულიერი ცხოვრების წარმატებაში.

კითხვა: სად არის ამაზე ლაპარაკი საღმრთო წერილში?

პასუხი: მოციქული პავლე წერს: „...განმამტკიცნა ჩუენ თქუენ თანა ქრისტეს მიმართ, და ცხებულ-გუყვნა ჩუენ ღმერთმან და აღუგუბეჭდნა ჩუენ და მომცა წინდი იგი სულისა გულთა შინა ჩუენთა“ (2 კორ. 1, 21, 22). მოციქული იოანე ეუბნება ქრისტეანებს: „...თქუენცა ცხებულემა გაქუს წმიდისა მისგან და იცით ყოველივე... ცხებულემა იგი, რომელი მიიღეთ მისგან თქუენთანა ჰგიეს...“ (იოანე 2,20-27).

კითხვა: რატომ არის რწმენა საჭირო იმისა, რომ მოციქულები ლაპარაკობენ ხილულ მირონცხებაზე?

პასუხი: ასეთი აღიარება საჭიროა იმიტომ, რომ

ძველთაგანვე სული წმიდის ნიჭები ადამიანებზე მირონის ცხებით გადმოდიოდა (გამოს. 30, 22-29; ლევიტ. 21 10) და მოციქულებმაც მცნება მიიღეს ქრისტესგან სწეულადამინებს სცხონ გარძობადი (მატერიალური) ზეთი ანუ ზეთი (მარკ. 6;13; იაკობ. 5, 14). მაშასადამე, უფალი არ უარყოფდა ძველთაძველ საშუალებას სული წმიდის ნიჭების ადამიანებზე გადმოსასვლელად. ამიტომაც მართლმადიდებელ ეკლესიაში გამოსაყენებლად შემოვიდა მირონცხება.

კითხვა: სხვა რომელი კურთხეული მოქმედება სცვლიდა მირონცხებას ქრისტეს პირველ ეკლესიაში?

პასუხი: მოციქულთა „ხელის დადება“ ქრისტეანებზე. ამ ხელდასხმის შესახებ ლაპარაკია „საქმე მოციქულთაში.“ მოციქულები „დაასხმიდეს ხელთა მათ ზედა და მიაქუნდა სული წმიდა“ (საქმე 8,17).

კითხვა: რატომ შეიცვალა ხელდასხმა მირონცხებით ქრისტეს ეკლესიაში?

პასუხი: ეს ცვლილება მოციქულთა დროიდან იღებს დასაბამს (2 კორ. 1, 21-22). მათმა მემკვიდრეებმა იმიტომ დაიწყეს მირონცხების ხალისით გამოყენება, რომ მორწმუნეთა გამრავლებისას ეპისკოპოსებს ფიზიკურად არ ძალუძდათ პირადად „დაესხათ ხელები“ თითოეულზე. მირონი კი ძველთაგან გამოიყენებოდა სული წმიდის ნიჭების ადამიანებზე გადმოსასვლელად (გამოს. 30, 25; 3 მეფ. 1,39).

3. ზიარების ზმსახმ

კითხვა: რა სულიერ ძალებს გვანიჭებს ზიარება?

პასუხი: ზიარებისას პურისა და ღვინის სახით, მორწმუნეები იღებენ უფალ იესუ ქრისტეს უწმიდეს ხორცსა და სისხლს, რაც ემსახურება მათ ცოდვების დატევებასა და მარადიული ცხოვრების დამკვიდრებაში.

კითხვა: რას გვასწავლის უფალი ზიარების ნაყოფთა შესახებ?

პასუხი: ის ამბობს: „რომელი ჰსკამდეს ხორცსა ჩემსა და ჰსმედი სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხოვრება საუკუნო“ (იოანე 6,54).

კითხვა: საიდან გამომდინარეობს, რომ სწორედ გარძობადი (მატერიალური, ხორციელი) პური და ნამდვილი ღვინო უნდა მივიტანოთ ზიარებისათვის?

პასუხი: თვით უფლის მიერ საიდუმლოს დაწესების ჟამს, მწუხრისას მაცხოვარმა აიღო ვარგისი პური და ნამდვილი ღვინო, რათა გარდაექმნა იგი თავის სისხლად და ხორცად (მათე 26, 26-28). ამგვარი სახით ამცნო მან მოწაფეებს, რათა მის მოსაგონებლად აღესრულებინათ ეს საიდუმლოება (1 კორ. 11,24-25).

კითხვა: სახელდობრ, რას ვიღებთ ზიარებისას?

პასუხი: წმ. ზიარებით ვიღებთ არა უბრალო პურსა და ჩვეულებრივ ღვინოს, არამედ უფლის ჭეშმარიტ სისხლსა და ხორცს. უბრალო პური მცირედითაც არ გვრგებს

სულიერად (1 კორ. 8,8), როცა ამ დროს ქრისტეს საიდუმლოთა მონაწილენი იღებენ საუკუნო ცხოვრებას (იოანე 6,54). ცხადია, რომ ზიარებისას არა უბრალო პურსა და ღვინოს ვიღებთ (იოანე 6,51-55, 56).

კითხვა: როგორი სახით ეზიარებიან მოციქულები?

პასუხი: ისინი ცალ-ცალკე იღებდნენ უფლის ხორცსა და სისხლს (მათე 26, 26-28).

კითხვა: ახლაც ასე სრულდება ეს საიდუმლოება?

პასუხი: მოციქულთა შემკვიდრენი - ეპისკოპოსები, პრესვიტერები და დიაკვნები ახლაც ასე ეზიარებიან. მაგრამ ხალხისთვის მართლმადიდებელ ეკლესიაში არსებობს განსაკუთრებული სახე ზიარებისა - ქრისტეს სისხლისა და ხორცის ერთობლივი მიღებით კოვზიდან.

კითხვა: რა მიზნით წარმოიშვა ასეთი წესი?

პასუხი: ეს წესი გაჩნდა ძველთაგანვე. იგი გამოიწვია საჭიროებამ. ჯერ კიდევ მოციქულთა დროს, ზიარებისას, ხალხის სიმრავლის გამო, წარმოიშობოდა უწყესრიგობა (1 კორ. 11, 18-22). რადგან ყოველივეს უკეთესით ცვლიდნენ, მოციქულებმა ნება დაგვრთეს ჩვენც დაემაყაროთ თანამედროვე საეკლესიო წესები.

კითხვა: რის საფუძველზე გამოიყენება მართლ-მადიდებელ ეკლესიაში ზიარებისთვის დანა, ლახვარი და კოვზი?

პასუხი: შემდეგი მოსაზრებების საფუძველზე: ჭვარცმული ქრისტე არის ჩვენთვის გაღებული მსხვერპლი ღმრთისადმი (ებრ. 9,28); ძველად მსხვერპლი იჭრებოდა დანით (ლევ. 8,20). ამის მოსაგონებლად და საზიარებელი პურის დასანაწილებლად მართლმადიდებელ ეკლესიაში გამოიყენება დანა; ლახვარი, რომელიც პროსკომდიის დროს პურის საკვეთად გამოიყენება, იმ ლახვარს მოგვაგონებს, რომლითაც ჭვარცმულ ქრისტეს უგმირა მხედართაგანმა, მაგრამ ლიტურგიის დაწყების წინ დანით ჭრიან და ლახვრით კვეთენ არა ქრისტეს სხეულს, არამედ უბრალო პურს. ზიარებისას მორწმუნეთათვის საჭირო კოვზი, სულიერად იმ მარწუხებს შეესაბამება, რომლითაც სერაფიმმა აიღო გავარჯარებული ნახშირი და ბაგეები გაუწმინდა წინასწარმეტყველ ესაიას (ეს. 6,6).

კითხვა: დამნაშავეა თუ არა ეკლესია იმაში, რომ მისი ზოგიერთი შვილი უღირსად ეზიარება და ზიარების შემდეგაც გარყვნილ ცხოვრებას ეწევა.

პასუხი: არა, არ არის დამნაშავე. ისევე, როგორც ქრისტე არ არის დამნაშავე უღირსი მოციქულის იუდას გამო. უღირსად მაზიარებელი თავის დასასჯელად სჭამენ და სვამენ მოციქულის სიტყვებით (1 კორ. 11, 27, 28). ეკლესია კი მუდამ წმიდა და უბიწო რჩება (ეფეს. 5,26).

4. სინანულის შესახებ

კითხვა: რა ეწყალობებათ ქრისტეანებს ღმრთისაგან სინანულის საიდუმლოებით?

პასუხი: სინანულის საშუალებით ღმერთი გვიბოძებს ყველა იმ ცოდვის მიტევებას, რომელსაც ეკლესიის მწყემსთა წინაშე ვინანებთ.

კითხვა: საიდან გამომდინარეობს ეს?

პასუხი: ბირველ რიგში - იოანეს სინანულით ნათლის-ღება სრულდებოდა „მისატევებლად ცოდუთა“ (მარკ. 1,4) მეორეს მხრივ, უფალმა თავისი აღდგომით მოციქულებს უთხრა: „...მიიღეთ სული წმიდა, უკეთუ ვიეთნიმე მიუტევენით ცოდუანი, მიეტვენენ მათ, და უკეთუ ვიეთნიმე შეიპყრნეთ შეპყრობილ-იყუნენ“ (იოანე 20,22-23).

კითხვა: ვინ მოგვიტევებს ცოდვებს?

პასუხი: უფალი ღმერთი (ლუკა 5,21). მაგრამ მიმტევებელი მადლის ხილული გარდმომცემნი არიან მოციქულთა შემკვიდრენი. ამიტომ მათ წინაშე უნდა „გამოტყდეთ“ ცოდვებში. როგორც ძველად ხალხი ინანიებდა წინამორბედ იოანესა, მოციქულ პავლესა და სხვა მოციქულების წინაშე (მათე 3,6; საქმე 19, 18; იოანე 20, 23).

კითხვა: რა აზრით არის მეტადრე სასარგებლო ჩვენთვის ზეპირი აღსარება ეკლესიის მოძღვრების წინაშე?

პასუხი: ასეთი აღსარება გვაიძულებს მკაცრად და ვნების გარეშე შევხედოთ ჩვენ მიერ ჩადენილ ცოდვებს. ის გვაიძულებს სირცხვილს ბიწიერი ქცევის გამო და ზიზღს მისდამი. ამას გარდა, ასეთი აღსარება მღვდელს ეხმარება დაარიგოს მორწმუნე. აღსარებისას ღმერთს წარუდგებით როგორც ავადმყოფი და სწეული ადამიანები, ხოლო მღვდლების საშუალებით ღმერთი გვეკურნავს. მაშასადამე, მღვდლებისათვის აუცილებელია გარკვევით იცოდნენ რითი და რატომ ავადმყოფობთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება წარმატებული ჩვენი სულიერი მკურნალობა.

კითხვა: რატომ უკრძალავს წმ. ეკლესია მღვდლებს ვინმეს მოუთხრონ იმ ცოდვების შესახებ, რომელიც „სულით“ განეცხადათ?

პასუხი: ასე იქცევა ეკლესია, როდესაც მონანიე ცოდვილების უძლურ სინდისს ითვალისწინებს. არიან ადამიანები, რომელთაც რცხენიანთ სულის ჭრილობებზე ილაპარაკონ გარეშე ადამიანებთან და არიან ისეთი ქრისტეანებიც, რომელთაც შეუძლიათ იცინონ სხვისი ცოდვით დაცემის გამო. აქვს რა მხედველობაში ეს და (უფრთხილდება) ინდობს რა თავის უძლურ შვილებს - წმ. ეკლესიით უკრძალავს მღვდლებს აღიარონ ის, რაც მათ „სულით“ მიიღეს. ეს ეთანხმება წმ. მოციქულთა მოძღვრების აზრს.

5. მღვდლობის შესახებ

კითხვა: რა არის მღვდლობა?
პასუხი: ქრისტესმიერი მღვდლობა არის

საიდუმლოება, რომლის დროსაც სული წმიდა განმწმენდი ხელდასხმის გზით სწორად ამორჩეულ ქრისტიანებს უბოძებს და განსაკუთრებულ მადლიან ნიჭს ანუ ძალას - შეასრულონ ეკლესიაში მხსნელი სარწმუნოებრივი საიდუმლოებანი და დამწყსონ ქრისტეს ცხოვარნი (1 კორ 4,1; საქმე 20, 28).

კითხვა: დაწესებულია თუ არა ახალ აღთქმაში მღვდლობა ქრისტეს მიერ?

პასუხი: დაწესებულია. მოციქული პავლე წერს ტიმოთეს: „ნუ უღებ-პყოფ, რომელი ეგე არს შენთანა მადლი, რომელი მოგცეა შენ წინასწარ-მეტყულებითა დასმითა ხელთა ხუცობისათა“ (1 ტიმ. 4,14); თვით უფალი წოდებულია მღვდლად „უკუნისამდე წესსა მას ზედა მელქისედეკისა“ (ებრ. 7,17); მას „უკუნისამდე წარუვალად აქუს მღვდლობა იგი“ (ებრ. 7,24).

კითხვა: როგორ უნდა აღასრულებდნენ თავიანთ სამსახურს ახალი აღთქმის მღვდლები?

პასუხი: ქრისტესმიერი მღვდლები, თვით მოღვაწეობენ რა სათნოებებში (1 ტიმ. 3,1-12), მოვალენი არიან ხელმძღვანელობდნენ მორწმუნე ქრისტიანებს სიმშვიდისა და სიყვარულის სულით (1 პეტრე 5,1-3). თანახმად „ეოცხლებისა სიტყუისა“ (2 ტიმ. 1,13) და ხალისით, იძულების გარეშე შეასრულებდნენ მორწმუნეთათვის სარწმუნოების მხსნელ საიდუმლოებებს (1 კორ 4,1).

კითხვა: განსხვავდება თუ არა ურთიერთისგან ქრისტესმიერი მღვდლობა?

პასუხი: ის განსხვავდება მღვდელმსახურების ხარისხის მიხედვით. (1 ტიმ. 3,13).

კითხვა: მღვდლობის რომელი ხარისხები დააწესა უფალმა?

პასუხი: უფალმა დააწესა სამი ხარისხი: ეპისკოპოსები, მოციქულთა უახლოესი მემკვიდრეები, მღვდლები და დიაკონები (საქმე 20,17; 1 ტიმ. 3).

კითხვა: შეიძლება თუ არა არსებობდეს ქრისტეს ეკლესია აღნიშნული მღვდლობის სამი ხარისხის გარეშე?

პასუხი: არ შეიძლება, როგორც შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ადამიანის სხეული თავის ან კისრის გარეშე (1 კორ. 12,27-30).

კითხვა: ვის აქვს უფლება დააყენოს ღმრთის მსახურები და განსაჯოს ეპისკოპოსები, პრესვიტერები და დიაკონები?

პასუხი: ეპისკოპოსები, როგორც პირდაპირი მოციქულებრივი მემკვიდრეები ძალაუფლებით, შეიძლება იქნენ დაყენებულნი ან განსჯილი მხოლოდ ეპისკოპოსთა კრებების დადგენილებით (საქმე 1,21-26). პრესვიტერებსა და დიაკონებს ხელსდასხამენ და განსჯიან მხოლოდ ეპისკოპოსები (1 ტიმ. 5, 19, 22). მაგრამ არაერთარ შემთხვევაში ასეთი უფლება არა აქვთ „მდაბიოსებს“ „უცბებს“ - უბრალო ადამიანებს).

კითხვა: გარეგნულად რითი განსხვავებს მართლმადიდებელი ეკლესია თავის მღვდელმსახურებს „მდაბიოსებისაგან“?

პასუხი: ის ავალდებულებს მღვდელმსახურებს ატარონ გრძელი და ფართო შესამოსელი და გრძელი თმა.

კითხვა: რით ხელმძღვანელობს კანონმდებლობების დაწესებისას მართლმადიდებელი ეკლესია?

პასუხი: წმიდა მაგალითებითა და მცნებებით. ბიბლიიდან ცნობილია, რომ ღმრთის განსაკუთრებული მსახურები - წინასწარმეტყველნი და წინასწარმეტყველთა მოწაფენი - ატარებდნენ გრძელ და ფართე სამოსელს (4 მეფ. 2,8). გრძელ შესამოსელს ატარებდა უფალი ჩვენი იესუ ქრისტე გრძელ და განიერ სამოსელში დადიოდნენ წმ. მოციქულები (იოანე 19,23; 2 ტიმ 4, 13). ბაძაგეს რა მათ, მართლმადიდებელი ეკლესია მღვდელმსახურებს შემოსავს ანაფორით.

კითხვა: რატომ ატარებენ გრძელ თმებს მართლმადიდებელი მღვდლები?

პასუხი: ამით ისინი ემსგავსებიან ძველ ნაზარეველებს, რომელთაც ეკრძალებოდათ ღმრთისაგან თმების შეჭრა (რიცხვ. 6,5). გრძელი თმებით, „ვითარცა მატყლი სპეტაკი და ვითარცა თოვლი“ გვევლინება „გამოცხადებაში“ უფალი ჩვენი (გამოცხ. 1,14).

ამის საფუძველზე მართლმადიდებელი მწყემსები, როგორც ადამიანები მიმძღვენენი ღმრთისადმი განსაკუთრებული მსახურებისა, ატარებენ გრძელ თმას.

კითხვა: როგორ გაეიგოთ, რომ მოციქული თმის გაზრდას თვლის „უღირსებად“ ადამიანებისათვის (უბატივობად)?

პასუხი: ბერძენთა და რომაელთა ჩვეულების მიხედვით, თმის გაზრდა მათი თანამოქალაქეებისათვის იყო „უღირსება“. ამიტომაც მოციქულები, რათა არ აპყლოდნენ ცდუნებას, უკრძალავდნენ უბრალო ქრისტიანებს თმის გაზრდას. თუმცა ამ ჩვეულებაში წმ. მოციქული ვერ ხედავს ცოდვას ღმრთის წინაშე. ის მხოლოდ წერს, რომ „ეგე ვითარი ჩუეულება არა გუაქუს“ (1 კორ. 11,16). ამის გარდა, მოციქულს არ შეეძლო თმების გაზრდა ჩაეთვალა „უღირსებად“ მღვდელმსახურებისათვის იმიტომ, რომ ნაზარეველები ატარებდნენ გრძელ თმას და უფალი ამგვარი თმით გვევლინება „გამოცხადებაში“. მხედველობაში იღებენ რა ყოველივე ამას, მართლმადიდებელი მწყემსები არ სცოდავენ, როდესაც ღმრთის სადიდებლად იზრდიან თმებს.

კითხვა: საიდან გადმოიდეს მართლმადიდებელმა მღვდელმსახურებმა წესი ღმრთისმსახურების დროს თავი დაიფარონ მიტრით, კუნკულით და სკუფით?

პასუხი: საფუძველი ასეთი წესისა ყველასათვის - მართლმორწმუნე მართლმადიდებელი ხალხისა და ასევე კათოლიკებისა და სომხებისათვის - არის „გამოცხადებაში“. მართლები, როდესაც ღმერთს ემსახურებიან, ხან იფარებენ, ხან იხდიან თავიანთ გვირგვინებს (გამოცხ. 4,9, 10).

ძველად უფლისმიერი მღვდლები განსაკუთრებულ დასაფარებლებს ატარებდნენ თავზე (გამოს. 39, 28).

6. მორწმუნის შესახებ

კითხვა: რას გვასწავლიან ქორწინების შესახებ წმ. მოციქულები?

პასუხი: ქორწინება არის საიდუმლოება. ამ საიდუმლოებაში ცოლი და ქმარი „უფლის მიერ“ (1 კორ. 7,39) ერთმანეთთან უმჭიდროეს ერთიანობაში შედიან, მსგავსად ქრისტესი და ეკლესიის ერთიანობისა (ეფეს. 5,31, 32). და როგორც ქრისტეს სიყვარული აერთიანებს ეკლესიასთან, ასევე ქმრებს უნდა უყვარდეთ თავიანთი ცოლები (ეფეს. 5,25,28).

კითხვა: საიდან ჩანს, რომ ქორწინება ეკლესიის მიერ უნდა იკურთხებოდეს?

პასუხი: ქრისტიანული ქორწინება ცოლ-ქმარს შორის უნდა აღსრულდეს მხოლოდ „უფლის მიერ“ (1 კორ. 7,39), ქორწინება არის საიდუმლოება (ეფეს 5,32). ხოლო ქრისტიანეთათვის მათი ცხოვრების საიდუმლოებებს, მხოლოდ ეკლესიის „მნენი“ აღასრულებენ (1 კორ. 4,1).

კითხვა: რის საფუძველზე იფარებენ გვირგვინებს და იკეთებენ თითზე ბეჭედს ჯვარდასაწერნი?

პასუხი: ასეთი წესი აღებულია ძვ. აღთქმიდან. წინასწარმეტყველ ესაიასთან ვკითხულობთ: „შემოსა მე სამოსელი მაცხოვრებისა... ვითარცა სიძესა გარემომდგა მატრა“ (ეს. 61, 10; ეზეკ. 16, 12).

„ქება ქებათაში“ საცოლე ეუბნება საქმროს „დამდევს მე... ვითარცა ბეჭედი მკლავსა ზედა შენსა“ (ქება ქებათა მ,6).

კითხვა: ქმარი - სექტანტის სიყვარულის გამო შეიძლება თუ არა ცოლმა უღალატოს მართლმადიდებელ სარწმუნოებას?

პასუხი: არ შეიძლება. და არ უნდა უღალატოს. მოციქული პავლე უბრძანებს ქრისტეან ცოლებს თანაცხოვრონ წარმართ ქმრებთან. მაგრამ ამ თანაცხოვრების მიზნად ის თვლის ურწმუნო ქმრების

მოქცევის ქრისტეს სჯულზე (1 კორ. 7,12-16). ამგვარად, მართლმადიდებელმა ცოლებმა ყოველივე უნდა დაითმინონ, ოღონდ კი მოაქციონ ღმრთის ეკლესიისაკენ გზაბნეული თავიანთი ქმრები. ხოლო თვითონ არავითარ შემხვევაში არ უღალატონ მართლმადიდებელ სარწმუნოებას.

7. ზეთის კურთხევის შესახებ

კითხვა: როგორ მადლს უგზავნის ღმერთი ადამიანებს ზეთის კურთხევის დროს?

პასუხი: ზეთის კურთხევის საიდუმლოებაში ავადმყოფ ქრისტეანებს ღმერთი უგზავნის მადლს, რომელიც მათ სხეულებრივ და სულიერ უძღურებას კურნავს.


კითხვა: ვისი მცნებების მიხედვით სრულდება ეკლესიაში ეს საიდუმლოება?

პასუხი: ის სრულდება ავადმყოფებზე, პირველ რიგში, ქრისტეს ნება-სურვილით, რომელიც სწეულ ადამიანებს უბრძანებდა ეცხოთ ზეთი (მარკ. 6,13). მეორეს მხრივ, ზეთის კურთხევის საიდუმლოებების შესახებ განცხადებულ მითითებას ვპოულობთ იაკობ მოციქულთან: „უძღურ თუ ვინმე არს თქვენ შორის; მოუწოდენ ხუცესთა ეკლესიისათა; და ილოცონ მის ზედა და მსცხონ მას ზეთი სახელითა უფლისათა“ (იაკ. 5,14).

კითხვა: ვინ უნდა აღასრულებდეს ამ საიდუმლოებას? პასუხი: ეს საიდუმლოება იაკობ მოციქულის

სიტყვების მიხედვით უნდა აღასრულონ პრესვიტერებმა. მართლმადიდებელი ეკლესია გვასწავლის, რომ თუ შესაძლებლობაა, ზეთის კურთხევისას უნდა იყოს შვიდი მღვდელი. მხოლოდ საჭიროების მიხედვით ის ნებას რთავს, ზეთის კურთხევის საიდუმლოება აღასრულოს ერთმა მღვდელმა. ავადმდებულებს შვიდგზის სცხონ ავადმყოფს ზეთი, შვიდი პრესვიტერის სახის მიხედვით.

თარგმანი მომზადდა ქრანალ „ჯვარი ვაზისა“ რედაქციაში



ქრისტიანული სარწმუნოების გაკვეთილები და ნიმუშები

1. წინასწარი კატეხიზმის ცნებები

მართლმადიდებელი ქრისტიანული კატეხიზმის ეწოდება ქრისტიანული - როგორც დოგმატური (გვაჩვენებს, თუ რა უნდა სწამდეს ქრისტიანს), ისე ზნეობრივი (გვასწავლის, თუ რა უნდა გააკეთოს მან ღმრთის საამებლად და საუკუნო ნეტარების მოსაპოვებლად) - ჭეშმარიტებების მოკლე გადმოცემას, რომელიც ემყარება წმ.წერილსა და წმ.მოძღვრებას, ე.ი. ბიბლიასა და წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის მოძღვრებას.

მაგრამ საკითხავია, რატომ ჰქვია ქრისტიანული - დოგმატური და ზნეობრივი - ჭეშმარიტებების მოკლე გადმოცემას კატეხიზმო? ამ კითხვაზე პასუხს ეკლესიის ისტორიაში ვპოუვით. ცნობილია, რომ ქრისტეს უძველეს ეკლესიაში, როცა უმთავრესად მოზრდილები ინათლებოდნენ, მათ წინასწარ ამზადებდნენ ნათლისღებისთვის, კერძოდ, „ზეპირად უცხადებდნენ“ ან მოძღვრავდნენ ქრისტეს რწმენის მთავარი ჭეშმარიტებების შესახებ, ამიტომ მათ „კათაკმეველებს“ ეძახდნენ. თვით ზეპირ დამოძღვრას, ქრისტიანული რწმენის თავდაპირველი ჭეშმარიტებების გამო, ეწოდებოდა გამოცხადება ან კატეხიზმო (ბერძნული $\kappa\alpha\tau\alpha\chi\epsilon\iota\sigma\mu\acute{o}\varsigma$ მიხედვით - ვაცხადებ ან ზეპირად ვმოძღვრავ რწმენის შესახებ - აქედან $\kappa\alpha\tau\alpha\chi\epsilon\iota\sigma\mu\acute{o}\varsigma$ - ზეპირი დარიგება რწმენის ჭეშმარიტებებზე). ამგვარად, კატეხიზმო ზოგადად ჰქვია თავდაპირველ დამოძღვრას რწმენის მთავარი - დოგმატური და ზნეობრივი - ჭეშმარიტებების შესახებ, მართლმადიდებლური ქრისტიანული კატეხიზმო კი ჰქვია თავდაპირველ დამოძღვრას მართლმადიდებელი ქრისტიანული რწმენის მთავარი ჭეშმარიტებების შესახებ.

ჩვენ ყრმობისას ვინათლებით და წმ.ნათლისღებამდე არა გვაქვს ამ დარიგებების შესწავლის საშუალება; სამაგიეროდ გვაკისრია წმიდა და უცილობელი მოვალეობა - მოწოდებულმა გავიგოთ, თუ რას გვასწავლის მართლმადიდებელი ეკლესია. შეცნობა მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრებისა - ყველაზე

უფრო საჭირო ცოდნის შეძენაა ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის და ეს პროცესი აუცილებლად თან უნდა სდევდეს მთელ მის ცხოვრებას.

კატეხიზმო, რომელსაც ჩვენ, მართლმადიდებლები შევისწავლით, მართლმადიდებლური კატეხიზმის სახელს ატარებს. ჩვენი კატეხიზმისთვის დამატებული სიტყვა მართლმადიდებლური მიგვითითებს მის უპირატესობაზე რწმენის ყველა სხვა - კატეხიზმურ - გადმოცემასთან შედარებით.

მართლმადიდებელ ეკლესიაში ისწავლება სწორედ ის მოძღვრება, რომელიც გაცხადებულია ღვთის მიერ, წმ. წიგნებში, ძვ. და ახ. აღთქმაში და წმ. მოძღვრებაში; რომელიც წარმოდგენილია და განმარტებულია წმ.საეკლესიო მამების მიერ მე-7 მსოფლიო და ადგილობრივ 9 საეკლესიო კრებაზე, რომელსაც ყოველთვის მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესია ინახავდა უცვლელად და დღემდეც შემოინახა ყოველად წმიდად და უვნებლად.

როგორც ცნობილია, დასაბამიდან, ქრისტეს ყველა მორწმუნე შეადგენდა ერთიან, წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიას, ჰქონდათ ერთი რწმენა, ერთი წმ. საიდუმლოებანი, ჰყავდათ ერთი მეთაური, უფალი იესო ქრისტე, ამიტომ მაშინ ყველა მართლმადიდებელი იყო და ყველას ჰქონდა ერთი მოძღვრება. მართალია, ქრისტეს ეკლესიაში, მოციქულთა დროიდან მოყოლებული, მწვალებლები და განხეთქილების შემტანნი გაჩნდნენ; მართალია, რაც უფრო ვრცელდებოდა ქრისტიანობა, მით უფრო მეტი და მრავალგვარი ცრუ მოძღვრებები ჩნდებოდა; მართალია, ზოგიერთი უძველესი მწვალებელი და შეცთომილი რიცხობრივად მნიშვნელოვან საზოგადოებებს ადგენდა, მაგრამ ყველა ასეთი მწვალებლური და შეცდომილი საზოგადოება ან მალე იშლებოდა, ან აკლდა ჩამოყალიბებული, დამოუკიდებელი, რელიგიური მრევლის ხასიათი; ისინი იყვნენ მხოლოდ სნეული ნაწილები ეკლესიისა, რომელთაც ხან მოკვებდნენ, ხან ითმენდნენ, მაგრამ არასოდეს ყოფილან განცალკევებული სნეული სხეული, განცალკევებული ეკლესია, (თუმცა

არამართლმადიდებლური საზოგადოებები უმართებულად ითვისებდნენ „ეკლესიის“ სახელს). მაგრამ IX საუკუნიდან ქრისტეს ეკლესიაში განყოფამ უფრო მწვავე, გადამჭრელი და უფრო განსაზღვრული ხასიათი მიიღო. უწინარეს ყოვლისა, ჭეშმარიტ მართლმადიდებელ ეკლესიას განერიდა დასავლეთის ქრისტიანთა უმეტესი ნაწილი და შეადგინა რომაულ-კათოლიკური ეკლესია; ამას, თავის მხრივ, XVI ს. ჩამოშორდა ლუთერანული ეკლესია (რომელსაც პროტესტანტულსაც უწოდებენ) თავისი მრავალრიცხოვანი სექტებით, და ასე გაჩნდა სამი მთავარი ქრისტიანული აღმსარებლობა: მართლმადიდებლური, რომაულ-კათოლიკური და პროტესტანტული, და თითოეულ აღმსარებლობას გაუჩნდა თავისი კატეხიზმი.

აღმსარებლობის განსაზღვრის საკითხი

ცხოვრების საკითხში რწმენისა და კეთილი საქმეების ზნეობრივი, პრაქტიკულად სასიცოცხლო მნიშვნელობის შესახებ საზოგადოებაში გაბატონებულია გაურკვეველი, ბუნდოვანი, ხანდახან კი ცრუ წარმოდგენა. ხან რწმენას ამაღლებენ მეტრისმეტად კეთილ საქმეთა ხარჯზე, ხან კი კეთილ საქმეებს - რწმენის საზიანოდ. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ამ საკითხს ღმრთისმეტყველების სწავლებისას ცოცხლად ვერ ვაგებინებთ. ეს მოძღვრება განსაკუთრებით ნათლად და მიზანდასახულადაა გადმოცემული იაკობ მოციქულის მიერ: „რას გამოელის, ძმანო ჩემო, ის, ვინც ამბობს, რწმენა მაქვსო, მაგრამ არა აქვს საქმე? შესძლებს კია ეს რწმენა, რომ იხსნას იგი? თუკი ძმა ან და შიშველია და ლუკმა პური არ გააჩნია, და რომელიმე თქვენგანი ეტყვის მათ: წადით მშვიდობით, გაძებით და გათბით, და არ კი მისცემს მათ სახმარს ზორციასა, რას გამოელის? ასევე რწმენაც, საქმის გარეშე, მკვდარია თავისთავად. მაგრამ მავანი იტყვის: შენა გაქვს რწმენა და მე მაქვს საქმე; მიჩვენე შენი რწმენა შენს საქმეთაგან, და მე ჩემს საქმეთაგან გიჩვენებ ჩემს რწმენას. შენ გწამს, რომ ერთია ღმერთი? კეთილი და პატიოსანი; უშუაგებსაც სწამთ და ძრწვიან კიდევ. გნებაგს, იცოდე, ამო კაცო, რომ რწმენა მკვდარია საქმის გარეშე? განა საქმით არ გამართლდა აბრაამი, მამა ჩვენი, როცა სამსხვერპლოზე შესწირა ისააკი, თავისი ძე? ხომ ხედავ, რომ რწმენა შეეწია მის საქმეს, და საქმით მიადწია რწმენამ სრულკმნილებას? და აღსრულდა წერილის სიტყვა: სწამდა აბრაამს ღმერთი, და შეერაცხა მას სიმართლედ, და ღმრთის მეგობრად იწოდა იგი. ხომ ხედავ, რომ კაცი საქმით მართლდება, და არა მხოლოდ რწმენით? და განა რწმენით არ გამართლდა მეძავე რახაბიც, რაკილა შეიწყარა მსტოვარნი და სხვა გზით წარავლინა? ვინაიდან როგორც სხეული მკვდარია სულის გარეშე, ასევე რწმენაც მკვდარია საქმის გარეშე“ (იაკ. II, 14-26). ამრიგად, რწმენის სამი სახეა: მკვდარი რწმენა,

სიცოცხლეს რომ არ იძლევა; დემონთა რწმენა, შიშითა და სასოწარკვეთით რომაა აღსაესე; და ბოლოს, ცოცხალი და ქმედითი რწმენა, შეერთებული სიყვარულთან, საუკუნო ცხოვრებას რომ მოგვაპოვებინებს. რწმენა - ფესვებია, საქმენი ჩვენი - თვით ხე, ცხოვრება კი ნაყოფია. ამგვარად, ცხოვრება ჩვენი ნებაყოფლობითი გამართლებაა ღვთის წინაშე. რწმენის მეშვეობით, იესო ქრისტეს გამომსყიდველი დამსახურებებისთვის, ცხოვრება ქრისტიანის დამსახურებაა და უფლებას აძლევს მას, რომ ზეციერმა მამამ იშვილოს. აი, რატომ ეწოდება ახალ აღთქმაში წმინდანთა საუკუნო ნეტარებას ხან მექვიდრობა, ხან კი - ჯილო. საცხოვრებლად გარკვეულწილად ჩვენი ზრუნვა და შრომაა საჭირო, ცხოვრება - უხვი ჯილოა, რომლითაც მამა ღმერთი ავიღოვებს ყველა მუშაკს, ვინც ისმინა მისი მხოლოდშობილი და საყვარელი ძის ხმა...

საცხოვრებლად არ კმარა მხოლოდ რწმენა - ცივი და უსიცოცხლო. არა, ჩვენ გვისხნის მხოლოდ ცოცხალი, ქმედითი რწმენა - ზნეობრივად კეთილი საქმეებით რომ გამოიხატება; უკანასკნელნი უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც უბრალო დასტური ჩვენი რწმენისა, არამედ როგორც მისი უშუალო გამოხატულება, როგორც რწმენის ცოცხალი, ქმედითი ნაყოფი; ამ მხრივ მათ თავისთავად უნდა ჰქონდეთ ფასი... სადაც არ არის ქრისტიანული კეთილი საქმენი, იქ ნამდვილად არ არის არც ჭეშმარიტი ქრისტიანული რწმენა და პირობითი, სადაც ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრებაა, იქ აუცილებლად იგულისხმება ჭეშმარიტი ქრისტიანული რწმენა. უფალი იესო ქრისტე ამბობს: „ასე, ყველა ვარგის ხეს ვარგისი ნაყოფი გამოაქვს, და ყველა უვარგის ხეს უვარგისი ნაყოფი გამოაქვს. არ შეუძლია ვარგის ხეს უვარგისი ნაყოფის გამოღება და უვარგის ხეს ვარგისი ნაყოფის გამოღება... არა ყველა, ვინც მეტყვის მე: „უფალო, უფალო! - შევა ცათა სასუფეველში, არამედ ის, ვინც აღასრულებს მამის ჩემის ზეციერის ნებას“, (მათე, VII, 21).

„ვისაც აქვს ჩემი მცნებანი და იცავს მათ, მას ვუყვარავარ მე“, ამბობს იესო ქრისტე (იოანე, XIV, 21). ეს ქმედითი სიყვარული კი აუცილებელი გამოხატულებაა ქრისტე მაცხოვრის ცოცხალი, ნამდვილი რწმენისა, მისი გამომსყიდველი მსხვერპლისა. გამოსყიდვის მადლი - სიმართლის უბრალო სამოსი როდია, ჩვენს უსამართლობებს რომ ფარავს ღვთის წინაშე; იგი - მხსნელი ბალზამით გალტობილი საბურველია, ადამიანში აღწევს, აცოცხლებს მას, აძლევს ზნეობრივი თვითსრულყოფის ძალას სიყვარულის საქმეში, რომლის უმაღლესი სახეც წარმოგვიდგინა მაცხოვარმა ჩვენმა იესო ქრისტემ. მას უნდა მივბაძოთ, რაც შეგვიძლია.

ასე რომ, რწმენა და კეთილი საქმეები აუცილებელი პირობაა თვით ადამიანის მიერ გამოსყიდვის გასათავისებლად. მხოლოდ მას, „ვისაც სწამს ძე, აქვს საუკუნო სიცოცხლე; და ვისაც არა სწამს ძე, ვერ იხილავს სიცოცხლეს“. (იოანე, III, 36).

„... მადლით ხართ გამოხსნილნი რწმენის წყალობით, და ეს თქვენგან კი არ არის, არამედ ნიჭია ღმრთისა: არა საქმეთაგან, რათა არავენ იქადოდეს“. ე.ი. რჯულის საქმეთაგან, მაგრამ გამოხსნილნი ხართ კეთილი საქმეებისათვის. „რადგანაც მისი ქმნილებანი ვართ, კეთილ საქმეთათვის შექმნილნი ქრისტე იესოში, საქმეთათვის, რომელნიც წინასწარ დაგვიწესა ღმერთმა, რათა მათში ვიარებოდეთ“. (ეფეს. II,10) (საკვირაო კითხვა. 1882).

3. რწმენის აუცილებლობა ადამიანის საცხოვრებლად

რწმენა გამართლებისთვის აუცილებელი ერთ-ერთი პირველი პირობაა; ისაა ადამიანის ცხოვრების საწყისი, საფუძველი სრული გამართლებისა. „მადლით ხართ გამოხსნილნი რწმენის წყალობით“ (ეფეს. II, 8); „... ყოველივე ის, რაც რწმენით არ არის, ცოდვია“ (რომ. XIV, 23). რწმენა მარტო ის კი არ არის, უპეველად გჯეროდეთ, რომ ქრისტეს მორწმუნეს ღვთის მადლით მიეტევება ცოდვები იესოს დამსახურებებისათვის; გამამართლებელი რწმენა არის გამოცხადების ყველა ჭეშმარიტების მიღება ისე, როგორც ქადაგებს და გულისხმობს მსოფლიო ეკლესიას. განსაკუთრებით აუცილებელია ვირწმუნოთ, რომ არის ღმერთი - მოწყალე მამა და უმაღლესი მსაჯული ყოვლისა. „ხოლო რწმენის გარეშე შეუძლებელია სათნო ყოფა, რადგან მას, ვინც უახლოვდება ღმერთს, უნდა სწამდეს, რომ ის არის, და რომ სანაცვლოს მიაგებს მის მიძიებელთ“ (ებრ. XI, 6). ასევე აუცილებელია ყოველადწმიდა სამების განხორციელების საიდუმლოებათა რწმენა. „ხოლო ეს არის საუკუნო სიციცხლე, რათა გიცნობდნენ შენ ერთს, ჭეშმარიტ ღმერთს, და ვინც შენ მოავლინე, იესო ქრისტეს“ (იოანე XVII, 3; მარკ. XVI, 16; მათე XXVIII, 19). „თუ არ იწამებთ, რომ მე ვარ, თქვენს ცოდვებში მოკვდებით“ (იოანე VIII, 24) „და სხვის მიერ არავისგან არს ხსნა; არც კაცთათვის მოცემული სხვა სახელი არს ცის ქვეშ, ვის მიერაც ვიხსნილთ თავს“ (საქმე IV, 12).

წმ. კლიმენტი რომაელი წერს: „ჩვენ, ღვთის ნებით მოწოდებულნი იესო ქრისტეში, გავმართლდებით არა საკუთარ თავით, ან საკუთარი სიბრძნით, ან გონებით, ან ღვთისმოსაობით, ან საქმით, არამედ რწმენით, რომლითაც ამართლებდა ყველას ყოვლისმპყრობელი ღმერთი დასაბამიდან“ (ებ.კორინთელთა მიმართ, 30).

46 წმინდისმარტოებისა ბიოგრაფიისი
2476V7

რას ვიზამთ, თუ ვისურვებთ მხოლოდ ხედვას და არა რწმენას? ჩვენ დავემსგავსებით იმ ბავშვებს, რომლებიც თესლს მიწაში ჩაფლავენ და ყოველ წუთში მიუბრუნდებიან სანახავედ, ხომ არ გაიზარდაო. რა მოუვა

სხედასხვა ღონისძიებებსა და კეთილ საქმეებს, თუ ხალხი მხოლოდ ისეთი წარმატებების მიღწევას ეცდება, რომლებიც მათთვის ხელშესახები და ხილული იქნება? არა, ღმერთი ღმერთად მათ ვინც საკმაოდ ენდობა და მას მიაწერს ყველა წარმატებას. მოც. პავლეს სიტყვებით რომ ვთქვათ, „ღმერთია, რომელიც შეიქმნა თქვენში ნდობასაც და ქმედებასაც თავისი კეთილ-ნებელობით“ (ფილიპ. II,13). ცნობილია, რომ ერთმა ცნობილმა ასტრონომმა, რომლის ყოვლისმომცველმა გენიამაც გახსნა პლანეტების მოძრაობის კანონები, იხილა, რომ მისი შრომები არ აღიარეს თანამედროვეებმა. უკიდურესად გაღატაკებული, სიკვდილის პირას იყო, როცა ერთმა მეგობარმა ჰკითხა: „არ გიმძიმს სიკვდილი, როცა ხედავ, რომ შენი შრომები ვერ გაიგეს?“ „მეგობარო, - უბასუხა კეპლერმა, - ღმერთმა ხუთი ათასი წელი იცადა, სანამ ერთ-ერთი მისი ქმნილება აღმოაჩენდა მის მიერ ციურ მნათობებისათვის დადგენილ საოცარ კანონებს. განა მე არ შემიძლია დავიცადო, სანამ ღმერთისამებრ მომაგებენ?“ თქვენც გულისხმა-ჰყავით ეს სიტყვები, თქვენც, ღმრთის ქმნილებანი რომ ხართ! თუ საჭიროა, იმოქმედეთ წარუმატებლად, ილაპარაკეთ, გინდაც ვერ ისმინონ, გიყვარდეთ, გინდაც ვერ გაიგონ, გადაუდგეთ თქვენი პური უმაღლეთ, მაგრამ სამყაროს ჭეშმარიტებისათვის მოსაგებლად იარეთ რწმენით და არა ხედვით (ბერსიეს საუბრებიდან, ტ. I, გვ. 154).

5. კეთილ საქმეთა აუცილებლობა ადამიანის საცხოვრებლად

კეთილ საქმეთა გარეშე მხოლოდ რწმენა არ კმარა საცხოვრებლად. მორწმუნისათვის გასამართლებლად აუცილებელია კეთილი საქმენიც. „კაცი საქმით მართლდება და არა მხოლოდ რწმენით“ (იაკ. II,24). კეთილ საქმეებში იგულისხმება ზნეობრივი ქმედებანი ადამიანისა, რომელიც გამართლებულია იესო ქრისტეში; იგულისხმება სიყვარულის ნაყოფი, იესო ქრისტეს რწმენით რომ არის მიმართული და მისთვის ქმნილი. კეთილ საქმეებს მოითხოვს მორწმუნეთაგან უფალი იესო ქრისტე. „დაე, ასევე ნათობდეს თქვენი ნათელი კაცთა წინაშე, რათა ისინი ხედავდნენ თქვენს კეთილ საქმეებს და აღიდებდნენ მამას თქვენსას ზეციურს“ (მათე V, 16; სიტყ. VII, 19; XXVI, 27). მოციქულებიც ადასტურებენ: „რათა იარებოდეთ თქვენ ღირსად უფლისა, ყოველმხრივ მისდა საამებლად, ყოველ კეთილ საქმეში ნაყოფის გამოსაღებად და ღმერთის შემეცნებით საზრდელად“ (კოლ. I,10), „დავეუკვირდეთ ერთიმეორეს, რათა წავაქებოთ ერთმანეთი სიყვარულსა და კეთილ საქმეთათვის“ (ებრ. X, 24; I კორ. XV, 28; I ტომ. VI, 12; ტიტ. II,11 და ებრ. VI, 10, 12, 14).

ღვთის სამსჯავროზე გამართლება იქნება არა მხოლოდ რწმენით, არამედ თვითუფლის საქმეებით. „მისი საქმისამებრ მიაგებს თვითუფლს“ (მათ. XVI, 27; სიტყ.

XXV, 34 და შემდგომ: რომ. II, 6; ეფეს. VI, 8; I პეტრ. I, 17; 2 კორ. V, 10, IX, 6. გალ. VI, 6, 9). ის, ვინც არ ქმნის კეთილ საქმეებს, განიკითხება, ხოლო საღვთო რჯულის აღმსრულებელნი მიიღებენ მარადულ ნეტარებას. „იგი მათი საქმისამებრ მიაგებს ყველას: მათ, ვინც კეთილი საქმის ერთგულებით დიდებას, პატივსა და უზარუნელბას მიეღობიან, - საუკუნო სიციოცხლეს; ხოლო მათ, რომელნიც ურჩობენ და არ ემორჩილებიან ქეშმარიტებას, არამედ უსამართლობას ჰმორჩილებენ, - გულისწყრომას და რისხვას“. (რომ. II, 6-8).

ადამიანის კეთილ საქმეებს უფალი ღმერთი გულმოწყალებდ უბოძებს ღირსეულ დამსახურებას და ჯილდოდ მიაგებს საუკუნო ცხოვრებას. „გინაბოდე და ილხენდე, ვინაიდან დიდი თქვენი საზღაური ცაში“ (მათე V, 12). ამგვარად, ღმერთი გვირგვინად აღგამს თვით საბოძეარს მის მიაშებლბებს. ყოველივეს, რაც აღსრულდება მისი მადლით, ისევე ადამიანებს უბოძებს და ასე აჯილდობს მათ (2 ტიმ. III, 8, IV, 7; 1 კორ. IX, 24; III, 8; XV, 41).

როცა ადამიანებზე გადმოსული მადლი მისივე ცდით მიემართება წმიდა და კეთილი საქმეების ქმნისათვის, - ამბობს წმ.ფერემ ასური, - მაშინ ეს საქმენი, ღვთის მოწყალებით, უკვე იმის კი აღარ არის, ვინც მათ სჩადის, როგორც არ უნდა ქმნიდეს მათ საკუთარი ძალებით“. დავუშვათ, რომ წმინდანთა საქმეებს აქვთ დამსახურების ფასი. ამით ჩვენ არ ვამცირებთ ჩვენი შუაკაცის იესო ქრისტეს დამსახურებებს, რადგან ადამიანთა ყველა დამსახურება მნიშვნელობას იძენს ღვთის დამსახურებით - საუკუნო ცხოვრება ეძლევა, როგორც მადლი და როგორც ჯილდო; როგორც მადლი იმიტომ, რომ ღმერთმა ჩვენი ყოველგვარი დამსახურების გარეშე გაგვამწყსა ჩვენ საუკუნო ცხოვრებისათვის; როგორც ჯილდო, იმიტომ, რომ როცა საუკუნო ცხოვრებისათვის გაგვამწყსა, ინება, დაგვიბრბოდა ამას, როგორც ჯილდოს მისი რჯულის აღსრულებისათვის.

ცხოვნებისათვის კეთილ საქმეთა და წმიდა ცხოვრების აუცილებლობაზე წმ.ოქრობირი გვასწავლის: „ვერც ნათლობა, ვერც ცოდვების მიტევება, ვერც ცოდნა, ვერც საიდუმლოებებში მონაწილეობა, ვერც წმიდა სერობა, ვერც ქრისტეს სხეულის მიღება, ვერც წმიდა სისხლის ზიარება და ვერც ვერაფერი ასეთი ვერ მოგვითანს სარგებლობას, თუ არ გვექნება მართალი, პატიოსანი და ყოველგვარი ცოდვისაგან თავისუფალი წმიდა ცხოვრება“.

აღმოსავლეთის პატრიარქები გვასწავლიან: „გვწამს, რომ ადამიანი მართლდება არა უბრალოდ რწმენით, არამედ რწმენით, რომელსაც სიყვარული ახლავს, ე.ი.რწმენით და საქმეებით. სავსებით უწმინდურად მიგვაჩნია აზრი, თითქოს რწმენა საქმეების მაგვირობას გასწევს და გამართლებას იძენს: რადგან რწმენა ამ აზრით შეიძლება ყველას ჰქონოდა, და არც ერთი ადამიანი არ დარჩებოდა უცხოენებელი - რაც აშკარად სიცრუეა. ბირიქით, გვწამს, რომ არა მხოლოდ რწმენის ლანდი,

არამედ ჩვენში არსებული რწმენა გვამართლებს ქრისტეში. საქმეებს კი მივიჩნევთ არა მხოლოდ ჩვენი მოწოდების დასტურად, არამედ ნაყოფად, რომელიც ქმნის ჩვენს ქმედით რწმენას და შეუძლია, ღვთიური აღთქმისებრ, გვარგუნოს თვითველს დამსახურებული საზღაური - კეთილი ან ავი, იმის მიხედვით, თუ რა უქმნა მან თავის თავს (აღმ. პატრ. მიმ. მართლმ. რწმ. ნაწ. 13, სიტყვ. ნაწ. 19).

6.წმიდაგამათაბამონათგვაგვიცხადილსაწმენთა აუცილებლობაზე მართლმორწმუნეობისას

1. წმ.იოანე ოქრობირი წერს: „გემუდარებით, დიდად ვეცადოთ, რომ ვიყოთ მტკიცენი ქეშმარიტ რწმენაში და ქველი ცხოვრება გვექონდეს; რადგან თუ ჩვენ რწმენას არ შევეუერთებთ ღირსეულ ცხოვრებას, უსასტიკესად დავისჯებით... თვით ქრისტეცა სხაბრებაში იგივე დადასტურა, როცა თქვა, რომ ზოგიერთი ადამიანი, ეშაქებს განდევნის და იწინასწარმეტყველებს, მაგრამ დაისჯება. ისედაც ყველა მისი იგავი მოითხოვს, რომ სათნონი ვიყოთ საქმით. დოგმატებზე უფალი იშვილთად მსჯელობს (რადგან მათი დაჯერება არ არის ძნელი), მაგრამ ქველ ცხოვრებაზე ძალიან ხშირად, ან უკეთ რომ ვთქვათ, ყოველთვის გვესაუბრება, რადგან ამ სარბიელს გამუდმებით თან ახლავს ძაგება და ამიტომ, შრომაც. თუმცა სათნობების სრული უგულებელყოფა რა სათქმელია? უმცირეს გულგრილობასაც კი შეუძლია მოიტანოს დიდი უბედურება. ასევე, მოწყალების გაღების უგულებელყოფაც, გვენაში შთააგდებს კაცს... მეტსაც ვიტყვი: მხოლოდ ერთი რომელიმე სათნობის უგულებელყოფით კი არ გამოვიწვევთ რისხვას, არამედ განდაც აღვასრულოთ იგი, მაგრამ გულმოდგინება და ცდა დავაკლოთ, ამასაც ასეთივე შედეგი მოჰყვება (საუბარ. მათ. სახ. LXIV, გვ. 102, 103, 104). ვერც ნათლობა, ვერც ცოდვების მიტევება, ვერც ცოდნა, ვერც მონაწილეობა საიდუმლოებებში, ვერც წმიდა სერობა, ვერც ღვთის სხეულის მიღება, ვერც სისხლით ზიარება ვერ მოგვითანს სარგებლობას, თუ არ გვექნება მართალი და საოცარი წმიდა ცხოვრება, - თავისუფალი ყოველგვარი ცოდვისაგან. რწმენა საქმის გარეშე არის, ასე ვთქვათ, მხოლოდ უსიცოცხლო ლანდი“. (In. II. Tit. homil VIII, ტ 1).

2. ნეტარი თეოდორიტე: „საცხოენებლად რწმენა არ კმარა, აუცილებელია საქმენი სრულყოფისათვის“ (In. Exod. quaeest. LXIII; in PS XLVIII, 1). „ჩვენ გვეპირდება არა მხოლოდ რწმენა, არამედ კეთილი ქმედებაც“. (In. PS.XCVI, 9). „მნიშვნელოვნება და ქეშმარიტი საფუძველი კეთილი საქმეებისა არის ღმერთის შეცნობა და რწმენა; რადგან რაც თვალია სხეულისათვის, ისაა სულისათვის ღმერთის რწმენა და მისი შეცნობა. მაგრამ რწმენასაც ისევე სჭირდება ქმედითი სათნობა, როგორც თვალს ხელები და სხეულის სხვა ნაწილები“;

3. წმ.კირილე იერუსალიმელი წერს: „ღვთის კრძალვის სახე ამ ორ თვისებაშია: ღვთისმოსაობის დოგმატთა ზუსტი შეცნობა და კეთილი საქმენი. დოღმატები კეთილ საქმეთა გარეშე არ ეამება ღმერთს; ის არც საქმეებს მიიღებს, თუკი ისინი ღვთისმოსაობის დოღმატებს არ ემყარება. - რადგან, რა სარგებლობა აქვს ღმერთის მოძღვრების კარგ ცოდნას, თუ სამარცხვინოდ ცხოვრობ? მეორე მხრივ, რა სარგებლობა აქვს - იყო კრძალული, ისე როგორც საჭიროა, და ურცხვად მკრებლობდეს? ამიტომ დოგმატების შეცნობა და სულის სიფხიზღე უდიდესი შენაძენია“. (კირილ. იერუს. მთ.სწავლ. შეს. IV, 2, რუს. თარგმ. გვ. 58).

სამუდამოდ საიდუმლოდ დარჩება, რამდენიც უნდა სცადოს ვინმემ მათი გახსნა. მაგრამ, თუმცა გაუგებარია არსი საგნისა ან დაფარულია მისი საფუძველი, ათვისე და ატარე იგი ისე, როგორც მოძღვრება ატარებს, ზუსტი და განსაზღვრული სიტყვებით. სიტყვით - შეცნობა აღინიშნება არა თავისმტვრევა, არამედ მორჩილი და უსიტყვო მიღება წმიდა რწმენის გაკვეთილებისა (შედგ. ებ.თეოფანეს 4-ნაწ. თხზ. „წერილები ქრისტეს ცხოვრებაზე“ გვ. 305 და ავედენსკის „ღვთის რწმენა, მისი წარმომავლობა და საფუძველი“ გვ. 455 და 466 მხ.).

76

7 რანდიზნავსკიტჰვობი:
 „რწმენა სარწმუნოების საფუძველია,
 რასაც მოქმედობით, რაც ცხადყოფს ღმერთსა“ (მზრ. XI, 1)?

მარტინ რწმენა

იგი არსად არ განისაზღვრება წმ. წერილში და ცნობილი სიტყვები, რომლებითაც იწყება ებრაელთა მიმართ ეპისტოლეს მე-11 თავი: „რწმენა არის ხორცშესხმა - არსი რასაც მოველით და ცხადყოფა უხილავისა“, უფრო აღწერა ვიდრე განსაზღვრა. ეს სიტყვები არ არის განსაზღვრა, იმით რომ არ მიგვითითებს რწმენის არსს. ისინი გვეუბნება, თუ რა წარმოქმნის რწმენას და არა იმას, თუ რა არის იგი - მიგვითითებს მხოლოდ ნაყოფზე, და არა მის არსზე. „რწმენა, - ამბობს მოციქული, - არის ხორცშესხმა - არსი რასაც მოველით და ცხადყოფა უხილავისა“. სწორედ ესაა რწმენა მისი ნაყოფით. ის გვაძლევს საფუძველს, რომელზეც დაჯერებით დაივანებს ჩვენი იმედები, და დაგვაჯერებს, რომ არსებობს ისეთი საგნებიც, რომლებსაც არ გააჩნიათ მიწიერი ან დროებითი ხასიათი; რომელთა დანახვაც ამიტომ არ შეგვიძლია. თვით რწმენა - მისი უფრო ჩვეულებრივი გაგებით, არის სულიერი ძალა, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს დავიკავოთ ის მტკიცე საფუძველი, რომელზეც დავანებულება ჩვენი იმედები, და მტკიცედ დავიჯეროთ რომ არსებობს ისეთი საგნებიც, რომელთაც არა აქვთ მიწიერი ან დროებითი ხასიათი და რომელთაც ამიტომ ვერ ვხედავთ; ესაა ხელი, გაწვდილი იმ სალხინებლისკენ, რომელიც ჩვენგან ჭერ კიდევ დაფარულია გრძნობის საბურველით, ხელი, რომელსაც შეუძლია ღვთის სულიერი ნაბოძვარი ისეთი მტკიცე რწმენით ეჭიროს, რომ ვერაფერს წაართმევს. რწმენის თვალისთვის უხილავი და მარადიული უფრო ხელშესახება, ვიდრე ხილული და დროებითი საგნები. რწმენის გულისთვის იმედი ისეთივე ნამდვილია, როგორც თვით საგნები; ზეციური აღთქმები უფრო ძვირფასია, ვიდრე მიწიერი სამფლობელოები. გაუნათლებელი გულის თვალისათვის ის სფერო, სადაც ცხოვრობს და მოძრაობს რწმენა, ბნელი გამოქვაბულია, სადაც არაფერი ჩანს და კიდევ ნაკლებად შეიძლება რამე მშვენიერი იყოს; მაგრამ რწმენას თავისი ხელით ანთებული ლამპარი შემოაქვს, ცას რომ შეპნათის; სადაც ის გამოჩნდება, ყველგან

წმ. მოციქული პავლე ამბობს: „რწმენა არის ხორცშესხმა - არსი, რასაც მოველით, და ცხადყოფა უხილავისა“ (ებრ. XI, 1). რწმენის განსაზღვრელი ეს სიტყვები, ორ დამოუკიდებელ აზრს შეიცავს. ტექსტის პირველი ნახევარი (ე.ი. „რწმენა არის ხორცშესხმა - არსი, რასაც მოველით“) იმედის განსაზღვრად უფრო უნდა მივიჩნიოთ, ვიდრე რწმენისა; ამიტომ აქ ასეთი აზრი იქნება: რწმენა შესაძლებლად ხდის იმედს, თითქოსდა აიძულებს მას დაივანოს ნამდვილი სამფლობელოს საფუძველზე, მიიჩნიოს შესაძლებელი ნამდვილად, რის გარეშეც, იმედი ვერც იარსებებდა, ვერც გაჩნდებოდა ან მოკლედ: „რწმენა არის იმედის არსი“ (თან, როგორც ჩანს, ჭერ კიდევ გაურკვეველი რჩება, რა არის საკუთრივ რწმენა). ამგვარად, უნდა ვაღიაროთ, რომ რწმენას განსაზღვრავს მხოლოდ ტექსტის მეორე ნახევარი: რწმენა კი არის... ცხადყოფა უხილავისა, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ: რწმენა არის რწმუნება უხილავისა. ასევე განსაზღვრული რწმენა მტრ. ფილარეტის კატეხიზმოში: რწმენა არის დღევანდელივით რწმუნება უხილავისა, როგორც ხილულისა, სასურველისა და იმისა, რასაც მოველით. სიტყვა ცხადყოფა - ჰემარტი არსის, სახის გარკვევა, საგანში თვალსაჩინო, აშკარა (კონკრეტული) და ამიტომ უცილობლად დამაჯერებელი თვისებებისა. (იხ. დალის დიდ სიტყვათა ლექსიკონი: „წიგნი ცხადყოფს ავტორის დიდ სწავლულობას; ყოველგვარი ტყუილი ცხადყოფილ იქნება - ე.ი. გამომჟღავნდება, გამოაშკარავდება“). მოც. პავლეს სიტყვებით, რწმენა არის ხორცშესხმა. ცხადყოფა უხილავისა. უსამდევდლოესი თეოფანე წერს: „საჭიროა რომ ამ უხილავმა საგნებმა ჩვენში ნამდვილად მიიღონ მათთვის დამახასიათებელი სახე, მიიღონ სახელი, ცნობილი გახდნენ მოტანილი ამბავით. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საიდუმლოს გამოცნობაა საჭირო: არა, საიდუმლო

სინათლე იღვრება გარშემო და მისი ყოველი სხვიის შუქში ახალი იერუსალიმის ქუჩები და კედლები თითქოს ურიცხვი ალით ნათდება (ამონაწ. ფ.ფეარარის წიგნიდან „ქრისტიანობის პირველი დღეები“, გვ. 293-294).

9. რწმენის საბანი

წმ. მოციქული პავლე გვასწავლის: „რწმენა არის ხორცშესხმა - არსი რასაც მოველით და ცხადყოფა უხილავისა“ (ებრ. XI,1). მოციქულის ამ სიტყვებს წმ.იოანე დამასკელი ასე კითხულობს: „რწმენა არის ის, რისი იმედით გვაქვს, და უხილავ საგანთა რწმუნება“. წმ. ოქროპირი კი ასე ამბობს: „რწმენა არის მზერა - უცნობისკენ მიმართული“. ასე რომ, მსოფლიოს დიდ მასწავლებელთა განმარტებით, შეიძლება იწამო მხოლოდ ის, რასაც ვერ ხედავ, რწმენას იმითრამაც ეწოდება რწმენა, რომ სჯერა ის, რასაც ვერ ხედავს. უფრო დაწვრილებით განვმარტოთ ეს აზრი.

რწმენა არის ის, რასაც ვერ ხედავს შენი ხორციელი თვალი, ვერ გრძნობს ხელი, მაგრამ შენი გული და გონება უშუალოდ ამტკიცებს, რომ ეს სწორედ ასე უნდა იყოს და არა სხვაგვარად. მაგალითად: ვერ ვხედავთ ღმერთს, იმით, რომ „ღმერთი არავის არასოდეს უხილავს,“ როგორც ამბობს წმ.მახარებელი იოანე ღვთისმეტყველი (იოანე, I,18), მაგრამ უშუალოდ გვჯერა, რომ ღმერთი არის; - ესაა რწმენა. ვერ ვხედავთ ჩვენს მაცხოვარს ზეცაში განდიდებული სხეულით, ღვთისუფროს ტახტზე მჯდომარეს, მიუღწეველი დიდებით მოსვლის, თავის მამასთან და სულიწმიდასთან ერთად მეფობისას, მაგრამ უშუალოდ გვჯერა - ესაა რწმენა. ვერ ვხედავთ ღმერთს, ყოვლისმხილველს, რომელიც ყოველთვის წყნარად, მაგრამ გვჯერა მისი - ესაა რწმენა. ვერ ვხედავთ სულიწმიდას, წმ.ნათლისღებისას და სხვა საეკლესიო საიდუმლოებისას გარდმოსულს, მაგრამ გვჯერა, რომ სულიწმიდა გადმოდის და აღასრულებს ეკლესიის ყველა საიდუმლოს, - და ესაა რწმენა. ქრისტეს უწმიდეს საიდუმლოებაში პურისა და ღვინის სახით ჩვენ ვერ ვხედავთ ნამდვილ ადამიანის სხეულსა და სისხლს ქრისტესას, მაგრამ გვჯერა, რომ ესაა ქრისტეს ჭეშმარიტი სხეული და ჭეშმარიტი სისხლი, მხოლოდ დაფარულია პურის და ღვინის სახით და გემოთი - ესაა რწმენა... ვერც ერთი ჩვენგანი ვერ ხედავს თავის წმ. მფარველ ანგელოზს, მაგრამ მიიწვინებ, რომ თვითვე ჩვენგანს თან ახლავს ნათლისღებით ბოძებული მფარველი ანგელოზი - სწორედ ესაა რწმენა. ვერ ვხედავთ ზეციური დიდების გვირგვინებს, რომელნიც მათთვისაა გამზადებული, ვისაც ღმერთი უყვარს, ვერ ვხედავთ ჯოჯოხეთის ტანჯვას, მოუნანიებელი ცოდვილებისათვის რომ არის გამზადებული, მაგრამ ხომ გვჯერა, რომ თითოეულს შიგნით მისი საქმეების მიხედვით: კეთილებს - სიკეთე, ბოროტებს - ბოროტება, - ესაა რწმენა. ერთი სიტყვით, -

რწმენა არის ცხადყოფა (განხორციელება) უხილავისა (ებრ. XI, 1).

პირიქით, ყველაფერი, რასაც ჩვენი თვალი ხედავს, და ხელი გრძნობს, რწმენა კი არ არის, არამედ - მხოლოდ ხილული და ხელშესახები ნივთიერება.

განა ასე ესმით რწმენა ჩვენს სტარობობრივდღეებს? ძველი ხატი - აი, მათი რწმენა; რვაქიმიანი ჯვარი - აი, მათი რწმენა; შვიდი სეფისკვერი ლიტურჯიისას - აი, მათი რწმენა, ძველი წიგნები - აი, მათი რწმენა... საცოდავი ბრძანებ! - განა ძველი ხატი ღმერთი? განა ჯვარის ბოლოების რიცხვია ღმერთი? განა სეფისკვერების რიცხვია ღმერთი? ან ძველი წიგნებია ღმერთი? წმიდა ხატი პატრიოსანია, მაგრამ ის ღმერთი არ არის. ქრისტეს ჯვარი წმიდაა, მაგრამ არც ისაა ღმერთი. ჯვარის ბეჭდით დაბეჭდილი სეფისკვერები წმიდაა, მაგრამ არც ისინია ღმერთი...

ეს ყველაფერი ნივთიერებაა, ხილული, ხელშესახები, მაგრამ არა ღმერთი. და თუ ასეა, ისინი არ შეიძლება რწმენას. ყოველივე ეს მხოლოდ საეკლესიო გადმოცემებია, რომლებიც წმიდად უნდა დავაფასოთ და შევინახოთ, მაგრამ არ არის თვით რწმენა. ჩვენს საეკლესიო სტარობობრივებს კი - რამდენი ძველი ხატიცა აქვთ, რამდენი რვაქიმიანი ჯვარიც, რამდენი სეფისკვერიც, რამდენი ძველი წიგნიც და მსგავსი ხილული საგანი - იმდენი რწმენაცა აქვთ... ისინი უკვე უხილავ ღმერთში კი არ ხედავენ თავიანთ რწმენასა და ხსნის იმედს, არამედ ხილულ საგნებში... (შემოკლ. ამონაწ. როსტოვის მიტროპ. წმ. დიმიტრის „ძიებებიდან“, „ტრ.ლისტკას“... №541).

10 ბიბლიური ნიშნები რწმენის შესახებ

1. რწმენის გაგება. რწმენა არის უხილავ საგნებში დარწმუნება: „რწმენა არის ხორცშესხმა - არსი, რასაც მოველით, და ცხადყოფა უხილავისა“ (ებრ. XI, 1).

რწმენა მცნებისა: „მიუგო იესომ და უთხრა მათ: გქონდეთ ღმერთის რწმენა“ (მარკ. XI, 22). - „ნუ შემარწმუნებთ თქვენი გული; გწამდეთ ღმერთი, და მიწამეთ მე“ (იოანე, XIV,1). - „ხოლო მისი მცნება ისაა, რომ გვწამდეს მისი ძის იესო ქრისტეს სახელით, და, როგორც გვამცნო, გვიყვარდეს ერთმანეთი“ (I იოანე, III, 23).

2. რწმენის საგნები: ღმერთი: „თქვენს მიერ განეფინა სიტყვა უფლისა არა მარტო მაკედონიისა და აქაიაში, არამედ თქვენმა რწმენამ ღმერთისადმი ყველა სხვა მხარესაც უწია, ასე რომ აღარაფერი დაგერჩა სათქმელი“ (I თეს. I,8). ხოლო რწმენის გარეშე შეუძლებელია სათნო ყოფა, რადგან მას, ვინც უახლოვდება ღმერთს, უნდა სწამდეს, რომ ის არის, და რომ სანაცვლოს მიაგებს მის მამიებელთ“ (ებრ. XI, 6).

იესო ქრისტე: „მიუგო იესომ და უთხრა მათ: ღმერთის

საქმე ისაა, რომ იწამოთ მის მიერ მოვლინებული“ (იოანე, VI, 29). - „ხოლო მათ უთხრეს: გწამდეს უფალი იესო ქრისტე, და ცხონდები შენცა და შენი სახელიც“ (საქმენი, XVI, 31). - „და რაკი ვიცით, რომ რჯულის საქმეთაგან როდი გამართლდება კაცი, არამედ იესო ქრისტეს რწმენით, ჩვენც ვირწმუნეთ იესო ქრისტე, რათა ქრისტეს რწმენით გაემართლდეთ და არა რჯულის საქმით; ვინაიდან რჯულის საქმით ვერ გამართლდება ვერცერთი ხორციელი“ (გალ. II, 16). - „აქ არის მოთმინება წმიდათა, რომელნიც იმარხავენ ღმერთის მცნებებსა და იესოს რწმენას“ (გამოცხ. XIV, 12).

მოსეს წერილი: „უთხრა მას აბრაამმა: მოსე და წინასწარმეტყველნი ჰყავთ; მათ უსმინონ (ლუკა, XVI, 29). - „ვინაიდან მოსე რომ გწამდეთ, მეც მიწამებდით, რადგანაც მან ჩემთვის დაწერა“ (იოანე, V, 46).

წინასწარმეტყველი წერილი: „ხოლო როდესაც მკედრებით აღდგა, გაახსენდათ მის მოწაფეებს, რომ ამის ეუბნებოდა მათ; და ირწმუნეს წერილიც და იესოს სიტყვაც“ (იოანე,-II, 22). - „გწამს, მეფეო აგრიბა, წინასწარმეტყველთა? ვიცი, რომ გწამს“ (საქმე, XXVI, 27).

სახარება: „ხოლოდ იქცეოდეთ ქრისტეს სახარების ღირსად, რათა, მოვალ და გიხილავთ თქვენ, თუ შორს ვიქნები, მესმოდეს თქვენზე, რომ ერთსულოვნად დგახართ, და ერთობლივად იღწვით სახარების რწმენისათვის“ (ფილიპ. I,27). - „სარწმუნოა და ყოველგვარი შეწყნარების ღირსია სიტყვა, რომ ქრისტე იესო მოვიდა ქვეყნად ცოდვილთ სახსენლად, რომელთაგან მე ვარ პირველი“ (I ტიმ. I,15).

ღვთის აღთქმა: „მაგრამ წერილმა ცოდვის ქვეშ მოაქცია ყველანი, რათა აღთქმა იესო ქრისტეს რწმენით მისცემოდათ მორწმუნეთ“ (გალ. III, 22). „თუმცა ჩვენ, აღთქმისამებრ, მოველით ახალ ცათა და ახალ მიწას, რომლებზედაც მკედრობს სიმართლე“ (2 პეტრ. III, 13).

3. ქრისტეს რწმენა ღმრთის ნიჭია: „ჩემთვის მოცემული მადლით მივმართავ ყველა თქვენგანს: ნურავინ იფიქრებს თავის თავზე უფრო მეტს, ვიდრე მართებს იფიქროს; არამედ იფიქროს ზომიერად, ღმერთის მიერ თვითოვეულისათვის მიცემული რწმენის თანახმად“ (რომ. XII, 3). - „რადგან მადლით ხართ გამოხსნილი რწმენის წყალობით, და ეს თქვენგან კი არ არის, არამედ ნიჭია ღმრთისა“ (ეფეს. II,8).

სულიწმინდის ნიჭია: „ზოგს - რწმენა, იმავე სულისაგან; ხოლო ზოგს - ნიჭი მკურნალობისა იმავე სულით“ (I კორ. XII,9). - „ხოლო სულის ნაყოფია: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, დიდსულოვნება, სიტკბოება, სიკეთე, რწმენა“ (გალ. V,22).

იესო ქრისტე არის მეთაური და შემქმნელი რწმენისა: „და ეხედავდეთ რწმენის ჩვენის წინამძღვარსა და აღმსრულებელს იესოს, რომელმაც მის წინაშე მდებარე სიხარულის წილ დაითმინა ჯვარი, სირცხვილი უგულვებელყო, და დაჯდა ღმრთის საყდრის მარჯვნივ“ (ებრ. XII, 2).

4. რწმენით მოიპოვება ცოდვების მიტვეება: „მისთვის მოწმობს ყველა წინასწარმეტყველი, რომ ყველა, ვისაც სწამს იგი, მიიღებს ცოდვათა მიტვეებას მისი სახელით“ (საქმე X, 43).

გამართლება: „ერწმუნა უფალს, ხოლო მან სიწმუნეში ჩაუთვალა ეს“ (დაბ. XV, 6). - „ქეშმარიტად, ქეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვინც ისმენს ჩემს სიტყვას, და სწამს ჩემი მომავლინებელი, აქვს საუკუნო სიცოცხლე, და არ მივა სამსჯავროდ, არამედ გადავიდა სიკვდილიდან სიცოცხლეში“ (იოანე V, 24). - „და ყოველივე იმისაგან, რისგანაც მოსეს რჯულით ვერ შესძელით თავის მართლება, მის მიერ გამართლდება ყველა მორწმუნე“ (საქმე, XIII, 39). „და წერილმა, რომელიც წინასწარ ხედავდა, რომ ღმერთი რწმენით გაამართლებდა წარმართთ, წინასწარ ახარა აბრაამს: შენში იკურთხება ყოველი ხალხი“. „ასე რომ, რჯული ჩვენი აღმზრდელი იქმნა ქრისტეს მიმართ, რათა რწმენით გაემართლებულიყავით“ (გალ. III, 8,24).

კურთხევა: „და არაფრით განგვასხვავა ერთმანეთისაგან, რაკილა რწმენით გაწმინდა მათი გულები“ (საქმე, XV, 9).

შვილად მიღება: „ხოლო ყველას, ვინც შეიწყნარა იგი, მისცა ხელმწიფება ღმრთის შვილებად წოდებულყვენენ; (იოანე, I,12). - „(რადგან) ყველანი, ქრისტე იესოს რწმენით, ძენი ხართ ღმრთისა“ (გალ. III,26). - „ყველა, ვისაც სწამს, რომ იესო არის ქრისტე, ღმრთისაგან არის შობილი, და ყველას, ვისაც უყვარს მშობელი, მის მიერ შობილიც უყვარს“ (I, იოანე V,1).

სულიწმინდის ნიჭი: „ხოლო როდესაც ლაპარაკი დავიწყებ (მოც. პეტრემ) გადმოვიდა მათზე სული წმიდა, ისევე, როგორც ჩვენზე პირველად. და გამახსენდა სიტყვა უფლისა, რომელმაც თქვა: იოანე ნათელს სცემდა წყლით, ხოლო თქვენ ნათელს იღებთ სულით წმიდით. ამრიგად, თუ ღმერთმა ისეთივე ნიჭი უბოძა მათ, როგორც ჩვენ, რომელთაც ვირწმუნეთ უფალი იესო ქრისტე, მე ვინ ვარ, რომ შევძლო წინ აღვუდგე ღმერთს?“ (საქმე XI 15-17).

მიახლება უფალთან: „ვის მიერაც რწმენით მივემთხვიეთ იმ მადლს, რომელშიც ვდგევართ, და ღმრთის დიდების სასოებით ვიქადით“ (რომ. V,2). - „ვისითაც (ქრისტეთი) გვაქვს სიმტკიცე და სასოება მისდამი მიახლებისა რწმენით“ (ეფეს. III, 12).

სულიერი ცხოვრება: „ესენი კი დიიწერა, რათა ირწმუნოთ, რომ იესო არის ქრისტე, ძე ღმრთისა, და რათა მორწმუნეთ გქონდეთ სიცოცხლე მისი სახელით“ (იოანე, XX,31). „და მე კი აღარ ვცოცხლობ (ამბობს წმ.მოც.პავლე), არამედ ქრისტე ცოცხლობს ჩემში; ხოლო თუ აწ ხორციელად ვცოცხლობ, ვცოცხლობ რწმენით ღმრთის ძის მიმართ, რომელმაც შემიყვარა მე და თავისი თავი მისცა ჩემთვის (გალ. II,20).

ცხონება: „და ვინც იწამებს და ნათელს იღებს, ცხონდება, ვინც არა და განიკითხება“ (მარკ. XVI, 16). - „ქეშმარიტად, ქეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვისაც სწამს ჩემი, აქვს საუკუნო სიცოცხლე“ (იოანე, VI, 47). - „გწამდეს

უფალი იესო ქრისტე და ცხონდები შენცა და შენი სახლიც“ (საქმე XVI, 31). - „(რადგან), თუ შენი ბაგეებით უფლად აღიარებ იესოს, ხოლო შენს გულში იწამებ, რომ ღმერთმა აღადგინა იგი მკვდრებით, - ცხონდები“ (რომ. X, 9).

საუკუნო სიცოცხლე: „ისე შეიყვარა ღმერთმა ქვეყანა, რომ მისცა თვისი ძე მხოლოდშობილი, რათა ყველა, ვისაც სწამს იგი, კი არ წარწყმდეს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე“. „ვისაც სწამს ძე, აქვს საუკუნო სიცოცხლე; და ვისაც არა სწამს ძე, ვერ იხილავს სიცოცხლეს, და რისხვე ღმრთისა არ დაუტყვევებს მას (იოანე III, 15,16,36). - „ეს მოგწერეთ თქვენ, ღმრთის ძის სახელით მორწმუნეთ, რათა იცოდეთ, რომ ღმრთის ძისადმი რწმენით გაქვთ საუკუნო სიცოცხლე“ (1 იოანე, V, 13).

5. რწმენა ქმნის ღვთის მორჩილებას: „და უთხრეს მას (მოწაფეებმა): რა უნდა ვქნათ, რომ აღვასრულოთ ღმერთის საქმენი? მიუგო იესომ და უთხრა მათ: ღმერთის საქმე ისაა, რომ იწამოთ მის მიერ მოვლინებულნი“ (იოანე, VI, 28-29). „და იყო ხელი უფლისა მათთან, და ძალიან ბევრმა ირწმუნა და მოიქცა უფლის მიმართ“ (საქმე, XI, 21).

ქრისტეს სიყვარული: - და რომელსაც შეჰხარით, ამჟამად (თუკი საჭიროა), ცოტა არ იყოს, შეჭირვებულნი სხვადასხვაგვარი საცთუნებლით, რათა თქვენი რწმენის გამოცდა, შეუდარებლად უფრო ძვირფასი, ვიდრე გამოცდა ოქროსი, რომელიც ღვთისა და მინც ცეცხლით არის ნაცადი, - საქმები, სადიდებელი და სასახელო აღმოჩნდეს თქვენთვის, როცა გამოგცხადებთ იესო ქრისტე, რომელსაც არ იცნობთ და გიყვართ, და რომელსაც აწ ვერ ხედავთ და გწამთ, და გიხარიათ გამოუთქმელი და დიადი სიხარულით“ (1 პეტრე, I,6-8).

ქრისტესთან ურთიერთობა: „რათა მოგცეთ თქვენ (მაშა ღმერთმა) თავისი დიდების სიმდიდრისამებრ, ძალა, რომ მისი სულით დაემკვიდროთ შინაგან კაცში და ქრისტემ რწმენის მეშვეობით დაიფაროს თქვენს გულში“ (ეფეს. III, 16-17).

მოამბეთა სიყვარული: „ამიტომ მეც, როდესაც მესმა თქვენი რწმენა უფლის იესოსადმი, და სიყვარული, რომელიც გაქვთ ყველა წმიდანის მიმართ, გამუდმებით მაღლს ვწირავ ღმერთს თქვენს გამო, და ჩემს ლოცვებში გიხსენებთ“ (ეფეს. I, 15,16). „მოვალენი ვართ ძმანო, მარადის ვმადლობდეთ ღმერთს თქვენთვის, როგორც ჭერ-არს, ვინაიდან უმეტესად იზრდება თქვენი რწმენა და მრავლდება თვითეული თქვენგანის სიყვარული ერთმანეთის მიმართ“ (2 თეს. I,3).

სასოება: „ხოლო სასოების ღმერთმა, დაე აგავსოთ თქვენ ყოველგვარი სიხარულითა და მშვიდობით რწმენის შიერ, რათა უხვად გქონდეთ სასოება სულის წმიდის ძალით“ (რომ. XV, 13). - „ხოლო ჩვენ სულით მოველით სიხარულის სასოებას რწმენისაგან“ (გალ. V, 5).

მშვიდობა: „ამრიგად რწმენით გამართლებულთ გვაქვს მშვიდობა ღმერთთან უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მეოხებით“ (რომ. V,1).

სიხარული: „და აიყვანა ისინი თავის სახლში, სუფრა

გაუწყო მათ, და ხარობდა მთელს თავის სახლელთან ერთად, რომლებმაც იწამეს ღმერთი“ (საქმე, XVI, 34).

ემშაკისა და ქვეყნის ძლევა: „ყველა ღმრთის მიერ შობილი, სძლევეს ქვეყანას; და ეს არის ძლევა, მთელი ქვეყნის მძლეველი, ჩვენი რწმენა. ვინ სძლევეს ქვეყანას, თუ არა ის, ვისაც სწამს, რომ იესო არის ძე ღმრთისა? (1 იოანე V, 4,5).

სიტყვის გაბედული ქადაგება: „და რაკი ასეთი სასოება გვაქვს, სრულიად სააშკარაოდაც ვმოქმედებთ“ (2 კორ, III, 12).

6. რწმენა განუყოფელია სიყვარულისგან; მოქმედებს სიყვარულით: „რადგანაც ქრისტე იესოში არც წინადაცვეთილობასა აქვს რაიმე ძალა, და არც წინადაუცვეთილობას, არამედ რწმენას, სიყვარულით მოქმედს“. (გალ. V,6). „მშვიდობა ძმებს და სიყვარული რწმენითურთ, მამა ღმერთისა და უფლისა ჩვენის იესო ქრისტესაგან“ (ეფეს. VI, 23). „ხოლო ჩვენ, რადგან დღის ძენი ვართ, ვიფხიზლოთ და შევიმოსოთ აბჯარი რწმენისა და სიყვარულისა, და ჩაფხუტი ხსნის სასოებისა“. (1 თეს. V,8). „ხოლო მადლმა უფლისა ჩვენისა უფრო მეტად იმრავლა ჩემში რწმენითა და სიყვარულით ქრისტე იესოს მიერ. (1 ტიმ. I,14). - „ხოლო მისი მცნება ისაა, რომ გვწამდეს მისი ძის იესო ქრისტეს სახელით, და როგორც გვაძენო, გვიყვარდეს ერთმანეთი“ (1 იოანე III, 23).

უდიდესი რწმენაც ამაოა უსიყვარულოდ: „წინასწარმეტყველების მადლი რომ მქონდეს, ვიცოდე ყველა საიდუმლო, და მქონდეს მთელი რწმენა, ისე რომ მთების დაძვრაც შემიძლოს, სიყვარული თუ არ მაქვს, არაარა ვარ (1 კორ. XIII, 2).

რწმენა საქმით ვლინდება: „განა საქმით არ გამართლდა აბრაამი, მამა ჩვენი, როცა სამსხვერპლოზე შესწირა ისააკი, თავისი ძე? ხომ ხედავ, რომ რწმენა შეეწია მის საქმეს, და საქმით მიადლოა რწმენამ სრულქმნილებას? და აღსრულდა წერილის სიტყვა: სწამდა აბრაამს ღმერთი და შეერაცხა მას სიხარულედ, და ღმრთის მეგობრად იწოდა იგი. ხომ ხედავ, რომ კაცი საქმით მართლდება და არა მხოლოდ რწმენით? და განა რწმენით არ გამართლდა მექავე სახაბიც, რაკილა შეიწყინარა მსტოვარნი და სხვა გზით წარავლინა? (იაკ. II, 21-25).

რწმენა მკვდარია საქმის გარეშე: „ასევე რწმენაც, საქმის გარეშე, მკვდარია თავისთავად“. „ზნებავს იცოდე ამაო კაცი, რომ რწმენა მკვდარია საქმის გარეშე? ავინაიდან როგორც სხეული მკვდარია სულის გარეშე, ასევე რწმენაც მკვდარია საქმის გარეშე“ (იაკ. II, 17,20,26).

რწმენა საქმის გარეშე ვერ იხსნის: „რას გამოელის, ძმანო ჩემნო, ის, ვინც ამბობს, რწმენა მაქვსო, მაგრამ არა აქვს საქმე? შესძლებს კია ეს რწმენა, რომ იხსნას იგი?“ (იაკ. II, 14).

რწმენა საქმის გარეშე დემონთა რწმენას ემსგავსება: „შენ გწამს, რომ ერთია ღმერთი? კეთილი და პატიოსანი; ემშაკებსაც სწამთ და ძრწიან კიდევ“ (იაკ. II, 19).

7, რწმენა იბადება წერილის მეშვეობით: „ესენი კი დაიწერა, რათა ირწმუნოთ, რომ იესო არის ქრისტე, ძე ღმრთისა, და რათა მორწმუნეთ გქონდეთ სიცოცხლე მისი სახელით“ (იოანე XX, 31). - „ამრიგად, რწმენა სმენისაგან, ხოლო სმენა ღმერთის სიტყვისაგან“ (რომ. X, 17) „ეგეც არ იყოს, სიყრმითვე იცნობ საღმრთო წერილს. (წერს მოც. პავლე თავის მოწაფეს ტიმოთეს), რომელსაც ძალუძთ შენი გაბრძნობა, რათა ცხონდე რწმენით, ქრისტე იესოში (2 ტიმ, III, 15).

ქადაგებებით: „მაგრამ როდესაც ვრწმუნენ ფილიპეს, ღმერთის სასუფევლისა და იესო ქრისტეს სახელის მახარებელს, ნათელს იღებდნენ კაცნი და ქალნი (საქმე VIII, 12). „მაგრამ როგორ უხმონ მას, ვინც არ ირწმუნეს? ან როგორ ირწმუნონ იგი, ვინც არ სმენიათ? ანდა როგორ ისმინონ უქადაგებლად?“ (რომ. X, 8,14). „ვისშია თქვენც გესმათ ჭეშმარიტების სიტყვა, თქვენი ხსნის სახარება, რომელთაც ირწმუნეთ და აღიბეჭდეთ აღთქმული წმიდა სულით“ (ეფეს. I, 13).

სასწაულებით: „ასე დაუდო დასაბამი იესომ სასწაულებს გალილეის კანაში, და გამოავლინა დიდება თვისი. და იჴამეს იგი მისმა მოწაფეებმა“. „და როდესაც (იესო ქრისტე) იერუსალიმში იყო, პასექის დღესასწაულზე, მრავალმა ირწმუნა მისი სახელი, ვინაიდან ხედავდნენ სასწაულებს, რომლებსაც ახდენდა იგი (იოანე II, 11,23).

სმენით: ამრიგად რწმენა სმენისაგან, ხოლო სმენა ღმრთის სიტყვისაგან“ (რომ. X, 17), - „ხოლო მრავალმა, ვინც ისმინა მათი სიტყვა, ირწმუნა და იყო რიცხვი მორწმუნეთა ხუთი ათასამდე (საქმე IV, 4).

ქედმაღლობა წინ ეღობება რწმენას: „როგორ შეგიძლიათ ირწმუნოთ, თუკი ერთმანეთისაგან იღებთ დიდებას, ხოლო დიდებას, რომელიც ერთი ღმერთისგან არის არ ექებთ? (იოანე, V, 44).

შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი :

1.- აქ მიზანშეწონილი იქნება ჩვენება იმისა, თუ რას ეწოდება რწმენის დოგმატი. საეკლესიო ენაზე დოგმატი მკაცრი გაგებით ეწოდება მხოლოდ რწმენის ჭეშმარიტებებს, ყველა სხვა ქრისტიანული, ზნეობრივი, საწესჩვეულებო და კანონიკური ქმედების ჭეშმარიტებებისგან განსხვავებით. ეს მსოფლიო საეკლესიო კრებების მაგალითზეც ჩანს. ამ კრებებზე დოგმატებად იწოდებოდა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი სჯულდება. ყველა სხვა დადგენილებას კანონებს ან წესებს უწოდებდნენ (იხ. რჯულის კანონი ან წესთა წიგნი).

მართლმადიდებლური ეკლესია დასაბამიდან განიკვეთავდა და ცხონებისაგან განუტევებდა ადამიანებს, რომლებიც ბედავდნენ მისი დოგმატების უარყოფას ან დამახინჯებას. მეექვსე მსოფლიო საეკლესიო

კრების მამები ამბობენ: „თუ ვინმე არ იცავს და არ იღებს ღმრთისმსახურების დოგმატებს, თუ ასე კი არ აზროვნებს და ქადაგებს, არამედ ბედავს და მათ წინააღმდეგ მიდის, შეჩვენებულ იყოს, წმიდა და ნეტარი მამების ადრე დადგენილი განსაზღვრების მიხედვით, ქრისტიანული წოდებისაგან მოიკვეთოს და განტევებულ იქნეს, როგორც უცხო. ვინაიდან ჩვენ, იმის შესაბამისად, რაც ადრევე სრულყოფილად განისაზღვრა, გადავწყვიტეთ, არც მივუმატოთ რამე, არც დავაკლოთ და სხვაგვარად არც ძალგვიძღა“ (წესი I).

დოგმატსა და მცნებას შორის განსხვავების ახსნისას მოსკოვის მიტროპოლიტი, განმანათლებელი ფილარეტი წერს: „საეკლესიო მასწავლებლები განასხვავებენ მხსნელი მოძღვრების ორ სახეს: დოგმატებსა და მცნებებს. დოგმატი არის ღმრთის მიერ გაცხადებული ჭეშმარიტება, რომელიც უნდა ვირწმუნოთ საცხონებლად. მცნება არის ღმრთის მიერ ნაბრძანები ან დადგენილი წესი, რომელიც უნდა აღვასრულოთ საცხონებლად. სწორედ ეს შემადგენლობა მოძღვრებისა წარმოადგენს ზეციურ ფაქორულ ქადაგებას“ (მოსკ. მიტრ. ფილარ. სიტყვები და გამოხვლ. 1848 წ. გამ., I, 72).

2.- აქ წეს-ჩვეულებებსა და რწმენის დოგმატს შორის განსხვავებაზეც უნდა ითქვას. რწმენის დოგმატს საეკლესიო მასწავლებლები სიცოცხლის ამსგავსებენ, საეკლესიო წესებს კი საკვებს აღარებენ და ასე მსჯელობენ: საკვების გარეშე ადამიანს შეუძლია ერთხანს ცხოვრება, სიცოცხლის გარეშე კი საკვები უსარგებლოა და არავის სჭირდება (იხ. მათე კანონელი წესების წინასიტყვაობაში). საკვები სხვადასხვაგვარია. არსებითი კი მისი მაწიერებაა. წესებში სახე კი არ ჩანს, არამედ უბირატესად აზრი და მიზანი. სახე ხანდახან იცვლება კიდ დეც. წმ. ბასილი დიდი ამის გამო წერს: „წესები სახეს კი არ აჩვენებს, არამედ ნებას“. რიტუალები არ ჰგავს არც სიცოცხლესა და არც საკვებს. იქნებ, ვინმემ ისინი საკვების მოსამზადებელ ჭურჭელს მიამსგავსოს. ისინი, ჭურჭელივით, სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარი იყო. ისეც ხდებოდა, რომ რიტუალები ერთ და იმავე დროს, სხვადასხვა ადგილას, საჭიროებისამებრ ხან მცირდებოდა, ხან იზრდებოდა, ხან დავიწყებას მიეცემოდა და ხან სხვა წესებს უთმობდა ადგილს, როგორც ამას მოწმობს ლავდიკის საეკლესიო კრების მეთერთმეტე და მეცხრამეტე წესები. თვით წმიდა ტროიდები და ოქტოიქებიც ამის დასტურია, რადგან უკვე შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგაა შედგენილი. ნახეთ „წიგნი რწმენის შესახებ“, წიგნი მეთექვსმეტე და ნიკონ ჩერნიგოროელის ტაქიკონის მცირე წიგნების პირველი თავი. ნახეთ, როგორაა იქ აღწერილი რიტუალები და შეესაბამება თუ არა დღევანდელი ეკლესიის წეს-ჩვეულებებსა თუ პატრიარქი იოსების დროს არსებულ რიტუალებს. **ჭეშმარიტების მსურველმა, წმ.ეკლესიისთან ერთიანობა რომ არ დაარღვიოს, ჭერ ის უნდა იცოდეს, რა არის რწმენის დოგმატი, რა არის წესი, რა არის წესის სახე ან ნება, რა არის რიტუალი ან**

წესჩვეულება. რწმენის დოგმატები ხელშეუხებელია განმანათლებლებისათვისაც, ანგელოზებისთვისაც, წესები კი განმანათლებლებს აბარია, რათა მის მიხედვით მართონ ღმრთის ეკლესია. და თუ შემთხვევითი დარღვევით ან უტულისყურობით რამე არ სრულდება, უტულისყურობის საყვედურობენ, მაგრამ მართლმადიდებლობისგან არ მოკვეთავენ. როგორც ზემოთ ნახსენები ლავდიკის კრების მე-II და მე-19 წესები გვაუწყებს, საეკლესიო კრებებზე მსჯელობის შემდეგ რიტუალები შეიძლება გაუქმდეს კიდევ, შეიძლება რამე დაემატოს. და თუ ვინმე არ იცის, რა არის მართლწმენის დოგმატი, რა არის წესი, რა არის რიტუალი და მხოლოდ რიტუალით მოინდომებს ჭეშმარიტი ეკლესიის შეცნობას, ასეთ კაცზე შეიძლება ითქვას, რომ იგი ბრმაა გონების თვლით და ვერ გაუგია, რა არის სიცოცხლე, რა არის სიცოცხლის შენარჩუნება და რა არის სამკაული. ასეთს შეუძლია დროებითისა და წარმავლისათვის უარყოს თვით არსებითი, დროებითის დევნასა და ძიებაში შესცოდოს და მოიკლოს მარადიული (არქიმ. პავლეს თხზ. კრებულიდან, გამ. 3, ნაწ. I, გვ. 383-5).

3. არ შეიძლება ცხონება მხოლოდ იესო ქრისტეს რწმენით, კეთილ საქმეთა გარეშე. პროტესტანტები გვასწავლიან, რომ ადამიანს მხოლოდ ქრისტეს რწმენით, კეთილ საქმეთა გარეშე შეუძლია ღვთის წინაშე გამართლება და ცხონება. მართლმადიდებელი ეკლესია კი წმ.წერილის საფუძველზე ამტკიცებს, რომ ადამიანს გასამართლებლად და საცხონებლად, რწმენასთან ერთად უოვლად აუცილებელია კეთილ საქმეთა ქმნა, რომელთა გარეშე მხოლოდ რწმენა ვერ გაამართლებს და აცხონებს ადამიანს. მთელი წმ. სახარება ადასტურებს ამას. მაცხოვარი გვასწავლის (მათე, VII, 21): „არა ყველა, ვინც მეტყვის მე: უფალო, უფალო! შევა ცათა სასუფეველში, არამედ ის, ვინც აღასრულებს მამის ჩემის ზეციერის ნებას. შედით სასუფეველში ვიწრო ბჭით, ე.ი. შრომითა და გამტარებით (მარკ. VIII, 34): „ვისაც სურს მე მომსდლოს, განუდგეს თავის თავს, აილოს ჯვარი და გამოწყვეს მე“. ე.ი. ვისაც სურს იესო ქრისტეს მიმდევრობა, დიდი მოთმინებით უნდა მიბაძოს მის დეაწლმოსილ ცხოვრებას ამქვეყნად (მათე, XIX, 16-18): ერთი ახალგაზრდა ებრაელის კითხვაზე - რა ვქნა, რომ საუკუნო სიცოცხლე მოვიპოვო, - უფალმა უპასუხა, რომ უნდა იღვაწოს, დაიცვას ღმრთის მცნებები: „დაიცავი მცნებანი“ (მათე, XXV, 14-30): იგავში დარიგებული ტალანტების შესახებ უფალმა ნათლად განაცხადა, რომ ის აჯილდოვებს არა მხოლოდ რწმენისათვის, არამედ შრომისა და კეთილი საქმეებისათვის. მკონარა მონას რწმენის გარეშე არ მიუღია ტალანტი, მაგრამ იმისთვის, რომ თავი არ შეიწუხა და საქმისათვის არ მოიხმარა ტალანტი, დაისაჯა. იმათ კი, ვინც რწმენით მიიღეს ორი ტალანტი და ხუთი ტალანტი, შრომისა და ამ ტალანტებით მოგებისათვის დიდი ჯილდო მიიღეს. ამასვე ადასტურებენ მოციქულებიც. მაგ. მოც. იაკობი გვასწავლის, რომ კეთილი საქმეებით სრულყოფილი ხდება თვით რწმენა: აბრაამი, მამა ჩვენი

განა საქმეებით არ გამართლდა? „რწმენა შეეწია მის საქმეს და საქმით მიადწია რწმენამ სრულქმნილებას“ (იაკ. II, 22). „ხომ ხედავ, რომ კაცი საქმით მართლდება და არა მხოლოდ რწმენით“ (იაკ. II, 24). წმ. მოც. პავლეს გვასწავლის: (რომ. II, 13): „იგი მათი საქმისამებრ მიაგებს ყველას“, „იმითომ, რომ რჯულის მსმენელი კი არ არიან მართლნი ღმრთის წინაშე, არამედ რჯულის აღმსარებელი გამართლდებიან“, (I კორინთ, III, 8): „თვითთული თავისი შრომისამებრ მიიღებს საზღაურს თვისას“.

ახლა განვიხილოთ რაზე ამყარებენ პროტესტანტები თავიანთ ცრუ მოძღვრებას, როცა ამბობენ, რომ ადამიანი გამართლდება მხოლოდ რწმენით, კეთილ საქმეთა გარეშე და რომ თითქოს ადამიანი ვერ აამებს ღმერთს კეთილი საქმეებით.

ლუთერანები, რაც ძალი და ღონე აქვთ, ცდილობენ, თავიანთი მოძღვრება წმ.წერილზე დაამყარონ და თავისებურად ამახინჯებენ მის აზრს. მაგ. ისინი მიუთითებენ: - ა) მოც. პავლეს ეპისტოლეზე ებრაელთა მიმართ: „რწმენის გარეშე შეუძლებელია სათნო ყოფა“ - (ებრ. XI, 6): მაგრამ ხმას არ იღებენ იმაზე, რომ აქვე აღნიშნულმა წმინდანებმა მხოლოდ რწმენით კი არა, კეთილი საქმეებითაც აამეს ღმერთს; ასე: ნოემ, ღვთის ნების აღსასრულებლად, იშრომა, კილობანი გააკეთა, ურწმუნო თანამედროვეთა დაცინვის მიუხედავად და ამით აამა ღმერთს; - აბრაამი ღვთის ნებას დაემორჩილა, სამშობლო მიატოვა, საკუთარი შვილი მსხვერპლად შესაწირად გაიმეტა, ამით აამა ღმერთს და „ღმრთის მეგობრად იწოდა იგი“ (იაკ. II, 23). მოსემ, ღვთის მორჩილებით, ბევრი იშრომა და ითმინა, ორმოცი წელი ხელმძღვანელობდა მეამბოხე ებრაელ ხალხს და ამით ისე აამა ღმერთს, რომ თვით ღმერთმა უთხრა: „მადლი გაქვს ნაპოვნი ჩემს თვალში“ (გამ. XXXIII, 17). ძველი აღთქმის ყველა წმინდანი ითმინა ამქვეყნად ღმრთისათვის, აამა ღმერთს და მიიღო საუკუნო ნეტარება. შემდეგ პროტესტანტები მიუთითებენ მოც.პავლეს სიტყვებს რომაელთა მიმართ (II, 28): „ვამტკიცებთ, რომ რწმენით მართლდება კაცი, რჯულის საქმეთა მიუხედავად“. მაგრამ აქვე ირკვევა, რომ მოციქულს საჭიროდ არ მიაჩნია ქრისტეს მორწმუნესათვის სარიტუალო კანონი. ამაზე იგი ამბობს: აბრაამს სიმართლედ შეერაცხა რწმენა. როდის შეერაცხა? წინადაცვეთილობამდე თუ წინადაცვეთის შემდეგ? არა წინადაცვეთილობაში, არამედ წინადაუცვეთელს“. (რომ. IV, 9, 10). სახარებისეული კანონის აღსრულებაზე იგი ამბობს (VII, 6): „აწ რჯულისათვის მკვდარნი, რომლითაც შეკრულნი ვიყავით, გავთავისუფლდით მისგან, რათა ემონებდეთ ღმერთს სულის სიახლით და არა ასოს სიძველით“. ამიტომ შემდგომ გვასწავლის ამ სახარებისეული კანონის აღსრულებას (XII, 1): „გემუდარებით, მშანო, ღმრთის მოწყალებით, ცოცხალი, წმიდა, კეთილსასურველ მსხვერპლად უძღვევით თქვენი სხეულნი ღმერთს“ - 9: „განეშორეთ ბოროტს, მიეახლეთ კეთილს“ - II:

„გულმოდგინება ნუ დაგზარდებათ; სულით მდუღარენი იყავით; ჰმონებდეთ უფალს“ და ა.შ.

გ) პროტესტანტები მიუთითებენ მოციქულთა სიტყვებს გალატელთა მიმართ (II,16): „რჯულის საქმეთაგან როდი გამართლდება კაცი, არამედ იესო ქრისტეს რწმენით“. მაგრამ აქაც წმ.მოციქული იმას კი არ ამბობს, რომ კეთილი საქმენი საჭირო არ იყოს ადამიანის გასამართლებლად და საცხონებლად, არამედ ამბობს, რომ ჯერ ერთი, სულიწმიდის მადლისა და ქრისტეს რწმენის გარეშე ვერაფერს გამართლდება ღვთის წინაშე მხოლოდ საკუთარი, პირადი ძალისხმევით და ქველი საქმეებით; მეორე - ქრისტეს მორწმუნესთვის უსარგებლოა მოსეს სარიტუალო კანონის აღსრულება, ამიტომ ეს არ არის საჭირო. აუცილებელია სახარებისეული კანონის აღსრულება (V,6): „ქრისტე იესოში არც წინადაცვეთილობასა აქვს რამე ძალა და არც წინადაუცვეთელობას, არამედ რწმენას, სიყვარულით მოქმედს (18): „ხოლო თუ სულისამებრ იქცევით, არა ხართ რჯულის ქვეშ“ (24): „ხოლო მათ, რომელნიც არიან ქრისტესნი, ჯვარს აცვეს ხორცი მისი სურვილებითა და ვნებებით“; (VI, 2): „ერთმანეთის ტვირთი იტვირთეთ და ისე აღასრულეთ ქრისტეს რჯული“.

დ) გარდა ამისა, ლუთერანები მიუთითებენ მოციქულის სიტყვებზე რომაელთა მიმართ (III, 24): „ყველა უსასყიდლოდ გამართლდება მისი მადლითა და გამოსყიდვით იესო ქრისტეს მიერ“ და ეფესელთა მიმართ (II, 8,9): „მადლით ხართ გამოხსნილნი რწმენის წყალობით, და ეს თქვენგან კი არა რის, არამედ ნიჭია ღმრთისა: არა საქმეთაგან, რათა არაფერს იქადოდეს“. ამ სიტყვებით წმ. მოციქული საცხონებელ კეთილ საქმეებს როდი უარყოფს; იგი მხოლოდ არაკვევს ადამიანის ცხონების წესს- სახელდობრ, როგორ ეძლევა ცხონება ადამიანს, როგორ უნდა მიიღოს იგი და იცოდეს, რომ თხოვნა, გამართლება, უცოდველობა და საუკუნო ნეტარება ადამიანისათვის განმზადებულია უსასყიდლოდ, და არა მისი დამსახურებებისათვის; მხოლოდ ღვთის მადლით ან წყალობით. მაგრამ ადამიანი,

თავის მხრივ, მოვალეა ღვთის ეს ნაბოძარი მიიღოს და შეითვისოს გულითადი რწმენითა და კეთილი საქმეებით. ამიტომ არ უნდა იტრაბახოს, თითქოს თვითონ იძენს საკუთარ ცხონებას. არა, იგი მხოლოდ მზამზარეულს იღებს ღვთის წყალობით. და ვინაიდან მორწმუნენი შექმნილნი არიან იესო ქრისტეში კეთილ საქმეთათვის, „რომელნიც წინასწარ დაუწესა ღმერთმა, რათა მათში ვიარებოდეთ“ (ეფეს. II,II), მათ ევალებათ იშრომონ და ეცადონ, ქრისტიანული სათნოებანი ქმნან, რათა ასე გადაუხადონ ღმერთს მადლობა მათთვის ნაბოძები ცხონების მადლისათვის; რათა განამრავლონ საკუთარ თავში ეს მადლი საკუთარი რწმენისა და ქრისტიანული საქმეების გაძლიერებით; რათა ამგვარად დაიმსახურონ ღვთის მამებლობა და მიიღონ მადლი ღმერთისგან დიდი საზღაური, დიდი ჯილდო. ამგვარ მამებლებს უცხადებს უფალი სახარებაში: „გიხაროდეთ და ილხენდეთ, ვინაიდან დიდია თქვენი საზღაური ცაში“ (მათე, V, 12). წმ.პავლემ საკუთარ თავზე თქვა: „კეთილი ღვაწლი მომიღვაწიეს, სარბიელი გამოღევია, რწმენა შემიწახავს. ამიერიდან მომელის მე სიმართლის გვირგვინი, რომელსაც მომცემს მე უფალი, მართლად გამკითხე, იმ დღეს, და არა მარტო მე, არამედ ყველას, ვინც შეიყვარა გამოჩინება მისი“. (2 ტიმ. IV, 7,8). და კიდევ მოციქულმა თქვა ქრისტიან მოღვაწეთა ჯილდოზე: „რაც არ უხილავს თვალს, არ სმენია ყურს, და არ გაუვლია კაცს გულში, და რაც ღმერთმა განუშადა თავის მოყვარეთ“ (I კორ. II,9). როგორ გამოეთქმელად მოწყალეა ღმერთი ჩვენს მიმართ, ცოდვილ ადამიანთა მიმართ! ყოვლად სახიერმა ღმერთმა ჩვენ, ჯერ კიდევ ცოდვილთ (რომ. V,8) ხსნა და საუკუნო ცხონება გვიბოძა თავისი ტანჯვითა და ჯვარზე სიკვდილით. ამას არ კმარობს და მოწყალედ გვითვლის განსაკუთრებულ დამსახურებად იმას, რომ ჩვენ, რწმენითა და კეთილი საქმეებით, ვითვისებთ ღვთის ამ ნაბოძარს და ვამრავლებთ ღვთისმოსაობით - გარდა ამისა, მოწყალედ გვიახლოებს, როგორც თავის მამებლებს და დიდი ჯილდოების ღირსად გვხდის.

თარგმანი უნა ზმრანადიზვილმა



წმინდამკობელსა და კლავაუმეოსილსა გიორგის
უპყვირავთ ქებასა, ვითარცა უუამდგომელსა
ჩვენსა და მსჯრავვლუმეფესა; ხოლო უენ, წმიდაო
გიორგი, როჲელსა გაქვს კადნიერება წინაჲ
უფლისა, ყოველთაბან ვნებათა განგვათავისუფ-
ლენ ჩვენ, რათა გიგალობდეთ: გისაროდენ,
კლავაუმეოსილო, დიდო მოწამეო გიორგი.

«საგალობლო მას მენნიერებო»

წერილი მეორე

უამისწირვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საგალობელია „რომელნი ქერაბინთა“. 1899 წლის კონდაკის გამოცემაში მისი ტექსტი ასეა წარმოდგენილი: „რომელნი ხერუვიმთა საიდუმლოდ ვემსგავსენით, და ცხოველსმყოფელისა სამებისა სამ-წმიდა-არსობისა გალობასა შეესწირავთ, ყოველივე მსოფლიო დაუტევით ზრუნვად და ვითარცა მეუფისა ყოველთასა შემწყნარებელსა ანგელოსთაებრ უხილავად ძღვნის შემწირველთა წესთასა, ალილუია, ალილუია, ალილუია“ (გვ. 148-149. შდრ. ზ.ფალიაშვილის კრებ., გვ. 21-24).

ეს ტექსტი რომ გამართვას საჭიროებს, საკმაოდ მწვავედ იყო მითითებული ჯერ კიდევ 1912 წელს, საღმრთისმსახურო წიგნთა შემასწორებელი კომისიის მიერ:

„... ბევრი ადგილი მეტად ბუნდოვანად და გაუგებრად არის გადმოთარგმნილი, და მათი შესწორება და გამართვა აუცილებლად საჭიროა. აბა გვიბრძანონ... რის გამოა ლაპარაკი და რა აზრია „ქერუბიმთა“ გიმნის მეორე ნახევარში, რომელსაც „მოსწავლე ბავშვები საეკლესიო სკოლებში“ ახლაც ადღუღებენ“, სამწუხაროდ არა „ანგელოზის ხმაზე“, არამედ თუთიყუშისაზე, — სახელდობრ — „და ვითარცა მეუფისა ყოველთასა, შემწყნარებელსა ანგელოსთაებრ უხილავად, ძღვნის შემწირველთა, წესთასა, ალილუია?“ ნუთუ ასეთი მ ა რ გ ა ლ ი ტ ი ც უღვიძებს ბ.პროფესორს ჩაფერფლილს პატრიოტულ სიამაყეს“ და ვალდებულად ხდის თავგამოდებით დაიცვას იგი?“ (კ.კეკელიძე, ეტიუდები, XIII, 1974, 155-156).

„და ვითარცა“-ს ტექსტი, მართლაც, ძალიან გაუშართავია და გარკვეული აზრის გამოტანა ჭირს. კორნელი კეკელიძემ და კალისტრატე ცინცაძემ 1908 წელს გამოცემულ „სამღვდელთმთავრო კონდაკში“ შეიტანეს „და ვითარცა“-ს დაზუსტებული (თანამედროვე ბერძნულ-სლავურ საგალობელთან შეჯერებული) ტექსტი: „რადთა შევიწყნაროთ მეუფე ყოველთა, ანგელოზთა წესთა შორის, ლახვარმოსილთა, უხილავად მომავალი, ალილუია“.

გვიჭრობთ, ასეთი რედაქცია საკმაოდ კარგად ასახავს ბერძნულ ტექსტს:
 Ἦς τὸν βασιλέα τῶν ἁλῶν ὑποδεξόμενοι, τὰς ἀγγελικὰς ἰορὰτας
 δορυφορούμενον τὰ φέσειν. Ἄλληλουϊα.

იგივე ითქმის სლავურ თარგმანზედაც: Яко да Царя всех подвелем, ангеликѣмъ иже сѣмъ
 доушесѣмъ. Аллелуѣя (Умбоник архиепископ вѣщекнигоукаеиѣ, М., 1907, 34 об.).

როგორ უნდა გავიგოთ ეს საგალობელი? პირველ ნაწილში გვაქვს მოწოდება: „ყოველივე მსოფლიო დაუტევით ზრუნვად“. იგი გვეხება ყველას, რომელნიც „ქერუბინთა საიდუმლოდ ვემსგავსებით“ და „ცხოველსმყოფელისა სამებისა(დმი) სამ-წმიდა-არსობისა გალობასა შეესწირავთ“.

საგალობლის მეორე ნაწილში გრძელდება პირველში დაწყებული აზრი: „რათა შევიწყნაროთ მეუფე ყოველთა“... მაშასადამე, ყოველივე ამქვეყნიური ზრუნვა უნდა დავტოვოთ, რათა ღირსეულად შევიწყნაროთ (მივილოთ) ყოველთა მეუფე — ქრისტე. აქ სახელდობრ ქრისტეს „შეწყნარებაზე“ ანუ მიღებაზეა ლაპარაკი, შესაძლოა იმიტომ, რომ ამ გალობის შემდეგ ხდება ქრისტეს სახელზე ნაკვეთი პურის — „ტარიგის“ — მიღება, — სამკვეთლოდან აღსაულის კართ საკურთხეველში საღმრთო ძღვნის შემოსვენება (ბარძიმ-ფეშხუმი). უამისწირვის ეს მომენტი, შესაბამისად, „დიდი შესვლის“ სახელითაა ცნობილი.

არსებობს „შეწყნარების“ სხვაგვარი გაგებაც, რომელსაც პროფ. ნიკოლოზ უსპენსკი გეთავაზობს (თავის თვალსაზრისს იგი „შეწყნარების“ ბერძნ. შესატყვისის — ὑποδεξιμα -ის თავისებურ გაგებაზე ამყარებს): ὑποδεξιμα —ს მართებული თარგმნისას ნათელი ხდება საგალობლის ღრმა აზრი, რომელშიც ასახულია არა მარტო საღმრთო მსხვერპლის (ძღვნის) ტრაპეზზე გადასვენების რიტუალი, არამედ მთელი ექვთიმეისტიული მღვდელმთქმედება ანაფორიდან დაწყებული და წმიდა საიდუმლოს ზიარებით დამთავრებული („ანაფორა“ ლიტურგიკული ტერმინია და ექვთიმეისტიული კანონის შესატყვისად იხმარება. შინაარსობრივად იგი „შესაწირავს“, „აღსაულებს“ გამოხატავს და მომდინარეობს გამოთქმიდან: „მოხედენ წმიდასა ამას შესაწირავსა“... πρὸς τὸν ἄγιον Ἀναφορᾶν

— ე.კ.) ქერუბინთა საგალობელი გავსწავლის, რომ ევქარისტის შემსრულებელთ, მიატოვეს რა ყოველივე ამქვეყნიური საზრუნავი, მოემზადნენ უფლის წმიდა ზიარების მისაღებად, იმ საიდუმლო სერობისათვის, რომლის შესახებაც უფალმა იესუ ქრისტემ იოვანე ღმრთისმეტყველის პირით გვითხრა: „აჰა ესერა, ვდგა კარსა ზედა და ვრეკ. უკუეთუ ვინმე ისმინოს წმისა ჩემისა, და განალოს კარი, შევიდეთ მის თანა, და ვკაპო მის თანა სერი და მან — ჩემ თანა“ [გამოცხადება 3,20] (Н. Д. Успенский, Византийская Литургия, Богословские труды, сб. 23, М., 1982, 28).

როგორი აზრითაც არ უნდა იყოს „შეწყნარება“ ნაგულისხმევი ქერუბინთა საგალობელში, მისი დედაარსი მაინც ისაა, რომ ყოველივე ამქვეყნიური („მსოფლიო“) ზრუნვა დაეტოვოთ, „რათა შევიწყნაროთ მეუფე ყოველთა“. საგალობლის დაბოლოებაში მითითებულია, თუ ვინაა ეს მეუფე: „ანგელოზთა წესთა შორის, ლახვარმოსილთა, უხილავად მომავალი“.

რატომ არიან ანგელოზები „ლახვარმოსილნი“? გავრცელებული აზრით, აქ ქრისტე შედარებულია ამქვეყნიურ მეფეებთან, რომელთაც მუდამ თან ახლავთ შეიარაღებული მცველი. სლავური **дориносимый** კომპოზიტია, რომლის პირველი ნაწილი ბერძნულიდანაა აღებული (**δору** - „მახვილი“), მეორე კი (**носимый**) — სლავურია. **δоруφορεω**-ს განმარტავენ ასე: „**быть копьеносцем, телохранителем, в качестве телохранителя сопровождать или охранять кого-либо** (А. Д. Вейсман, Греческо-русский словарь, СПб, 1894, col. 342). იგვითქმის **дориносити** — შესახებაც: „**сопровождать кого-либо в качестве стражи, свиты** (Настольная книга священнослужителя, т. 4, М., 1983, 620).

ნ.ჩუბინაშვილი ქერუბინთა გალობის მიხედვით **дориносимый**-ს „ძღუნის შემწირველად“ თარგმნის, **дориношение** -ს კი — „ძღუნის შეწირუა“-დ, მაგრამ იქვე დასძენს: „გარან **Дори** ბერძნულად ეწოდების შუბსა, მაშა ლექსი ესე ჰნიშნავს გაძლოლასა შუბოსანთა მხედართა მიერ“ (ნ.ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, I, აღ. ღლონტის რედ., 1971, 269).

რატომაა „რომელნი ქერუბინთა“-ს გალობაში ქრისტე ლახვარმოსილ ანგელოზთა ესკორტის თანხლებით წარმოდგენილი? საბრძოლველად ხომ არ მიდის, ან საშიშროება ხომ არაფერი ემუქრება, მცველები (**телохранители**) რომ ახლავს?

ქრისტე უნდა შემოვიდეს ჩვენთან, ჩვენ კი უნდა „შევიწყნაროთ“ ანუ მივიღოთ. თანაც ამ მიღებისათვის ისე ვემზადდებით, რომ „ყოველივე მსოფლიო ზრუნვა“ უნდა მივატოვოთ. რა საჭიროა ამ დროს ლახვარმოსილ ანგელოზთა დაცვის თანხლება?

ამ საკითხის გასარკვევად ნ.უსპენსკი ქერუბინთა ჰიმნის ბოლო ფრაზის („**Ангельскими невидимо дориносима чинми**) შემდეგნაირ ინტერპრეტაციას გვთავაზობს:

„**Доруφορος** — რთული სიტყვაა და შედგება ორი ნაწილისაგან: **δору** — ლახვრის (შუბის) ტარი და **φορεω** — ტარება (რაიმე იარაღის ან ტანსაცმლის ტარება; შემოსვა). შეესაბამება რუსულ **копьеносец** -ს (და ქართულ „ლახვარმოსილ“, ე.კ.). ისმის კითხვა: როგორ მოხვდა სამხედრო მნიშვნელობის ეს ტერმინი ქერუბინთა საგალობელში; და არა მარტო აქ, არამედ პირველშეწირულის წირვის საგალობელში: „**Ныне Силы небесныя** — „აწ ძალნი ცათანი“... („**Се жертва тайная совершена дориносится**“). ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერში №11 (ეპისკოპოს ბორფორის კოლექცია) არაერთგზის მოიხსენებიან ანგელოზები და მთავარანგელოზები, ქერაბინნი და სერაბინნი, მსახურნი ღმრთისანი და სერაბინთა საგალობლის მგალობელნი, მაგრამ არც ერთხელ არ გვხვდება სიტყვები: „**дориносима**“ ან „**дориносится**“. სვიმეონ თესალონიკელის ტრაქტატში — **περι της ιερας λειτουργιας** —

აის ტერმინი **δоруφορια**. დიდი შესვლის განმარტებისას იგი წერს: „... ამიტომ, კათაქმეველთა გამოსვლის შემდეგ სრულდება მეორე (დიდი) შესვლა, რომელიც მოასწავებს იესუ ქრისტეს დიდებით მეორედ მოსვლას (ზეციდან). აი, რატომ სრულდება იგი დიდი ზეიმით, — **μετα δоруφοριας αυτη χυνηται πλειστως**, — უფლის დიდების იმ ბრწყინვალეების გამო, რომლითაც იგი მეორედ მოვა“ (Н. Д. Успенский, Цит. труд, стр. 28).

ვფიქრობთ, არც სვიმონ თესალონიკელის მიერაა საკმაოდ მოტივირებული დიდი შესვლის თავისებური სახისმეტყველებითი მნიშვნელობით გააზრება, და არც პროფ. ნ.უსპენსკის მიერ - უფლის დიდებისა და ბრწყინვალეების ატრიბუტად მაინცდამაინც ანგელოზთა „ლახვარმოსილები“ მიჩნევა. დიდი შესვლა ქრისტეს მეორედ მოსვლის სახედაა გამოცხადებული მხოლოდ იმ ნიშნით, რომ იგი მეორე შესვლაა (პირველ შესვლად „მცირე შესვლა“ იგულისხმება). სხვა რასმე ნიშანდობლივს სვიმონ თესალონიკელი არ ასახელებს, ხოლო ჟამისწირვის ტექსტის სათანადო ადგილი არავითარ საფუძველს არ გვაძლევს ასეთი სახისმეტყველური გააზრების უეჭველობისათვის. ამასთან, პირველშეწირულის წირვის „სიწმიდისაგ“ სხვაგვარი დასკვნის საფუძველს იძლევა (ამის შესახებ იხ. ქვემოთ). რაც შეეხება ანგელოზთა ლახვარმოსილების „ბრწყინვალეობას“, იგი ლოგიკურ კავშირში არაა საგალობლის დასაწყისთან; იქ ქერაბინნი წარმოდგენილნი არიან არა „ლახვარმოსილად“, არამედ ყოველადწმიდა სამებისადმი „სამ-

წმიდა-არსობის გალობის მაგალობებზე. ჩვენ, ამ ქებაზეთან მიმსგავსებულებმა (იმ ნიშნით, რომ ჩვენც ვგალობთ „სამ-წმიდა-არსობის“ გალობას), უნდა დავტოვოთ ყოველივე ამქვეყნიური ზრუნვა და შევიწყნაროთ მომავალი უფალი. და ამ დროს ანგელოზთა „ლახერებს“ საზეიმო განწყობა კი არა, დისონანსი შემოაქვთ ხმატბილი გალობისა და ყოველივე მსოფლიო ზრუნვის „დატყვების“ ფონზე.

როგორც ნ.უსპენსკის შემდგომი მსჯელობით ირკვევა, „ლახერების“ შესახებ გამომუშავებული მისი შეხედულება ემყარება არა რაიმე ფაქტებს, არამედ ლიტურგიის ზოგიერთი სპეციალისტის მოსაზრებებს:

„В науке существует мнение, что терминологии военного значения *Дорифоропренон* и *дорифрестай* вошли в херувимской песни в Константинополе из церемониала участия императора в великом входе. Император шел впереди процессии, неся в правой руке крест и в левой посох, его сопровождали в двух сторон варяги, несущие секиры на древках, и около сотни вооруженных копьями молодых дворян. Возможно, что в силу того обстоятельства, что в церемониальном шествии императора участвовали военные до варягов, то есть до имперских телохранителей из иностранных наместников, включительно, могло легко произойти смешение терминов *дорифориа* и *дорифорос*“ (Н.Успенский, Цит. труда, стр. 29).

ამ ავტორი ეყრდნობა E. Freshfield-ის შრომას (ლიტერატურა დასახელებული აქვს გვ. 56-ზე). შემდეგ იგი აგრძელებს:

„Смешение в свою очередь могло вызвать у славян слово, в котором первая половина осталась греческой, а вторая — славянской. Так получилось в Херувимской „Дориносима“, а в „Ныне Силы небесная“ — „Дориносится“ (იქვე).

როგორც ვხედავთ, ქებაზეთან საგალობელში „ლახერების“ გაჩენა სურთ ახსნან კონსტანტინოპოლის ტაძარში არსებული ტრადიციით - დიდ გამოხლაში სამხედროებით გარშემორტყმული მეფის მონაწილეობით.

ფიქრობთ, ასეთი ახსნა ხელოვნურია; რატომ უნდა გაიფიქრებოდა ქებაზეთან უზბოხან მეომრებთან, მაშინ, როდესაც ქებაზეთან საგალობლის პირველი ნახევარი სულ სხვაგვარ სულისკვეთებას ამჟღავნებს.

ჩვენი აზრით, ამ საკითხს ამომწურავ პასუხს გაცემს უძველეს ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში დაცული ტექსტი, რომელშიც საკმაოდ განსხვავებული შინაარსია ჩატკვილი: „რომელი ქებაზეთან საიდუმლოსა ვემსგავსებით, და ცხოველსმყოფელისა სამებისა სამ-გზის წმიდასა გალობასა შენდა შესწირავთ, ყოველივე აწ სოფლისა და დაუტევოთ ზრუნვაჲ, ვითარცა მეუფისა ყოველთაჲსა შემწყნარებელთა, ანგელოზთაებრ უხილავთა ძლენისა შემწირველთა წესისა, აღელუა“ (უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს ელ. მეტრეველმა, ც. კანკივმა და ლ. ხევსურიანმა, 1980, 100. შტრ. К. Кселидзе, Иерусалимский канонарь VII в., Тифлис, 1912, 56 - 59).

როგორც ჩანს, ესაა არქეტიპი აღნიშნული საგალობლის იმ ვარიანტისა, რომელიც დღევანდელ ღმრთისმსახურებაში სრულდება (კონდაკი, 1899, 149). უხილავთა“-ს ნაცვლად ამჟამად ითქმის „უხილავად“, „წესისა“-ს ნაცვლად - „წესთასა“. ეს კი ისედაც ბუნდოვან ტექსტს სრულიად გაუგებარს ხდის.

ფიქრობთ, არც უძველეს იადგარში“ მოცემული ტექსტია ბოლომდე გამართული. საგალობელში „წესის“ დასახელება, როგორც ჩანს, ანგელოზთა წეს-განწყობას მოგვასწავებს. ანგელოზთა წესნი (ე.ი.დასნი, - ქებაზეთს-სერაბინნი, მთავარანგელოზნი და სხვ.) უხილავი ღმრთის მიმართ უხილავად შესწირავენ ძლენსო.

რა ძლენია ანგელოზთა ძლენი?

ესაია წინასწარმეტყველის ხილვა გადმოგვცემს: „ვიხილე უფალი მჯდომარე საყდარსა ზედა მაღალსა და აღმატებულსა, და სავსე იყო სახლი დიდებითა მისითა. და სერაფიმნი დგეს გარემოჲ მისსა, ექუსნი ფრთენი ერთსა, და ექუსნი ფრთენი ერთსა და ორითა უკუე დაიბურვიდეს პირსა, ხოლო ორითა დაიბურვიდეს ფერქთა და ორითა ფრინვიდეს, და ლაღადებდეს მოყვასი მოყვისსა მიმართ და იტყოდეს: წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ! სავსე არს ყოველი ქვეყანა დიდებითა მისითა!“ (ესაია 6,1-3).

„წმიდა არსის“ გალობის შემწირვა („წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ!“) - ესაა ს ი ტ ვ ე რ ი მსხვერპლი, რომელსაც ანგელოზები შესწირავენ ღმერთს. სიტყვიერი მსხვერპლი აღესრულება ღმრთის დროსაც. იოვანი ოქროპირი წერს: „მერმეცა შევწირავთ შენდა სიტყვიერსა ამას და უსისხლოსა მსხვერპლსა“... (კონდაკი, 1899,

165), ასევე ბასილი დიდი ჟამისწირვას „სიტყვიერ მსახურებას“ უწოდებს („... სიტყვიერისა ამის მსახურებისა ჩუენისა“...
ბ. იქვე, გვ. 228).

იოვანე ოქრობირი მადლობას სწირავს უფალს იმისათვის, რომ მან ადამიანებს მიანიჭა მღვდელმსახურებისა და საღმრთო გალობის აღვლენის ღირსება; თუმცა ამ მსახურებას ღმრთის წინაშე წმ.ანგელოზებიც ასრულებენ: „გმადლობთ შენ მსახურებისა ანისთჳს, რომლისა ჳელთაგან ჩუენთა შეწირვაჲ სათნო-ინინე, დალაკათუ გარემო შენსა დგანან ათასეული მთავარ-ანგელოზთანი და ბევრეული ანგელოზთანი, ჳერაბინნი და სერაბინნი, ექუს-ექუს ფრთენი, მრავალთვალოვანნი, აღმპყრობელნი ფრთეთანი, ძლევისა გალობისა მგალობელნი, მჳმოზელნი, მლაღაღებელნი და მეტყველნი“ (კონდაკი, გვ. 161-162).

„ძლევისა გალობა“ ეწოდება ანგელოზთა გალობას, რომელსაც ისინი შესწირავენ ღმერთს („წმიდა არს“...
ბ.კონდაკი, გვ.162; შდრ. ესაია 6,3). ადამიანებიც (მღვდელ-მსახურნი), იოვანე ოქრობირის სიტყვით, ამ „სანატრელთა ძალთა თანა“ ხმობენ და გალობენ: „წმიდა ხარ და ყოვლად-წმიდა შენ და მხოლოდშობილი ძე შენი და სული შენი წმიდაჲ ... (კონდაკი, გვ. 163).

ამრიგად, ღმრთისმსახურება გაგებულია ანგელოზთა და მთავარანგელოზთა, ჳერაბინთა და სერაბინთა მსახურების მიბაძვად. იგივე აზრია გატარებული საგალობელში - „რომელნი ჳერაბინთა“:

„რომელნი ჳერაბინთა საიდუმლოსა ვემსგავსებით“, - ე.ი. მღვდელმსახური და მგალობელი ერი ჳერაბინებს მიემსგავსება. მაგრამ მიემსგავსება რით? იმით, რომ მათ მსგავსად ისინიც გალობას შესწირავენ უფალს. ჳერაბინნი „საიდუმლოდ“ (ე.ი.კაცთათვის უხილავად) შესწირავენ სიტყვიერ გალობას. ამიტომაც ნათქვამი: „რომელნი ჳერაბინთა ს ა ი დ უ მ ლ ო ს ა ვ ე მ ს გ ა ვ ს ე ბ ი თ ა“...

საგალობელი გრძელდება ასე: „... და ცხოველს მყოფელისა სამებისა სამ-გზის წმიდასა გალობასა (var. სამ-წმიდა-არსობისა გალობასა) შეესწირავთ“... ე.ი. ჳერაბინთა მსგავსად მღვდელმსახურიც სამ-გზის გალობენ „წმიდა არსის“ (ანუ „სამ-წმიდა-არსობის“) გალობას: „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბათო“ (ესაია 6,3; კონდ., გვ.162), და ამ გალობას შესწირავენ უფალს.

ამის შემდეგ საგალობელში ნათქვამია: „ყოველივე მსოფლიო დაუტევოთ ზრუნვაჲ“. ამქვეყნიური საზრუნავის დატოვება, გულისა და გონების ღმრთისადმი ამაღლება მღვდელმსახურთა და საერთო სჳირდებათ, „ვითარცა შემწყნარებელთა მეუფისა ყოველთასა, ანგელოზთა წესთაებრ, უხილავისა (მიმართ) ძღვისს შემწირველთა“. აქ მღვდელმსახური კვლავ შედარებულია ანგელოზთა წესთან (ჳერაბინებთან); მღვდელიც, ანგელოზთა წესთაებრ, უხილავის (ღმრთის) მიმართ სიტყვიერ ძ ღ ვ ე ნ ს შ ე ს წ ი რ ა ვ ს.

ასეთია „რომელნი ჳერაბინთა“-ს შინაარსი.

როგორც ცნობილია, ეს საგალობელი სრულდება „სიწმიდის შემოყვანების“ დროს (როგორც აღვნიშნეთ, ამ დროს ხდება სიწმიდის, ანუ ბარძიმ-ფეშხუშუე დასვენებული ძღვისს „შემოყვანება“ სამეუფო კარიდან საკურთხეველში). აღრინდელ ღმრთისმსახურებაში სხვადასხვანაირი გალობა სრულდებოდა „სიწმიდის შემოყვანების“ დროს და ამ გალობის აღსანიშნავად საგანგებო ტერმინიც იყო შემოღებული: „სიწმიდისაჲ“ (К. Кекелидзе, Иерусалим-Книг., 338) ან „სიწმიდის შემოყვანებისაჲ“ ყოველთვის იადგარი, გვ. 27).

სანატრესოა, რომ „სიწმიდის შემოყვანებისაჲ“ ყოველთვის ანგელოზთა გალობას შეეხება და მასთან აკავშირებს ღმრთისმსახურებას. იმისათვის, რათა უფრო ნათელი გახდეს „რომელნი ჳერაბინთა“-ს შინაარსი, სასურველი იქნება გავეცნოთ სხვადასხვა დღესასწაულის „სიწმიდისაჲ“-ს, რომელიც „უძველეს იადგარშია“ მოცემული:

ა) „რადმე შევწიროთ შენდა, ჳრისტე, რამეთუ გამოშნდი ჳორცითა, ვითარცა კაცი, ჩუენ შორის. თითოეულინი, შენგან ჳმნილნი, დაბადებულნი, მადლობით დიდებასა შენდა შესწირვენ: ანგელოზნი - ჳებასა, ცანი - მასკულავსა, ჰოგუნი - ძლეუნსა, მწყემსნი - საკვრველებასა, ხოლო ჩუენ - დედასა და ჳალწულსა. რომელი საუკუნითგან ღმერთ ხარ, შევწყალონ ჩუენ“ (გვ. 22; შდრ. Уер. канонарб, стр. 55).

ბ) „ჳორცი უფლისაჲ, სისხლი მაცხოვრისაჲ. წინა-დგეს ჳეცისა ძალნი, უხილავად გამსახურებენ, ღაღადებენ და იტყუიან ჳმითა დიდებულთა: „წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ, შენ, უფალო“ (გვ.24; შდრ. გვ.459). აქ „ჳორცი უფლისაჲ“ და „სისხლი მაცხოვრისაჲ“ არის საღმრთო ძღვენი, სიწმიდე, რომელიც უნდა „შემოყვანებულ“ იყოს ამ გალობის დროს.

გ) „შენ, ჳრისტე, ნათელი მოიღე იორდანესა ჳელითა მონისა შენისა იოანეღსითა. ანგელოზნი თანა-დგეს სამებასა წმიდასა, შეგამკობდეს ჳებით, გალობასა ამას იტყოდეს: წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ შენ, უფალო“ (გვ. 57).

დ) „ერნი წმიდათანი უხილავად გამსახურებენ, ღაღადებენ და იტყუიან: წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ შენ, უფალო. სავსე არიან ცანი და ჳუეყანაჲ დიდებითა შენითა, მაცხოვრო ჩუენო“ (გვ. 79). აქ „ერნი წმიდათანი“ არიან წმ.ანგელოზები (შდრ. გვ.85: „ერნი ჳეცათანი“... დანარჩენი ტრესტი ემთხვევა წინამდებარეს).

ე) „აწ ძალნი ჳეცათანი ჩუენ თანა უხილავად ჳმსახურებენ, რამეთუ ესერა შემოვალს მეუფწ დიდებისაჲ, ესერა მსხურაბლი საიდუმლოჲ, პირველ შეწირული, განახლდების. სარწმუნოებით და შიშით მოვილოთ, რადთა თანაზიარ ცხორებისა საუკუნოჲსა ვიქმნეთ, ალელუა“ (გვ. 105, შდრ. კონდაკი, 1899, 300). ეს „სიწმიდისაჲ“ აშკარად ადასტურებს, რომ დიდი შესვლა ჳრისტეს მეორედ მოსვლის სახე კი არაა, არამედ საღმრთო საიდუმლოს (საღმრთო ძღვენის)

შესვლას წარმოადგენს. სხეანიად გაუგებარი იქნებოდა ფრაზა: „აჰა ესერა, შემოვიღს მეუფე დიდებისაჲ“. საღმრთო ძღვენი, როგორც ქრისტეს ჰეშმარიტი სისხლი და ხორცი, გაიზრება თვით ქრისტედ, მეუფედ დიდებისა. „სარწმუნოებით და შიშით“ სწორედ ეს წმ. საიდუმლო (წმ. ზიარება) უნდა მივიღოთ (ეს კი ქრისტეს მიღების ანუ შეწყნარების სახეა), რათა „თანაზიარ ცხორებისა საუკუნოჲსა ვიქმნეთ“.

ვ) „კრავი ღმრთისაჲ, რომელმან აიხუნეს ცოდვანი სოფლისანი, დღეს შეიწირვის მსხუერპლად მამისა შეტოდებათათუის ერისათა, განტევებად, რომელნი ბნელსა შინა შეწყდომილ არიან. მოვედით, ერნო, განწმედით - ლითა გულთა ან გელთა გალობასა ვიტყოდეთ: „წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ შენ, უფალო, დიდება შენდა“ (გვ. 189).

ზ) „ანგელოზნი და ძალნი ცათანი და ქუეყანისანი და კაცთა ნათესაენი შესწირვენ შენდა ქებით ვედრებასა. შეიწირე ჩუენი მაღლობით შენდა მიმართ მსხუერპლი და ყოველთა მორწმუნეთა ლოცვაჲ და თაყუანის-ცემაჲ. „დიდებაჲ“ სთქუა და „წმიდა არსი“ (გვ. 225).

ქ) „ანგელოზთა ერნი შენდა დიდებასა შესწირვენ: ალელუჲ! რომელმან აცხოვნენ ძენი კაცთანი, ალელუჲ! და ჩუენ, ქუეყანისანი, ჭსნილნი საცთურისაგან, ვითარცა ერთთა პირითა ვიტყვთ: ალელუჲ! წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ შენ, უფალო, დიდებაჲ“ (გვ. 255, 266, 511).

თ) „საშინელისა და უხილავისა, უხილაეთა შემოქმედისა, უხილაეთა საყდართა ზედა მკდომარისა მეუფისა ყოველთაჲსა მაღიდებელნი დღესასწაულისანი ძღუენსა შენდა შესწირვენ, რომელი უხილავ ხარ ღმრთეებთა და თუალ-შეუდგამ ბრწყინვალეებითა. უხილავსა გამახურებენ მრავალთუალნი ქერობი ნნი და ექუს-ექუს ფრთენი სერაბინნი, დაუცხრომელითა ჳმითა დაუცადებლად დაღადებენ და იტყუიან: „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალო, მეუფეჲ დიდებისაჲ“ (გვ. 313, შდრ. გვ. 383). აქ გვაქვს რამდენიმე გამოთქმა, რომელიც უშუალოდ „რომელნი ქერაბინთას“ ეხმარება: „მეუფისა ყოველთაჲსა“, „უხილავსა გამახურებენ“, „ძღუენსა შესწირვენ“ და სხვ.

ი) „მთავარანგელოზთა და ძალთა ზეცისათა უხარის, რამეთუ ბრწყინვენ წმიდანი შეწირვითა ჳორცთა მათთადათ შენ წინაშე, ქრისტე, და ჩუენ მსხუერპლსა ზეცისასა სანიღუმლოსა ქერობინთა თანა შეგსწირავთ და ვიტყუით: წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ შენ, უფალო, დიდებაჲ შენდა“ (გვ. 327).

კ) „შენ გაქებენ მკედრობანი ანგელოზთანი, შენ გადიდებენ ქერაბინთა ძალნი, შენ უფროჲსად აგამალეებენ სერაბინნი მრავალთუალნი, სამეგობისა წმიდისა გალობასა დაუცხრომელად შესწირვენ: „წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ შენ, ღმერთო ჩუენო“ (გვ. 440).

„საყდართა ქერაბინთა მკდომარესა მსხუერპლსა შეგსწირავთ უხილავისა, და მეუფისა ქებასა ვიკადრებთ უღირსითა ბაგითა, წესთა ზეცისა ანგელოზთა თანა ვღაღადებთ ჳმითა დიდებულთა და ვიტყუით: „წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ შენ, უფალო“ (იქვე). როგორც ვხედავთ, აქაც იმავე ზეციურ „ანგელოზთა წესზეა“ ლაპარაკი, რაზედაც „რომელნი ქერაბინთა“-ში; აქაც მსხვერპლი შეიწირება „უხილავის“ (ე.ი.ღმრთის) მიმართ.

ლ) „საშინელისა და უხილავისა მეუფისა ეკლესიასა შინა ძღუენსა შეგსწირავთ, რომლისაგან ძალნი ცათანი შეძრწუნდნიან და ქუეყანაჲ შეიძრის. ზეცისა უწორონი მსახურნი მას, ქერაბინნი ვერ იკადრებენ თუალთა შედგამდ, არამედ შიშით დგანან და იფარვინ, გალობასა ამას დაუცხრომელად იტყვან: წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ შენ, უფალო...“ (გვ. 477). აქ, წინა საგალობლის მსგავსად, ნიშანდობლივია „უხილავი მეუფე“, რომლითაც ეს საგალობელი „რომელნი ქერაბინთა“-ს უკავშირდება (შდრ. გვ. 493, 536).

მ) „საღმრთოჲსა მაღლისა ჩინებულნი და ახლისა შჯულისა მსახურნი შეგსწირავთ შენდა მსხუერპლსა ქებისასა ქერაბინთა და სერაბინთა თანა, სამსა წმიდასა გალობასა: წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ შენ, უფალო! სავე არიან ცანი და ქუეყანაჲ დიდებითა შენითა“ (გვ. 477). აქ საინტერესოა „სამსა წმიდასა გალობასა“ (შდრ. „სამ-გზის წმიდასა გალობასა“).

ნ) „იხარებს ბანაკი ანგელოზთაჲ და იშუებენ ცანი ძალითურთ და ქუეყანაჲ თანა დაბადებულთურთ დაღადებენ მაცხოვრისა ჩუენისა ადგომასა. ქერაბინთა თანა მსხუერპლსა ქებისასა შეგსწირავთ, სერაბინთა თანა დაუცხრომელად ვიტყვთ: წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ შენ, უფალო, დიდებაჲ შენდა“ (გვ. 512).

„სიწმიდის შემოყვანების“ საგალობლები „უძველეს იადგარში“ სხვაე მრავალია (გვ. 11, 99, 165, 176, 237, 243, 260, 287, 333, 383, 400, 419...). ყველა ისინი, როგორც ვთქვით, ანგელოზთა გალობას, „წმიდა არსს“ შეეხებიან.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 27 დეკემბრის (ხსენება წმ.სტეფანე პირველმოწამისა) „სიწმიდის შემოყვანების“ საგალობელი „უძველეს იადგარში“ მცდარი პუნქტუაციითაა დაბეჭდილი (იგივე ითქმის „ჰილ-ეტრატის იადგარზეც“; გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს ა.შანიძემ, ა.მარტიროსოვმა და ა.ჯიშიაშვილმა, 1977, 10): „ვითარმედ გხადოდით შენ, წმიდაო სტეფანე, ქერაბინად, რამეთუ შენ ზედა განისუენა ქრისტემან სერაბინად, რამეთუ სულითა ადიდებდი მას ანგელოზად, რამეთუ ჳორცნი შეურაცხ-ყვენ ძალად, რამეთუ შენ მიერ იქმნებიან კურნებანი და უფროჲსად მაღლნი. მეოხ გუეყავ ცხორებისა ჩუენისათუის“ (გვ. 27).

როგორც ჩანს, გამოცემელთათვის მთლიანად ნათელი არ ყოფილა ამ საგალობლის შინაარსი. აქ კი გვაქვს

სახისმეტყველებითი შესხმა წმ.სტეფანესი. საგალობელში დასმულია კითხვა: „რა უნდა ვუწოდოთ („ვეთარმე გზადოდეთ“) წმიდა სტეფანესი?“ და იქვეა გაცემული პასუხი: უნდა ვუწოდოთ „ქერობინი“ („რამეთუ შენ ზედა განისუენა ქრისტემან“), „სერაბინი“ („რამეთუ სულითა აღიდებდი მას“), „ანგელოზი“ („რამეთუ ჭორცნი შეურაცხ-ყვენ“), „ძალი“ („რამეთუ შენ მიერ იქმნებინა კურნებანი და უფროგსად მადლნი“). ამრიგად, B ნუსხის „ვეთარმე“ ძირითად ტექსტში უნდა დაწერილიყო, ხოლო დანარჩენ ნუსხებში დადასტურებული „ვეთარმე“, - როგორც მცდარი ფორმა, - სქოლიოში.

მსგავსი აგებულების მქონე საგალობელი სხვაც არაერთია ცნობილი: „ვეთარმე გზადოდეთ თქვენ, წმიდანო? - ქერობინად, რამეთუ იქმნენით ეტლად ქრისტესა; სერაბინად, რამეთუ მარადის აღიდებთ მას; უჭორცოდ, რამეთუ ჭორცნი უარ-პყუენით; ძალად, რამეთუ იქმთ საკურველებათა. დიდ არიან სახელნი თქუენნი, წმიდანო, და უფროგსად მადლი; მეოხ გვეყუენით ჭსნად სულთა ჩუენთათჳს“ (მარხვანი, მოსკოვი, 1849, 208-209).

„რამე სახელ-გდვით შენ, ჳ, მიმადლებულა? - ცად, რამეთუ აღმოუბრწყინვე სოფელსა მზე სიმართლისა; სამოთხედ, რამეთუ აღმოუცენე ყვაილი უბრწყნელებისა; ქალწულად, რამეთუ დაადგერ უბრწყნელად; წმიდად დედად, რამეთუ იტჯრთე წმიდათა წიაღთა ძე, და ყოველთა ღმერთი. მას ევედრე ცხორებად სულთა ჩუენთათჳს“ (ყაშნი, 1899, 94), და სხვ.

ამრიგად, წმ.სტეფანეს „სიწმიდის შემოყვანებისაჲ“ სასვენი ნიშნების დასმის შემდეგ ასეთ სახეს მიიღებს: „ვეთარმე გზადოდეთ შენ, წმიდაო სტეფანე? - ქერობინად, რამეთუ შენ ზედა განისუენა ქრისტემან; სერაბინად, რამეთუ სულითა აღიდებდი მას; ანგელოზად, რამეთუ ჭორცნი შეურაცხ-ყვენ; ძალად, რამეთუ შენ მიერ იქმნებინა კურნებანი და უფროგსად მადლნი. მეოხ გუყუავ ცხორებისა ჩუენისათვის“.

ახლა ისევ „პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ“. როგორც ვხედავთ, იადგარში შემონახული „სიწმიდის შემოყვანების“ საგალობლები, გამონაკლისის გარეშე, საღმრთო მსხვერპლის (ძღვნის) შეწირვას შეეხებიან. ეს სრულიად ბუნებრივია. როგორც ნიკოლოზ თესალონიკელი წერს თავის „საღმრთო ლიტურგიის განმარტებაში“, ღმრთისმსახურების ყოველი აქტი სრულდება სრულიად გარკვეული საჭიროებით. მართალია, ისინი სახისმეტყველებით გამოხატავენ ამა თუ იმ მომენტს საღმრთო ისტორიიდან და, განსაკუთრებით, ქრისტეს საქმეთაგან (განკაცება, ქადაგება, ვნება, აღდგომა, ამაღლება და სხვ.), მაგრამ ამავე დროს მათი შესრულება საჭიროა ღმრთისმსახურების მომდევნო მოქმედებათა შესრულებისათვის. მაგალითად, სახარებით ან საღმრთო ძღვნით საკურთხეველში შესვლა საჭიროა, რათა, პირველ შემთხვევაში, — სახარება იქნეს წაკითხული, და მეორე შემთხვევაში — შესრულდეს მსხვერპლის შეწირვა (Н. А. Успенский, Цит. соч., 27-28). ამ თვალსაზრისით სრულიად ბუნებრივია, რომ ძღვნის შემოსვენებისას შესასრულებელი საგალობელი ძღვნის შეწირვის თემას ეხმიანებოდეს. „რომელნი ქერაბინთა“-ში და მის მსგავს „სიწმიდის“ საგალობლებში, როგორც ვნახეთ, ერთმანეთთანაა დაკავშირებული ანგელოზთა სიტყვიერი ძღვენი (სამ-წმიდა-არსობის გალობა) და ადამიანთა ძღვენი.

ნიშანდობლივია, რომ ამ საგალობლებში არსადაა ნახსენები შუბითა და მახვილით „შემოსილი“ ანგელოზი. „მოტყინარე მახვილი იქცევისი“, რომელიც ქერაბინს უბყრია ხელთ, ბიბლიაში დასჯის გამოხატველადაა მოხსენებული. მახვილით შემოსილი ანგელოზი დააყენა ღმერთმა სამოთხის კარზე, რათა ცხოვრების ხისაკენ მიმავალი გზა გადაეკეტა განდევნილი ადამისა და ევასათვის (იხ.დაბადება 3,24). აქ კი მახვილი საჭირო აღარაა. ცხოვრების გზა გახსნილია. მსხვერპლთშეწირვა სრულდება იმისათვის, რათა საუკუნო ცხოვრებას (ქრისტეს) ვეზიარნეთ (იხ. პირველშეწირულის „სიწმიდისაჲ“).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ლოგიკურია დასკვნა, რომ ქერაბინთა საგალობლის ის ვარიანტი, სადაც „ლახვარმოსილი“ ანგელოზთა წესია მოხსენებული, გვიანდელია და, თავდაპირველი ვარიანტისაგან განსხვავებით, სადაც მხოლოდ ძღვნის შემწირველი ანგელოზები იხსენებიან, ვერ ასახავს ღმრთისმსახურების სათანადო მომენტის სულისკვეთებას.

ბერძნულ დედანშიც რომ თავდაპირველად „ძღვნის შემწირველი“ წერებულა, და არა „ლახვარმოსილი“, იმიტაც დასტურდება, რომ უძველესი სლავური რედაქცია ქერაბინთა გალობისა „ძღვნის შემწირველს“ უქერს მხარს: „Яко Царя всех подъяюще ангельскими невидимо дароносима чинми. Аллилуа (Служебник, 434. 1602 г., л. 110).

რამ გამოიწვია „ძღვნის შემწირველის“ შეცვლა „ლახვარმოსილით“? ზემოთ მოყვანილი გვქონდა ევროპელი და რუსი ლიტურგისტების თვალსაზრისი ამ საკითხზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მათი ვარაუდი საკმაოდ მახვილგონივრულია, მაგრამ ნაკლებ დამაჯერებელი. ლიტურგიაში მონაწილე შუბოსანი რაინდების ატრიბუტის მიკუთვნება ძღვნის შემწირველი ანგელოზებისათვის, როგორც ზემოთ ვნახეთ, ღმრთისმსახურების აღნიშნული მომენტის სულისკვეთებას არ შეესაბამება, და ამდენად, ნაკლებ მოსალოდნელი იყო. ჩვენი აზრით, საგალობლის მცდარი გაგება გამოიწვია ბერძნულ დედანში მოგვიანებით ფეხმოკიდებულმა ტექსტულურმა ცდომილებამ. თავდაპირველად ბერძნულ ტექსტში უნდა წერებოდა ნαροφοροσμενος და

არა **δουφοροσμενος**.

Δουφορεω — ნიშნავს „ძღვნის შემწირვას“ (A. D. Вейсман, с. 360), მისგან გრაფიკულად და უღერადობითაც ოდნავ განსხვავებული **δουφορεω** კი — „ლახვრით შემოსვას“, „შუბის ტარებას“ („**БЫТЬ ТЕЛОХРАНИТЕЛЕМ, В КАЧЕСТВЕ ТЕЛОХРАНИТЕЛЯ СОПРОВОЖДАТЬ ИЛИ ОХРАНЯТЬ КОГО-ЛИБО**“).

როგორც ჩანს, ცდომილება ამ სიტყვის შეცვლილმა დაწერილობამ გამოიწვია. ამასთან, ისიც შეიძლება ჩავთვალოთ დასაშვებად, რომ ამ ცდომილებას ერთგვარად ხელი შეუწყო კონსტანტინოპოლურ ჟამისწირვაში შუბოსანთა მონაწილეობამ, თუკი ასეთ რამეს მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ეს კი არ უნდა ყოფილიყო მთავარი მიზეზი, არამედ სიტყვის დაწერილობასა და გამოთქმაში გაჩენილი სიახლე.

„ძღვნის შემწირველი“ გვიანობამდე უნდა შემორჩენილიყო ბერძნულ ტექსტში; მანამდე მაინც, სანამ იგი პირველად ითარგმნებოდა სლავურად. ბუნებრივია, ქართულ ტექსტში შენახული ეს სიტყვა ძველ ვითარებას ასახავს (როგორც ცნობილია, უძველესი იადგარის არქეტიპის შექმნა VII ს. დასაწყისს არ გადმოსცილდება).

მოგვიანებით, „ლახვარმოსილად“ ქცეული ეს სიტყვა აისახა ახალ ბერძნულ ტექსტზე შესწორებულ სლავურ თარგმანშიც, **ДОРИНОСИМЫ** -ის სახით. ეს ცვლილება ნიკონისეული რეფორმის შედეგია, ქართულ საგალობელს კი, როგორც ვხედავთ, „ბიწი არარად შეზება“. ჩვენ როდი უარვყოფთ პატრიარქ ნიკონის უდიდეს დამსახურებას საღმრთისმსახურო წიგნების ტექსტოლოგიური დამუშავების მხრივ, მაგრამ, ვფიქრობთ, ქერაბინთა გალობის ძველ ტექსტში არსებული „ძღვნის შემწირველის“ შენარჩუნება საჭირო იყო.

ამრიგად, „რომელნი ქერაბინთა“-ს მეორე ნახევარი ქართულად უნდა იგალობებოდეს შემდგენიარად:

„... ვითარცა მეუფისა ყოველთაჲსა შემწყნარებელთა, ანგელოზთაებრ უხილავთა ძღუენისა შემწირველთა წესისა, ალელუჲა“ („უძველესი იადგარი“, გვ. 100).

ტექსტის შინაარსის უკეთ წარმოსაჩენად და ბერძნული გრამატიკული კალკის მოსაშლელად; ვფიქრობთ, შესაძლებელია ასეთი კორექტივიც:

„ვითარცა მეუფისა ყოველთაჲსა შემწყნარებელთა, ანგელოზთა წესთაებრ უხილავისა ძღვნის შემწირველთა, ალელუჲა“.

კიდევ ერთხელ შევნიშნავთ, რომ „უხილავისა“ აქ ნიშნავს: „უხილავისადმი“, რაც შეეხება ტექსტის დასაწყისში „და“ კავშირს („და ვითარცა...“), იგი უნდა მოასწავებდეს „რომელნი ქერაბინთას“ ტექსტის ორ ნაწილად გაყოფას; ერთი მათგანი ძღვნის შემოსვენებამდე იგალობება, მეორე - მის შემდეგ. ტექსტის ორი ნაწილი „და“ კავშირით შეუერთებულია იმ მოსაზრებით, რომ იგალობება ჯერ პირველი ნაწილი და შემდეგ მეორე. მოგვიანებით, ალბათ გაუგებრობის გამო, ეს „და“ ტექსტის მეორე ნაწილისათვის მიუკუთვნებიათ.



ილარიონ ქართველის ცხოვრება

გ ა გ რ მ ე ლ ე ბ ა

ივერონში დასახლება და მოწაფეთა მიღება

მამა ილარიონი ივერონში ავადმყოფი დასახლდა. მაგრამ, როგორც კი ცოტა მომჯობინდა, გადაწყვიტა, ქართული ბიბლიოთეკისათვის მიეხედა. შეადგინა კატალოგი, შემდეგ გააკეთა ამონაწერები წიგნებიდან და ხელნაწერებიდან, რამაც 12 ტომი შეადგინა. ამ კრებულს „ყვავილნარი“ უწოდა. აქ ძირითადად მოთავსებული იყო წმინდანთა ცხოვრების აღწერა. კრებული გადაეცა ზოგრაფის ილუმენს, რომელიც რუსეთში მიემგზავრებოდა. მანვე გამოსცა 12 ტომი ქართულ ენაზე, მაგრამ კრებულში არსად არ იყო აღნიშნული შემდგენელის ვინაობა.

ივერონში მამა ილარიონმა ექვს თვეს იტხოვრა და მთელი ეს დრო მღუმარებაში გაატარა. როდესაც მომჯობინდა, იგი გადავიდა ნათლისმცემლის საეანეში, სადაც თანამემამულენი - ქართველი ბერები - ჯერ კიდევ მერვე საუკუნიდან ცხოვრობდნენ. აქ მამა ილარიონი ტაძრის შორიხლო პატარა ქოხში დასახლდა.

კითხვაზე, თუ რატომ მიატოვა მან კოშკი და რატომ დასახლდა საეანეში, მამა ილარიონი პასუხობდა: „მე აქ ვბოვე ქეშმარიტი მღუმარება, რადგან ყველა ჩემთან მოსულს სავანის მოძღვარზე მივუთითებ და ვეუბნები, რომ მე არ ვარ მოძღვარი, რომ აქ თავად ცოდვათა ჩემთა განბანვისათვის ვარ მოსული“. ასე უფრთხილდებოდა ბერი მღუმარებას - ამ აუცილებელ თანამგზავრს ყველა ადამიანისა, ვინც ბრძნულ მოღვაწეობას ეწევა.

მიუხედავად იმისა, რომ ბერი არავის იღებდა და სენაკის კარიც მუდმივად ჩაკეტილი ჰქონდა, ხალხი ძველებურად მაინც მოდიოდა მასთან, რის გამოც, ეს ადგილიც მიატოვა და წმიდა მთავარანგელოზთა სენაკში გადასახლებულიყო, რომელიც სამონასტრო მშობამ საგანგებოდ მისთვის ააშენა. აქ მასთან ორი ძმა მოვიდა და ბევრი ვედრების შემდეგ მამა ილარიონმა მიიღო ისინი. როდესაც ძმები ათონზე მოვიდნენ, დაემოწაფნენ ბერს, რომელიც სამი წლის შემდეგ გარდაიცვალა. მან თავის მოწაფეებს დიდი სენაკი და მიწის ნაკვეთი დაუტოვა. ბერის სიკვდილის შემდეგ, ცოტა მოგვიანებით, ძმები მიხვდნენ, სულიერი წინამძღვრის გარეშე ცხოვრება შეუძლებელიაო. ამიტომ უფროს ძმათაგან - მაკარი - ივერიის მონასტერში გადასახლდა, სადაც იგი, როგორც

კარგი კალიგრაფი, ისე მიიწვიეს, ხოლო უმცროსი - საბა, დროებით ისევ სენაკში დარჩა, რადგანაც სურდა გამოცდილი ბერი მოეძებნა. ვინაიდან მამა ილარიონის დიდი მოღვაწეობის შესახებ ხმა მთელს ათონზე იყო მოდებული, საბამ გადაწყვიტა მას დამოწაფებოდა.

საბა გააოცა მამა ილარიონის ღარიბულმა, დაკრებულმა და დალაქავებულმა ტანსაცმელმა, დაბებკილმა კუნკულმა. ბერს თმა-წვერი დაბურღული ჰქონდა.

საბას თხოვნას, დამოწაფების შესახებ, მამა ილარიონმა მტკიცე უარით უპასუხა. დიდი ვედრების შემდეგ კი უთხრა: თუ გასურს დაგიმოწაფო, ასეთი წესები უნდა დაიცვა: არავისგან არაფერი არ უნდა აიღო, ფული არ უნდა გქონდეს, სიცოცხლის ბოლომდე უნდა იმარხულო, მხოლოდ მშრალი საკმლით დაკმაყოფილდე და დღე და ღამე გამუდმებით ილოცო. საბა ყველაფერზე დათანხმდა და მამა ილარიონთან დასახლდა.

მოგვიანებით საბას ძმამ, მაკარმაც მოინდომა ბერთან დასახლება. ივერონელი ბერები შეეცადნენ გადაეტყველებინათ ჩანაფიქრი, დაპირდნენ, აკადემიაში გაგაგზავნიდნენ სსსწავლებლად, მაგრამ მაკარი ვერაფერმა მოხიბლა, მას თავისი სულის გადასარჩენად მხოლოდ უფლისადმი სამსახური სურდა. დაახლოებით ექვსი თვის შემდეგ მაკარი წავიდა მამა ილარიონთან. ილარიონმა მიიღო იგი.

მაკარს მეტად მტკიცე ხასიათი ჰქონდა და რჩეულთათვის დამახასიათებელი თავდადებით აღასრულებდა ბერული ცხოვრების ყველა წესს. იგი მთლიანად დაემორჩილა მამა ილარიონს. მოუღლეელი მოღვაწეობის გამო იგი ძალიან მალე, რვა წლის შემდეგ აღესრულა. მისი გარდაცვალებაც დამადასტურებელი იყო მამა ილარიონის დიდი სიბრძნისა, რომელმაც ასე მოკლე დროში მიადწვინა სულიერი სრულყოფის მაღალ საფეხურს თავის მოწაფეს.

საბა კი ქარაფშუტა იყო და მიუხედავად იმისა, რომ ბერს ყველაფერს უჭერებდა, თავისი ნებითაც ბევრ რამეს ჩაიღო და ხშირად ეკამათებოდა მამა ილარიონს. მან რაკი ერთხელ მიიღო საბა, აღარ უნდოდა გაეგდო, მამური მოთმინებითა და რჩევით ცდილობდა გამოუცდელი ყრმის გამოსწორებას. ახალგაზრდული გატაცებებით შეპყრობილ საბას რამდენჯერმე უნდოდა ბერ პაჭი

გიორგისთან გადასვლა. ერთხელ წავიდა კიდევ, მაგრამ გიორგი მიხვდა მის განწყობილებასა და ცდუნებისადმი მიდრეკილებას და ჰკითხა: „შეასრულებ ხოლმე იმას, რასაც გიბრძანებენ?“ რასაკვირველია, - იყო პასუხი. და თან ძმობაში მიღება სთხოვა. იმედი ჰქონდა, რომ გაერთობოდა ახალგაზრდა ძმებთან და თავისუფლად იცხოვრებდა. მაგრამ ჰაჯი-გიორგი იგი თავისი სენაკის მახლობლად ლოდის ქვეშ გამოქვაბულში ჩასვა და კვლავ ჰკითხა ყველაფერს დამიჯერებ თუ არაო. საბა ისევე დაეთანხმა, ჰაჯი-გიორგიმ დაარიგა და შეპირდა, რომ თავად მოუტანდა ხოლმე საჭმელს, რომლითაც თვითონ იკვებებოდა.

საბას სიტყვა კარგა ხანს არ გაუტეხავს და მორჩილად ჰამდა ბერის მოტანილ მწარე და უხეში ბალახის საკვებს. მაგრამ დიდხანს ვეღარ გაუძლო და ბერის მალულად წმიდა ანას სავანეში ორცხობილისა და ჰურის საპარავად დადიოდა, ხოლო როცა ბერი შინ არ იყო, საერთოდ გამოდიოდა სენაკიდან და რამდენიმე ყრმა ძმასთან ერთად თამაშობდა.

ბერმა შეიტყო ეს ამბავი და ურჩობისა და ჭარბმუტობისათვის დატუქსა, თან უთხრა, საკვები, რომელსაც შენ იწუნებ, ჩემი ყოველდღიური საზრდოაო. თავხედობისათვის საბა კასრში ჩასვა. თუკი საბა თავს დამნაშავედ იგრძნობდა და ჰეშმარიტი მორჩილი იქნებოდა, მაშინ მას თავის სამწყსოში დაიტოვებდა ჰაჯი-გიორგი. საბა დათანხმდა.

კასრი ფართო და დიდი იყო და საბა თავისუფლად ასრულებდა მეტანიებს, რამდენიმე ნაბიჯის გადაღმაც კი შეეძლო.

ჰაჯი-გიორგის განზრახული ჰქონდა საბას გამოსწორება. რამდენიმე ხნის შემდეგ ბერმა საბას უთხრა, მამა ილარიონი მომკვდარაო. საბა ატირდა, თავპირში ხელები წაიშინა, საკუთარ თავს ტუქსავდა - კასრიდან აღარ გამოვალ, აქვე მოვკვდებიო. თან ბერს ევედრებოდა - უფალს მამა ილარიონის აღდგომა შეევედრეთო.

ჰაჯი-გიორგი დარწმუნდა, რომ საბა ჰეშმარიტად ნანობდა თავის საქციელს და უთხრა, მამა ილარიონი რომ გაცოცხლებულიყო, თუ დაემორჩილებოდიო. ცრემლმორეულმა საბამ მიუგო - სამარის კარამდე ბერის დამჭერი ვიქნები, ოღონდ კი ცოცხალი ვიხილოო, მე მის წინაშე დიდად დამნაშავე ვარო. ჰაჯი-გიორგი დაჰპირდა, მამა ილარიონის გასაცოცხლებლად ვილოცებო. რამდენიმე ხნის შემდეგ მან საბა მამა ილარიონთან წაიყვანა. საბას ეჩქარებოდა გაეგო, ცოცხალი იყო თუ არა ბერი და წარამარა წინ უსწრებდა ჰაჯი-გიორგის, ბოლოს გაეჭკა. ბინდებოდა, საბამ შორიდან მოჰკრა თველი მამა ილარიონის სენაკში მოციმციმე სანთელს და დარწმუნდა, ცოცხალი ყოფილაო. გაიჩქარა და კარზე მიუკაკუნა. ვინ ხარო, - გამოეხმაურა მასპინძელი; ძალით, მიუგო საბამ. მამა ილარიონმა იცნო საბას ხმა და უპასუხა - ძაღლებისა მეშინია, არ დამკბინონო.

- შენი მოწაფე ვარ, - წამოიკანავლა საბამ. - მოწაფე

ძალი მე არა მყავს, - მიუგო მამა ილარიონმა და გაჩუმდა. საბა ევედრებოდა, კარი გამოღე და ისე მიმიღე, ვით ძე შეცთომილი. ყველაფერი მოვინანიე, პატიების სათხოვნელად გეახელიო.

ჰაჯი-გიორგის მოსვლამდე სენაკში არ შემოგიშვებო, უპასუხა მამა ილარიონმა, მოვიდა ჰაჯი-გიორგიც. მამა ილარიონი გამოეგება ბერს, თავყვანი სცა, საკუთარი კაბა გაიხადა და მისცა, სამაგიეროდ მისი ჩაიცვა. შემდეგ ორივეს სენაკში შეუძღვა. ბერი გიორგი დაახლოებული იყო ილარიონთან და

ჰკითხა, კაბა რად გამოიცვალეო. შენი დიდი მადლობელი ვარ, - მიუგო ბერმა, - საბა არ მემორჩილებოდა და ამიტომ გავუშვი, შენ იგი უფალს მიუახლოვე, სინანული შთააგონე, ეხედავ შენს დიდ, თვალშეუღამ მადლსო, ისინი დასხდნენ. საბას უნდოდა სრული მონანიების და მორჩილების ნიშნად მათთვის ფეხები დაეხანა, მაგრამ ჰაჯი-გიორგიმ აუკრძალა. შემდეგ მამა ილარიონმა საბას ჰკითხა, რა გსურს ჩემგან, მე ჯერ ცოცხალი ვარო. ყოველთვის და ყველაფერში შენი მორჩილებაო, - მიუგო საბამ. ბერმა შეხედა და ჰკითხა, - რასაც დაგავალე, ყველაფერს გააკეთებ? საბამ თანხმობით უპასუხა. ბერმა განაგრძო, - შენს სიტყვას ვეღარ ვენდობი, თავლები მომიყვანეო. ქრისტეა ჩემი თავლებიო, მაცხოვრის ხატზე მიუთითა საბამ. რაკი ასეა, კვლავ მამა გიორგისთან წადი და მასთან იმუშავე. - უბრძანა ბერმა საბა შეევედრა, იქ ნუ გამოიშვებ, მამა გიორგი კვლავ კასრში ჩამსვაოსო. მაგრამ მამა ილარიონი ურყევი იყო. მან ჰაჯი-გიორგის სთხოვა უკანვე წაეყვანა საბა. მამა გიორგი დიდი პატივისცემის გამო დათანხმდა, ოღონდ, იმ პირობით, რომ საბაც მის ტრაპეზს გაიზიარებდა, აღარც ორცხობილებს მოიპარავდა და აღარც პატარა მორჩილებთან ითამაშებდა მისი შინ არყოფნის დროს. ილარიონმა დატუქსა საბა - მამა გიორგი ნიდაგ შრომობს, მწირი საზრდოთი იკვებება, შენ არაფერს აკეთებ და სხვა საქმელები მოგინდა? არ იცი, განა, რომ თავნებობას თავხედობამდე მიყვავართ, თავხედობა კი ყოველი მანკიერების დედააო. მერე აღთქმა დაადებინა - მამა გიორგის ყველაფერს დაეუჭერებო და გაუშვა.

ჰაჯი-გიორგიმ საბა კვლავ ჩაეკრა და თან დაარიგა, როგორ აღესრულებია ლოცვის წესი; საკვებად კი კვლავ მწარე ბალახს ხმარობდნენ. მაგრამ ამჯერად საბა დიდხანს არ დარჩენილა მამა გიორგისთან, მისი ძმა, მაკარი, სწრაფი ქლეჭით დაავადდა და მამა ილარიონმა ჰაჯი-გიორგის ბართი გაუგზავნა - მაკარის მომვლელად ვინმე გამოემგზავნეთო, თუმცა ბართში საბა არც უხსენებია, მაგრამ მაინც ის გაგზავნეს. ჰაჯი-გიორგისთან ამ ბოლო, ხანმოკლე ყოფნისას საბამ იმდენი რამ გადაიტანა, რომ სიცოცხლის ბოლომდე დაამახსოვრდა.

სულ რაღაც ათი დღის ჩასული იყო საბა მამა ილარიონთან, როცა მაკარი გარდაიცვალა. მისი სიკვდილი ნეტარება იყო, უკანასკნელ წუთებში მაკარის სახეზე უცნაური ნათელი დაადგა, რომელიც თანდათანობით გაძლიერდა და მთელი სენაკი და არე-

მარე გაასხივოსნა. მამა ილარიონის სენაკისაკენ მიმავალმა უამრავმა ადამიანმა შენიშნა ეს უცნაური ნათელი.

მომაკვდავი მაკარი სიხარულისაგან გაბრწყინებული იძახდა, რომ მასთან ანგელოზები მივიდნენ, შემდეგ ღირსი მამები, წამებულნი, აღმსარებელნი, კურთხეულნი და წინასწარმეტყველნი, აი, თავად დედოფალი ღვთისმშობელი; ყველანი აცახცახებულნი იდგნენ. ნათელი თვალისმოპყრელად გაბრწყინდა მაშინ, როდესაც მომაკვდავმა თქვა: „აი, თავად უფალი ჩენი იესო ქრისტე!“ მოკრძალებული შიშისაგან ყველანი პირქვე დაეშხნენ.

მაკარმა უთხრა ბერს: „მაპატიე და მაკურთხე მამაო, მე აქედან მივეყავარ“. ამ სიტყვებით მისი სული ზეცაში გაფრინდა და ნათელი, რომელიც მთელ უდაბნოს ანათებდა, ნელ-ნელა ჩაქრა.

ყველანი გაოცებული იყვნენ და აღიდებდნენ ღმერთს, რომელმაც თავის მონას კეშმარიტი მორჩილებისა და ნების შეზღუდვისათვის ასეთი დიდი წყალობა არგუნა.

როცა მაკარი დასაფლავეს, მამა ილარიონმა იხმო საბა და უთხრა, ჩემთან ვერ დაგტოვებ, ამიტომ, სადაც გასურს, იქ წადიო. მიუხედავად საბას გულმხურვალე თხოვნისა, მამა ილარიონი თავის გადაწყვეტილებაზე ურყევად იდგა. საბა კვლავ ჰაჯი-გიორგისთან წავიდა და მან მამა ილარიონთან დაბრუნება უბრძანა. საბას ხანგრძლივი ვედრებისა და მამა გიორგის მტკიცე უარის შემდეგ, საბამ ძლიერ გაბედა მამა ილარიონთან დაბრუნება. გზაზე ჯორს ალვირი მოხსნა და თვითონ ჩამოიცივა. ასე მივიდა იგი ბერთან, მისი პირველი სიტყვები ასეთი იყო: „როგორც გასურდეს, ისე მომექეცი, ვითარცა ჯორს“. ბერი დათანხმდა.

მაღე ჰაჯი-გიორგი მოვიდა, საბაზე მიუთითა და თქვა, - ნამდვილად ეპიტომის დადება სჭირდებაო. მამა ილარიონი, თითქოსდა, საბას დასაცავად, შეეკამათა: არა, ახლა ალვირი აქვს ჩამოცმული და მე ვმართავ მას. იგი დამემორჩილება.

ამის შემდეგ მამა ილარიონმა აქო საბას მოთმინება და თქვა, - ჩვენ მას დიაკნობას ვუბოძებთო - არა, - შეეკამათა მამა გიორგი, - ჯერ ადრეა, ადრე, ჯერ კიდევ დიდზე დიდი სულელიაო. საბას შესახებ საკმაოდ ბევრი ისაუბრეს და მესამე დღეს საბა იეროდიაკენად აკურთხეს, ხოლო მაღე მღვდელ-მონაზვნობის ხელდასხმაც მიადებინეს. ამ წოდების მინიჭება ბერს მაკარისათვის უნდოდა, მაგრამ მაკარი გარდაიცვალა, თანაც საბას კეშმარიტი სინანული რომ იხილა, გადაწყვიტა მისი კურთხევა. ამასთან, ასეთი აღთქმა შიდაცემინა: ყოველ დღე, მთელი ცხოვრების განმავლობაში, ლიტურგია უნდა ჩაეტარებინა და მთელი მსოფლიოსათვის ელოცა.

ცხოვრება ივანოსა და დიონისიასში

ახლა დავუბრუნდეთ იმ დროს, როდესაც მამა

ილარიონი ივერონის მონასტრის მახლობლად მდებარე წმიდა მთავარანგელოზთა სენაკში დასახლდა. ფიქრობდა, აქ მაინც ვიპოვნი სიმყუდროვესო, მაგრამ მნახველნი აქაც არ აძლევდნენ მოსვენებას და ხშირად იძულებული ხდებოდა გაქცეულიყო მამა ბენედიქტესთან, რომელიც ათი, თხუთმეტი დღის განმავლობაში წმიდა წინასწარმეტყველის სენაკში ცხოვრობდა. აქ მამა ბენედიქტე წმიდა საიდუმლოებებს ეზიარებოდა. სამუდამოდ აქ დარჩენა მას არ სურდა, ეუბნებოდა, - ორივენი ქართველები ვართ, ამიტომ შეიძლება უქმმეტყველებაში ჩავვარდეთო. საერთოდ, მამა ბენედიქტესათვის შემაწუხებელი იყო მამა ილარიონის სტუმრობა, რადგან, თუკი მნახველნი მამა ილარიონს თავის სენაკში ვერ იპოვიდნენ, მამა ბენედიქტესთან მოდიოდნენ. ამის გამო მამა ილარიონი დიონისიტის მონასტრის წმიდა მოციქული იაკობის სენაკში გადასახლდა.

თანაც სხვა მიზეზიც ჰქონდა. მას შემდეგ, რაც ბერთან მაკარი და საბა დასახლდნენ, მამა ილარიონი ყოველდღე აღასრულებდა ლიტურგიას და სეფისკვერს იღებდა მონასტერში. ამ სეფისკვერებში ბერმა არაერთხელ იპოვა თავისი ცურცილი. კეთილსინდისიერებით მოწოდებული მამა ილარიონი მონასტერში წავიდა, რათა მიეთითებინა ლიტურგიული, წმიდა პურისადმი მკრეხელურ დამოკიდებულებაზე.

მამა ილარიონმა ერთხელ კიდევ მკაცრად ამხილა ისინი, დატოვა წმიდა მთავარანგელოზების სენაკი და იქაური ილუმენის თხოვნით გადასახლდა წმიდა მოციქულის იაკობის სენაკში, დიონისიტის მონასტრის მახლობლად; ეს მოხდა 1843 წელს და ცხოვრობდა მამა ილარიონი იქ თავის მოწაფესთან ერთად 1875 წლამდე.

ახალ სენაკში დასახლებული ბერი დიდი თხოვნის მიუხედავად, მაინც არ იღებდა მოძღვრის წოდებას. მაგრამ, აქ მან კარი გაუღო ყველას, ვინც მასთან სულიერი რჩევისათვის მოდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მომსვლელი, მას, როგორც სულიერ მოძღვარს ისე მიმართავდა, მამა ილარიონი არავის უკითხავდა შენდობის ლოცვებს, მნიშვნელოვანი მიზეზებით შთაგონებული ხუთი ადამიანის გარდა, რომელთათვის სხვადასხვა დროს ასრულებდა ამ ლოცვას.

მასთან ყოველი მხრიდან მოდიოდნენ და „მოძღვართ მოძღვარს“ უწოდებდნენ, როდესაც მთაწმინდელი მამები ახლანდელ მოღვაწეობას აღმსარებლობით, უდაბნოებში მლოცველობით, განდგომითა და კეთილმოსურნეობით, მის ძველ საერო ცხოვრებას ადარებდნენ, მამა ილარიონისადმი უღრმესი პატივისცემით იმსჯელებდნენ და მას ასეთ მაღალ სულიერ საფეხურზე აყენებდნენ. მისი სიტყვა იყო მტკიცე, მიუკერძოებელი. ხანდახან მამა ილარიონი წინასწარმეტყველებდა და მისი სიტყვა ყოველთვის სრულდებოდა კიდევ. ათონზე სახელგანთქმული მოღვაწე ესტატე, რომელიც შემდგომ ხალკაზე ცხოვრობდა, ამბობდა, რომ მამა ილარიონმა სულიერი განდიდების ათივე საფეხური განვლო,

რომელიც განმარტებულია „კეთილმოყვარეობაში“ ნეტარ თეოფანესთან.

მისი დიონისიატის მონასტერში ყოფნის დროს, ბერი უმთავრესად წმიდა მოციქული იაკობის სენაკში ცხოვრობდა, მონასტრიდან ნახევარი საათის სავალზე. ხშირად იგი წმიდა ონოფრეს სენაკში მარტოვდებოდა.

1894 წლის აგვისტოში, მამა ილარიონი მოინახულა რუსმა მწერალმა და მოგზაურმა, ანდრეი მურავიოვმა, რომელიც იმხანად წმიდა ადგილებში მოგზაურობდა. ამ შეხვედრის შესახებ მურავიოვი წერდა: „ბერთან შეხვედრა ძნელი მისაღწევია, მაგრამ მეორე ქართველმა მოღვაწემ, მამა ბენედიქტემ, რომელიც მე ივერიის მონასტერში მოინახულე, მითხრა, რომ მისი სახელით მივსულიყავი მის მოძმესთან და მეგობართან. მამა ილარიონი გარეგნულად ღრმა მოხუცებულობის მიუხედავად, მეტად ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. ლოყები უღაქმაკებდა, თუმცა კი თმისა და წვერის სიყვითლე უმაღლეს მის წლოვანებას ამხელდა. იგი გაქაბუკებულ არწივს ჩამოჰგავდა. ბერმა გვერდით მომისვა და როცა გაიგო, საიდან ვიყავი, რუსეთის შესახებ დამიწყო გამოკითხვა - „რის სანახავად მოხვედით ჩემს უდაბნოში, - მკითხა მან ოხვრით, - ჩემი ცოდვებისა? თუ ცოტაა დედამიწის ზურგზე ჩემი მსგავსი მუქთახორა? რაც მე მინახავს და გამიგონია, დიდხანია წარსულს ჩაბარდა. ვცხოვრობ აქ, ამ მიყრუებულ ადგილას, და ვიქნები ასე, სანამდე ღმერთი ჩემს არსებობას აიტანს. ისე, თქვენი მორჩილებისათვის სასარგებლოა წმიდა სავანეების მონახულება, რადგანაც კეთილ საქმეს ყოველთვის კეთილი შედეგი მოსდევს.“

ჩვენი შეხვედრის სამახსოვროდ მე მინდოდა მიმეღო მისგან რაიმე ხილული ნიშანი მისი კურთხევისა, მამა ილარიონი შევიდა ეკლესიაში და გამოიტანა ეგრეთ წოდებული შავი იმერული ქარვის კრიალოსანი: „თუ გსურთ, ჩემი უღირსის კურთხევა, თქვენი თანამდევნი იყოს იგი“, - მითხრა ბერმა და მშვიდობით გამომისტუმრა.

დიონისიატის მონასტერში ერთი მებოსტნე ბერი ცხოვრობდა, რომელმაც თავისი ცხოვრების გარემოების გამო გადარჩენის ყოველგვარი იმედი დაკარგა და სასოწარკვეთილებაში ჩაეარდა. ერთხელ მამა ილარიონმა საბა რალაც საქმეზე მონასტერში გაგზავნა. გზად მან მებოსტნესთან შეიარა. მებოსტნე წასასვლელად იყო გამზადებული, მას ათონის საბუდამოდ მიტოვება სურდა. გადაწყვიტა, საერო ცხოვრებას დაბრუნებოდა.

მამა საბა მას აწყენარებდა, ურჩევდა, რომ ღმერთს მინდობოდა და გადარჩენის იმედი არ დაეკარგა. თავდაპირველად მებოსტნეს მოსმენაც კი არ უნდოდა, შემდეგ კი ნელ-ნელა დარწმუნდა მამა საბას რჩევის სისწორეში და საბოლოოდ დარჩენა გადაწყვიტა, მხოლოდ ერთი პირობით, რომ მამა საბა მის ცოდვებს თავის თავზე აიღებდა. მამა საბა დათანხმდა და, ნიშნად ამისა, მისი ხელი ხელზე დაიდო.

უკან მომავალ მამა საბას ეშმაკმა დაუწყო ცთუნება ფიქრით, რომ მან მისი ძაღლებისათვის შეუსაბამო ცოდვები

იტყვიდა, ამ ფიქრებმა იქამდე მიიყვანა, რომ უკვე სასოწარკვეთილების მიჯნაზე აღმოჩნდა. თითქოს ვიღაც ურჩევდა, რომ არ მისულიყო ბერთან და სადმე გადახვეწილიყო. ამ დროს მამა ილარიონმა სულიერად იგრძნო, რომ მისი მოწაფე საფრთხეში იყო და მისთვის ეშმაკის წინააღმდეგ ლოცვის ადვლენა იწყო. მამა საბამ იმწუთსავე შვეება იგრძნო და გადაწყვიტა ბერთან დაბრუნება, თუმცა გული სევდით ჰქონდა დამძიმებული. მამა ილარიონი გზაზე გაეგება, „რა მოგივიდა? როგორი მხიარული წახვედი და როგორი მოღუშული ბრუნდები? ნუ გეშინია! უფალმა მთელი მსოფლიოს ცოდვები ილო თავად და, ნუთუ არ ინებებს ერთი ადამიანის ხსნას?“ მამა საბა საბოლოოდ დამშვიდდა.

შემთხვევები სვესტოპოლის ომის დროს

მამა საბას მიერ რუსინელი ბერის მამა დენისისადმი მიწერილი წერილი: „1853 წელს კეთილმორწმუნე იმპერატორ ნიკოლოზის დროს, - აცხოვნოს ღმერთმა სასუფეველში ყველა წმიდანთან ერთად, სადაც გაბრწყინებულია ნათელი სახისა მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი, სადაც ყველას სამხიარულო სამყოფელია - იმ დროს, როდესაც მე ნეტარ მამა მღვდელსქიმონაზონ ილარიონთან ერთად მღუშარებაში ვიმყოფებოდი ზორცვზე დიონისიატის მონასტრის მახლობლად, ჩვენ ღვთისმსახურებას აღვასრულებდით ღვთის ძმის, წმიდა მოციქული იაკობის სახელზე აგებულ წმიდა ტაძარში. ზუსტად ამ დროს მოხდა საშინელი ომი სვესტოპოლთან რუსებს, თურქებს და მათ მოკავშირე ერეტოკოსებს შორის.“

როგორც კი ამ საშინელი ომის შესახებ შევიტყვეო, ბერმა მითხრა: მისმინე, შეილო ჩემო, ჩვენი ძმები, რუსი ქრისტიანები ახლა ცეცხლსა და სისხლში არიან გახვეული. ჩვენ მზურვალედ უნდა ვევედროთ ღმერთს, რომ მათ დაამარცხონ მტერი, მოდრიკონ ისინი, რათა განდიდეს სახელი უფლისა და რუსი ხალხისა, მისი შვილებისა. შენ კი, შეილო ჩემო, საბა, ლიტურგიის გარდა, რომელსაც ყოველდღე აღასრულებ და რომლის დროსაც ღმერთს რუსების გამარჯვებას შესთხოვ, კიდევ უნდა წაიკითხო მეფისა და წინასწარმეტყველის დავეთის ფსალმუნები და აღასრულო მეტანიები ჩვენი ძმების დასახმარებლად. ვუპასუხე: „შენთვის ყველაფერს შევასრულებ, რაც შემიძლია“.

დაწყებისას მე გამოვაცხადე: „კურთხეულ არს მეუფება მამისა და ძისა და წმიდისა სულისა“, მან მიპასუხა „ამინ!“ და დავიწვე მშვიდობის კვერქის კითხვა.

„მშვიდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ...“ ბერი ქართულად მპასუხობდა: „უფალო შეგვიწყალო“...

ამ სიტყვებს რომ ვწერ, გული მეკუმშება, ვტირი და წერის გაგრძელება არ შემიძლია. იგივე მომდიოდა მრჩობლის დროსაც.

ასე აღვასრულებდით წირვას ყოველდღე. ხანი გამოხდა, ბერმა მითხრა: წავიდეთ მონასტერში, შევეკითხოთ ილუმენს, რა იცის ომის შესახებ, რუსები თუ იმარჯვებენო. მონასტერში ილუმენმა გვიჩვენა კონსტანტინოპოლიდან გამოგზავნილი ქალაქი ყველა მონასტრის მღვდელ-მონაზვნებისათვის დასარიგებლად. პატრიარქი იწერებოდა, რომ შევედრებოდნენ ღმერთს, ღვთაებრივი ლიტურგიის დროს მიეცა ძალა თურქული ჯარისათვის რუსების დასამარცხებლად. იქვე ვწერა ხმაილადა წასაკითხი განსაკუთრებული ლოცვა.

მამა ევლოგიმ პატრიარქის წერილი წაგვიკითხა და ბერს უთხრა: „გაიგე, რას გვწერს ჩვენი მეთაური, ჩვენი მამა? - ჩემი ბერი შეძრწუნდა და მიუგო: „იგი არ არის ქრისტიანი“, თან ნადვლიანად ჰკითხა: „თქვენ წაიკითხეთ ეს ლოცვა მონასტერში წირვისას? ძმებმა უპასუხეს: „არა, ეს არ მოხდება“. პატრიარქი იმუქრებოდა თავის უსტარში, რომ ის მონასტერი, რომელიც მის ბრძანებას არ შეასრულებდა, სასტიკად დაისჯებოდა.

მეორე დღეს ჩვენს სენაკში დაგბრუნდით. ერთი კვირის შემდეგ გრიგორიანი მონასტრიდან ბერი გვეწვია. ჩემმა მოძღვარმა ჰკითხა, პატრიარქის გამოგზავნილ ლოცვას თუ კითხულობთო? მან უპასუხა, - დიახ, გასულ კვირას, ლიტურგიის შემდგომ წავიკითხეთო. ძალიან ცუდად მოქცეულხართ, რომ წაგიკითხავთ, ამით თქვენ მადლი დაკარგეთ და მონასტერსაც ღვთის წყალობა დააკარგინეთ, განკიცხვის ღირსნი ხართო, - უთხრა ბერმა.

დაბრუნდა ის ბერი უკან, მონასტერში და ძმებსა და ილუმენს უთხრა, - ჩვენ ჩვენს მონასტერს ღვთის მადლი დავაკარგინეთ - მადლი წმიდა ნათლობისა, - ასე თქვა მამა ილარიონმა.

იმავე დღეს მოვარდნილმა წყალობა წისქვილი წაიღო და ბერებმა ილუმენს ჩივილი დაუწყეს: - შენ დაანგრიე მონასტერიო, ილუმენმა უდიდესი მწუხარებით სასწრაფოდ სამი მეტანია აღასრულა მაცხოვრის ხატის წინ და შეევედრა: „უფალო, ჩემო იესო ქრისტე, მიედივარ მოძღვარ მამა ილარიონთან, რათა აღსარებაში მოვეუბნო, იმის შესახებ, რაც ჩავიდინე, რა კანონსაც ბერი დამადებს, ავასრულებ, რათა არ დაეძაბუნდეს“.

მან თან წამოიყვანა ერთი იეროდიაკვანი, ერთი ბერი და წამოვიდა წმიდა მოციქული იაკობის სენაკისაკენ, სადაც ჩვენ იმ პერიოდში ვბინადრობდით. როდესაც ისინი მოვიდნენ, მამა ილარიონი შინ არ დახვედრიათ. ილუმენი თანამგზავრებითურთ, ბერის დანახვაზე მიწაზე პირველი დაემხო, მეტანიების აღსრულება დაიწყო და შეევედრნენ: „გვაკურთხე, წმიდაო მოძღვარო“. შემდეგ მიუხლოვდნენ, რომ ხელზე მთხეოდნენ, მაგრამ ჩემმა მოძღვარმა დაივირა: „შორს, შორს ჩემგან, მე არ ვიღებ ერეტკოსებს“. ილუმენი შეევედრა: „შევეცადე, მოვედი, რომ კანონის დადება გთხოვოთ“. ბერმა მიუგო: „როგორ გაბედე, უბედურო, რომ მაჰმადი ქრისტეზე მალა დააყენე? ღმერთი და მამა მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი ეუბნებოდა თავის ძეს: „დასჯედ მარჯვენით ჩემსა, ვიდრემდის დაეკსხენე მტერნი შენნი ქვეშე ფერხთა

შენთა“ (ფსალმუნი, 109.1). შენ კი სთხოვ მას, რომ თავისი შვილი შენს მტერთა ფერხთა ქვეშ მოაქციოს. მომწყდი თავიდან! შენ არ მიგიღებ! ილუმენი ცრემლებით ევედრებოდა ბერს მიელო აღსარება და დაელო მისთვის სასჯელი. მაგრამ ჩემი მოძღვარი უარობდა, - მე შენი მოძღვარი არა ვარ, წადი და მოძებნე მოძღვარი, რომელიც შენ კანონს დაგადებსო. მიატოვა ისინი გარეთ, შევიდა შიგნით და კარი ჩარაზა.

რალა დაგვრჩენოდა? შევედით ჩვენს სენაკში და იქ აღვავლინეთ ღამისთევის ლოცვა, ვევედრებოდით —ღმერთს ბერისათვის მოწყალება შთაგონებინა და ილუმენისათვის კანონი დაედო. დილით ბერი ეკლესიაში მივიდა, მოსულთ არც ერთი სიტყვა არ უთხრა, ლიტურგიის დამთავრების შემდეგ სასწრაფოდ ჩაიკეტა თავის სენაკში. ილუმენთან ერთად მოსულები ნერვიულობდნენ, იგი ცუდად არ გამხდარიყო. თან ბერთან მისვლა მთხოვეს, იქნებ მიელო ილუმენი, იქნებ ჩემთვის მაინც დაეგლო ყური.

მევედი, ჩავუვარდი ფეხებში და ვთხოვე, - მოიღე წყალობა, დაადე მათ სასჯელი - ილუმენს შეიძლება გულის შეტევა მოუვიდეს და მოკვდეს-მეთქი. ბერმა შეიხრა, რა ებიტიშია დავადო? ღმერთი განრისხებულია მათზე.

ვუთხარი: მოძღვარო, რადგანაც მე ყოველდღე ვკითხულობ თავიდან ბოლომდე ფსალმუნებს მეფის-წინასწარმეტყველისა დავითისა, ვიცი, რომ იქ არის ერთი ფსალმუნი, რომელიც ამ შემთხვევას შეეფერება - 82-ე: „ღმერთო, ვინ გემსგავსოს შენ? ნუ დაჰსდუმნები, ნუცა დამშვიდნები, ღმერთო...“ უბრძანე მათ, ხვალ მთლიანად წაიკითხონ ეს ფსალმუნი ლიტურგიის შემდეგ, როდესაც ქერუბიმთა საგალობელი იგალობება. ის მღვდელ-მონაზონი, რომელმაც ადრე პატრიარქის ლოცვა წაიკითხა, დადგეს ქორკანდელის ქვეშ და როცა შეგროვდებიან მამები დიდი გამოსვლის დროს, მაშინ მღვდელი უნდა გამოვიდეს საკურთხეველიდან ხელში ფეშუმითა და ბარძიმით, ამ დროს კი ერთი ბერი გამოიტანს ქარტიას, რომელიც ქორკანდელის ქვეშ იდგება, წაიკითხავს ხმაილადა, მთელი ძმობისათვის, მეორე მუხლიდან მეცხრე მუხლამდე, ყველამ მრავალჯერ უნდა გაიმეოროს: „უფალო შეგვიწყალო“. ხოლო სხვა მუხლების კითხვისას ასევე ყველამ თქვას - „ამინ!“ და კვლავ გარდამოველინება ღვთის მადლი მათ მონასტერს.

ბერმა ყურად ილო ჩემი რჩევა და ბრძანა მათი დაძახება. ისინი გახარებულნი სენაკში შემოვიდნენ და მეტანია აღასრულეს, ბერმა უთხრა მათ: ეს კანონი აღასრულეთ და ღვთის მადლი დაგბრუნდებათო. ისინი შეწუხდნენ, რომ პატრიარქის გამოგზავნილ ეგზარქოსს არ შეეტყო ყოველივე, რადგანაც იგი თვალს ადევნებდა კარეაში პატრიარქის ბრძანების აღსრულებას, ანდა თურქებს, და კიდევ უფრო დიდი უბედურება არ დაეტეხათ მონასტრისათვის. აღარ იცოდნენ, რა ელონათ.

ბერმა უთხრა: რაკი თქვენ ასე გემინით, მე მიმყავს ჩემი მღვდელ-მონაზონი და მივდივარ მონასტერში; თუ ეგზარქოსი ან თურქები შეიტყობენ, უთხარით, რომ

ერთმა ბერმა ილარიონ ქართველმა მოგვაცემინა ასეთი აღთქმა და ჩვენც ამიტომ გავაკეთეთ-თქო ყოველივე, ასე რომ, არ იდარდოთ.

მაშინ ილუმენმა მიუგო: ჩვენ თქვენს გამოც ვერავიულობთ, თურქებმა რომ ყოველივე ეს შეიტყონ, მოგკლავენ, შეგდაპყრობენ, ტომარაში ჩაგსვამენ და ორივეს ზღვაში დაგახრჩობენო. ჩემმა მოძღვარმა უბასუხა: ჩვენ მზად ვართ, მეც და ჩემი მღვდელ-მონაზონიც, დაე, დაგვახრჩონო. შემდეგ ყველანი ერთად გავემგზავრეთ გრიგორიანულ მონასტერში, ნავით. სამონასტრო ძმობამ დაგვინახა, ძალიან გაუხარდათ.

დილით ყველაფერი ისე მოაგვარეს, რომ იმ ბერს, რომელმაც პატრიარქის ლოცვა წაიკითხა, მიჰყავდა ლიტურგია. აანთეს ქორკანდელი ქერუბინთა საგალობელის დროს, ხოლო როდესაც შეიკრიბა ყველა მამა, მღვდელი გამოვიდა საკურთხეველიდან, მის წინ სანთელი და საცეცხლური მოჰქონდათ, ხოლო თავად მას ფეშხუმი და ბარძიმი ეპყრა. მღვდელმა გამოაცხადა: „ყველა თქვენ მოგიხსენით უფალმა ღმერთმა სსსუფვეელსა თვისსა“ და გაჩერდა ქორკანდელის ქვეშ, მაშინ ერთი ბერი, რომელსაც ხელში ქარტია ეკავა, მასზედ დაწერილი 82-ე ფსალმუნით, წინ დაუდგა და მღვდელმა კითხვა დაიწყო: „სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა, ღმერთო ვინ გემსგავსოს შენ?.. და ასე ბოლომდე. მამები კი მეთათე მუხლამდე გალობდნენ:

ხოლო შემდგომ მრავალჯერ გაიმეორეს: „ამინი“ და იგარძნეს, რომ ისევე გარდმოევიდნენ ღვთის მადლი მონასტერს. ბერები სიხარულით მეხვეოდნენ და მადლობას მიხდიდნენ და ყველანი აღიდებდნენ და მადლობდნენ ღმერთს“.

ამით თავდება მამა საბას წერილი.

ყველაფერი ეს მოხდა პატრიარქ ანთიმოზ VI დროს. ომის დამთავრების შემდეგ იგი მეორედ ჩამოაგდეს ტახტიდან, ამის შემდგომ იგი ჩამოვიდა ათონზე და ისთიგმენის მონასტერში დასახლდა, სადაც აღკვეცილ იქნა.

ერთხელ, 1856 წელს, რომელიღაც დღესასწაულზე, მან მოისურვა წმიდა პანტელეიმონის მონასტერს სწეოდა, სადაც იმ დროს მამა ილარიონი იმყოფებოდა. ღვთისმსახურების დროს პატრიარქი იდგა საფარის ტაძრის მღვდელმთავრის კათედრაზე. მამა ილარიონმა, საბასთან ერთად ჩაიარა და ზედაც არ შეხედა მსცოვან პატრიარქს, რასაც უკანასკნელმა მაშინვე მიაჩქია ყურადღება. პატრიარქს უამბეს იმ შემთხვევის შესახებ, რაც გრიგორიანულ მონასტერში მოხდა ლოცვის დროს. ღვთისმსახურების დამთავრების შემდეგ, წესისამებრ, ყველა სტუმარი „არქონდარიკზე“ მიიწვიეს. პატრიარქს სურდა, როგორმე გამოეყვანა თავი იმ უხერხული მდგომარეობიდან, რომელშიც იგი რუსებისა და მამა ილარიონის წინაშე ჩავარდა. მან დაიწყო ლაპარაკი წარსულ მოვლენებზე და შეეცადა, გაეტარებინა აზრი, რომ დროდადრო საჭიროდ მიიჩნეეს მთავრობის არც ისე უკანონო მოთხოვნებისადმი დამორჩილებას, თუ ეს

ეკლესიის საკეთილდღეოდ ხდება - ჩვენც ვლოცულობდით, რომ ღმერთს ჩვენი სულთნისათვის დახმარება გამოეგზავნა და იგი ჩვენი ეკლესიისადმი და მისი შვილების, მართლმადიდებელი ქრისტიანებისადმი გულმოწყალებად განეწყვეთო.

პატრიარქი ანთიმოზი, რომლის დროსაც მოხდა სქიზმა ბულგარელებთან, ჩამოვიდა ათონზე, ტახტიდან ჩამოგდების შემდგომ ის იყო, ფეხი დადგა ნაპირზე, რომ წმიდა მთა შეინძრა მიწისქვეშა ბიძგისაგან და რამდენჯერმე შეტორტმანდა. ყოველივე ეს მოაწმინდელეებმა პატრიარქის ცოდვებს მიაწერეს და კინოტმა მთელ მთაზე დაგზავნა ბრძანება, რომ გულმოდგინედ ელოცათ ღვთისადმი, რათა მას არ დაესაჯა წმიდა მთის მაცხოვრებელნი სამართლიანი რისხვით და შეეწყალებინა უსაზღვრო წყალობით.

ცდუნება დიონისიატში

არც დიონისიატში დასცალდა მამა ილარიონს მშვიდი ცხოვრება. აქ მას განსაცდელი მოევიდნა ილუმენ ევლოლის სახით.

ბერებმა გაიგეს, რომ თურმე კატებს სებისკვერის ფევილზე ეძინათ. ვარცლშიც, ცომზეც კატის ცურცლი ნახეს. ძმობამ შესებისკვერეს უსაყვედურა; მაგრამ მას ძალიან უყვარდა თავისი კატები, და მუნათიც აირიდა: ოცი წელია სებისკვერს ვაცხობ და ჩემი საქმისაც მე უკეთ ვიციო.

რამდენიმე ძმამ, რომელთაც უყვარდათ მამა ილარიონი და მის რჩევას ყურს უგდებდნენ, ბერს შესჩვილა, სებისკვერის საცხობში უწესრიგობა და უსუფთაობა სუფევსო. მამა ილარიონმა ილუმენი აკაცრად ამხილა: საცხობი საშინლად ვიწროა, ბნელი, არც ხელსაწყობები საკმარისი. ცხადია, იქ გაჭირდება საქმის კეთება. შენ მშვენიერი სენაკი გქონდა, მამაო, მაგრამ უკეთესი მოინდომე და აიშენე კიდევ, საცხობად რომ მაგის ნახევარი მაინც აგეგო, საქმე უკეთ წავიდოდაო.

ილუმენს არ ესაიბოვნა ამგვარი მხილება, ილარიონი დატუქსა და მკვებედ მიახალა, - უთუოდ ილუმენობა მოგიწიდაო. მამა ილარიონი ერთობ შეუტრცხყოფილი წამოვიდა.

ამის შემდეგ ილუმენი მამა ილარიონის წინააღმდეგ ამხედრებდა ძმობას, ლანძღავდა ბერს, უფროსობა მომინდომა, უნდა შევაჩვენოთ, დავსაჯოთ, რომ სხვის საქმეებში ჩარევა ველარ გაბედოს და აქედანაც უნდა გავაძვეოთო.

ილუმენის ზრახვები შეიტყო მამა ილარიონმა. ასეთ ხალხთან ცხოვრება არ შემძლიაო, თქვა და მცირე ანას სავანეში გადავიდა, სადაც მას კარგად იცნობდნენ, რადგან ეს სავანე მისი აღრინდელი საცხოვრისის მახლობლად მდებარეობდა. სავანეში ბერი დიდი სიხარულით მიიღეს. ერთმა ვაჰარმა ღირსი ონოფრეს სენაკი უყვიდა, სადაც იგი 1862 წლამდე ცხოვრობდა.

ამაღლე მამა ილარიონს ესტუმრა მხაი სულიერი მამის,

ნეოფიტე კარაბლისის მოწაფე, ბერი ჰაჯი-გიორგი. რომელმაც ქრისტეს სიყვარულით შენიშნა, - შენ მე მოთმინებას მასწავლიდი, თავად კი წამოხვედიო. მამა ილარიონმა მშვიდად მიუგო, - მე მხოლოდ სახარებას მივუგდე ყური, რომელიც გვაუწყებს, - თუ ერთი ქალაქიდან გაძევებენ, ილტვოდეთ მეორეში.

მამა ილარიონის საეანეში ყოფნისას ერთი ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა. ღირსი მამა ონოფრეს სახელზე ნაკურთხი ეკლესიის საკურთხეველი შესაკეთებელი იყო. ტრაპეზის მოწყობის შემდეგ მღვდელმთავრის მოწვევა იქნებოდა საჭირო, ყველაფერი დიდ ხარჯს მოითხოვდა. მამა ილარიონს მოწაფე ეხვეწებოდა, მონასტრისათვის ეთხოვა შექმნა, მაგრამ მას არ სურდა შეეწუხებინა მესვეურნი და ღვთის ნებას იყო მინდობილი.

ქეშმარიტად, ის, ვინც მთავარზე - მარადიულ ცხოვრებაზე ზრუნავს, მიიღებს ყოველივეს, რაც სჭირდება, თუმცა, შეიძლება, უმაღლეს არაა, რადგანაც ნათქვამია პირველყოვლისა, ეძიებდეთ სასუფეველსა ღვთისას და ქეშმარიტებას მისსა და ყოველივე მოგეცემათ თქვენ.

იმ ხანებში ვილიაში ლავრის ერთი ბერი გადასახადს კრფდა. მას ქუჩაში ქალი შემოხვდა, რომელმაც 20 თუმანი მისცა და სთხოვა, ეს ფული ათონის მთაზე, მამა ილარიონ ქართველს გადაეცე, იგი ღირსი მამა ონოფრეს სენაკში ცხოვრობს და ფული ძალზე სჭირდებაო. ესა თქვა და ქალი თვალს მიეფარა. გადასახადის ამკრეფი ასეც მოიქცა და მამა ილარიონს უთხრა, - ალბათ, გეცოდინება, ვინ იყო ის ქალიო. მამა ილარიონმა შეიცხადა - ვილიაში ნამყოფიც არა ვარ და არავის ვიცნობო, შენ ალბათ შეგეშალაო, ამ ფულს მე ვერ მივიღებ, თუ ჩემს მოსახელეს სხვას ვერ იპოვნი, გლახაკებს დაურიგეო. გადასახადების ამკრეფმა ყველაფერი ძმებს უამბო. მათ ურჩიეს, თავადვე დაეჭირებინა ოსტატები, ეკურთხებია ტაძარი და კარგად გამასპინძლობდა სტუმრებს. ბერმა ყოველივე პირნათლად შეასრულა.

მამა ილარიონის სურვილით, ტაძარი ქრისტეს აღდგომის სახელზე აკურთხეს.

ორი წლის შემდეგ მამა ილარიონი ცდუნების წინაშე აღმოჩნდა: მოძღვარი მამა გიორგი, რომელიც დიდი ანას საეანეში ცხოვრობდა, დათანხმდა კოტლომუშის მონასტრის ილუმენს, მიეღო ინგლისის ქვეშევრდომობა და პასპორტი. მამა ილარიონმა ეს ამბავი შეიტყო და პირველსავე შეხვედრაზე დატუქსა მამა გიორგი, რომელთანაც შეგობრობდა. თან იმ ბოროტებაზე მიუთითა, რომლიდანაც ეს წამოწყება მოდიოდა. მამა გიორგიმ მაშინვე მოინანია შეცდომა, ბერის ფეხებთან დაემხო და სთხოვა, მისთვის ეპიტამია დაედო, მაგრამ მამა ილარიონმა ეპიტამიის დადებაზე უარი განუცხადა და უთხრა, - არ შემიძლია ამ ამბავზე წმიდა კანონების გარეშე ვიმსჯელო, მითუმეტეს, რომ საქმე თავად წმიდა ეკლესიას ეხება; ამიტომ, ამ ეპიტამიას შენ ვერ იტვირთავ და მტრად გადაიქცევი. ჯობს, შენს სულიერ მოძღვართან მიხვიდე, შენი ცოდვა გაანდო და რა მსჯავრსაც დაგადებს, ის შეასრულო.

მაგრამ, მამა გიორგი დიდხანს და დაჟინებით თხოვდა მამა ილარიონს, მას დაედო სასჯელი, თან არწმუნებდა, შენგან ყველაფერს მივიღებ და გავუძღვებო. ბევრი თხოვნის შემდეგ, მამა ილარიონმა, პირველ ყოვლისა, განუმარტა მისი საქციელიდან გამომდინარე ყოველგვარი ბოროტება, შემდეგ კრებათა კანონები წაუკითხა და ამ კანონების მიხედვით 40 დღის განმავლობაში ლიტურგიის ჩატარება აუკრძალა.

40 დღის შემდეგ კი ყველაფერი ნათელი გახდებოდა: თუ ათონზე ჩამოვიდოდა ფაშა მათი ინგლისელებთან ურთიერთობის გამო, მამა გიორგის სამუდამოდ ჩამოერთმეოდა წირვის უფლება, ხოლო თუ არ ჩამოვიდოდა, ბერი ხელახლა გადახედავდა მის საქმეს და მონანიების ხარისხის გათვალისწინებით, ეტყოდა, რა უნდა გაეკეთებია შემდგომში.

მამა გიორგიმ სიხარულით მიიღო სასჯელი და რამდენიმე დღე არ ატარებდა ლიტურგიას: მაგრამ კოტლომუშის ილუმენმა ურჩია, არავის ყური არ დაუგლო, სისულელეა ასეთი საქმისათვის ეპიტამიის აღსრულება და იმ ადამიანის ნების დაყოლა, რომელსაც თავისი ველური უდაბნოს იქით არაფერი უნახავსო. მამა გიორგიმაც უკუაგლო მამა ილარიონის მიერ დადებული ეპიტამია და კვლავ დაიწყო ღვთისმსახურების აღსრულება. სინდისის დასამშვიდებლად კი მამა ილარიონის საშინელ ლანძღვასა და ცილისწამებას მიჰყო ხელი.

ამ ამბის შემდეგ წმიდა პავლეს მონასტრის ეწვია ინგლისის დესპანი. ამ მონასტრის ყველა ბერი განმომავლობით იყო იონიის კუნძულებიდან, რომლებიც იმჟამად ჯერ კიდევ ინგლისის სამფლობელო გახლდათ. დესპანმა სთხოვა ბერებს, ლოცვებში მომისხენითო, ეპისკოპოსმა არა მარტო კვერქსებში, არამედ პროსკომიდიის დროსაც კი მოისხენია იგი. მაგრამ შემდეგ შეეჭვდა და რჩევა სულიერ მოძღვარს ჰკითხა. მოძღვარმა გაიციხა, ერეტიკოსი როგორ მიხსენეო და სამი წლის განმავლობაში ლიტურგიის ჩატარება აუკრძალა. მღვდელმთავარმა არ დაუჭერა და მამა ილარიონს ეახლა. მოსმენილი ამბით განცვიფრებულმა ილარიონმა უთხრა, არათუ სამი წლით, მთელი ცხოვრების მანძილზე არ გაქვს უფლება ლიტურგიის ჩატარებისაო.

მონასტერში დაბრუნებულმა მღვდელმთავარმა ღვთისმსახურების ჩატარებაზე უარი სთქვა. ილუმენმა როცა შეიტყო, მღვდელმთავრისათვის ორივე მოძღვარს ლიტურგიის შესრულება აეკრძალა და გაცხარდა, - ბერებმა განსჯის უნარი დაკარგეს, თორემ ისეთი უბრალო მიზეზის გამო, როგორც პროტესტანტის მოხსენიებაა, ეპისკოპოსს ღვთისმსახურება როგორ აუკრძალესო.

მაგრამ ღმერთი არასოდეს შეგინებული არ არის. წირვის შემდეგ მღვდელმთავარს ცხვირიდან სისხლი წასკდა და ვერაფრით შეუჩერეს. მრავალთა ჰკუსის სასწავლებლად, იგი გარდაიცვალა. ეს ამბავი მთელ ათონს მოედო.

მალე ამ ამბის შემდეგ - 1862 წელს - მამა ილარიონი მამა სახასთან ერთად რუსიკში გადავიდა.

რუსიკში ცხოვრება

პირველად მამა ილარიონი რუსიკის მონასტერს 1819 წელს, ათონზე ჩამოსვლის პირველ წელიწადს ეწვია; მეორედ - 1856 წელს, ბერთან და მოძღვართან - იერონიმთან შესახვედრად, მესამედ კი საერთოდ იქ დაემკვიდრა.

ბერების რჩევითა და თხოვნით მამა ილარიონმა გადაწყვიტა გაეცნო მამა იერონიმი. ისინი პირველი შეხვედრისთანავე დაახლოვდნენ და მათი სულიერი კავშირი მამა ილარიონის სიკვდილამდე არ შეწყვეტილა. ყოველ წელიწადს, როდესაც მამა იერონიმი ათონის გარეუბნებში სულიერი მეგობრების მოსანახულებლად მიემგზავრებოდა ხოლმე, პირველ რიგში მას უნდა სწევოდა.

1862 წელს მამა ილარიონი რუსიკში ჩამოვიდა და განაცხადა, რომ სამუდამოდ სურდა იქ დარჩენა. მონასტრის ბერებმა სიხარულით მიიღეს მოწაფესთან ერთად და სთხოვეს, რომ წმიდა დიდმოწამე გიორგის სენაკის შეკეთებამდე თავად შეერჩია შესაფერისი სამყოფელი. ბერი დროებით პეჩორის წმიდა ლავრის სენაკში დასახლდა, რომელიც კიევი-პეჩორის ლავრის ყოფილი ნაცვალის, ამბროსის აშენებული იყო. მეორე წელიწადს კი, როდესაც წმიდა დიდმოწამის - გიორგის სენაკის მშენებლობა დამთავრდა (ხარჯები გაიღო მამა ილარიონის რუსმა თაყვანისმცემელმა ე.გაბაროვმა) - იქ გადავიდა.

ეს სენაკი ზეთისხილის ტევრში დგას, მონასტრიდან ნახევარი საათის სავალზე. მისი ტაძარიც იმავე წლის ოქტომბრის თვეში აკურთხეს. აქ ბერმა ცოტა ხანს იცხოვრა - აღსასრულამდე.

გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, ბერს მომაკვდინებელი სენი შეეყარა. მას ნაწლავების გადახლართვა დაემართა, არც სმა შეეძლო და არც ჭამა. ექიმმა თქვა, ხვალ, ამა და ამ საათზე მოკვდებო. ბერი გაუნძრევლად იწვა და კენესოდა. მასთან მოდიოდნენ ბერები, ძმობა და საითთაოდ ემშვიდობებოდნენ. მამა ილარიონი თვითონაც დარწმუნებული იყო, რომ მისი ცხოვრების ძაფი სადაცაა, გაწყდებოდა და თავდაც ყველას ეთხოვებოდა.

მეორე დღეს, ზუსტად იმ საათზე, როდესაც, ექიმის სიტყვებით, მამა ილარიონი უნდა გარდაცვლილიყო, იგი ფეხით, სრულიად ჯანმრთელი, მივიდა მონასტერში ავადმყოფ მაკარის მოსანახულებლად. მისი დანახვისას ყველა განცვიფრებული დარჩა!

აი, როგორ მოხდა ბერის გამოჯანმრთელება; უკვე სიკვდილის პირას მიწვენილი მამა ილარიონი იწვა და ლოცულობდა, უცებ მაკარის ხატიდან ხმა შემოესმა: „გინდა, ცოცხალი დარჩე და ჯანმრთელი იყო?“ ბერმა, რომელიც ყოველთვის ემორჩილებოდა ღვთის ნებას, მიუგო, „მე მუდამ უფლის გადაწყვეტილების მონა-მორჩილი ვარ!“ მაშინ, გაისმა პასუხად, ცხოვრება და ჯანმრთელობა გებოძაო. დილით მამა ილარიონი სრულიად ჯანსაღი წამოდგა ლოგინიდან და როცა მაკარის ავადმყოფობის ამბავი შეიტყო, მის მოსანახულებლად

გასწია.

ამ ამბის შემდეგ, სულ მალე ათონზე სინოდის ყოფილი ობერ-პროკურორი, გრაფი ტოლსტოი ჩამოვიდა, რომელიც აღმოსავლეთში საეკლესიო საქმეების გამო მოგზაურობდა. სხვადასხვა ადგილებში და განსაკუთრებით ალექსანდრიაში მას ბევრი რამ უამბოეს ანონის და უფრო რუსიკის მონასტრის შესახებ, ამ მონასტრის ბერებზე, ასე, რომ გრაფი წმიდა მთაზე უკვე თავისი გარკვეული აზრის მქონე მიემგზავრებოდა.

ერთადერთი, ვისაც მასზე კეთილი გაეღენა შეეძლო მოეხდინა - მამა ილარიონი იყო, მას გრაფი დაუსწრებლად იცნობდა თავისი მეუღლის, ქართველი მეფის ასულისაგან, რომლის მდებალი მოკითხვაც უნდა გადაეცა ბერისათვის. მამა ილარიონთან საუბრისას გრაფმა ირწმუნა, რომ ყველაფერი, რაც მთაწმიდელბზე უთხრეს, ცილისწამება იყო.

მამა ილარიონის შესახებ მას ჭერ კიდევ ადრე სმენოდა უწმიდესი სინოდის კანცელარიის გამგის პ.ი.სოლომონისგან, რომელმაც ათონი 1859 წელს მონახულა და განსაკუთრებული დეაღებების აღმსრულებელი მოხელის კ.კ.ქედარგოლისაგან. ისინი საგანგებოდ ეწვივნენ მამა ილარიონს სულიერი და ეკლესიური საკითხების გადასაწყვეტად. შემდგომ პ.ი.სოლომონმა წერილი მისწერა მამა ილარიონს, რომლის პასუხი „ტამბოვის ეპარქიის უწყებებში“ მოათავსა (იხ.დამატება).

თავის მოწაფეს, მამა საბას, მამა ილარიონმა ანდერძად დაუტოვა: არასოდეს ექამა კარაქი, არ დაეღია ღვინო, ყოველდღე ეწირა და მთელი მსოფლიოსათვის ელოცა. როდესაც ისინი ერთად ცხოვრობდნენ, ყველაფერ ამას მკაცრად ასრულებდნენ. გარდა ამისა, ყოველ დამე ღამისთვის ლოცვას აღასრულებდნენ, როდესაც ორივე მოწამე რუსიკში გადავიდა, მათ სიხლოვეს მყოფებმა ასეთი განაწესი შეამჩნიეს: საღამოდან დაწყებული არ ეძინათ, როცა ყველაფერი მიწყნარდებოდა, ბერი გამოდიოდა სამყოფლიდან, ჩაახველებდა, ან მტკიცე ნაბიჯებით გაივილიდა მისი მოწაფის სენაკთან, ან სამჭერ მიუკაკუნებდა, ან კი ვითომდა რაიმე საქმეზე გამოუძახებდა. ყველაფერს ამას მამა ილარიონი იმიტომ აკეთებდა, რომ საბას ღამისთვის ლოცვის დროს არ ჩასძინებოდა.

შუაღამისას ბერი გამოდიოდა სენაკიდან და ხმაურით იწყებდა ბოლოს ცემას, რათა მისი ფეხის ხმა მთელ ძმობას გაეგონა და ცისკრის ლოცვისათვის გამზადებულიყვნენ. ძახილით იგი არავის ადვიძებდა. სენაკის ძმობაც დგებოდა, რათა აღესრულებინათ წესი, რომელიც დილის მ საათამდე გრძელდებოდა, შემდეგ კი ყოველ დღე წირვა ტარდებოდა. ბერი თვითონ უკვე აღარ ასრულებდა ღვთისმსახურებას, მაგრამ ყოველთვის ეზიარებოდა ხოლმე.

უქმად რომ არ ყოფილიყო, ბერი ყოველდღე საბუშაოდ გამოდიოდა: მას დურგლობა უყვარდა. მისი ნამუშევრებიდან დარჩა კიბეები, ძელსკამები და მაგიდა, ყველაფერი ეს რანდისა და წებოს გარეშე ცუდით და ლურსმნებითაა გაკეთებული.

წმიდა გიორგის სენაკში მათ მიუჩინეს რუსი მსახური, რომელიც ძალაუფლებურად აკვირდებოდა მამების ყოველდღიურ შრომას, ღამისთევის ლოცვებს, მკაცრ მარხვას. მაგრამ უცხო თვალის ასარიდებლად ბერები მსახურს იქ დიდხანს გაჩერების უფლებას არ აძლევდნენ და პეჩორელ მამათა სენაკში აგზავნიდნენ. კერძო მამა ილარიონი და მამა საბა მხოლოდ შაბათ-კვირას ხარშავდნენ და ისიც უფრო სხვების დასანახავად. მაგრამ, როცა მამა ილარიონი სტუმრად იყო, თავისი ბრძნული გამჭირაობის გამო, შემოთავაზებულ საჭმელზე უარს არ ამბობდა და რასაც გამოუტანდნენ, ყველაფერს ჭამდა. მოწაფე კი არასოდეს და არსად არ არღვევდა მარხვას. წმიდა აღდგომის დღესასწაულზეც კი მხოლოდ მას უდგამდნენ სამარხო საჭმელს, სენაკში დაბრუნებული ბერი კი განაგრძობდა მარხვას.

ბერს ღღე-ღამეში მხოლოდ ორი საათი ეძინა - ერთი ფეხზე მდგომარეს, კვერთხზე დაყრდნობილს, მეორე კი იატაკზე, ზურგიით კედელზე მიყრდნობილს. ღამისთევის ლოცვებს ისინი სენაკებში აღასრულებდნენ, ბერს საგანგებო საკიდი ჰქონდა მოწყობილი: ჰკერიდან დაშვებულ რკინის რგოლებზე პირსახოციები იყო მიბმული, როდესაც უძლურებისაგან ფეხზე დგომა აღარ შეეძლო, ბერი ამ პირსახოცებზე ჩამოეკიდებოდა ხოლმე, ხოლო სტუმრის თვალის ასახვევად დღისით მასზე თერთვულს ფენდა გასაშრობად.

მამა ილარიონი თითქმის ყოველთვის თურქულად საუბრობდა ხოლმე, მოწაფე კი ბერძნულად თარგმნიდა, რადგანაც მამა ილარიონი ბერძნულად მეტად ცუდად მეტყველებდა.

რუსული ენა, რომელიც რუსეთში ცხოვრებისას მამა ილარიონმა კარგად იცოდა, სრულებით დააეწყვდა, რადგანაც ორმოცი წლის განმავლობაში არასდროს გამოუყენებია. მაგრამ, იყო შემთხვევებიც, როდესაც ბერი ბრწყინვალედ იწყებდა ლაპარაკს ბერძნულადც და რუსულადც, მაგრამ ეს ენის ცოდნით კი არ მოსდიოდა, არამედ ზეციური შთაგონებით, მხოლოდ სულიერად მეტად საჭირო შემთხვევებში.

პეჩორელ მამათა სენაკში მამა ილარიონთან ერთად ცხოვრობდა რუსი ბერი მამა თეონა, დურგალი, რომელიც მასთან ერთად მნათეობას ეწეოდა. ამ მორჩილებას იგი გულმოდგინედ ასრულებდა. ერთხელ, ღამით, მას ადამიანის სახით დემონი მოეგლინა და ჰკითხა, რატომ გაქვს სენაკში ღვინო? - მან უპასუხა, ეს საეკლესიო ღვინოა. დემონმა მოითხოვა ღვინო და, უკვე აღებაც კი დააპირა, მაგრამ მამა თეონამ ხელი სტაცა მათარას და ხმამაღლა დაუწყო დავა. მერე ისე გაცხარდა, რომ ყვირილიც კი აუტეხა: არავითარ შემთხვევაში არ დაგანებებო ღვინოს. ყვირილზე ბერებს გაეღვიძათ. ისინი სენაკთან შეგროვდნენ და კარზე დაუწყეს კაკუნი. მაგრამ მამა თეონას აღარაფერი ესმოდა და თავისას გაიძახოდა - ღვინოს არ მოგცემო. ბოლოს გონს მოეგო და კარი გაიღო, ყველანი საშინლად აღელვებულნი დახვდნენ.

მამა ილარიონმა იგი თავის სენაკში წაიყვანა, დაამშვიდა და აუხსნა, რომ ეს ბოროტი საქმე მისმა მოშურნე მტერმა ჩაიდინა, რომლისთვისაც მამა თეონას

გულმოდგინება საძულველი იყო. ბერი დიდხანს ესაუბრებოდა მამა თეონას, სანამ იგი საესებით არ დაწყნარდა.

მხოლოდ დღლით იაზრა მამა თეონამ, რომ ისინი რუსულად საუბრობდნენ. ღვთისმსახურების შემდეგ იგი კვლავ მივიდა ბერთან და მომხდარი ამბის შესახებ გაუბა საუბარი. მაგრამ, მამა ილარიონმა შეიტხადა - არაფერი მესმისო, მამა თეონა შეეპასუხა - აკი ამაზე წუხელ დიდხანს ვისაუბრეთო... რაზედაც ბერმა მამა საბას მეშვეობით მიუგო - მე არ ვიცი, როგორ ვლაპარაკობდი, მაგრამ უფალმა საჭიროდ ჩათვალა და ჩემი ლაპარაკი შენ როგორც რუსული, ისე შეგასმინა, თითქოს მე მართლაცდა რუსულად ვსაუბრობდიო.

ამგვარად ხდებოდა, როცა ბერი ბერძნულად იწყებდა ლაპარაკს, როდესაც ძალიან სჭირდებოდა და გვერდით არ ჰყავდა თავისი მოწაფე ან ვინმე, თურქული ენის მცოდნე.

მამა საბას ჩანაწერი თაჰვის მოქალაქე მამა ილარიონზე

ქვაბ-სენაკში ცხოვრებისას მამა ილარიონს მეუღაბნო ეწვია. მათ სულიერ თემებზე ისაუბრეს და სტუმრის მოტანილი რბილი პურიც მიირთვეს. წასვლისას მეუღაბნოე დაპირდა, მალე კვლავ გინახულვებო, მაგრამ მხოლოდ ერთი თვის შემდეგ შესძლო დაბრუნება და მოსვლის უმაღ პატიება ითხოვა დაგვიანებისათვის. მამა ილარიონმა გაიოცა, - რას ბოდიშობ, განა გუშინ არ იყავი ჩემთან და სხვადასხვა თემებზე არ ვისაუბრეთო... რამდენიმე წუთს იკამათეს ბერებმა, ორივე თავისას ამტკიცებდა. ამ დროს ფუფულა პური გაახსენდათ, რომელსაც მამა ილარიონის აზრით, წინა საღამოს შეეჭკვიდნენ. მამა ილარიონმა პურის ნარჩენი მოიძია - პური ქვასავით გამაგრებული იყო და მაშინდა დარწმუნდა მეუღაბნოს სიმართლეში. ამ შემთხვევამ მამა ილარიონი ჩააფიქრა, რადგანაც მთელი ეს პერიოდი მან სულიერ აღტაცებაში გაატარა და არაფერი მიწიერი აღარ ახსოვდა.

ერთხელ, მამა ილარიონმა თავისი ცხოვრების ერთი შემთხვევა, სხვისი თავგადასავალივით მოჰყვა. ერთი დაყუდებული ბერი სენაკიდან გამოვიდა და შეეფეთა ბერის სახით გამოცხადებულ დემონს, რომელიც ცხარედ ტიროდა. ბერმა ქვითინის მიზეზი ჰკითხა; 30 წელია, უფალს ერთი ცოდვის მიტევებას ვევედრები და არ მპატიობსო, მიუგო სატანამ და მოთქმა განაგრძო. ბერმა დაამშვიდა მწუხარე. სენაკში დაბრუნებულს ეშმაკეული ფიქრი აეკვიატა, რომელიც უთუოდ დემონის შთაგონებული იყო - თუ ერთ ცოდვას არ პატიობს უფალი, მე სიყმრადან ვცოდავდი და ღმერთს ვარისხებდი, რაღას უნდა ველოდე, აქ რატომ ვცხოვრობ, დროს რად ვკარგავო.

მაგრამ, გულმოწყალე უფალმა არ დაუშვა, რომ მისი მონა ეშმაკის ბადეში გაბმულიყო და იმავე წუთს განდგომილ ბერს ხმა შემოესმა: ნუ უჯერებ ეშმაკს,

რომელიც შენ გაცდუნებს. გადი და უთხარი, რომ არამართო ერთი ცოდვის ოცდაათწლიან მონანიებას იწყებებს უფალი, არამედ ადამიანმა მთელი მსოფლიოს ცოდვები რომ იღოს თავად და სამი საათის განმავლობაში გულწრფელად მოინანიოს, უფალი ამასაც შეიწყალებს და შეუნდობს მომნანიებელს. შენც კი, სატანას, მიგიღებდა ღმერთი, თუ მოინანიებდიო.

ბერი გამოვიდა და ეს სიტყვები ეშმაკს გაუშეორა. მან გადაიხარხარა, ა, მოხუცო, შეიტყვეო, - თქვა და მიშინვე გაქრა.

ერთხელ, ათონზე, საიდანლაც ცოფიანი ძაღლი მოვარდა და ვერაფრით შესძლეს მისი შეპყრობა. იგი თავს ესხმოდა პირუტყვისა და ხალხს. ძაღლმა მამა ილარიონის სენაკთან მიიბრინა. მან ფანჯრიდან დაინახა ძაღლი და გასძახა მამა საბას, თოკი მოიტანეო. მაგრამ, რადგან თურქულად სიტყვა „ძაღლი“ და „თოკი“ ერთნაირად უდერს, ამიტომ მოწაფემ იფიქრა, ბერი ძაღლის მიყვანას მთხოვსო. დაუფიქრებლად გაიქცა, ძაღლს ყურში ხელი სტაცა და ბერთან წაყვანა დაუბრია. როცა მამა ილარიონმა ძაღლის დრუნჩხუნი დუფი და მისი ანთებული თვალები დაინახა, შეძრწუნდა და უბრძანა მამა საბას, სასწრაფოდ გაეშვა, თან დატუქსა კიდეც. ძაღლი გაიქცა ისე, რომ მამა საბასთვის არაფერი უფნია.

მამა კირილეს ახალ სავანეში ჰყავდა ღვიძლი ძმა, რომელიც ცოტა ხნით საერო ცხოვრებას დაუბრუნდა, რათა ოჯახის საქმეები მოეგვარებინა და საბოლოოდ დაბრუნებულიყო ათონზე. მაგრამ შინ ისეთი არეულდარეულობა დახვდა, რომ მალე დაბრუნების ყოველგვარი იმედი დაკარგა და ძმას მისწერა, მასთან ჩასულიყო და დახმარებოდა, რადგან შიშობდა, რომ სამუდამოდ მოუწყვედა საერო ცხოვრებაში დარჩენა. მამა კირილემ თავის ბერ-ეპისკოპოსს სთხოვა კურთხევა, მაგრამ მღვდელმთავარმა უარი უთხრა. სხვა სულიერი მოძღვრებიც სხვადასხვანაირად ლაპარაკობდნენ. ასე, რომ კირილემ არ იცოდა, რა ეღონა.

ბოლოს, მამა ილარიონს ეახლა. ბერმა ყურადღებით მოუსმინა, სულიერად იგრძნო, რითი დამთავრდებოდა ეს საქმე და უთხრა, დაბრუნდი მოძღვართან, თავიდან მოუყვე შენი ამბავი და თუ ამჯერად მოგცა კურთხევა, უყოყმანოდ გაემგზავრეო.

მართლაც, მამა ილარიონის რჩევით, მამა კირილე მივიდა თავის მღვდელმთავართან და ის იყო, თავის საქმეზე დაიწყო ლაპარაკი, რომ ეპისკოპოსმა სასწრაფოდ მისცა თანხმობა, თუმცა, ადრე კატეგორიული წინააღმდეგი იყო. მაშინ მამა კირილე გაემართა დაფნისაკენ, საიდანაც უნდა გამგზავრებულიყო; მაგრამ იმ ხანად ზღვა მეტისმეტად დეღავდა; მამა კირილე შეშინდა - ეტყობა, ჩემს მგზავრობას უფალი არ აკურთხებსო და მღვდელმთავართან დაბრუნდა და ფიქრი გაანდო, მაგრამ ეპისკოპოსმა ყური არ ათხოვა და მამა კირილემ დაემორჩილა.

წასვლის წინ მან მამა ილარიონთან შეიარა, მაგრამ ბერი შინ არ დაუხვდა. მამა კირილემ კარზე ორცხობილიანი პატარა ფუთა დაკიდა და გზას გაუდგა. სენაკში დაბრუნებულმა მამა ილარიონმა მამა საბას უთხრა, - ეს ორცხობილები მამა კირილემ მოიტანა, მან

გზად შემოგვიარა, შინ გამგზავრა და კარგიც გააკეთა. ყველა საქმეს კეთილად დაამთავრებს. მონაზონსაც აღკვეცს და ძმასაც ჩამოიყვანს ათონზეო.

ყველაფერი ასეც მოხდა. მამა კირილემ ყველა საქმე კეთილად დააგვირგვინა. თავისი და მონაზონად აღკვეცა. ძმასთან ერთად ათონზე დაბრუნდა და პირდაპირ მამა ილარიონთან მივიდა კურთხევის სათხოვნელად. მამა კირილეს ძმა მთელი გზა საოცარ კეთილსურნელებას გრძნობდა. მამა კირილე ეუბნებოდა, რომ მამა ილარიონმა ბევრი რამ მიწინასწარმეტყველა და ყველაფერი ამისრულდაო.

ვისაც ბერის სჯეროდა, მათ ბევრი რამ გადაეშლებოდათ ხოლმე თვალწინ - ასე, მაგალითად, სქემონაზონი ნიკოდიმოს ბულგარელი კონსტანტინტურ მონასტერში ცხოვრობდა და თხუთმეტ წელზე მეტი დადიოდა მამა ილარიონთან აღსარების სათქმელად და მისაღმი უდიდესი მოწიწებით იყო გამსჭვალული, იგი ბერში უხვ ღვთის მადლს ხედავდა.

მამა ილარიონის გარდაცვალების დღეს მამა ნიკოდიმოსმა გაიფიქრა, ამდენი წელიწადია ბერთან დავდივარ და შენდობის ლოცვის წაკითხვა არასოდეს მითხოვია მისთვის, ამჯერად უსათუოდ შევთხოვო. მაგრამ მეორე დღეს მამა ილარიონი ცოცხალი არ დახვედრია და ამ ამბავმა მეტად შეაწუხა. გაიარა სამმა დღემ, გარდაცვალებულისათვის გულმხურვალე ლოცვის შემდეგ, ცისკრის ლოცვის დროს მამა ნიკოდიმოსს ჩასთვლიმა. მას უეტრად მამა ილარიონი გამოეცხადა განსივინებული, გაბრწყინებული, მზიარული და უთხრა: „ნუ დარდობ, რომ მე არ წავიკითხე ლოცვა, მიდი მამა საბასთან და ჩემს ნაცვლად ის წავიკითხავს“. მამა ნიკოდიმოსმა იმწამსვე გადაიკვა ანაფორა და ნაცნობი ბილიკით წმიდა გიორგის სენაკისკენ გასწია. ოღონდ შემოსილი მამა საბა ტაძრის საკურთხეველში იჯდა და ხელში გადაშლილი წიგნი ეკავა. მამა საბა მიუბრუნდა მამა ნიკოდიმოსს და უთხრა: „გელოდებოდით ბერმა შენთვის ლოცვის წაკითხვა მიბრძანა“. ადგა და კურთხევანიდან დაიწყო კითხვა. ლოცვის დამთავრებასთან ერთად ჩვენებაც დამთავრდა.

ნიკოდიმოსს მეორედ ასეთი ამბავი შეემთხვა: ერთხელ იგი სხვა მღვდელმონაზვნებთან ერთად მამა ილარიონს ეწვია წმიდა იაკობის სენაკში. ისინი დიდხანს ბასობდნენ სულიერ საგნებზე და ვერც კი შენიშნეს, როგორ შემოადამდათ. საუბარი რომ დაამთავრეს, ბერმა უთხრა: „ახლა კი წადით, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!“ ისინი შეცბნენ - ამ კუნაპეტ სიბნელეში სად უნდა წავიდეთო, მაგრამ მამა ილარიონს დიდად ეკრძალებოდნენ, დაუმორჩილებლობა ვერ გაბედეს და უჩუმრის პირით გაუდგნენ გზას. ის იყო, ბერები სენაკიდან გამოვიდნენ და ხელის ფათურით დაიწყეს დაშვება ციკაბო ბილიკზე, რომ უცებ გაბრწყინდა შუქი, ყველაფერი ირგვლივ დღესავით გაანათა და მათაც ადვილად მიაღწიეს დიონისიატს.

ქოლერის ეპიდემიის დროს ათონის გარშემო ყველგან კარანტინი იყო დაწესებული. ქარიშხალმა დიონისიატის მონასტრის სანაპიროზე გემი გარყია. მგზავრებმა ნაპირზე გადასვლა და გემის ამოთრევა მოინდომეს - ქარის

ჩადგომას ხმელეთზე დიველოდებითო, მაგრამ, სახადის გამო არსენარს მათი ნაპირზე შეშვება ილუმენის კურთხევის გარეშე არ შეეძლო. ილუმენმა კი ბრძანა, კარანტინის ზონაში - დაფნისში გაეცურათ. მგზავრებმა აუხსნეს დამხვედურთ, რომ ქარიშხლისა და მოახლოებული ღამის გამო ეს შეუძლებელიაო. თუშეცა, ისედაც ყველასათვის ნათელი იყო, თუ რა ხიფათი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამას. მოგზაურებს მაინც კატეგორიული უარი გამოუცხადეს და ნავსაც ძლიერი ბიძგიტო ნაპირიდან უკან, ზღვაში დაახვეინეს. მათაც მეტი რაღა დარჩენოდათ, დიდი სიძინელების გადალახვით მიადგნენ მეზობლად მდებარე მონასტერს.

ძმობის რამდენიმე წევრი განარისხა ილუმენის ამ საქციელმა და წავიდნენ მამა ილარიონთან მომხდარი ამბის მოსაყოლად. ბერმა დაამშვიდა ძმები, თან დასძინა, რომ ამ საქციელის გულისათვის უფალი ორმაგად დასჯიდა ილუმენს. ისეთი სენი შეეყრება, სამი დღე ძროხასავით იზღავლებს და იმ ძმებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მოგზაურების გაყრაში, კეკუის სასწავლებლად სხვა გაკვირვებაც დაატყდებოთო თავს.

ცოტა ხნის შემდეგ ილუმენს ისე ასტკივდა ყელი, რომ ზუსტად სამი დღე არაადამიანური ხმით ღმუროდა. მისი გამოჯანმრთელების შემდეგ, რამდენიმე ძმა ნავით სათვეზაოდ გავიდა ზღვაში, თან მონასტრის ყველა ბადე წაიღეს. წყნარი დღე იყო, მაგრამ უეცრად ძლიერი ქარი ამოვარდა და ისეთი ღელვა ატყდა, რომ ყველანი ნავის ფსკერს უღონოქმნილნი განერთხნენ. ნავი ნაპირზე გაირიყა და დაიმსხვრა. ბადეები დაიკარგა. თავად მებადურები ბეწვზე გადაჩნენ, მაგრამ ყოველივე ამით არ დამთავრებულა, გაკვირვებულების დასახმარებლად წასული მეორე ნავი ტალღებმა ამოაყარა.

დიონისიატის მონასტერში სებისკვერებში ნაპოვნი უსუფთაობა მღვდელ-მონაზონმა ამბერკიმ ამხილა. მამა ილარიონმა მოუწონა გულმოდგინება ღვთისათვის სასურველ საქმეში, თან ურჩია, შემდგომშიც ასევე მტკიცედ გააგრძელებოდა მოღვაწეობა.

ბერებს ილუმენი დაჰპირდა, ყველაფერს მოეაწესრიგებო და ძმობაც დაწყნარდა. მამა ამბერკის, როგორც ამ არეულობის წამომწყებს, ილუმენი ყოველმხრივ ავიწროებდა და მონასტრიდან გადგებაც კი დაუბირა. მამა ამბერკმა მამა ილარიონს შესჩივლა თავისი გასაჭირი. ბერმა დაამშვიდა - შენ ღვთის საქმეს ემსახურებოდი, ღვენა ნუ შეგაშინებს, მონასტრიდან კიდევ რომ გაგაგდონ, უფალი შენი გულმოდგინებისათვის არ გაგწირავსო. მამა ამბერკი მშვიდად შეხვდა მონასტრიდან გაძევებას. მამა ილარიონის სიტყვები კი მართლაც ახდა - კოტლუშიშის წმიდა პანტელეიმონის საფანეში მისულ მამა ამბერკს ყველაფერი უბოძეს - სენაკიც, საზრდელიც და ყოველივე, რაც კი ესაჭიროებოდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ მამა ილარიონი შეხვდა მას და ანუგეშა, რადგანაც უფალი აცხონებდა სიმართლისათვის დევნილთ და მოთმინებისათვის მას სამეფო სამყოფლის მსგავს დიდ პალატებს უბოძებდა. შემდეგ კი აი, რა მოხდა: მალე მას კონსტანტინის მონასტრის ბერებმა სთხოვეს,

ჩვენი ილუმენი გახდითო.

მამა ამბერკი მონასტრის წინამძღვარი გახდა, მოისურვა, რომ მამა ილარიონი მისულიყო, ლოცვა-კურთხევა მიეცა ახალი ცხოვრების გზაზე და სამწყსოს მართვის წესი ესწავლებინა. ბერს ნიკოდიმოს ბულგარელი გაუგზავნეს. როდესაც ისინი მონასტერში მივიდნენ, ილუმენი სიხარულით მიეგება, მაგრამ ბერი, რომელმაც შინაგანად მომავალი განჭკრიტა, შეჩერდა და სანამ ახალი ილუმენი ხმას ამოიღებდა, იგავებით ლაპარაკი დაუწყო; უფალმა უბრძანა ისრაელის მეფეს საულს ამალიკს შებრძოლებოდა რადგან იგი დიდ წინააღმდეგობას უქმნიდა ეგვიპტიდან დასახლებული მიწისაკენ მიმავალ ებრაელებს. უფალმა სამუელ წინასწარმეტყველის პირით უბრძანა, არ შეებრალებინა არავინ, არც უბრალო ადამიანები, არც მეფე და მთვან არავითარი გამორჩენა არ ენახა. მეფე საული წინასწარმეტყველ სამუელის სიტყვებს დაჰყვა და დაამარცხა მეფე; მაგრამ უფლის სიტყვები არ შეასრულა და არ მოჰკლა იგი, ხოლო კაცთმოთნეობის გამო არ გაწყვიტა მათი საქონელი და ებრაელებს საუკეთესოების არჩევს და წაყვანის ნება მისცა. უკან დაბრუნებულმა მსხვერპლის შეწირვა მოინდომა, მაშინ უფალმა სამუელ წინასწარმეტყველს უბრძანა წასულიყო, ემხილებინა მეფე და ეთქვა, რომ ჩამოერთმევა სამეფო და მისი ტახტი ლირსელს გადაეცემა. ასე შეგებთხვევა შენც! - უთხრა მამა ილარიონმა ილუმენს. შევიდა ჯერ ეკლესიაში, შემდეგ კი შინ გაბრუნდა.

რამდენიმე ხნის შემდგომ ილუმენს აზრად მოუვიდა დიონისიატის მონასტერში წასულიყო და იქაურ ილუმენს, რომელმაც თავის დროზე იგი გააძევა, შერიგებოდა. წესით, მას უნდა მოეთხოვა, რომ ილუმენს შეურაცხყოფისათვის ბოდიში მოეხადა, მაგრამ კაცთმოთნეობის გამო მან მთელი დანაშაული სებისკვერების საქმეში თავის თავზე აიღო და თვალთმაქცურად ირწმუნებოდა, ილუმენი მართალი იყო. მალე მამა ამბერკის საქციელის შესახებ მთელმა ათონმა შეიტყო. მისი კაცთმოთნეობის გამო უფალმა დაუშვა, რომ იგი წინასწარმეტყველებსამებრ ცთუნებულყო. და ისევე, როგორც მეფემ სამეფო, ილუმენმაც ილუმენობა დაკარგა, რამდენიმე ხნის მერე კონსტანტინის მონასტრის ძმობამ რაღაც დანაშაულის გამო, მამა ამბერკი მონასტრიდან გამოაძევა.

ერთი რუსი ბერი - მამა ბარსამუფი ოდესღაც სტუმრად იყო ბერ ექვთიმესთან წმიდა ანას საფანეში, მათი საუბარი რომელიღაც ბერის სიკვდილს შეეხო. მოულოდნელად მამა ექვთიმეს ცრემლები წამოუვიდა და თქვა: მამა ილარიონი მეუბნებოდა, როდესაც ვინმეს სიკვდილის ამბავს შეიტყობ, მიატოვე ყოველგვარი შენი წესი, შენს სულზე ყოველგვარი ზრუნვა და ილოცე და იტირე იმ სულისათვის, რომელიც გაჭირვებაში, ტანჯვა-წამებაში იმყოფება. რამეთუ, ჩვენ ჯერ კიდევ ცოცხლები ვართ და ცოდვების მონანიების უნარი შეგვწყვეს, მიცვალებულის სული კი მისი თავისათვის უკვე ვედარაფერს იღონებს და მეტად ესაჭიროება ჩვენი დახმარება - ჩვენი ლოცვაო.

მამა ილარიონის ალსასრული

მამა ილარიონს ბავშვობიდანვე განსაკუთრებულად უყვარდა წმიდა დიდმოწამე გიორგი. როგორც მამა საბა გვიდასტურებს, ბერს წმიდანი ეცხადებოდა ხოლმე და მთელი ცხოვრების მანძილზე იცავდა და ეხმარებოდა მას. მამა ილარიონი წმიდა გიორგის ეკლესიაში იყო მონათლული. ყრმობა და სიჭაბუკე წმიდა გიორგისადმი მიძღვნილ მონასტრებში ჰქონდა გატარებული და წმიდა დიდმოწამის საფარველქვეშე გარდაიცვალა.

სასიკვდილო სარეცელზე მყოფი მამა ილარიონი ტანჯვით ამბობდა, - მადლობა ღმერთს! მე მინდოდა მოწამეობა, მაგრამ უფალმა არ ისურვა, ახლა კი ავადმყოფობა გამომიგზავნა, ეს მოწამეობაზე უკეთესია, თუ მოთმინებითა და ღვთისადმი ერთგულებით იტანო.

სიკვდილის წინა დღეს მამა ილარიონმა მამა საბა წმიდა დიმიტრის სენაკში საწირავად გაგზავნა. ამ დროს იგი ცუდად შეიქმნა და ლოცვა-ვედრება დაიწყო. მამა საბამ ბერის ძახილი გაიგო, საბა დაბრუნდა, მამა ილარიონი სრულიად დასუსტებული დახვდა, მეორე დღეს ბერი გარდაიცვალა. ეს მოხდა 1864 წლის 14 თებერვალს.

სხვა დაწვრილებითი ცნობები მამა ილარიონის გარდაცვალების შესახებ მამა საბას ჩანაწერებში არ აღმოჩნდა.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თავად მამა ილარიონმა, რომელმაც იცოდა, თუ რა უდიდესი პატივისცემით იყვნენ რუსები მისადმი გამსჭვალული, უანდერძა მამა საბას მისი ნეშტი ისეთ ადგილას დაემარხათ, რომელიც რუსებს არ ეცოდინებოდათ, რადგან ეშინოდა, დროთა განმავლობაში მისი ძვლები წმიდა ნაწილების გვერდით არ მოეთავსებინათ. ზუსტად სად არის დაკრძალული მამა ილარიონის პატიოსანი ნეშტი, უცნობია. მაგრამ ყველაზე მეტად სავარაუდოა, რომ იგი დაკრძალულია ივერთა სავანეში, სადაც ადრე ცხოვრობდა. მამა ილარიონის ნეშტი იქვე დარჩებოდა კიდევ, ასეთი ამბავი რომ არ მომხდარიყო:

სავარაუდოა, რომ მამა საბამ საიდუმლო გაანდო მამა ილარიონის გარდაცვლილი მეგობრის, მამა ბენედიქტეს მოწოდებას - ბესარიონ ქართველს, ან შეიძლება, სხვა, მასთან დაახლოებულ ბერებსაც.

მამა ილარიონის გარდაცვალების შემდეგ დიდი დრო არ იყო გასული, რომ მამა ბესარიონმა მის საფლავზე სალოცავად წასვლა მოისურვა. წინა ღამით ძილში თავისი მოძღვარი, მამა ბენედიქტე გამოეცხადა და ჰკითხა, სად აპირებ წასვლასო. მან მიუგო, - მამა ილარიონის საფლავზე, რომლის დაკარგვას დღესაც გულმოკლული დავსტირიო. მამა ბენედიქტე შეეპასუხა, - მამა ილარიონი არ მომკვდარა - რა საჭიროა საფლავზე სიარულიო. - მამა ბესარიონი შეედავა, - მამა ილარიონი ნამდვილად გარდაიცვალა, ეს მე მისმა მოწოდებებმა და იმ ბერებმა

მამებმა, რომლებიც მის აღსასრულს დაესწრნენო. მაგრამ მამა ბენედიქტე ამტკიცებდა, მამა ილარიონი ცოცხალია და ღირს მამა ათანასე ათონელთან ერთად იმყოფებო. ამ დროს გამოედგინა მამა ბესარიონს და სასიხარულო გრძნობების მოზღვავება იგრძნო, მან ყველაფერი მამა საბას უამბო.

სიკვდილის წინ მამა ილარიონმა რუსიკის ბერებს უთხრა: მამა საბას სახელზე სენაკს ნუ ჩასწერთ, იგი აქ ცხოვრებას არ მონიღომებს მცირე ანას სავანეს მიეჩვია და მეც ვუშვებ იქ საცხოვრებლად. მამა საბამ ასეც გააკეთა, ბერის გარდაცვალების შემდეგ იგი მალევე დაბრუნდა ქრისტეს აღდგომის სენაკში, სადაც გარდაცვალებამდე - 1908 წლამდე ცხოვრობდა.

ხელნაწერებში შემდეგი დოკუმენტი იქნა ნაპოვნი, რომელიც 1867 წლის 18 ივნისითაა დათარიღებული:

აი, ჩვენი მოლოდინიც დასრულდა. მისმა მოწოდებმა დიდხანს მალა მამა ილარიონის ცხედარი, მაგრამ უფალმა გამოგვიჩინა იგი და განადიდა. გამოჩინების მიზეზი კი ის იყო, რომ ბერძნებს შორის ხმა გავრცელდა - ბერის სხეული გაიხრწნა და ამიტომ საბა არ თხრის მის საფლავსო. ეს რომ გაიგეს, სავანის მამებმა ურჩიეს მამა საბას, ამოეთხარა მამა ილარიონის ნეშტი და ყველასათვის ეჩვენებინა, რათა გაფანტულიყო მისი მოძღვრის გარშემო დარჩეული აუგი ხმები. თუ ამას არ შეასრულებდა, მთელი ცოდვები მას დაედებოდა.

მამა საბამ სამარის გასახსნელად და ნაწილების გადასატანად ოთხი კაცი მიიწვია, თვითონ კი სენაკში დარჩა და ლოცვა დაიწყო. ამბოლების წინა ღამისთვეაზე - 25 მაისს, ბერებმა გათხარეს მამა ილარიონის საფლავი და მისი ძვლები ამოასვენეს. სამარის გახსნის წინ მათ საოცარი კეთილსურნელება იგრძნეს, რომელიც მცირე ანას სავანემდე გაჰყვათ. იქ კი, მოწაფის სენაკი ისეთი სურნელებით აივსო, რომ ყველა - 4 რუსი და 70 ბერძენი ბერი გაოცებას ვერ მალავდა.

ნაწილების გადასვენებისას ერთ მეუღაბნოეს ჩვენება ჰქონდა: დღისით, ბიზანტიური დროით ხუთ საათზე, მან მამა საბას სენაკის თავზე მზისმაგვარი ბურთი დაინახა. ბურთი ასხივებდა და ჰერში მიმოდიოდა, თან მამა საბას სენაკს არ სცილდებოდა. ეს ჩვენება თითქმის ერთ საათს გაგრძელდა. ბერს უნდოდა სხვებისთვისაც ეთქვა, მაგრამ როგორც კი ეს გაიფიქრა, სფერო გაქრა და გაუჩინარდა. მეუღაბნოემ იფიქრა, ალბათ, მამა ილარიონის ნაწილები ამოასვენესო. მიცვალებულის სიყვარულითა და უჩვეულო ჩვენებით ჩაგონებული, იგი მამა საბასთან გაეშურა და უამბო, როგორ იხილა მისი სენაკის თავზე მზის მსგავსი ბურთი. თავის მხრივ, მამა საბამ მოუთხორო ბერის სამარის გახსნის შესახებ და მისი ნაწილებიც უჩვენა.

დიდება ღმერთს!



მოვედით, ერნო, უბალოდეთ ყოველნი ვიდასა
ქალწულსა უბიწოსა, რომლისაგან გამოუთქმელი სოცვილ
იქმნა სიტყუაჲ ღმრთისაჲ ვლადაღბთ და ვიტყუით: კურთხეულ
ხარ შენ, დედათა შორის და სანატრელ არს საზოგ შენი,
რომელმან შევ ქრისტე ღმრთი ჩუენი, რამეთუ კალთა
უკლავთა მისთა სული ვიდად შენ მიუთუალა. მეოთხ-იყავ
ცხოვრებად სულთა ჩუენთათუის.

დეკანოზი მარკოზ ტყეშელაშვილი

თბილისის სიონის საკათედრო ტაძარი

გაგრძელება

სიონის ტაძრის აღწერა

კანკელს ამკობს ოთხი შესანიშნავი, ოქრო-ვერცხლით შეჭედული ხატი, რომლებიც მოსკოვშია დამზადებული.

1) საკურთხევლის კარიდან მარჯვენა მხარეს მაცხოვრის ხატი, ვერცხლით შეჭედული და მოოქროვილი; ვერცხლის გვირგვინს ოქროს სხივები ადგას, შემკულია თეთრი, წითელი და ცისფერი ქვებით. ჭედურობაში სულ ექვსი მინანქარია, რომელთაგან ორზე აწერია „იესო ქრისტე“, ქვემოთ, ასევე ორ მინანქარზე - „უფალი ყოვლისმპყრობელი“; დიდ მინანქარზე, რომელიც გამოხატავს მაცხოვარს, გადაშლილი ხანარებით, წერია: „მოდით, კურთხეულნი მამის ჩემის მიერ“ და სხვა. ქვედა, დაზიანებულ მინანქარზე კითხულობთ: „ხატი ესე შეიჭედა 1828 წლის 1 ივლისს, მოსკოვს, საქართველოს ეგზარქოსის მიტროპოლიტ იონას ზრუნვით. ხატი შემოსა მოსკოველმა სოფდაგარმა პავლე ფეოდორის ძე საზიკოვმა“. ყველა მინანქარი, გარდა დიდისა, გარშემო გაწვობილია შუშის ქვებით.

2) წმ.იოანე ნათლისმცემლის ხატი, ვერცხლით შეჭედული, მოოქროვილი; სხივმფენი გვირგვინი მოკაზმულია თეთრი და ცისფერი უბრალო ქვებით. ხატის სამოსელზე ექვსი მინანქარია, მათ შორის ყველაზე დიდზე, „რომელიც ხელთ უპყრია თვით იოანე ნათლისმცემელს, წერია: „მაცხოვრის მხილველმან და მოწამემ, ანგელოზმან ღვთისამან, აღიხუნე ცოდანი ქვეყნისა“. მცირე მინანქარებზე - ერთზე: „ხატი წმ.წინასწარმეტყველისა“, მეორეზე: „ნათლისმცემლისა იოანესი“; ხოლო უკანასკნელზე - ნათლისმცემლის ტროპარი: „ხსენება მართალთა

ქებითა“... და ა.შ. ყველა იხინი, გარდა დიდი მინანქრისა, გარშემო მოკაზმულია შუშის ქვებით.

3) საკურთხევლის კარიდან მარცხნივ ღვთისმშობლის მიძინების ხატი, ვერცხლით შეჭედული, მოოქროვილი; ღვთისმშობლის შარავანდი მორთულია შუშის ქვებით. შარავანდს დართული აქვს გვირგვინი, მორთული ასევე შუშის წვრილი ქვებით, რომელთა შორის ჩამოყალიბდა ორი საკმაოდ დიდი შუშის ქვა და ამავე ზომის უბრალო ცისფერი ქვა. მხრებზე - თითო მუქწითელი ქვა. ღვთისმშობლის მიძინების ზემოთ, მაცხოვრის თავზე - გვირგვინი, მორთული შუშის ქვებით; მასზე მინანქრით წერია: O.V.V. სულ ხუთი მინანქარია. ერთ-ერთი მათგანის გარშემო წერია „იესო“, ხოლო მეორის გარშემო - „ქრისტე“. ერთ წაგრძელებულ მინანქარზე - „მიძინების ხატი“, მეორეზე - „ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი“. ქვემოთ, ოთხკუთხა მინანქარზე კი კითხულობთ: „შემოსა ხატი ესე 1827 წლის ივლისს განსვენებული ცოლ-ქმრის, სტატსკი სოვეტნიკის იოანე მენშიკოვისა და ნადეჟდას, აგრეთვე მათი ქალიშვილის ეკატერინას ღლოცვითა და ანდერძით“.

4) განმანათლებლების - ნიკოლოზისა და დიმიტრი როსტოვის მიტროპოლიტ, სასწაულთმოქმედის ხატი. სამოსელი მოოქროვილი ვერცხლისაა; ნიკოლოზს ახურავს მიტრა გასხივოსნებული ჯვრით; ყოველივე ეს შემკულია შუშის ქვებითა და სხვადასხვა ფერის უბრალო ქვით; ომფორზე სამი ჯვარია: ორი მხრებზე, ერთი - სარტყელს ქვემოთ; სამივე შუშის ქვებითაა შემკული.

მავთულის ძეწკვზე - ჯვარია, შემკული ბაცი-
მოწითალო, მსხვილი, წვრილი, უბრალო ქვებით.
ამავე ძეწკვზე არის - პანალია, რომელზედაც
გამოსახულია მაცხოვარი, მოვერცხლილ-
მოოქროვილი კრკალი გარშემო შეკაზმულია
ფირუზით. კრკალის სხივები დამშვენებულია
წვრილი შუშის ქვებით. უწმიდესი დიმიტრი
როსტოველის სახეც ასევეა შემკული. განსხვავება
მხოლოდ ისაა, რომ ნიკოლოზ განმანათლებელს
ხელთ უპყრია სახარება, დიმიტრი მიტროპოლიტს
კი კვერთხი. განმანათლებელთა ზემოთ
ხელთუქმნელი ხატის გამოსახულებაა, რომელსაც
შუშის ქვებით მოკაზმული გვირგვინი ადგას.
გამოსახულება, რომელიც გვირგვინოსან
ანგელოზებს უპყრიათ, მორთულია ასევე შუშის
ქვებით. ზემოთ, ერთ-ერთ ცისფერ მინანქარზე
წარწერაა: „წმ. ნიკოლოზ სასწაულთმოქმედი“,
ხოლო მეორეზე: „წმ. დიმიტრი სასწაულთმოქმედი
როსტოვის მიტროპოლიტი“ (ოთხივე ხატი
ჭედურია).

ხატმბი ტაძრის სხვა აღბილებუი

1. ქართული სიონის ღვთისმშობლის ხატი
მოვერცხლილ-მოოქროვილი სამოსლით.
ღვთისმშობლის თავი, კისერი და მხრები შემკულია
წვრილი მარგალიტით, სახე გამოკვეთილია 32
მსხვილი, 44 საშუალო და წვრილი მარგალიტით.
კისერზე აქვს ექვსი ლალი და 5 ფირუზი.
ღვთისმშობლის შუბლზე ვარსკვლავია, რომლის
შუაში დიდი იაგუნდია ჩადებული. ეს იაგუნდი
გარშემო სხივურად გაწყობილია წვრილი ალმასით,
მარცხენა ხელიდან მარჯვენის მიმართულებით,
რომელიც მთლიანადაა შემონახული.

მეორე ადგილზე რვა წვრილი წითელი იაგუნდია,
რომელთა შუაში მოთავსებულია მრგვალი ალმასი.

მესამე ადგილზე ხუთი მრგვალი იაგუნდია, შუაში
- მწვანე წვრილი ზურმუხტი.

მეოთხე შემკულობაც ისეთივეა, როგორც
მესამე.

მეხუთე ადგილზე შვიდი მსხვილი ლალია, მათ
შორის - ოვალური ფირუზი.

მეექვსე ადგილზე რვა საშუალო ზურმუხტია, მათ
შორის - ოთხკუთხა ლალი.

მეშვიდე ადგილზე - ექვსი წვრილი, რკალისებური
იაგუნდი, შუაში წაგრძელებული ზურმუხტი.

მერვე ადგილზე ცხრა საშუალო სიდიდის
ზურმუხტია, მათ შორის ერთი წაგრძელებული დიდი
ლალი.

მეცხრე ადგილზე - 12 წვრილი იაგუნდი, შუაში
ოთხკუთხა ტოპაზი.

მეათე ადგილზე - ათი ზურმუხტი, მათ შორის
დიდი ოთხკუთხა წითელი სეილანი.

მარგალიტის სამკაული მთავრდება ყელსა და
მკერდს შორის - 29 მსხვილი ლალითა და 22 წვრილი
ფირუზით; მათ შორის ორი დიდი ფირუზია.

მარგალიტის სამკაულის ზემოთ, ღვთისმშობლის
თავზე მოვერცხლილ-მოოქროვილი შარავანდია,
რომელზედაც დგას გვირგვინი, მორთული დიდი
უბრალო წითელი ქვებით. გვირგვინის ზედა ნაწილზე
გამოსახულია გულის მსგავსი ფიგურა, რომელშიც
ჩასმულია დიდი მწვანე ზურმუხტი, მოთვალული
წრიულად, საშუალო სიდიდის 17 ლალით. ქვემოთ
არის წრე, რომელშიც ჩასმულია ალუბლისფერი
ამეთეისტო, შემკული წრიულად, ცხრა წვრილი
ალმასით. ამ წრის ქვემოთ სამი მცირე იაგუნდია.
ამით გვირგვინი იყოფა ორ, თანაბარ ნაწილად,
რომლებშიც ჩასმულია ოთხი წითელი უბრალო ქვა,
მათგან ორი რქის ფორმისაა, ორიც - გრძელ-
ოთხკუთხა.

გვირგვინის მარჯვენა მხარეს თხუთმეტი ლალი,
ორი იაგუნდი, რვა მსხვილი და ექვსი წვრილი
ზურმუხტი და ერთიც დიდი მწვანე ზურმუხტია
ჩასმული. გვირგვინის მარცხენა ნახევარი, ისევე,
როგორც მარჯვენა ნახევარი, შემკულია ასეთივე და
ამდენივე ძვირფასი და უბრალო ქვებით. ამ
სამკაულებს ქვემოთ გასდევს ცხაურა ზოლი,
რომელშიც 32 წვრილი ალმასი ზის. გვირგვინის
კიდულზე ორ რიგადაა ჩასმული სულ 31 ლალი და მათ
შორის შვიდი მსხვილი თეთრი ტოპაზი.

ღვთისმშობლის მოვერცხლილ-მოოქროვილი

შარავანდი ორ რიგადაა გაწყობილი საშუალო და წვრილი მარგალიტებით. ამ მარგალიტებს შორის ღვთისმშობლის შარავანდი შემკულია სხვადასხვა ქვებით, რომლებიც განლაგებულია წრიულად 16 ადგილას.

პირველ ადგილზე, მარჯვენა ხელიდან, ჩასმულია ერთი ოვალური დაუნახნაგებელი იაგუნდი.

მეორეზე - ბაცი მწვანე ამობურცული ზურმუხტი.

მესამეზე - ოთხი საშუალო ფირუზი და სამი წითელი, ასევე საშუალო სიდიდის იაგუნდი.

მეოთხეზე - რვა უბრალო წითელი ქვა, მათ შორის მწვანე ზურმუხტი.

მეხუთეზე - ხუთი წვრილი წითელი იაგუნდი და ერთი მცირე ფირუზი.

მექვსეზე - ისეთივე ქვები, როგორებიც მეოთხე ადგილზეა, მაგრამ მათი რიცხვი ათია.

მეშვიდეზე - სამკაულები დალაგებულია ორ რიგად, ერთ რიგში ექვსი წვრილი იაგუნდია, შუაში ფირუზით, მეორეში კი - ექვსი ფირუზი, შუაში მცირე წითელი იაგუნდით.

მერვეზე - ისეთივე სამკაულებია, როგორც მეშვიდეზე.

მეცხრეზე - ათი წითელი ლალი, შუაში მწვანე ოთხკუთხა ზურმუხტი.

მეთხუთეზე - ოთხი წვრილი წითელი იაგუნდი და სამი წვრილი ფირუზი.

მეთერთმეტეზე - სამი წვრილი წითელი იაგუნდი და ოთხი წვრილი ფირუზი.

მეთორმეტე ადგილზე ასეთივე სამკაულია, როგორიც მეცხრეზე, მაგრამ ქვების რიცხვი აქ ცხრაა.

მეტამეტეზე - ექვსი წვრილი იაგუნდი, შუაში ერთი მცირე ფირუზი.

მეთოთხმეტეზე - ცხრა ლალი და შუაში ოთხკუთხა მწვანე ზურმუხტი.

მეთხუთმეტეზე - სამი წვრილი სეილანი და ოთხი წვრილი ფირუზი.

მეთექვსმეტეზე - ათი წვრილი იაგუნდი, შუაში დიდი ოთხკუთხა ზურმუხტი.

ღვთისმშობლის მარცხენა მხარზე გამოსახულია ვარსკვლავი, რომლის შუაში ჩასმულია ტოპაზი 44 სხივით შემკული ციმბირის დიდი, მწვანე ქვა.

ღვთისმშობლის მარჯვენა მხარეზე, ვარსკვლავს ქვემოთ და მარჯვენა ხელს ზემოთ არის სეილანის თორმეტი მსხვილი და წვრილი სამკაული და ოთხი საშუალო სიდიდის ზურმუხტი. ამ ქვების ზედა და ქვედა არეზე მოხსენიებულია წვრილი ზურმუხტი.

მარჯვენა ხელის მტევნის ზემოთა ადგილი მთლიანად მოოჭვილია მარგალიტით, სამი ფირუზით, ერთი დიდი მარგალიტით, შუაში ჩასმულია ექვსი ლალი, მათ შორის ერთი ალმასი.

მარჯვენა ხელის მტევნის ახლოს ცხრა მსხვილი ლალი და ოთხი საშუალო ზომის მარგალიტი; აქვე, ერთ რიგად, მოხსენიებულია საშუალო ზომის მარგალიტი. ღვთისმშობლის მკერდზე ხუთი საშუალო სიდიდის ლალია, ორი მარგალიტი და ერთი ფირუზი. ქვემოთ - ხუთი წვრილი ლალი, ორი იაგუნდი, სამი წვრილი ზურმუხტი, ერთი მარგალიტი.

ამ ქვებს შორის გაწვდილია ყრმის ხელი, რომლის გარშემო მოხსენიებულია წვრილი მარგალიტი. ხელს ზემოთ, ღვთისმშობლის მარცხენა მხარეზე ისეთივე ვარსკვლავია, როგორიც მარჯვენაზე, მაგრამ მას შუაში უნის ციმბირის წითელი ქვა.

ღვთისმშობლის მარცხენა ხელზე გამოსახულია ყრმა, მოვერცხლილ-მოოქროვილი შარავანდით; შარავანდზე დგას ჯვრიანი გვირგვინი. ჯვარი შემკულია ოთხი მცირე ზურმუხტით, თეთრმეტე წვრილი ლალით, მათ შუა ჩასმულია: ერთი დიდი ზურმუხტი; ცხრაშეტი წვრილი იაგუნდი (შუაში ოთხკუთხა სეილანი); ერთი სამკუთხა ზურმუხტი; რვა დიდი ლალი და რვა ზურმუხტი. ეს ხაზი გვირგვინს ორ ნაწილად ჰყოფს. ერთ ნახევარში წრიულადაა ჩასმული შვიდი ზურმუხტი და რვა ლალი, წრის შუაში კი ექვსი ლალისა და ერთი ზურმუხტისაგან შემდგარი ფიგურა. ფიგურის თავზე ერთი წაგრძელებული ზურმუხტია, ქვემოთ - ორი

საშუალო ზომის ზურმუხტი და ერთი ლალი. მეორე ნახევარშიც ამდენივე და ასეთივე ღირსების ქვებია ჩასმული. გვირგვინის კიდეებში საშუალო ზომის თითო იაგუნდი და ზურმუხტია ჩასმული, დაბლა კი - საშუალო ზომის ხუთი ლალი და ოთხი ზურმუხტი.

მოვერცხლილ-მოოქროვილი შარაკანდის გარშემო ორ რიგადაა მოხვეული წვრილი მარგალიტი, შუაში, გვირგვინის ქვეშ, ოცდაათი წვრილი იაგუნდით გამოყვანილია ბერძნული ასო W, რომლის ქვეშ დიდი ზურმუხტია ჩასმული, უფრო ქვემოთ კი - ხუთი მცირე ლალი და ორი წვრილი ფირუზი.

გვირგვინის მარცხენა მხარეს ასო „H“ გარშემო მოხვეულია თექვსმეტი იაგუნდი, ქვემოთ ჩასმულია ერთი დიდი ზურმუხტი, უფრო ქვემოთ - სამი წვრილი ლალი და ფირუზი, მათ შორის კი - საშუალო ზომის ფირუზი.

მაცხოვრის ყელთან ერთ რიგადაა მოხვეული წვრილი მარგალიტი. მაცხოვრის სამოსელის მარჯვენა სახელო შემკულია შეიდი საშუალო ზომის იაგუნდითა და ექვსი საშუალო ზომის ზურმუხტით, ამ ქვების გარშემო კი ორ რიგადაა მოხვეული წვრილი მარგალიტი.

სამოსელი - მაცხოვრის ხელის მტევნის სიახლოვეს, ღვთისმშობლის მარცხენა ხელი - მისი სამოსელის ბოლომდე, ქრისტეს ფეხები - ერთ რიგად და სამოსელის ორივე მხარე მოოჭვილია წვრილი მარგალიტით.

ღვთისმშობლის სახის გარშემო, მცირე ზომით, გამოსახულია ღვთისმშობელთან დაკავშირებული ყველა დღესასწაული, მათ შორის ჩასმულია სამი ღია ვარდისფერი, ერთი წითელი და ორი მწვანე უბრალო მსხვილი ქვა.

ხატს ძირში მინაწერი აქვს: „უფალო, შეიყვარე შევნიერება სახლისა შენისა - (ფს. კე.მუხ. 1).

ესე ხატი ყ-დ წმიდისა ღვთის მშობელსა ქალწულისა მარიამისა, ქერაბინთა უპატიოსნებისა და სერაბინთა უდიდებულესისა, ქრისტეანეთა ძლიერის მეოხისა და ანგელოზთა დედოფლისა, სახე არს მსგავსებითა და ზომითა თვით მის ხატისა, რომელი სიონისად საქართველოსა შინა იწოდების და მის ქვეყნისა ტახტი ქალაქის საარქიეპისკოპოსოს პირველსა ეკლესიასა შინა მრავლითა სასწაულითა ბრწყინევდა და რომელიცა მოთხრობისაებრ ვიეთამე გამოსახული იყო ფიცარსა ზედა ღმერთ კაცისა იესოსა ყ-დ პატიოსნისა შინა ზორცისა შეხებითა წ-მ ყოფილსა და ძნიად ფასდებულთა

პატიოსანთა თვალთა და მრავლითა ოქროთი და მარგალიტითა შემკობილი. ხოლო ვინათგან ურჯულთა უკეთურობისა ჟამითა ჟამად სამკაული და თვით ხატიცა იგი მიედოთ და მხოლოდ სახე მისი დაშთომილ იყო, მე გიორგიმ, მეფის ვახტანგისძემან რუსეთის იმპერატრიცის და თვითმპყრობლისა სრულმან სარდალმან და კაკაულემან სიყვარულისათვის სამკვიდროსა ჩემისა, მოსახსენებლად ნეტარად ხსენებულთა და დიდებულთა მშობელთა და ნათესავთა ჩემთა საუკუნო ცხოვრებად გარდაცვლილთა, უმეტეს რომელთა რამე ღვაწლი მას ეკლესიასა და ხატსა ზედა პატიოსანსა პირველ ყოფისა, რომლისა სახე ესე არს, და უძთ, მეუღლისა ჩემისა ბატონის რძლის მარიამისა, ჩინებულის რუსეთის თავადთა დოღგორუკოვის გვარობითა იაკობის ასულისა. ჩემად საყვარელთა ძეთა ჩემთა იაკობის და ვასილისა და ასულისა ჩემისა ბატონიშვილის ანანასა ჟამიერობა და საუკუნოსა ცხოვრებისა სარგოდ და ყოველთა გზათა კეთილ წარმართებად შევაპყვე და წარმოგზავნე ხატი ესე პირველის მის შევნიერებისა აღსადგინებლად, რომელისა წინაშე ვედრებასა ვყოფ: „ჰოი, ღვთის მშობელო, იყავ მფარველი ძრიელ ეკლესიისა და ქვეყანასა საქართველოსასა, არცხვინე მტერნი სახელისა შენისანი, მოგვეც მშვიდობა შინაგანი და გარეგანი, ძეთა და ასულს - გონებისა სიბრძნე და ნებისა კეთილად მზიდვა, რათა მეოხებისა შენისა სასოებითა საესენი ვადიდებდეთ მამასა და ძესა და სულსა წმიდასა და სამებასა ერთარსებასა“. შეიმზადა სამეფოსა ქალაქსა მოსკოვს განხორციელებითგან სიტყვისა ღვთისა წელსა ჩღჷ თვესა აგვისტოსა იე-ს გასულსა.

ხატის კიდეებზე კიდევ ორი წარწერაა: 1. დადგა დედოფალი მარჯუ(ნით) შენითა, სამოსლითა ოქროქსოვილითა შემოსილი ფს.მდ.მუხ.ი. 2) აღდეგ უფალო განსასუენებლად შენდა და კიდობანი სიწმიდისა შენისა: ფს.რღა.მუხ.ხატის გარშემო არის აგრეთვე სლავური წარწერები:

- 1) ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის დაბადება.
- 2) ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ლოცვა.
- 3) შობა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.
- 4) და გავიდა იოსები ეგვიპტის ქვეყანაში.

- 5) ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინება.
- 6) მიაშურა ყოვლადწმიდამ მთიანეთს და ეამბორა ელისაბედს.
- 7) ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარება.
- 8) ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება.

ეს ხატი, როგორც ზემოთ ითქვა, 1795 წელს სპარსელების შემოსევის დროს გადაურჩენია დეკანოზ იოანე ოსეშვილს. ადრე მის ადგილას იყო ძველი სატაძრო ხატი, რომელიც 1724 წელს სიონიდან გაიტანა კახეთის მაჰმადიანმა მეფემ მაჰმად ყული-ხანმა.

2. ჯვარი მოციქულთაწორის წმიდა ნინოსი, რომელმაც მეოთხე საუკუნის დასაწყისში ქართველებს უკადაგა სარწმუნოება. ეს ის ჯვარია, რომელსაც წმ. ნინო იყენებდა წარმართ ხალხთა შორის სამოციქულოდ. სიგრძით ერთნახევარი არშინია, სიგანით - სამი მეოთხედი არშინი. შეკრულია ნინოს თმით. ჯვარი ვაზისაა. შემოხვეული აქვს ფარჩის საბურველი. აფარია ვერცხლით შეჭედული წმ. ნინოს ხატი, რომელზედაც გამოსახულია ნინოს მოციქულები სვლა, მის მიერ გამოვლენილი სასწაულები* და იქვე აწერია:

- 1) ღვთის მშობელმან ჯვარი ვაზისა მისცა ნინოს და წარმოავლინა ქართლად.
- 2) ოდეს მოვიდა ნინო ფარავანსა ზედა, დაიძინა მან და მისცა კაცმან წიგნი ათნი სიტყვანი დაწერილინი.
- 3) ოდეს იხილა ნინომ მირიან, თაყვანის მცემელი არმაზ და გაცისა, ევედრა ღმერთსა და სეტყვითა შემუსრა კერპნი იგი.
- 4) ოდეს აღადგინა ნანა დედოფალი სნეულობისაგან ჯვარისა ამის შეხებითა.
- 5) ოდეს აღადგინა რვე ძე მეფისა მირიანისა შეხებითა ჯვარისა ამის.

უკანა დაფის შუაში, ვერცხლის თხელ ფირფიტაზე ნახევრად გაცრეცილი წარწერაა:

„დედო ნინა დედისა ნიჭებულსა ჯვარსა გიმკობ მეფე ვა...ანგი, რომლითა განანათლე ქვეყანა ქართლისა, მეცა“...

იოსელიანის აზრით, აქ ვახტანგის სახელში უნდა იგულისხმებოდეს არა ვახტანგ მეექვსე, რომელიც 1724 წელს თურქებმა განდევნეს საქართველოდან, არამედ ერთ-ერთი წინამორბედთაგანი - ან ვახტანგ მეორე, დავით მეოთხის (1289-1292) ვაჟი, მეტად რელიგიური ადამიანი, იგი უფრო ახლოსაა იმ დროსთან, როცა საქართველომ მოიპოვა სანუკუარი ჯვარი; ან ვახტანგ მესამე, დიმიტრი მესამის (1301-1337) ვაჟი, ან ვახტანგ მეოთხე - შვილი ალექსანდრე პირველისა (1442-1445).

თვით ხატზე, წმიდა ნაწილთა ბუდის გარშემო ასეთი წარწერაა: „წმიდაო მოციქულო ნინა, მეოხ გუფავ ორსავე შინა ცხოვრებასა მეფესა არჩილს, რომელმან შემოგწირე სულისა ჩემისა საოხად და მეფობისა ჩვენისა წარსამართებლად შეეამკე ხატი ესე. ძელო ცხოვრებისაო, ცხოვრებისაგან ნუ ხუებულ მყოფ, ვითარცა პირუელსა მამასა ჩვენსა ადამს, ყოვლად მცველ და მფარველ მეყავ ორსავე ცხოვრებასა: აგრეთუ თქუენ, სიმრავლენო მოწამეთანო მოიხსენეთ წინაშე ღვთისა მეფეს არჩილ ქორონიკონს ტნე“.

წარწერაში მოხსენებული არჩილი, - შენიშნავს იოსელიანი, - მართალია ამ წელს უკვე აღარ ზის კახეთის მეფედ და ჯერ არც იმერეთის ტახტზე ასულა, მაგრამ ინარჩუნებს მეფის ტიტულს და განაგრძობს ბრძოლას კახეთის სამეფო ტახტის დასაბრუნებლად. ის იყო შაჰნავაზად წოდებული ვახტანგ მეხუთის უფროსი ვაჟი.

ნინოს „ცხოვრების“ მცხეთური ვარიანტის მიხედვით, ეს ჯვარი წმ. ნინოს, მოციქულთაწორს, ღვთისმშობლისაგან მიუღია იმ დროს, როცა ნინო იერუსალიმს იმყოფებოდა. ქართული ეკლესიისა და ქართველი ხალხის ეს რწმენა საეკლესიო მხატვრობაშიც აისახა (იხ. კირიონ ეპისკოპოსის თხზულება „საქართველოს ეკლესიის ისტორიის მოკლე ნარკვევი“ გვ. 335-345).

წმ. ნინოს ანდერძით, ეს ჯვარი, შეკრული მისივე თმით, მირიან მეფის სამემკვიდრეო მფლობელობაში გადავიდა და 541 წლამდე მცხეთის საპატრიარქო ტაძარში ინახებოდა. ამ ჯვრით აკურთხა მირიანმა თავისი შვილიშვილი ბაქარი, რომელიც კონსტანტინოპოლს ჰყავდათ მძევლად. სხვა გადმოცემით, მირიანმა ჯვარი ბუდეში ჩაასმევინა და არაგვის თავზე, ჯვრის მონასტერში დაადგმევინა.

სომეხ ისტორიკოსთა თქმულებებით, ჯვარი წილად ხვდა შუშანიკს, რანის ოლქის მმართველის ვარსკენის მეუღლეს, რომელიც ეწამა იმისათვის, რომ ცეცხლთაყვანისმცემლობა არ მიიღო. მოწამეობრივი აღსასრულის წინ, 560 წელს, მან ეს ჯვარი სხვა საეკლესიო ნივთებთან და წმიდანაწილებთან ერთად გადასცა სულიერ მოძღვარს ანდრეას, რათა მას მიეტანა საქართველოში, როგორც ამ ქვეყნის საკუთრება.

მონაზონმა ანდრეამ განიზრახა, ჯვარი ტარონში დაემალა, მაგრამ არეულობის გამო იქამდე ვერ ჩააღწია და ქალაქ სპერში დამალა. სომეხთა მხედართმთავარმა გრიგოლ მაძიკონიანმა ჯვარი გამართვა ანდრეას და დაასვენა კაპოეტში ანუ ლურჯ ციხეში, სადაც საკმაოდ დიდხანს იმყოფებოდა. აქედან გადასვენეს ქალაქ ვანანდში, სპეციალურად აგებულ მონასტერში. IX საუკუნის სომეხი ისტორიკოსი ვარდანი წერს, რომ ჯვარი, რომელიც მეორედ ჩამოიტანეს ვანანდში, ლაშქარს უძღოდა ბერძენთა წინააღმდეგ ომში. ჯვარმა არაერთხელ აჩვენა ძლევა მოსილება და სასწაული, რის გამოც სომეხთა ეკლესიამ დააწესა დღესასწაული ქრისტეს ამაღლებიდან მეათე დღეს.¹ არაბთა შემოსევის შემდეგ წმ.წინოს ჯვარი ვანანდიდან ყარსში, შემდეგ კი ქალაქ ანიში გადაიტანეს XI საუკუნეში, როცა დავით აღმაშენებელმა აიღო ეს ქალაქი, ჯვარი, როგორც ივერთა მიწის საკუთრება, პატივით გადაასვენეს მცხეთაში და დადგეს საკათედრო ტაძარში. თუმცა აქ დიდხანს არ გაუჩერებიათ. საქართველოსათვის მძიმე წლებში ხშირად აფარებდნენ მთებს: წმიდა სამებაში, ყაზბეგის მთასთან, ანანურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში.

1749 წელს თბილისის მიტროპოლიტმა რომანოზმა, რომელიც რუსეთს მიემგზავრებოდა, ჯვარი საიდუმლოდ გააპარა და მოსკოვში ჩაუტანა უფლისწულ ბაქარს. ამით გულნატკენი მეფეები: თეიმურაზ მეორე, ერეკლე მეორე და გიორგი მეთორმეტე ვახტანგის შთამომავლებს ემუდარებოდნენ დაებრუნებინათ ძვირფასი საუნჯე, მაგრამ ქართლის ტახტის მადიებლებმა ყური არ უგდეს მეფისა და ხალხის თხოვნას.² რუსეთში ჯვარი ინახებოდა ქართველ თავადთა მამულში, ლისკოვოში, სოფელ ნიეგეოროდის გუბერნიაში. 1801 წელს ბაქარის შვილიშვილმა გიორგი ალექსანდრეს ძემ იგი მთავრთა იმპერატორ ალექსანდრე პირველს, რომელმაც ისურვა ეს

სალოცავი დაებრუნებინა ახლად მიერთებული საქართველოსათვის.

მრავალსაუკუნოვანი ჯვრის დაბრუნება განპირობებული იყო შემდეგი გარემოებით: საქართველო რომ რუსეთს მიუერთდა, მმართველად გამოგზავნეს ცნობილი პეტრე კოვალენსკი. მან გულთან ახლოს მიიტანა ივერიელთა სურვილი, დაბრუნებოდათ თავიანთი ჯვარი. საქართველოში გამოგზავრებამდე, 1801 წლის 8 ოქტომბერს მან ალექსანდრე პირველს მთავრთა ბარათი, რომელშიც ეწერა: „საქართველოს მეფის ვახტანგის რუსეთში შემოსვლისას მისმა მემკვიდრეებმა, რომლებიც ცნობილი არიან ქართველ თავადთა სახელით, თავიანთი ქვეყნიდან წამოიღეს ვერეთ წოდებული წმიდა წინოს ჯვარი. ამ ჯვრის წარმომავლობა, იმ ქვეყანაში გავრცელებულ გადმოცემათა მიხედვით, მომდინარეობს წმ.წინოს დროიდან, ქრისტეს შობიდან მეოთხე საუკუნიდან. წმ.წინომ, ღვთისმშობლის დავალებით, რომელიც მას სიზმარში გამოეცხადა, თავს იღო ღვთის სიტყვის ხარების მისია, რის განხორციელებასაც შეუდგა ვაზის რტობისაგან შეკრული ჯვრით. წმ.წინომ განანათლა მთელი ივერია, რისთვისაც დარჩა ეს ჯვარი, როგორც დასტური ამ ხალხზე ღვთის მაღლის გარდამოსვლისა. უკანასკნელ დრომდე მას განსაკუთრებული პატივით უფრთხილდებოდნენ ქართველები.

ხშირად ითხოვდნენ მის დაბრუნებას საქართველოში,³ ვინაიდან იქაური ხალხი ფიქრობდა, რომ ყველა უბედურება, რაც მათ თავს დაატყდათ, ჯვრის დაკარგვამ გამოიწვია. ამავე მიზეზითა და ღვთისმოსაობის კარნახით მიმართა ხელმწიფე იმპერატორს პავლე პირველს საქართველოს უკანასკნელმა მეფემ გიორგი ირაკლის ძემ.⁴ მაგრამ გაირკვა, რომ ჯვარი ითვლება ქართველი თავადის გიორგი ალექსანდრის ძის საკუთრებად, როგორც წინაპართაგან ნამემკვიდრევი. მეფეს შესთავაზეს, თავად-დაკავშირებოდა გიორგი ალექსანდრეს ძეს, მაგრამ ეს არ მოხერხდა. ამჯერად კი, ვინაიდან მისმა უდიდებულესობამ იმპერატორმა ისმინა მათი თხოვნა,⁵ ჩვენ, ერთმორწმუნეებმა ხელში ავიღოთ მართვის სიმძიმე და ბოლო მოუვლოთ მათ უბედურებას; დავემკვიდროთ მათ კეთილდღეობა; ფრიად დროული იქნებოდა, ჯვარი იქ დაგვებრუნებინა. დაე, ხალხმა მასში ღვთის მაღლის ნიშანიც დაინახოს... ადგილზე მოვისმინე საერთო

სახალხო ვედრება, ვარ იმის მოწმეც, თუ ეს ჯვარი როგორ სწამთ და თაყვანს სცემენ არა მარტო ქართველები, არამედ კავკასიის ქედის გასწვრივ მცხოვრები სხვა სარწმუნოების ხალხებიც და თვით ურწმუნონიც კი. თავს მოვალედ ვრაცხ, ახლავე, ვიდრე იქ დავნიშნულვარ, უმორჩილესად მოგახსენოთ ამ საკითხის შესახებ.“

ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა, ქართველი ხალხისთვის დაებრუნებინათ მისი წმიდა სალოცავი. მან საქართველოს მთავარმართებელს გენერალ-ლეიტენანტ კნორინგს ასეთი შინაარსის რესკრიპტი გაუგზავნა: „ქართველ ხალხს ძველთაგან მოსდევს მოწიწება და თაყვანისცემა წმინდის პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვრისადმი. ამ სალოცავის დაცვა მათ თავიანთი კეთილდღეობის საწინდარად მიაჩნიათ, ვინაიდან ივერიის საზღვრებს გარეთ მის გატანას ქვეყანაში განხეთქილება, შფოთი და უბედურება მოჰყვა. დიდი ხანია, ვფიქრობდით საქართველოში დაგვებრუნებინა ეს ნიშანი ღვთის წყალობისა და საიდუმლო მაცნე ამ ქვეყნის ნეტარებისა. უხენაესმა, რომელიც ლოცავს ჩვენს გმირობას ამ ხალხისათვის ჩადგინოს, ჩვენს საუნჯეს ფასდაუდებელი ძღვენი შეჰმატა. ამისათვის ვმადლობთ უფალს და ჭეშმარიტი კმაყოფილების გრძნობით ჯვარს ქართველ ხალხს ვუგზავნით სტატსკი სოვეტნიკსა საქართველოს მმართველის კოვალენსკის ხელით. რამდენადაც ერთმორწმუნე ერებთან ჩვენი სიყვარულის გამოცდილებიდან ვიცით, ივერია ამ საჩუქარს მიიღებს, როგორც ჩვენგან მისდამი ზრუნვის ახალ გამოხატულებას. გაკლებთ, ხალხს აცნობთ ქართველთა ქვეყანაში ჯვრის შეტანის შესახებ, დააწესოთ შეხვედრა სათანადო პატივით, უმალლეს მღვდელმთავართა მონაწილეობით და დადგათ იგი თბილისის ტაძარში. დაე, მლოცველ ხალხს შორის აღმართული ჯვარი იყოს ნიშანი და დასტური ქვეყნის ბედნიერებისა, დაე, ჯვართან ერთად ივერიაში დაბრუნდეს მშვიდობა და მისმა სასწაულებრივმა ძალამ განკურნოს აჯანყებებითა და განხეთქილებებით მიყენებული ურიცხვი ჭრილობა, ღმერთიმც შეგვეწვევა ქართველი ხალხის ხსნის საქმეში. სხვათა შორის, ჩვენი იმპერატორობითი მოწყალებით ვართ თქვენდამი მუდამ კეთილგანწყობილი.“

დედანში მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ხელით მიწერილია: „აღუქსანდრე“. პე. იოსელიანი, 125-130). როგორც კი მისი უმალლესობის რესკრიპტი

მიიღო, საქართველოს მთავარმმართველი, გენერალ-ლეიტენანტი კნორინგი 1801 წლის 24 ნოემბერს მოელაპარაკა კათოლიკოს ანტონ მეორეს ჯვრის ღირსეულად მიღების თაობაზე და იმავდროულად გენერალ-მაიორ ლაზარევს დაავალა სათანადო მონაწილეობა მიეღო ამ საქმეში.

პირველი შეხვედრა ხალხისა ჯვართან, კნორინგის მიერ შემუშავებული ცერემონიალის მიხედვით, უნდა მომხდარიყო სტეფანწმიდაში, სადაც განსაზღვრულ დღეს უნდა მიეწვიათ წილკნელი ეპისკოპოსი და მასთან ერთად ორი არქიმანდრიტი, ათი მღვდელი და ორი დიაკანი; აგრეთვე თავად-აზნაურობის რამდენიმე წარმომადგენელი და ადგილობრივი ხელისუფლება. ყოვლადსამღვდელოება ეკლესიის მსახურთა გუნდით ჯვარს უნდა შეხვედროდა დასახლების გარეთ, აქ ლოცვას წარმოთქვამდა, შემდეგ აიღებდა ჯვარს და გადასცემდა ორ მღვდელს, რომლებიც მას ადგილობრივ ეკლესიაში მიიტანდნენ. მათ წინ წარუძღვებოდა ორი დიაკანი სასაკმეველებით, გვირდით კი ასევე ორი მღვდელი ამოუდგებოდათ თვით ყოვლადსამღვდელოება ორი არქიმანდრიტისა და ხალხის თანხლებით, გალობითა და ფსალმუნის კითხვით განახორციელებდა მსველეობას. ჯვარს რომ ეკლესიაში დაასვენებდნენ, ყოვლადსამღვდელოება წარმოთქვამდა ლოცვას მოციქულთასწორის ნინოს მიმართ. ბოლოს კი მრავალჯამიერს იტყობდნენ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობისა და სრულიად რუსეთის უმადლესი საიმპერატორო სახლის მიმართ. ამის შემდგომ, დანიშნულ დროს, დაიწყებოდა ჯვრის ზიდვის მსველეობა იმავე რიტუალის დაცვით, ანანურამდე ზოგიერთ დასახლებულ პუნქტთან შეისვენებდნენ და შეცვლიდნენ ჯვრის მზიდავეს.

მეორე შეხვედრა იქნებოდა ანანურში, არაგვის ერისთავთა ძველ სამყოფელში. ამისათვის დანიშნული იყო ადგილობრივი ყოვლადსამღვდელოება, ორი არქიმანდრიტი, ათი მღვდელი, ორი დიაკანი. ხოლო ქართველ თავადთაგან არაგვის ერისთავი, მასთან ერთად ორი აზნაური და ადგილობრივი მმართველები. ესენი დასახლების შემოსასვლელში შეხვდებოდნენ ყოვლადწმიდა და ცხოველმყოფელ ჯვარს და პირველ პროცესიასთან ერთად შემოთადწერილი რიგით განაგრძობდნენ მსველეობას. აქედან ივლიდნენ ღართისკარამდე, რომელიც ანანურს ორმოცი ვერსითაა დაშორებული. გზად პროცესიას შეხვდებოდნენ და

შეუერთდებოდნენ ახალი სამაზრო ქალაქ დუშეთის (რომელიც უფლისწულ ვახტანგ ირაკლის ძეს ეკუთვნოდა) მფლობელი თავისი ამალით და ქალაქის სასულიერო პირნი. სხვათა შორის, თუკი აქ შეისვენებდნენ, ეკლესიაში ჯვრის შეტანა, ლოცვა და ა.შ. მოხდებოდა ზემოთაღწერილი რიგის მიხედვით.

მესამე შეხვედრა დანიშნული იყო ღართისკარში, რომელიც ძველად მცხეთის გარეუბანი იყო და მისგან ხუთ ვერსზე მდებარეობდა. შეხვედრის ცერემონიალისათვის დანიშნული იყო ორი მღვდელმთავარი, ორი არქიმანდრიტი, დეკანოზები, მღვდლები და დიაკვნები - მცხეთის საპატრიარქო ეკლესიიდან. საერთოაგანნიც, რომლებიც საქართველოს უმაღლესი მწყემსმთავრის, უწმიდესი კათოლიკოსის შტატს ეკუთვნოდნენ, შემხვედრ პროცესიასთან ერთად მცხეთისკენ გაემართებოდნენ.

მეოთხე შეხვედრა იქნებოდა მცხეთაში, სადაც საქართველოს უწმიდესი პატრიარქი, ალავერდის მიტროპოლიის მწყემსი და წმიდა კეთილმორწმუნე დიდი თავადის ალექსანდრე ნეველის ორდენის კავალერი, ბატონიშვილი ანტონი, წმიდად შემოსილი, ქართლისა და კახეთის ყველა ეკლესიათა ყველა მღვდლის თანდასწრებით (ავადმყოფთა და ყოველდღიური საქმისათვის დატოვებულთა გარდა), სასულიერო და საერო დასის თანხლებით წაიმძღვარებდა წმიდა ხატებს და ზარების რეკით საპატრიარქო ეკლესიის გალაკანთან შეხვედროდა პროცესიას; მოწიწებით თაყვანს სცემდა წმიდა ნინოს ხატს, გამოსახულს კილობანზე, რომელშიც ჯვარი იყო მოთავსებული; შემდეგ კი ჯვარს ფსალმუნის გალობით შეიტანდნენ ტაძარში, სადაც უწმიდესი ალასრულებდა წირვა-ლოცვას და მასთან ერთად ყველა იქ მყოფი ემთხვეოდა ყოველადწმიდა და ცხოველმყოფელ ჯვარს. მეორე დღეს პროცესია, პატრიარქის წინამძღოლობით, გაემართებოდა თბილისის საგარეუბნო სოფელ კუკიისაკენ, რომელიც მცხეთიდან თვრამეტ ვერსზეა.

უმაღლესი რესკრიპტისა და საქართველოს ყოფილი მთავარმმართველის კნორინგის მიერ დანიშნული ცერემონიალის მიხედვით, ჯვარს შეხვდნენ ყაზბეგთან, თბილისიდან 150-ე ვერსზე. პროცესია თბილისს რომ მიუახლოვდა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე მთავარეპისკოპოსის - იუსტინე სამთავნელის, არსენ თბილელის, სტეფანე რუსთველის, სხვა

მრავალი სასულიერო პირის თანხლებით, აურაცხელ ხალხთან ერთად, ზარების ხმაზე გამოვიდა და შეეგება ჯვარს, რომელიც კოვალენსკიმ გადასცა. კათოლიკოსი ემთხვია სალოცავს. შემდეგ წმიდა პროცესიამ ქალაქის გავლით იგი სიონის ტაძარში მიიტანა. ჯვარი დაასვენეს მარცხენა სვეტთან, ჩრდილოეთის კარის ახლოს.

ძნელია აღწერო ის სიხარული, რაც სუფევდა საქართველოს მოსახლეობაში და საერთოდ კავკასიაში ამ თხუთმეტსაუკუნოვან სალოცავთან შეხვედრისას. ეს იყო ჭეშმარიტად დიდებული, მომხიბლველი სანახაობა. ტანჯული ქვეყნიდან საიდუმლოდ გატანილი ვაზის ჯვარი ივერიაში დაბრუნდა. თბილისის ყველა მოქალაქე, განურჩევლად ეროვნებისა და აღმსარებლობისა, შეჰხაროდა უზენაეს მადლს - დაბრუნებას საქართველოს ეკლესიის საკუთრებისა, რომელიც მას წმ. მოციქულთასწორმა ნინომ დაუტოვა, რომლითაც 314 წელს ჩვენი განმანათლებელი შემოვიდა ივერიაში და დააფუძნა ქრისტეს წმიდა ეკლესია. ეს ქართულ-საეკლესიო სალოცავი დღეს 1590 წლისაა.

„მსოფლიოში არც ერთ სალოცავს არ უმოგზაურია იმდენი, - წერს ეპისკოპოსი კირიონი, - რამდენიც მოციქულთასწორის ნინოს ჯვარმა იმოგზაურა სახელმწიფოდან სახელმწიფოში, ხალხიდან ხალხში, სავანიდან სავანეში, ტაძრიდან ტაძარში, დედაქალაქიდან დედაქალაქში, ზღვებზე, მდინარეებზე და ველებზე, სამეფო სასახლეებსა და დიდებულთა დარბაზებში. თავგადასავლების შემდეგ დეთის განგებამ იმპერატორ ალექსანდრე პირველის ხელით დაუბრუნა ქართულ ეკლესიას მისი საუკუნო საუნჯე. მანამდე, ხუთი წლით ადრე (1795 წ.) სულიერად შეჭირებული ქართველი ხალხი ცრემლით ტოვებდა თავის კერას, დედაქალაქს, საუკუნო სალოცავს და გარბოდა მთებში, რათა თავი გადაერჩინა საჭურისი ალა-მაჰმად-ხანის გამხეცველი და სისხლისმსმელი მეომრებისაგან; ამჯერად კი, როცა ხიფათმა ჩაიარა, როცა საქართველოს მცხოვრებთა თავზე დაკიდებული მახვილი ორთავიანმა არწივმა დააჩლუნგა, ეს ხალხი უშიშრად, ქრისტეანული ენთუზიაზმით ხვდება ჩვენი განმანათლებლის, ჩვენი წმიდა დედის ნინოს ჯვარს. წმიდა ივერიაში ამ ჯვრის დაბრუნება მოასწავებდა ახალი ერის დადგომას მრავალტანჯული ხალხის ცხოვრებაში“...

შემდეგ კირიონ ეპისკოპოსი ჯვარს

მიმართავს: „ჯვარო, ღირსო და პატიოსანო, ქართველთა განმანათლებლის, წმიდა ნინოს ნიშანო, დაემკვიდრე გონებასა ჩვენსა და გულსა ჩვენსა, განწმიდე და განაცხოველე სული და სამშვიდველი ჩვენი, უწინამძღვრე ზრახვათა და საქმეთა ჩვენთა.

ძალო უძლეველო და შეუცნობელო პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვარისა, ნუ დაგვიტყევი ცოდვილთა!

რუსულიდან თარგმნა ივანე ამირხანაშვილმა

გაგრძელება იქნება

შენიშვნები

*სხვათა შორის, სასწაულებიდან დასახელებულია შემთხვევა, როცა ჯვარმა კეთრისაგან განკურნა მეუღლე საქართველოს მეფის - სტეფანოზის ძმის (600-619) დიმიტრისა.

აქ საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი წერილების მოყვანა:

1. „ბრძანებითა მეფისა, ხელმწიფისა ჩემისა და ყოველთა სამეფოსა შინა მისსა ქვეშევრდომთა მისთა თხოვითა, ვსთხოვ თქვენს ბრწყინვალეებას, რომ განუახლოთ მშობელსა ქვეყანას თქვენსა წინაპართა თქვენთა სიყვარული და დასდვათ საუკუნო ვალი, ვითარცა მეფესა, ესრეთვე მუნებურთა მცხოვრებთა და ეკლესიათა, მუნით წარმოღობულის წმიდის ნინოს ჯვარის მუნვე წარგზავნითა, რომელიცა გაქვსთ დღეს თქვენ და რომლისაცა ძალი არს შემძლებელ, კეთილ სასოებისამებრ თქვენისა, მუნითცა გფარვიდეს თქვენ და საყვარელთა სახლეულებათა თქვენთა.

ხოლო მე კერძოთ ჩემით ღირს რწმუნებულ ვჰყოფ თქვენს ბრწყინვალეებას, რომ აღადგენთ მათ შორის დიდსა თქვენდა მიმართს განდიდებასა და შეჰკრავთცა სამმადლობელისა ნაცვლისა საყოფელად, რომელთაგანი ერთი მეცა ვიგები დღემდე ცხოვრებისა ჩემისა“ ს. - პეტერბურგი.

2. „მ-დ უუმოწე-ხელმწიფე, შემდგომად მათსა ბრძანე მიქცევა მამულსა შინა ჩემსა ჯვარისა უფლისა წმ.ნინას მიერ მუნ მოტანილისა და ს-დ საქართველოს სამეფოს კერპთ-მსახურებით გამო მართლ-მადიდებელსა ქრისტიანებრსა აღმსარებლობასა შინა მომქცევისა, ჯვარი იგი უფლისა დროსა საქართველოდამ სანატრელად

სახსენებელის მეფის ვახტანგის გამოსვლისასა, რომელისამე მუნებურის არქერისაგან საიდუმლოდ წამოღებულ იქმნა მუნით მონასტრით გამო და შ-დ რუსეთსა შინა მოტანისა მიეცა საქართველოს ბაქარ მეფის შვილის ცოლს, ცარევენას ანნას იეგოროვნას და დღეს მყოფობს შვილის-შვილის მის საქართველოს თავადის გიორგისას აწმყოთა მდგომარეობათა გამო უბედურნი ქართველნი, კ-დ ნიჭად თვისად მიმღებნი ჯვარისა მის, სიწმიდითა მისითა განმხნეველებიან, დამამტკიცებელნი თავისა თვისისანი სახარბიელსა იმედოვნებასა შინა და შემდგომად ესოდენტა სასჯელთა და ვნებათა მტერთა გამო მათთა, შთამომავალს კ-დ მათზედა საღმრთო მადლი და შ-დცა მისსა სცნობენ, ე-დ შენ, დიდო ხელმწიფე და იმპერატორო ყოველის როსსიისა, და მფლობელო სამეფოთა მათ არა უტყევი მათ საფარველითა თვისითა.

3. თავად გ.ჭავჭავაძის წერილი კანცლერ ა.ა.ბეზობროდკოს, დაწერილი 1799 წლის 8 დეკემბერს:

„უბედავ და მთელი ქართველი ხალხის სახელით გთხოვთ. საქართველოდან რომ მოვიდოდი, იქაურებმა მთხოვეს, ბრწყინვალე თავადო, გადმოგცეთ მათი უმორჩილესი თხოვნა და მოგახსენოთ შემდეგი. ქრისტეს შობიდან 312 წელს მირიან ხოსროიდის მეფობის დროს, საქართველოში შემოვიდა წმ.ნინო და მოიტანა ჯვარი, რომლითაც კ ე რ პ თ ა ყ ვ ა ნ ი ს მ ც ე მ ლ ო ბ ი დ ა ნ მართლმადიდებლობაზე მოაქცია მოსახლეობა. ეს ჯვარი დღემდე ინახება ხსენებული ქალბატონის შვილიშვილთან - თავად ეგორ გრუზინსკისთან. ხალხს სწამს წმიდა სამართლიანობისა და

უმორჩილესად გთხოვთ, ჯვრის საქართველოში დაბრუნებას, ვინაიდან სალოცავი მათი მფარველიცაა და საკუთრებაც. მისი მიღებით ხალხი გამხნედება და მით უმეტეს, თქვენი მადლიერი იქნება“. (იხ. XVIII საუკუნის სიგელები და სხვა ისტორიული დოკუმენტები საქართველოს შესახებ, ა. ცაგარელის რედაქციით, 1902, გვ.213).

4. კონკლერის ბარათი ა.ა.ბუზბოროდკოსადმი (1798):


„წმ.ნინოს ჯვრის თაობაზე, რომელიც

ბატონიშვილ ბაქარის ერთ-ერთ მემკვიდრესთან ინახება, უბრძანებთ თუ არა გენერალურ პროკურორს, მისწეროს სადაც ჯერ არს, მოძებნოს და მეფეს გაუგზავნოს“ (იქვე, გვ. 195).

5. სამინისტროს ნოტა საქართველოს ელჩს თავად გ.ჭავჭავაძეს:

„უმჯობესია წმ.ნინოს ჯვრის დაბრუნების თაობაზე თვითონ მეფე დაუკავშირდეს ბაქარის შვილიშვილს თავად ეგორ გრუზინსკის, ვისთანაც დიდი ხანია ინახება ეს სალოცავი“ (იქვე, გვ. 200).

გაგრძელება იქნება



პოეზია

თამარ ღილიკი-სუქნიკი

საქართველოს მომავალი

ღმერთმა შექმნა ქვეყანაზე ძე, ასულნი - დღენი მისნი,
ცა მოქპარგა ვარსკვლავებით გაანათა გზები მისნი,
მთვარე მზესა შეაყვარა, არა? შეახვედრა ისნი,
გაზაფხული დაგვიბერტყა, სიკეთე და წყარო მისნი.
წრფელი გულით გვაშრომა და გაგვიკვალა ხნულნი მისნი,
არ წაგვბილწა ბოროტებამ, დაგვიმოყვრა ძმები მისნი,
ვარდმა ვარდი გამოიღო - ყვავილებმა კვირტნი მისნი,
ბულბული რომ ააქლერა, გაგვიმრავლა შვილნი მისნი.
არა ლობობა, არა კედლობა, ხის შრიალი ლაღნი ისნი,
ზღვა მთევზით აფართქალა და გასწმინდა ღელე მისნი,
მთები ცისკენ ატყორცნა და ტაძრები მშვენი მისნი,
ყველა ერთად შეგვაერთა საქართველო მადლი მისი.

ქრისტეს შობა

ქრისტეშობის თვესა მაცხოვარი ბეთლემს იშვა დღესაც,
ანგელოსნი უგალობენ ზეცით: დიდებაო მადალსაო ღმერთსა!
მწყემსნი ამბორს უყოფიან უფალს, ო რარიგად უხარია მზესა,
ვარსკვლავ-ბრძენნი იღიმიან ციურ: ყოვლადწმიდა მარიამი უწინარეს სხვებსა!
ფრინველთ გუნდსა ლაღად მსტვენსა,
ია-ვარდსა კოკობ მფენსა,
ხესა, ფესვსა, ლურჯსა ფერსა,
მთასა, ბარსა, ველთ ზღაპარსა,
მოლივლივე ღელეებსა, ცხვრის ფარებსა
და ყოველსა...
მოველინათ მაცხოვარი ბეთლემს ბაგით?
მშვიდობა და სათნოება, სიყვარული ერს და ბერსა,
მამა ძე და სული წმიდავ საქართველო გაგვიბრწყინე
აღგვიმალღე დღესა!



მთავარანგელოზი უფლისანი, საყდართა
დიდებისათა წინაჲ მდგომარეო, მეოხრო ყოველთა
კაცთა, და აწცა სულთა ჩუენთათუის ღზინება ითხოვეთ
ქრისტეშგან და დიდი წყალობა

JVARI VAZISA
(The Cross of Vine)

4, 1992

The Holy Feast calls us again offering us the Grace of the Lord: The Holy father John the Chrysostom advises us to make the Feast inseparable part of our life, to prevent us from a danger and lead us to the Heavenly Kingdom.

The journal represents the admonitions of the holy father Casian against the spirit of ambition.

The Holy father Gregory of Nyssa comments on the psalm 150.

The article by Bishop Egnatius (Brianchaninov) deals with the man in spiritual need. The bishop tries to console the man being in solitude and grief and share his feelings.

John Ananiashvili writes about the life and activities of pious monk Alexy. This article also includes the preaching by this monk: "Godlessness is the negation of nature."

The journal continues publishing of the Orthodox catechism against secretarianism.

Ekvtime Kochlamazashvili offers us the article "Worship Him Through science", which deals with the text of one of the very important liturgical prayer - "Cherubic Hymn".

We continue publishing of the work by Simon Tkhemaladze: "Sioni Cathedral in Tbilisi".

Under the heading - "Poetry", the verses by Tamara Dididze are printed.

The article - "Lessons and Examples of Christian Faith", compiled by Grigol Diachkov, deals with the Christian teachings.

In this issue of the journal we finish publishing of the letter - "The life of Ilarion Kartveli".

ДЖВАРИ ВАЗИСА
(Крест из лозы виноградной)

4, 1992

Опять зовет нас святой пост и опять предлагает божью благодать. В слове о посте святой Иоанн Злотоуст советует спутником жизни выбрать пост, который поможет избежать искушения и приведет к вратам небесного царства.

Читатель может познакомиться с советами святого отца Иоанна Касиана Римлянина о борьбе с духом честолюбия.

Здесь же печатается разъяснение Григория Нисского касающееся 150-го псалма.

Письмо к мирянину, который переживает душевные невзгоды, епископ Игнат (Брянчанинов) старается утешить одинокого и скорбящего человека и соучаствовать в его духовных переживаниях.

Статья Иоанна Ананиашвили посвящена жизни и подвижничеству известного духовного лица, монаха Алекси (Шушания). Печатается проповедь отца Алекси - "Безбожие - отрицание природы".

Продолжается публикация православного катехизма против сектантов.

Статья Эквтиме Кочламазашвили "Воспевайте с знанием" посвящается установлению точного текста одного из важнейших песнопений обетни "Иже Херувим".

В настоящем номере журнала продолжается публикация книги Маркоза Ткемаладзе "Тбилисский кафедральный храм Сиони".

В отделе поэзии читатель знакомится со стихотворениями Тамары Дидидзе-Сукнидзе.

В журнале печатается несколько глав из книги "Уроки и примеры христианской веры", составленной Григорием Дьячковым.

Здесь же печатается окончание "Жизни Илариона Грузинского" Антона Святогорца.

შინაარსი

ღვთისმეტყველება

წმიდა იოანე ოძროპირი. სიტყვა მარხვის შესახებ	5
წმიდა მამა იოანე კასიანე რომაელი. პატივმოყვარეობის სულთან ბრძოლა	7
ბრიგოლ ნოსელი. 50-ე ფსალმუნის შესახებ	10
ეპისკოპოსი ებნათე (ბრინანენოვი). წერილები სხვადასხვა პირთ	12
ალექსი ბერი (წუშანია). უღმერთოება - ბუნების უარყოფა	16
იოანე ანანიოზვილი. ალექსი ბერი და მენჯის მთავარანგელოზთა მონასტერი	20

მწვალებელსა კაცსა განეზოგრა

სამტანთების საწინააღმდეგო მართლმადიდებლური კატეხიზმო	26
ქრისტიანული სარწმუნოების ბაკვეთილები	34
ეპიტოპე კოჭლაგაზაზვილი. უგალობდით მას მეცნიერებით	46
ანტონ მთაწმინდელი. ილარიონ ქართველის ცხოვრება	53

ბიბლია და ქართული კულტურა

დემანოვი მარკოზ ტყეშელაშვილი. თბილისის სიონის საკათედრო ტაძარი	66
--	----

კოლეჯი

თამარ დიდიკე-სუქნიძე. ლექსები	76
რეზიუმე ინგლისურ ენაზე	78
რეზიუმე რუსულ ენაზე	78

სრულიად საქართველოს საპატრიარქო
ჟურნალი
ჯვარი ვაზისა
4.1992

საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარე
აისკაოროსი ზოსია ფილანელი (ვიოვაილი)

რედაქტორი
დეკანოზი არჩილ პინდიავილი

ბასუბისმგებელი მდივანი
ანდრო ბაღუაძე

რედაქციის მისამართი:
სრულიად საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, ერეკლეს მოედანი, 1, ტელ. 98-26-34.

JVARI VAZISA
(The Cross of Vine)
Georgian Patriarchate
Tbilisi 1, Erekle's square
T. 98-26-34

ДЖВАРИ ВАЗИСА
(Крест из лозы виноградной)
Грузинская Патриархия
Тбилиси, пл. Ираклия I
Т. 98-26-34

გადაეცა წარმოებას 17.6.91. ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.12.91. ქალაქის ზომა 60X84 1/8
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 10. ფიზიკური ნაბეჭდი თაბახი 5. ტირაჟი 10000. შეკვეთა 563

ჟურნალი დასაბეჭდად მომზადდა გამომცემლობა „მარიხში“. თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. №14.
დიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში. თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. №14.

